Понятию инвестиционный климат иностранные инвесторы при принятии инвестиционных решений зарубежные и отечественные ученые всегда уделяли большое внимание. В экономической литературе понятие инвестиционный климат рассматривают в научных работах И. Бланка, С. Гутеквича, М. Мельника, А. Музыченко, Ю. Лукашина, О. Носовой, Л. Рахлина, П. Фишера, А. Яковлева и других [1]. Оценка инвестиционного климата основывается на анализе как объективных факторов, обусловленных природными условиями, так и на учете субъективных факторов, возникающих во время экономической деятельности субъектов. Несмотря на большое количество работ, посвященных анализу инвестиционного климата в Украине, следует отметить необходимость дальнейшего исследования повышения инвестиционной привлекательности национальной экономики в современных условиях.

Инвестиционный климат государства - это совокупность политических, правовых, экономических и социальных условий, обеспечивающих инвестиционной деятельности отечественных и зарубежных инвесторов. Инвестиционный климат непосредственно влияет на основные показатели социально-экономического развития Украины. Благоприятный инвестиционный климат делает решение социальных проблем, обеспечивает высокий уровень занятости населения, позволяет обновлять производство, проводить модернизацию и внедрять новейшие технологии. Поэтому в настоящее время стабилизация инвестиционного климата, в частности через его анализ и прогно-вания, является актуальной задачей для Украины [2].

Инвестиции являются не только путем развития, но и рычагом в регулировании экономики путем привлечения капитала в определенных отраслей. Ведущими сферами экономической деятельности, по объемам привлечения капитальных инвестиций в Украине, в 2016 остаются: промышленность - 117,7 (млрд.грн.), Строительство-44,4 (млрд.грн.), Сельское, лесное и рыбное хозяйство -50,5 (млрд.грн.), информация и телекоммуникации - 15,6 (млрд.грн.), оптовая и розничная торговля - 29,9 (млрд.грн.); транспорт, складское хозяйство, почтовая и курьерская деятельность - 25,1 (млрд.грн.), государственное управление и оборона, обязательное социальное страхование- 22,4 (млрд.грн.) (рис.) [3]




**Рис. Капитальные инвестиции по видам экономической деятельности за 2016 [3]**

На сегодняшний день инвестиционный климат в Украине остается неблагоприятным. По оценкам Министерства экономики, общая потребность в инвестициях для структурной перестройки экономики Украины составляет от 140 до 200 млрд. долл. США, а ежегодная потребность - около 20 млрд. долл. США. По оценкам экспертов Всемирного банка, для достижения уровня развития США Украине нужно вообще 4 трлн. долл. США.По сравнению с этими цифрами фактические объемы инвестиций в Украину являются мизерными. Это объясняется тем, что потенциального иностранного инвестора пугает не столько проблемы технического характера, которые он может иметь в нашей стране, а неопределенность, работа в постоянно меняющемся политическом и экономическом среде. Так, общий объем прямых иностранных инвестиций в Украину в 2016. составил 4405800000. долл. США [3], что составляет 97,9 долларов США на одного жителя Украины. Этот показатель значительно отстает от аналогичных показателей стран Центральной и Восточной Европы.Наибольшие объемы инвестиций поступили из Российской Федерации - 1667,0 (млн. долл. США), Кипра - 427,7 (млн. долл. США) и Великобритании - 403,9 (млн.долл. США). (Табл. 1).

Таблица 1

**Прямые инвестиции (акционерный капитал) из стран мира в экономику Украины в 2016 году [3]**

| | Поступление прямых иностранных инвестиций в 2016 году (млн долл. США) | В% к итогу |
|---|---|---|
| Всего | 4405,8 | 100,0 |
| Российская Федерация | 1667,0 | 37,8 |
| Кипр | 427,7 | 9,7 |
| Великобритания | 403,9 | 9,2 |
| Нидерланды | 255,0 | 5,8 |
| Австрия | 249,9 | 5,7 |
| Италия | 209,9 | 4,8 |
| Венгрия | 187,6 | 4,3 |
| Виргинские Острова | 140,2 | 3,2 |
| Швейцария | 108,6 | 2,5 |
| Турция | 103,2 | 2,3 |
| США | 85,2 | 1,9 |
| Другие страны | 567,6 | 12,8 |

Для улучшения инвестиционного климата в краткосрочную перспективу, Украина должна в первую очередь уделить внимание совершенствованию организационной и правовой базы. 1 января 2017 Верховной Радой Украины принят Закон «О внесении изменений в Налоговый кодекс Украины относительно улучшения инвестиционного климата в Украине» № 1797 от 21.12.2016 года. Его реализация предусматривает внесение соответствующих изменений в Налоговый кодекс Украины с помощью ряда ключевых реформ, которые должны обеспечить устойчивый экономический рост и способствовать созданию благоприятных условий для развития бизнеса в Украине.

В результате проведенного анализа видно, что в Украине в течение последних нескольких лет снизились показатели объемов иностранных инвестиций в страну, ведь существуют как политические так и экономические проблемы, требующие внимания, поэтому можно привести следующие пути повышения привлечения инвесторов и способствовать улучшению инвестиционной деятельности:

- проведение в Украине и за рубежом мероприятий с целью ознакомления с инвестиционными возможностями Украины;

- презентация за рубежом отраслей и их возможностей, требующих инвестиций за рубежом;

- формирование благоприятного инвестиционного имиджа страны за организацию и участие в международных выставках, ярмарках, инвестиционных проектах, публикации в международных изданиях соответствующего профиля;

- содействие развитию эффективной банковской системы, ориентированной на кредитование реального сектора экономики;

- улучшение информационного обеспечения иностранных инвесторов о потенциальных возможностях инвестирования в стране;

- поддержка малого предпринимательства, поскольку малый и средний бизнес позволяют использовать инвестиционный потенциал территорий, создавать конкурентную рыночную среду и быстро реагировать на потребительские нужды и конъюнктуру рынка [4]

Таким образом, приведенные пути улучшения инвестиционного климата в Украине могут положительно повлиять на дальнейшее его развитие, что в свою очередь обеспечит стремительное развитие экономики страны. Соответствующее увеличение объема инвестиций в экономику Украины обеспечит ускорение социально-экономического развития страны и приоритетных отраслей производства.

**Список использованных источников:**

1. Носова О.В. Інвестиційнийклімат в Україні: основнінапрямиполіпшення
2. Дяченко М. І. Формуванняінвестиційногоклімату та інвестиційна-привабливістьрегіону/М. І. Дяченко, О. М. Саковська // Економіка. Фінанси. Менеджмент: актуальніпитання науки і практики. - 2016. - № 4. -С.15-24. [Електронний ресурс] Режим доступу: http://nbuv.gov.ua/UJRN/efmapnp_2016_4_4
3. Державна служба статистикиУкраїни [Електронний ресурс] - Режим доступу: http://www.ukrstat.gov.ua/
4. Кульбашна Г.А ІнвестиційнийкліматУкраїни та шляхи йогопокращення. 2015.

# შრომითი კმაყოფილება-განათლების დონე, დასაქმების ბაზრის ეფექტურობა საქართველოში
# Labor satisfaction-level of education, employment, Market efficiency in Georgia

*ავტორი - **გვანცა ხიბლაშვილი,** ხელმძღვანელი - ასოც. პროფ. **ვალერი მოსიაშვილი,** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*
*Author – **Gvantsa Khiblashvili,** Supervizor – Assoc. Prof. **Valeri Mosiashvili**, Georgian Technical University*

*Abstract*

*Education and employment can be very important to analyze the effectiveness of research ganatllebis konteksshi.pormaluri education levels and the type of activity between the vertical and horizontal discrepancy between ganaskhvaveben.vertikalur the inconsistency occurs when dakamebulis education level is higher or lower than his job, etc. Sruleba requires vertical non-compliance is determined by the low-qualified and highly qualified.The share of employees in the total work force. Majority of people are driven by motive for income only.*

*In most cases, people are looking for employment not by what they like and what they like, but because they are employed, the main motivation for job searching is often the income. Under such conditions, it is difficult to talk about the work satisfaction of the workforce but it should be taken into consideration that no matter what good income people have, the activities that do not enjoy, and therefore do not feel satisfied with the satisfaction and rutin.*

*Key Words: Education, labor satisfaction, Correlation analysis, Microfinance organizations, employement.*

ნაშრომში განხილულია განათლება-დასაქმების ვერტიკალური და ჰორიზონტალური შესაბამისობა,შრომითი კმაყოფილება და დასაქმების ბაზრის ეფექტურობა საქართველოში.

განათლებისა და დასაქმების შესაბამისობის ანალიზი მეტად მნიშვნელოვანი საკითხია განათლლების ეფექტიანობის კვლევის კონტექსში.ფორმალური განათლების საფეხურსა და საქმიანობის ტიპს შორის ვერტიკალური და ჰორიზონტალურ შეუსაბამობას განასხვავებენ.ვერტიკალურ შეუსაბამობას ადგილი აქვს მაშინ,როდესაც დაქამებულის განათლების დონე იმაზე უფრო მაღალი ან დაბალია,-

ვიდრე მისი სამუშაოს შესრულება მოითხოვს,ვერტიკალური შეუსაბამობის შემთხვევაში განისაზღვრება დაბალკვალიფიციური (undereducated) შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე (well-matched) და მაღალკვალიფიციური (overeducated) დასაქმებულების წილი მთლიან სამუშაო ძალაში.

პოსტკომუნისტურ ქვეყნებში,სადაც ეკონოიკური რეფორმები შედარებით გვიან დაიწყო,შრომის ბაზრის რესტრუქტურიზაცია განვითარებული ეკონომიკებისგან განსხვავებით წარიმართა,სადაც დასაქმება ურთიერთსაწინააღმდეგო კერძოდ,მაღალი და დაბანლი კვალიფიკაციების საჭიროების მქონე მიმართულებით გაიზარდა.საქართველოსა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში გაიზარდა საშუალო და დაბალი კვალიფიკაციის სამუშაოების რაოდენობა,გამრავლდა ისეთი საქმიანობები,სადაც მაღალია მოთხოვნა ფიზიკურ უნარებზე, მაგალითად: მშებენლობა,მომსახურების სფერო,ტრანსპორტირება,საბითუმო და საცალო ვაჭრობა.შრომის ბაზრის ამგვარმა ტრანსფორმაციებმა პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ზრდასრული მოსახლეობის უნიდესი ნაწილის განათლების ხარისხის,ცოდნისა და კომპეტენციების გაუფასურება გაოიწვია იმის გათვალისწინებით,რომ პოსტკომუნისტური ქვეყნები საუნივეისტეტო განათლების მქონე მოსახლეობის მაღალი წილით ხასიათდებიან,საბოლოოდ კი ეს აისახა მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის მაღალ მაჩვენებლში,ვინაიდან უმაღლესი განათლების დიპლომების მქონე მოსახლეობა დათანხმდა სწორედ დაბალი კვალიფიკაციის სამუშაოს შესრულებას,ამავე დროს უფროსი თაობის სამუშაო ძალა არ არის აღჭურვილი თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ცოდნითა და უნდარებით,რაც თავის მხრივ, ცოდნის გაუფასურების პრობლემის გამოხატულებაა.საერთო ჯამში,სამუშაო ძალის აღნიშნული ნაწილი ეროვნულ შრომის ბაზარზე „ჩამოქვეითებული" რჩება დაბალი პროდუქტიულობის მქონე სამუშაო ადგილებზე,სადაც პრფესიული განვითარების შესაძლებლობა მინიალურია,-ხოლო მათზე დაბალი კომპეტენციის მქონენი სულაც უმუშევრები ხდებიან,ამ პროცესებს კი ის გარემოებაც ამლირებს,რომ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში მუდმივად მზარდია უნივერსიტეტის კურსდამთავრებულტა მაჩვენებლები,რომელიც ქვეყნის ეკონომიკურშესაძლებლობებს აღემატება. შედეგად, სახეზეა ერთი მხრივ, დისბალანსი, შრომიბ ბაზარზე სამუშაო ძალის მოთხოვნა-მიწოდების თვალსაზრი-

სით,მეორე მხრივ კი,დაბერებულ სამუშაო ძალას ახალი თაობა ანაცვლებს რომელიც ასევე თანხმდება დაბალი კვალიფიციის საუშაოს.

საერთო ჯმში,დაბერებული თუ ახალგაზრდა სამუშაო ძალა,რომელსაც არ აქვს თანამედროვე სტანდარტის განათლება და უნარები,აფერხებს შრომის ბაზარზე ახალი ტექნლოგიების ათვისებას,ინოვაციური სამუშაო მიმართულებების განვიტარებასა და ქვეყნის მიკროეკონომიკურ დონეზე პროდუქტიულობის ზრდას.

**განათლების ხარისხი საქართველოში**

მოგეხსენებათ საქართველოში განათლების დონე უკვე კატასტროფულად დაეცა.მარტო კითხვის დონის მაჩვენებელი უტოლდება საუდის არაბეთის,ირანის და აფრიკის ქვეყნების დონეს.საქართველოში მოსახლეობის მხოლოდ 22%-ია უმაღლესი განათლების მქონე ანუ ეს მაჩვენებელი წამყვან პოზიციებზე მყოფი ქვეყნების მაჩვენებლებს ორჯერ და მეტად ჩამოუვარდება, რაც, ცხადია, არასახარბიელოა. საქართველოში ყოველ 10 000 მოსახლეზე მოდის 234 სტუდენტი (აღსანიშნავია, რომ 2003 წელს მოდიოდა 355 სტუდენტი), მაშინ როცა, მაგალითად, ლატვიაში ყოველ 10 000 მცხოვრებზე 492 სტუდენტია, ანუ სტუდენტების რიცხვი იზრდება. სტუდენტები და უმაღლესი განათლების მქონე პირები განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის 65 პროცენტს შეადგენენ

**შრომითი კმაყოფილება საქართველოში**

ადამიანების უმრავლესობას ამოძრავებს მხოლოდ და მხოლოდ შემოსავლის ძიების მოტივი. ხშირ შემთხვევაში ადამიანები ეძებენ სამსახურს არა იმის გათვალიწინებით და გააზრებით რაც მოსწონთ, არამედ იმის გამო რომ დასაქმდნენ, ანუ სამსახურის ძიების მთავარი მოტივაცია ხშირ შემთხვევაში სწრედ რომ შემოსავალია. ასეთი პირობებში, რთულია ვისაუბროთ მომუშავეთა შრომით კმაყოფილებაზე მაგრამ გასათვალისწინებელია ის, რომ რაც არ უნდა კარგი შემოსავალი ქონდეს ადამიანს, ის საქმიანობა, რომელიც სიამოვნებას არ ანიჭებს და შესაბამისად ვერ გრძნობს კმაყოფილებას ბოლოს ბეზრდება და რუტინად იქცევა.

არის თუ არა კავშირი შრომით კმაყოფილებასა და ანაზღაურებას შორის?

ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ხელფასი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მომუშავეთა შრომით კმაყოფილებაზე.საინტერესო

კავშირი არსებობს ანაზღაურებასა და სამუშაოთი კმაყოფილებას შორის. ღარიბი ადამიანებისთვის,ან მათთვის ვინც ღარიბ ქვეყნებში ცხოვრობს,ხელასი მაღალ კოლერაციაშია სამუშაოთი კმაყოფილებასთან,მაგრამ მდიდარი ადამიანების შემთხვევაში ეს კავშირი ხელფასსა დაშრომით კმაყოფილებას შორის ქრება.

რატომ მიიღეთ გადაწყვეტილება ამჟამინდელ სამსახურში დაგეწყოთ მუშაობა?

რომლებიც შემდეგნაირად გადნაწილდა:




რესპოდენტების პასუხების კორელაციური ანალიზი მათი ფორმალური განათლების დონეებთას აჩვენებს, რომ მათ შორის ძალიან სუსტი, თუმცა უარყოფითი კავშირია. ეს შედეგი მეტყველებს იმაზე, - რომ განათლების მაღლი დონის მქონე რესპოდენტების უმრავლესობა ფინანსური სიდუხჭირის გამო დათანხმდა ამჟამინდელ სამუშაოს. ასევე სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება ფიქსირდება ამჟამინდელ სამსახურში მუშაობის დაწყების მიზეზსა და რესპდენტების სქესს შორის.კერძოდ 14%-ით მეტი კაცი ამბობს,რომ კარგი ანაზღაურებისა და პროფესიით დასაქმების თანხვედრის გამო გადაწყვიტა ამჟამინდელ სამსახურში მუშაობის დაწყება, ქალი რესპოდენტე-

ბის შემთხვევაში კი დომინანტურია პროფესიით დასაქმების შესაძლებლობა, მიუხედავად იმისა რომ ანაზღაურება კარგი არ არის(74%) ასევე,ფინანსური სიდუხჭირის გამო მუშაობის დაწყებაც,მიუხედავად იმისა,რომ არც ანაზღაურებაა კარგი და არც პროფესიის შესაბამისი სამუშაო(53%)

ასაკის ნიშნით მონაცემების ანალიზისას გამოვლინდა,რომ რაც უფრო მაღალ ასაკობრივ კატეგორიში ხვდება რესპოდენტი,მით მეტად იზრდება მისი ალბათობა,რომ ფინანსური სიდუხჭირის გამო დათანხმდეს დაბალანაზაურებად სამუშაოს.კარგი ანაზღაურების და პრუფესიით დასაქმების თანხვედრას ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 18-24 წლის დასაქმებულების ჟგუფში აქვს.

ხართ თუ არა კმაყოფილი ამჟამინდელი სამსახურით?

კვლევის ფარგლებში გამოკითხულ დაქირავებით დასაქმებულ რესპოდენტთა შორის,შრომით კმაყოპილებას გამოკითხულთა 78% გამოთქვამს,ხოლო 7% უკმაყოფილოა სამსახურით.

შრომითი კმაყოფილების კუთხით,სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ ვლინდება სქესის და ასაკის ნიშნით.კაცი რესპოდენტების შემთხვევაში, 82% კმაყოფილია სამსახურით,ხოლო ქალების შემთხვევაში,შრომითი კაყოპილებას 74% გამოხატავს.

## 2016 წლის ყველაზე მოთხოვნადი პროფესიები

სხვადასხვა საქმიან თუ არასაქმიან წრეებში, დასაქმება და სამუშაო ადგილები 2016 წელსაც აქტუალურ თემად დარჩა. ზოგადად, დასაქმების ბაზრის მიმართ ინტერესი განსაკუთრებით მზარდია 2010 წლიდან და ეს ის პერიოდია, როდესაც ბიზნეს კონიუნქტურამ ცვლილება და განვითარება დაიწყო საქართველოში.ინსორსმა კვლავ დაამუშავა 2016 წლის მონაცემები და ინფორმაცია მოიძია საქართველოში ვაკანსიების განსათავსებელ ვებგვერდებზე,ვებგვერდებზე. უნდა აღინიშნოს, რომ დასაქმების ბაზარს ცვლილება არ განუცდია - ჩვენ მიმდინარე წლის მონაცემები შევადარეთ 2015 წლის მონაცემებს და მოთხოვნა პროფესიებსა თუ სამუშოების შემსრულებლებზე უმნიშვნელო ცვლილებეს ატარებს.

გაყიდვების მენეჯერი კვლავ ყველაზე მოთხოვნადი პროფესიაა მთელი წლის განმავლობაში (9.7%). ამ სამუშაოზე მოთხოვნას ძირითადად მომსახურების სფერო (82%) და საცალო ქსელი (7%) ქმნიდა.

2016 წლის განმავლობაში გაიზარდა ბიზნესის საჭიროება კონსლუტანტების დაქირავებაზე (8.9%) და ამ მოთხოვნას ძირითადად საცალო ქსელი ქმნიდა (100%).

2016 წელს გააქტიურდა სარესტორნო ბიზნესი და ზოგადად, HoReCa სექტორიც. ამ სექტორმა შექმნა მაღალი მოთხოვნა მიმტანებისა (6.8%) და დიასახლისების (56%) დასასაქმებლად. ამას გარდა, იგივე სექტორიდან 5.4% ვაკანსიებისა მოდიოდა მზარეულებზე.- სუპერმარკეტებიდან და ზოგადად, საცალო ქსელიდანაც მაღალი იყო მოთხოვნა დიასახლისებზე - ვაკანსიების 56% სწორედ ამ პოზიციაზე გამოცხადდა.

რაც შეეხება ფინანსურ სექტორს, განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და ბანკები. მათი აქტიურობა საკრედიტო ოფიცრებზე ასე გადანაწილდა: ვაკანსიების 56% ეკუთვნის მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს; 44% კი ბანკს.გაყიდვების მენეჯერებთან ერთად, კვლავ აქტიურია დისტრიბუტორის პოზიციაზე დასაქმების მსურველების ძიება და 2016 წლის ვაკანსიების 4.3% სწორედ ამ პოზიციებზე მოდის.ასევე აქტიურია მოთხოვნა ბუღალტრის პოზიციაზე და 2016 წელს ამ პროფესიაზე ყველაზე მაღალი მოთხოვნა (ბუღალტრის ვაკანსიის 36%) დაფიქსირდა მომსახურების სფეროში (სალონი, საკონსულტაციო მომსახურება სხვადასხვა მიმართულებით, ტრენინგ ცენტრი და სხვ.). კარგი იქნება ახალი თაობა აკადემიურთან ერთად პროფესიულ განათლებაზეც ფიქრობდეს.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1.http://www.osgf.ge/
2. https://societyinourtime.wordpress.com/2015/12/23/823/

# განათლებისა და მეცნიერების პრობლემები საქართველოში
# Problems of education and science in Georgia

*ავტორი - **მონიკა ლომიძე,** ხელმძღვანელი - ასოც. პროფ. **მეგი გორგასლიძე,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*Author – **Monika Lomidze,** Supervizor –Assoc. Prof. **Megi Gorgaslidze**, Akaki Tsereteli State University*

***Abstract***

*Education level indicator is one of the main indicators of success and development of the country. The role of education in the economy is one of the most important. As we know in Georgia, there is a problem of unemployment. While researching the reasons for unemployment, specialists often go to the point that education quality and qualified staff deficit increases investment in the country and creating new jobs.*

*Georgia can not boast of the level of education in society and any serious achievements in the scientific context. This is really a serious problem, which can hamper and threaten the development of the entire community. This in itself affects the social, economic and political state of the state.*

*Since the start of the education reform in Georgia, the endless dispute is going on how much changes are implemented in the country's reality. What should be based on decisions that the state takes? Serious scientific researches and their thorough analysis? "Traditional" views and theories about the majority of community members? What role does social factors in the efficiency of education system?*

*Key Words: Education and Science, Human capital, Higher educational institutions, Unemployment Education reforms .*

ამბობენ, განათლების დონის მაჩვენებელი ქვეყნის წარმატებისა და განვითარების ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორია. რამდენადაც განათლებულია ერი, იმდენად წარმატებულია თითოეული ქვეყანა და პირიქით. განათლებული ხალხები ქმნიან ძლიერ ინსტიტუტებს, რომლებზეც, თავის მხრივ, ფუძნდება ძლიერი სახელმწიფო.

განათლებაში ინვესტირება ეკონომიკის ამოქმედების მნიშვნელოვანი მექანიზმია, რადგან მას შემოსავლების ზრდა მოჰყვება ქვეყანაში, რაც ადამიანისეული კაპიტალის დაგროვების საფუძველია.

მოგეხსენებათ საქართველოში განათლების დონე უკვე კატას-

ტროფულად დაეცა. მარტო კითხვის დონის მაჩვენებელი უტოლდება საუდის არაბეთის, ირანის და აფრიკის ქვეყნების დონეს. მასწავლებლების მნიშვნელოვანმა ნაწილმა კი თავისი საგანი საჭირო დონეზე არ იცის .განვითარების მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით,2012 წლისთვის იმ ქვეყნების საუკეთესო ათეული, რომელსაც ყველაზე მეტი უმაღლესი განათლების მქონე მოქალაქე ჰყავს, ასე გამოიყურება: კანადა, ისრაელი, იაპონია, აშშ, ახალი ზელანდი, სამხრეთ კორეა, დიდი ბრიტანეთი ,ფინეთი, ავსტრალია, ირლანდია. ამავე ორგანიზაციის მოხსენებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე, უმაღლესი განათლების მქონე ადამიანებს უმუშევრობა სხვებზე ნაკლებად ემუქრებათ. რა ვითარებაა ამ თვალსაზრისით საქართველოში?

ქართული უნივერსიტეტები, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ყოველწლიურად პოტენციურად დაუსაქმებელ ადამიანებს აწარმოებენ. განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის კვლევის მიხედვით დგინდება, რომ საქართველოში უმაღლესი განათლების მქონე პირთა მხოლოდ 24%-ია დასაქმებული და მუშაობს საკუთარი პროფესიით.

დღევანდელი განათლების სისტემა საქართველოში მკვეთრად განსხვავდება იმ სურათისაგან, რომელიც მოგვცა მეოცე საუკუნის 90-იანმა წლებმა. კერძოდ, განუკითხაობა და ქაოსი რომელიც დამახასიათებელი იყო იმ პერიოდისათვის შეარყია და დეგრადაციის გზაზე დააყენა საგანმანათლებლო სფერო.

ასეთი იყო იმ წლების პრაქტიკა, ვიდრე 2003 წელს ახალმა მთავრობამ განათლების რეფორმა ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად არ აქცია. უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში კორუფციის აღმოფხვრის მიზნით სისტემური რეფორმა განხორციელდა. დაინერგა ერთიანი ეროვნული გამოცდები, რამაც, მიუხედავად უამრავი კრიტიკისა, დროს გაუძლო და დღესაც ეფექტიანად მუშაობს. მიღწეულ ამ შედეგს თითქმის ყველა სათანადოდ აფასებს და არავინ უარყოფს, რომ ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ძირეული ცვლილება, რომელმაც უამრავ აბიტურიენტს შესაძლებლობა მისცა, რომ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის მანდატი სწორედ საკუთარი ცოდნის საფუძველზე მოეპოვებინა.

წლების განმავლობაში განათლების სისტემის გაუმჯობესების

მიზნით ბიუჯეტიდან მილიონობით ლარი გამოიყო, სხვადასხვა სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებში უამრავ სტუდენტს შესაძლებლობა მიეცა, სწავლა უცხოეთში გაეგრძელებინა და იქაური გამოცდილება მიეღო. დაფინანსდა როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები. ცვლილებები შეეხო საჯარო სკოლებსაც. პედაგოგებისათვის ამოქმედდა სხვადასხვა წამახალისებელი პროგრამა. ეტაპობრივად მოხდა სახელფასო სისტემის ცვლილებაც. თუმცა აღნიშნული საკმარისი არ აღმოჩნდა და პრობლემა პრობლემად დარჩა. ქვეყანაში განათლების დონის მაჩვენებელი არცთუ ისე სახარბიელოა. ბოლო კვლევების მიხედვით, რომლებიც აღნიშნული მიმართულებით ჩატარდა, 15 წლამდე ასაკის მოზარდების განათლების დონით ერთ-ერთ ბოლო ადგილზე ვართ.




განათლების როლზე საქართველოს, როგორც ქვეყნის კონკურენტუნარიანობის შეფასებაში ძალიან საინტერესო ინფორმაციას იძლევა კონკურენტუნარიანობის ინდექსი(GCI). ეს ინდექსი ახდენს იმ ფაქტორების ანალიზს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყანაში ბიზნეს–კლიმატის შექმნისათვის და მნიშვნელოვანი არიან მწარმოებლურობისა და კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით, (GCI) ზომავს მაკროეკონომიკური გარემოს ხარისხს, ქვეყნის საჯარო ინსტიტუტების მდგომარეობას და ტექნოლოგიური მზაობის დონეს. ინოვაციასა და განვითარების ფაქტორში საქართველო 121-ე პოზიცი-

ას იკავებს 144 ქვეყანას შორის. დაწყებითი განათლების ხარისხით ქვეყანა 99-ე ადგილზეა 144 ქვეყნიდან,რაც იმას მეტყველებს, რომ პირველადი განათლება ძალიან დაბალხარისხიანია.

აღნიშნული შედეგების ფონზე საინტერესოა ის მაჩვენებლებიც, რომლებიც საჯარო სკოლების პედაგოგების სერტიფიცირების შედეგად ვლინდებოდა. პედაგოგთა ბოლო სასერტიფიკაციო გამოცდა 2013 წელს ჩატარდა. გამოცდისთვის 26 000-ზე მეტი პედაგოგი დარეგისტრირდა, მათი 17-18% გამოცდაზე არ გამოცხადდა. ტესტირების შედეგად შემდეგი სურათი დაფიქსირდა: მათემატიკაში სავალდებულო 60%-იანი ბარიერი პედაგოგთა 86%-მა ვერ გადალახა, ქიმიაში – 91%-მა, ფიზიკაში – 96%-მა, ბიოლოგიაში – 77%-მა, სამოქალაქო განათლებაში – 83%-მა, სახვით ხელოვნებაში – 74%-მა. ბევრი ამას მასწავლებლის სახელფასო სისტემას უკავშირებს და ამბობს, რომ არასათანადო ანაზღაურების გამო პედაგოგების დაინტერესება და მოტივაცია დაბალია და შედეგიც შესაბამისია, მათი დიდი ნაწილი მინიმალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. მოცემული მომენტისათვის საჯარო სკოლის პედაგოგის საბაზო ხელფასის მაქსიმალური ოდენობა 305 ლარს შეადგენს. ამას ემატება სხვადასხვა ტიპის დანამატი, რომელიც პედაგოგებისთვის შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით გაიცემა.

ამ მხრივ იმედის მომცემი არც უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებია. ფაქტია, მათი უმეტესი ნაწილი კონკურენციას ვერ უძლებს. ქვეყნის შიგნით მიღებული აკადემიური ხარისხი დასაქმების ბაზარზე არცთუ ისე გაყიდვადია. პრიორიტეტი უცხოურ დიპლომს ენიჭება და ქვეყნის ფარგლებს მიღმა მიღებული განათლება დამსაქმებელთა მხრიდან ნელ-ნელა მთავარ მოთხოვნადაც კი ყალიბდება.

დღევანდელი კანონმდებლობით, უმაღლესი განათლების სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა და მისი ხარისხის მუდმივი გაზრდა სახელმწიფოს პრეროგატივაა. თუმცა, შედეგები, რომელსაც სახელმწიფო დებს, ნამდვილად ვერ უძლებს კრიტიკას. ხარისხის კუთხით კი მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების რეიტინგით თუ ვიმსჯელებთ, ცალსახაა, რომ საქართველოს უნივერსიტეტებს ძალიან უჭირთ. მსოფლიოს საუკეთესო 800 უნივერსიტეტს შორის არცერთი არაა ქართული.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

ფორმალურად შემუშავებული და ამოქმედებულია, მაგრამ სწორედ ეს ფორმალურობა წარმოადგენს მთავარ პრობლემას, რასაც ემატება მცირე ქვეყნისთვის დამახასიათებელი პრობლემები: ობიექტური შეფასებისათვის აუცილებელი არა მარტო ფინანსური, არამედ ადამიანური რესურსების ნაკლებობა. შესაბამისად გარდაუვალია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ინტერნაციონალიზაცია, რაც ქართული უნივერსიტეტებისადმი ნდობის გაუმჯობესებისა და თანასწორუფლებიანი საერთაშორისო თანამშრომლობის აუცილებელი წინაპირობაა.

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, ნათელია, რომ ქვეყანა განათლების პრობლემის წინაშე დგას, რომლის გადაჭრაც ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად უნდა იყოს ქცეული. აუცილებელია მნიშვნელოვანი და ძირეული ღონისძიებების გატარება, რათა ახალგაზრდებს ჰქონდეთ სათანადო განათლების მიღებისა და მიღებული ცოდნის შემდგომი რეალიზების შესაძლებლობა, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისა და წინსვლისათვის.

**უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების პოლიტიკის განვითარება**

- აუცილებელია სისტემის გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების ხედვისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის/გეგმების შემუშავება ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური მონაწილეობით. სტრატეგიამ უნდა განსაზღვროს საკანონმდებლო ცვლილებები.
- უნდა დაიგეგმოს მშპ-თან დაკავშირებით უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების დაფინანსების სტაბილური ზრდა.
- სახელმწიფო და კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კანონმდებლობით უზრუნველყოფილი უნდა იქნეს თანაბარი კონკურენტული გარემო, მაღალი ავტონომია და აკადემიური თავისუფლება, ასევე, ეფექტური ანგარიშვალდებულების სისტემის ფუნქციონირება.
- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში სახელმწიფოს როლი უნდა შემოიფარგლოს ავტორიზაციის პროცესით, რომელიც სახელმწიფო დაფინანსების მიღებისა და აღიარების წინაპირობა უნდა გახდეს; პროგრამების აკრედიტაციის პროცესი კი აკადემიური საზოგადოების პასუხისმგებლობის სფეროში უნდა გადავიდეს.

გამოყენებული ლიტერატურა:
1. „საქართველოს ეკონომიკა“ - ავტორები: ავთანდილ სოხაძე; კახაბერ გაბელაშვილი; მალვინა ყიფიანი
2. „სოციალური სტატისტიკა“ - ავტორები: სიმონ გელაშვილი, ზამირა შონია, რუსუდან ქინქლაძე
3. „ინტელექტუალური კაპიტალის შეფასების თავისებურებანი განვითარების თანამედროვე ეტაპზე” - ავტორი: მეგი გორგასლიძე

♦♦♦

# სავალუტო კურსის პროგნოზირება ფუნდამენტალური ფაქტორების გამოყენებით
# Forecasting the exchange rate by using fundamental factors

*ავტორი - **კახაბერ კუპატაძე,** ხელმძღვანელი - პროფ. **რევაზ შენგელია,** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*
*Author– **Kakhaber Kupatadze,** Supervizor – Prof. **Revaz Shengelia,** Georgian Technical University*

***Abstract***

*In the modern world, the currency markets are linked to each other and generate one global monetary market whose volume of daily transactions reaches $ 7 trillion and a volume of 3,6 billion in a minute. Due to high volume and speed of transactions volatility is very high on the exchange market. In contrast to the short-term fluctuations of the exchange rate, the sharp depreciation or strengthening of the rate in the medium or long term, is caused by significant global, macroeconomic and financial factors. It is inefficient to make medium and long term forecasting without analyzing such fundamental factors as are Inflation; Balance of Payments; GDP; Central Banks monetary Policy and Fiscal Policy. These Factors have the direct and indirect impact and they define the future exchange rate mainly.*

*Key words: Currency; analysis; Central bank; inflation; exchange rate; currency.*

თანამედროვე მსოფლიოში სავალუტო ბაზრები ერთმანეთთანაა დაკავშირებული და წარმოქმნიან ერთ გლობალურ სავალუტო ბაზარს, რომლის დღიური გარიგებების მოცულობა 7 ტრილიონ დო-

ლარს აღწევს, ხოლო წუთში აღნიშნული მოცულობა 3,6 მილიარდს შეადგენს. გარიგებების მოცულობისა და სისწრაფიდან გამომდინარე სავალუტო კურსის მცირე და მოკლევადიანი რყევები ყოველ წუთს მიმდინარეობს, რაც ვაჭრობის თანმდევი პროცესია, თუმცაღა, განსხვავებით კურსის მცირე და მოკლევადიანი რყევებისგან, კურსის მკვეთრი გაუფასურება ან გამყარება საშუალო თუ გრძელვადიან პერიოდში განპირობებულია მნიშვნელოვანი გლობალური, მაკროეკონომიკური და ფინანსური ფაქტორებით. ფუნდამენტალური ანალიზის დროს ხდება იმ ფაქტორების გამოვლენა და ანალიზი, რომლებიც ყველაზე დიდ პირდაპირ თუ ირიბ გავლენას ახდენენ სავალუტო გაცვლით კურსზე. აღნიშნული ფაქტორების ანალიზით შესაძლებელი ხდება კურსის მოსალოდნელი მიმართულების განსაზღვრა. ჩვენ განვიხილავთ ზემოთაღნიშნულ ფაქტორებს და დავინახავთ, თუ რა სახის გავლენა შეიძლება მოახდინოს თითოეულმა მათგანმა კურსის ფორმირებაზე.

ერთ-ერთი მაკროეკონომიკური მაფქტორი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია გაცვლით კურსის პროგონირებისას, არის ***ინფლაცია.*** ინფლაცია დამახასიათებელია ქაღალდის ფულისთვის, ვინაიდან მას ნატურალური ღირებულება არ გააჩნია. ინფლაციის შემთხვევაში ეცემა ვალუტის მსყიდველუნარიანობა, რაც პირდაპირ აისახება რეალურ გაცვლით სავალუტო კურსზე [3].

ინფლაცია პირდაპირ გავლენას ახდენს რეალურ გაცვლით კურსზე, ვინაიდან ამცირებს ვალუტის მსყიდველუნარიანობას, ხოლო ნომინალურ გაცვლით კურსზე ის ირიბ გავლენას ახდენს. ყველა ქვეყანაში ცენტრალურ ბანკს განსაზღვრული აქვს მიზნობრივი ინფლაციის დონე, რომლის არსებობაც აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის. თუ ინფლაციის ზრდის ტემპი აღნიშნულ დონეზე დაბალია, მაშინ ცენტრალური ბანკი იწყებს შერბილებული მონეტარული პოლიტიკის გატარებას, ხოლო თუ ინფლაცია სწრაფი ტემპებით იზრდება. ცენტრალური ბანკი ამკაცრებს მონეტარულ პოლიტიკას. ცენტრალური ბანკის აღნიშნული მოქმედებები კი პირდაპირ და მყისიერად აისახება ნომინალურ გაცვლით კურსზე. შესაბამისად, კურსის პროგნოზირებისას აუცილებელია განვსაზღვროთ, თუ რამდენად შეესაბამება მიზნობრივი ინფლაციის დონე და ინფლაციის რეალური ზრდის ტემპი ერთმანეთს.

ფუნდამენტალური ანალიზის დროს ასევე აუცილებელია ***საგადამხდელო ბალანსის*** ანალიზიც. საგადამხდელო ბალანსი არის ოპერაციები რომლებსაც ახორციელებენ ადგილობრივი ეკონომიკური სუბიექტები სხვა ქვეყნების ეკონომიკურ სუბიექტებთან. მოკლედ რომ ჩამოვაყალიბოთ, საგადამხდელო ბალანსი არის ქვეყნის შემოსავლებისა და გასავლების თანაფარდობა. საგადამხდელო ბალანსი გამოითვლება წლიურად და წლის ბოლოს მისი ბალანსი ნულს უნდა გაუტოლდეს. დადებითი სალდოს შემთხვევაში იზრდება სავალუტო რეზერვები, ხოლო უარყოფითი სალდოს შემთხვევაში ქვეყანა იძულებულია სხვადასხვა სახსრებით დააბალანსოს ანგარიშები [1].

საგადამხდელო ბალანსის საკვანძო მუხლებს შეადგენს სავაჭრო ბალანსი, ინვესტიციები და წმინდა ფულადი გზავნილები. ინვესტიციებიც დიდ გავლენას ახდენენ ვალუტის სიმყარეზე. უცხოური ინვესტიციების ზრდა იწვევს სავალუტო რეზერვებისა და ეროვნულ ვალუტაზე მოთხოვნის ზრდას, ვინაიდან უცხოელ ინვესტორს ქვეყანაში კაპიტალდაბანდების განსახორციელებლად ესაჭიროება ადგილობრივი ვალუტა. ყოველივე ეს კი ზრდის ეროვნულ ვალუტაზე მოთხოვნასა და სავალუტო კურსს. ექსპორტისა და წმინდა ფულადი გზავნილების შედეგად იზრდება ქვეყნის უცხოური ვალუტის რეზერვები. საგადამხდელო ბალანსის უარყოფითი სალდოს შემთხვევაში კი სახელმწიფო იძულებულია მიმართოს გარკვეულ ქმედებებს. ეს ქმედებები შეიძლება იყოს: ოფიციალური რეზერვების გამოყენება, ვალის აღება ან ფულის ემისია. სამივე ქმედება უარყოფითად აისახება ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსზე.

შესაბამისად, საგადამხდელო ბალანსის ანალიზი საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ, დღევანდელი მდგომარეობით ქვეყანა უცხოური ვალუტის სიმცირესა თუ სიჭარბეს განიცდის, როგორია ქვეყანაში შემოსული და გასული უცხოური ვალუტის თანაფარდობა. აღნიშნული ანალიზის შედეგად კი განვსაზღვრავთ სამომავლოდ გაცვლით კურსზე უფრო მეტად უარყოფითი ფაქტორები იმოქმდებენ თუ დადებითი.

ვალუტის სიმყარესა და გაცვლით კურსზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია **ეროვნული ეკონომიკასა და მისი განვითარების ტემპებს.** ეროვნული ვალუტები პირველ რიგში გამყარებულია ეროვნულ წარმოებით ანუ მშპ-თი. შესაბამისად, ეკონო-

მიკის სწრაფი ტემპებით ზრდა ან მისი რეცესია მყისიერ გავლენას ახდენს ქვეყნის ვალუტაზე. ეროვნული ეკონომიკის გავლენა შეიძლება რამდენიმე მიზეზით ავხსნათ.

პირველი დაკავშირებულია ისევ და ისევ ქვეყანაში ფულის მასასთან. პერიოდულად ქვეყანა, კერძოდ კი ცენტრალური ბანკი ახორციელებს ფულის ემისიას. ცენტრალური ბანკის მიერ ემისირებული ფულის მასა უნდა შეესაბამებოდეს და, როგორც წესი, შეესაბამება კიდეც ქვეყნის წარმოების ზრდის ტემპებს. ანუ, როდესაც ქვეყანაში მშპ იზრდება გარკვეული მოცულობით, მაგალითად, 1 მილიარდით, ცენტრალური ბანკი ახდენს შესაბამისი თანხის ემისიას, რომ არ დაირღვეს ბალანსი ქვეყანაში არსებული საქონლის ღირებულებასა და ფულის მასას შორის [2].

ფულის ბეჭდვდა ეკონომიკის მდგრადი განვითარების შემთხვევაში არ იწვევს მის გაუფასურებას, მაგრამ პრობლემები ფულის სიმყარესთან დაკავშირებით წარმოიშვება ეკონომიკის რეცესიის დროს, როდესაც ქვეყანაში მშპ არათუ იზრდება, არამედ მცირდება, რაც თავისთავად მიმოქცევაში წარმოშობს ზედმეტ ფულის მასას.

სავალუტო გაცვლით  კურსზე ყველაზე დიდ პირდაპირ გავლენას ახდენენ ქვეყნის **ცენტრალური ბანკები,** ვინაიდან ცენტრალური ბანკია ქვეყანაში მონეტარული პოლიტიკის განმახორციელებელი ერთადერთი ორგანო. ამ ბანკების ხელშია სავალუტო რეზერვები და მხოლოდ მათ შეუძლიათ ფულის ემისია ან პირიქით, ქვეყნის საფინანსო სისტემიდან ფულის მასის ამოღება, რასაც ისინი კანონით მინიჭებული სხვადასხვა ბერკეტებით ახორციელებენ.

ქვეყანაში მონეტარული პოლიტიკის გატარების უმნიშვნელოვანესი და მუდმივად გამოყენებადი ბერკეტია საპროცენტო განაკვეთების დადგენა. საპროცენტო განაკვეთი არის ეროვნული ბანკის სარგებლის განაკვეთი, რომლითაც ის გასცემს სხვადასხვა სესხებს კომერციულ ბანკებსა თუ სხვა ფინანსურ ინსტიტუტებზე. საპროცენტო განაკვეთების ზრდა იწვევს ვალუტის გამყარებას, ვინაიდან ინვესტორები ყიდულობენ იმ ვალუტას, რომელზეც მაღალი საპროცენტო განაკვეთია. ასეთი ვალუტის მასა ბაზარზე მცირდება, მასზე საპროცენტო სარგებელი გაზრდილია და ამავდროულად მეტადაა დაცული ინფლაციისგან.

ეროვნულ ბანკს აქვს სავალუტო რეზერვები და მასვე აქვს ვალუ-

ტის ემისიის ექსკლუზიური უფლება. ხშირად ამ უფლებებს ეროვნული ბანკი იყენებს ინფლაციის დონის ასამაღლებლად და ეროვნული ეკონომიკის სტიმულირებისთვის.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ცენტრალური ბანკების მოქმედებების ანალიზი აუცილებელია გაცვლითი კურსის სრულფასოვანი პროგნოზირებისთვის. აუცილებელია დადგინდეს, თუ რა სახის მონეტარულ პოლიტიკას ატარებს ცენრალური ბანკი და როგორია მისი სამომავლო მოლოდინები ინფლაციის დონესა და ეკონომიკურ სიტუაციასთან დაკავშირებით. თუ ცენტრალური ბანკი თავის მოხსენებებში მიანიშნებს, რომ გეგმავს მკაცრი მონეტარული პოლიტიკის გატარებას, ეს პირდაპირი სიგნალია სამომავლოდ გაცვლითი კურსის გამყარებისა.

სავალუტო გაცვლით კურსზე მოქმედ მნიშვნელოვან ფაქტორებს მიეკუთვნება **მთავრობის ფისკალური პოლიტიკაც.** ის ახდენს ირიბ, თუმცაღა ძლიერ გავლენას ეროვნული ვალუტების გაცვლით კურსზე. მთავრობის მიერ განხორციელებული ფისკალური პოლიტიკა განსაზღვრავს ბიუჯეტისა და სახელმწიფო ვალის მოცულობას. ფისკალური პოლიტიკა ასევე დიდ გავლენას ახდენს ინფლაციის დონეზე, ეკონომიკის ზრდის ტემპსა და, შესაბამისად, ინვესტორების განწყობაზე, ვინაიდან განსაზღვრავს ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკას. ჩვენს მიერ ჩამოთვლილი თითოეული მოვლენა კი გავლენას ახდენს ეროვნულ ვალუტაზეც.

მთავრობის ფისკალური პოლიტიკის ანალიზით შესაძლებელია განისაზღვროს, თუ რამდენადაა სახელმწიფო ხარჯები ორიენტირებული ეკონომიკურ ზრდაზე და არის თუ არა მოლოდინი, რომ კონკრეტულმა ფისკალურმა პოლიტიკამ გამოიწვიოს მიმოქცევაში არსებული ფულის მასისა და ინფლაციის დონი გაზრდა. აღნიშნული ფაქტორები კი სამომავლოდ უარყოფითად აისახება სავალუტო გაცვლით კურსზე.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. კაკულია რ.; ბახტაძე ლ.; საერთაშორისო სავალუტო, საფინანსო და საკრედიტო ურთიერთობები. თბ. 2007.
2. Joseph French Jonson; Money and currency in relation to industry prices and the rate of Interest. Printed in 2006.
3. Robert James Bass; Inflation and the theory of money. Printed in 2009.

4. www.en.wikipedia.org
5. https://www.federalreserve.gov/monetarypolicy/policytools.htm
6. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=533marketswatch.com

♦♦♦

# ინვესტიციები და ინოვაციური ზრდის პერსპექტივები
# Investments and Perspectives of innovative growth

*ავტორ(ებ)ი -* ***მაკა კაკაბაძე, შმაგი მაჩიტიძე,*** *ხელმძღვანელი - ასოც. პროფ.* ***მეგი გორგასლიძე,*** *აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*Author(s) -* ***Maka Kakabadze, Shmagi Machitidze****, Supervizor – Assoc. Prof.* ***Megi Gorgaslidze,*** *Akaki Tsereteli State University*

***Abstract***

*Investments can be promotions, bonds, bilateral funds, interest rates, land, derivatives, real estate, works, jewelry - investor believes that income generation (usually the interest rate or lease) is more or more equipment directly to individuals, businesses and countries Productively. Increased productive effectiveness promotes the growth of life - the goals of economic growth. The expectation of an investment is expected to expect in the future to come back. You put it in a car that will use more money. And that's why investing is important: investment makes wealth. there are analysis about investments in Georgia.*
*Key words: Foreign Direct Investments, Consumer Investments, Financial Investments, Investments in Business, Innovation, New Technologies, Scientific-Intellectual Potential.*

სიტყვა ინვესტიცია ლათინური წარმოშობისაა (investire - შემოსვა) და ნიშნავს კაპიტალის ხანგრძლივ დაბანდებას ეკონომიკის სხვადასხვა დარგის საწარმოებში.ამასთან არსებობს ინვესტიციების მრავალი განმარტება, კერძოდ, უილიამ შარპისა და მისი თანაავტორების აზრით, ინვესტიცია ეს არის „ ფულთან განშორება დღეს, ხვალ უფრო მეტის მიღების მიზნით".ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნება - „ინვესტიციები" სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება: სამომხმარებ-

ლო ინვესტიციები; ინვესტიციები ბიზნესში (ეკონომიკური ინვესტიციები); ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში (საფინანსო ინვესტიციები).

სამომხმარებლო ინვესტიციები - მკაცრად რომ ვთქვათ, პირდაპირი მნიშვნელობით არ წარმოადგენს ინვესტიციებს. იგი ნიშნავს ხანგრძლივი მოხმარების საქონლის ან უძრავი ქონების შეძენას. ასეთი გაგება აღმოცენდა თვით მომხმარებლებს შორის. ფინანსური თვალსაზრისით ამ შემთხვევაში არ არსებობს შემოსავალი დაბანდებულ კაპიტალზე და ბუნებრივია არც ეს უკანასკნელი იზრდება. დაბანდებული სახსრები (ხანგრძლივი მოხმარების საქონელი ან უძრავი ქონება) თავისი არსით წარმოადგენს ფულად დანაზოგებს და არა მათ ინვესტირებას.

ინვესტიციები ბიზნესში თავის უმთავრეს მიზნად ისახავს მოგების მიღებას, რისთვისაც ხდება საწარმოო აქტივების შეძენა და გამოყენება. მაშასადამე, ინვესტიციების ასეთი ფორმის დროს იქმნება რეალური საწარმოო სამძლავრები. ეკონომიკური ინვესტირება ნიშნავს საწარმოო პროცესების ორგანიზებას მოგების მიღების მიზნით, ე.ი. ამ დროს ხდება წარმოების ფაქტორების (ძირითადი და საბრუნავი კაპიტალი და სამუშაო ძალა) შეძენა და სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება.

საფინანსო ინვესტიციები ნიშნავს აქტივების შეძენას ფასიანი ქაღალდების სახით მოგების მიღების მიზნით, ამ სახის ინვესტიციებისათვის „ნორმალური" რისკის პირობებში. ეკონომიკური ინვესტიციებისაგან განსხვავებით საფინანსო ინვესტიციები არ საჭიროებს ახალი საწარმოო სიმძლავრეების შექმნას და მათი გამოყენების კონტროლს. ამიტომ, საფინანსო ინვესტორი უშუალოდ არ მონაწილეობს მართვის პროცესში და წინასწარ ეგუება რეალური აქტივების სხვისგან მართვას. როგორც წესი, იგი უბრალოდ ყიდულობს უკვე არსებულ ფასიან ქაღალდებს. საფინანსო ინვესტირების პროცესი ნიშნავს უბრალოდსაკუთრების უფლების გადაცემას: ინვესტორი გადასცემს ფულზე თავის საკუთრების უფლებას (აძლევს ფულს) და ამის სანაცვლოდ ღებულობს უფლებას მომავალ შემოსავალზე (იძენს ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლებას).

ინვესტიციების მიზანია მომავალი შემოსავალი. ამიტომ ინვესტორი დაინტერესებულია იმით, რომ ის იყოს სტაბილური და საკმა-

ოდ მაღალი. სპეკულაციის მიზანი არ არის აქციიდან მიღებული მაღალი შემოსავალი. იგი, პირველ ყოვლისა, დაინტერესებულია ფასიანი ქაღალდის საბაზრო ფასის ცვლილებით. მისთვის მამოძრავებელი მოტივია: იყიდოს იაფად, გაყიდოს ძვირად, ე.ი. მიიღოს ფასთა შორის სხვაობა მოგების სახით. ინვესტიციები შიდა ეროვნული პროდუქტის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. მათზე მოდის განვითარებული ქვეყნების ხარჯებისერთობლიობის დაახლოებით 20%. რაც ნაკლებია, ვიდრე სამომხმარებლო ხარჯების წილზე, რომელზედაც განვითარებულ ქვეყნებში შიდა ეროვნული პროდუქტის დაახლოებით ნახევარი მოდის.

საქართველოში 2016 წელს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში ყველაზე მეტი ინვესტიცია ჩაიდო. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის  მონაცემებით, სექტორში 671 მლნ დოლარი დაბანდდა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 43 %-ია.ინვესტიციების მოცულობით მეორე ადგილზეა მშენებლობა 129 მლნ. აშშ დოლარით, მესამეზე - საფინანსო სექტორი 129 მილიონი დოლარით,მეოთხეზე – დამამუშავებელი მრეწველობა 124 მლნ დოლარით და მეხუთეზე ენერგეტიკის სექტორი- 117 მილიონი დოლარით.



საქსტატის ინფორმაციით, 2016 წელს უცხოური ინვესტიციების ზრდა დაფიქსირდა. საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2016 წელს 1.565 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც აღემატება 2015 წლის დაზუსტებულ მონაცემებს.




მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის წევრების მიერ არაერთხელ გაესვა ხაზი საქართველოს სხვადასხვა საერთაშორისო რეიტინგებში დაწინაურებას და ქვეყნის მთავარ სტრატეგიულ დოკუმენტებში ინვესტიციების მოზიდვა ერთ-ერთ პრიორიტეტად არის დასახელებული, სტატისტიკა მოწმობს, რომ ინვესტიციები ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2016 წლის პირველ ნახევარში 2015 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 11%-ით მოიმატა, რაც ძირითადად პირველი კვარტლის ხარჯზე მოხდა. მეორე კვარტალში ინვესტიციების მოცულობა 3.8%-ით არის შემცირებული. ამავე მონაცემებზე დაყრდნობით გაანგარიშებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საშუალოწლიური ზრდის ტემპი 2006-2015 წლებში 2.77%-ია, რაც დამაიმედებელი მაჩვენებელი ნამდვილად არ არის.

*პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (2006-2015 წწ.)*

მნიშვნელოვანია გავარკვიოთ თუ რა კრიტერიუმებით იღებენ გადაწყვეტილებებს ინვესტორები და რა ინდიკატორებს აკვირდებიან

საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებამდე.

პირველ რიგში ინვესტორები ეძებენ ისეთ ქვეყნებს ისეთ პოტენციურ ბაზრებს, სადაც არის პოლიტიკური სტაბილურობა, სტაბილური კანონმდებლობაც, სადაც კანონები არ იცვლება ყოველდღიურად, ქვეყნები სადაც ადვილია ოპერირება, დაბალია კორუფციის დონე, გარემო არის ბიზნესისთვის მეგობრული, შიდა ბაზარი არის დიდი, სადაც ექსპორტის შესაძლებლობებია და მაღალია უკუგება ინვესტიციიდან.

საქართველო კარგ პოზიციებს ინარჩუნებს მსოფლიო რეიტინგებში, თუმცა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდაზე ეს ფაქტორი ასახვას ვერ პოვებს, რაც გვაფიქრებინებს იმაზე, რომ სხვა ფაქტორები უფრო მეტად მნიშვნელოვანია გადაწყვეტილებების პროცესში.საერთაშრისო რეტინგების ინდექსები და მათი გამოთვლის მეთოდოლოგია ხშირად იცვლება, ამიტომაც ინვესტორები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ასეთ რეიტინგებს. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ შესაძლოა მთლიანი ინდექსის მიხედვით ქვეყანა დაწინაურდეს რეიტინგში, თუმცა ჩაშლილი კომპონენტების მიხედვით ზოგიერთ პუნქტში დაფიქსირდეს მნიშვნელოვანი გაუარესება.

მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების რეიტინგში 2017 წლისათვის საქართველო 190 ქვეყანას შორის მე-16-ე ადგილს იკავებს. ინვესტორები თვლიან, რომ მთავრობა უნდა დაეხმაროს ბიზნესებს მაქსიმალურად მიუახლოვდნენ არსებულ რეგულაციებს.უნდა გამოვყოთ უცხოელ ინვესტორთა მონაწილების საკითხი საქართველოს ეკონომიკაში. თუკი გავაანალიზებთ საზღვარგარეთული ინვესტიციების დარგობრივ მიმართულებების დინამიკას, იკვეთება შემდეგი თანამიმდევრობა. მსხვილ ინვესტიციებს პირველ რიგში, ადგილი ჰქონდა ნავთობ და გაზსადენების მშენებლობასა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობაში (უთუოდ სახელმწიფოთაშორისი გეოპოლიტიკური ინტერესების გამო), მოგვიანებით გამოიკვეთა ინვესტიციები საბანკოსაფინანსო სექტორში, ენერგეტიკაში და ენერგოდისტრიბიუციაში,. ამჟამად სახეზეა მსხვილი ინვესტიციები მშენებლობაში, სასტუმრო სერვისში და საკურორტო ინფრასტრუქტურაში. ჯერჯერობით ინვესტორთა (როგორც უცხოელ, ისე სამამულო ინვესტორთა) დაინტერესება მრეწველობით მხოლოდ ეპიზოდურ ხასიათს ატარებს და შემოიფარგლება ძირითადად ენერგეტიკით და მომპოვებელი

მრეწველობით. მსხვილი (მით უმეტეს წარმატებული) საინვესტიციო პროექტების ჩამონათვალში ვერ ვიპოვით დაბანდებებს მანქანათმშენებლობაში და მრეწველობის სხვა მაღალტექნოლოგიურ და მეცნიერებატევად დარგებში. ამ სიტუაციის მიზეზთა გასარკვევად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ დარგების პროდუქცია გამოირჩევა რთული და სტრუქტურირებული სასაქონლო ასორტიმენტით, რომლის რეალიზაცია შეუძლებელია შემოფარგლოს მხოლოდ საქართველოს შიდა ბაზრებით და აუცილებლად ორიენტირებული უნდა იყოს უცხოეთზე. გარდა ამისა ამ დარგთა განვითარება საჭიროებს შრომისმოყვარე და კვალიფიცირებულ მუშახელს, ადგილზე საინჟინრო მეცნიერების განვითარების რაღაც მინიმალურ დონეს, ბიზნეს გარემოს სტაბილურობის მეტ გარანტიებს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანას აქვს რეალური პოტენციალი მოიზიდოს უცხოური ინვესტიციები, და ამ გზით ხელი შეუწყოს ეროვნული ვალუტის სტაბილურობას და უზრუნველყოს ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები. ქვეყანა პოლიტიკურად სტაბილურია, არ შეინიშნება კორუფცია, გაფორმებულია ასოცირების ხელშეკრულება ევროკავშირთან, რომლის ფარგლებშიც ევროკავშირის ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმით ხდება ვაჭრობა, თავისუფალი ვაჭრობის შეხასებ შეთანხმებას მთავრობამ მიაღწია ჩინეთთანაც, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ინვესტიციების მოსაზიდად მხოლოდ ეს მაჩვენებლები არ არის საკმარისი. ინვესტორებს ჭირდებათ მყარი გარანტიები, რომ მოახდინონ გრძელვადიანი ინვესტირება ქვეყანაში და ეს გარანტიები თავის მხრივ მოიცავს, საკანონმდებლო და სასამართლო სისტემის მოწესრიგებას, სახელმწიფო რეგულაციების შერბილებას, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, საექსპორტო პოტენციალის ზრდას, სამუშაო ძალის ხარისხის გაუმჯობესებას, და ფინანსური ბაზრების განვითარებას. ამ მიმართულებით განხორციელებული ცვლილებები კი თავისთავად, სახელმწიფოს ვალდებულებაა.

დასახული ეკონომიკური მიზნების მისაღწევად და ქვეყანაში საინვესტიციო კლიმატის გასაუმჯობესებლად ხელისუფლებამ უნდა შექმნას არამარტო ბიზნესის კეთებისთვის საჭირო ფუნდამენტური პირობები,არამედ ისეთი გარემო, რომელიც ბიზნესის განვითარებას უწყობს ხელს.ბიზნეს გარემოს გასაუმჯობესებლად მთავრობამ უნდა

უზრუნველყოს მაკროეკონომიკური სტაბილურობა, ხელი შეუწყოს კერძო სექტორის პროდუქტიულობის გაზრდას, იზრუნოს, რომ რეგულაციები იყოს მაქსიმალურად ნათელი და ცხადი, შექმნას ბიზნესდავების გადაჭრის ეფექტური მექანიზმები და ხელი შეუწყოს ფინანსურ რესურსზე ხელმისაწვდომობის ზრდას. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ეკონომიკის ზრდა დაფუძნებული იყოს მეცნიერულტექნიკურ ბაზაზე. შეხედულება, რომ ქვეყანაში ჩამოყალიბებული სიტუაცია შესაძლოა მხოლოდ ინვესტიციების მოზიდვით შეიცვალოს არ არის სწორი. დღეს აუცილებელია მოთხოვნილებების ჩამოყალიბება კერძო ინვესტორის მიმართ ინოვაციური განვითარების შესახებ.კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ინოვაციების წახალიებასა და გამოყენებას ეროვნულ ეკონომიკაში. სახელმწიფოსათვის ინოვაციური განვითარების გზა უნდა იყოს პრიორიტეტული. საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანია, რომ წარმოების განვითარება ინოვაციურ ხასიათს ატარებდეს, რომლის შინაარსიც წარმოების ინტენსიფიკაციასთან, ახალი ტექნიკის და ტექნოლოგიების გამოყენებასთან არის დაკავშირებული. ინოვაციური პოტენციალის განვითარება ითვალისწინებს მართვის სისტემის მოდერნიზებას მისი ხარისხობრივად ახალ, მეტად პროგრესულ განვითარების დონეზე გადაყვანას ახალი ტექნოლოგიური პროცესების, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების, მეცნიერული მიღწევების ახალი შედეგების და ახალი მართვის ორგანიზაციული სქემების გამოყენების გზით. საქართველოს წონა მეცნიერული კვლევების სფეროში უპრეცენდენტოდ დაბალია. ქართულ კომპანიებს, რომლებიც რთულ ფინანსურ მდგომარეობაში იმყოფებიან, ჯერ-ჯერობით არ ძალუძთ წარმოებაში სიახლეების დანერგვა. მხოლოდ საწარმოთა მშენებლობა-აღდგენის საქმეში პასიური ინვესტიციების განხორციელება კი წარმოების პროცესის წარმატებულ ფუნქციონირების საშუალებას ვერ იძლევა. ეს პროცესები ვითარდება მაშინ, როდესაც მთელი მსოფლიო მაღალტექნოლოგიური წარმოებით არის დაკავებული.

ქვეყნებს, რომლებიც სხვებთან შედარებით ტექნოლოგიურად ნაკლებ განვითარებულია, სუსტი საპატენტო დაცვა აქვს. ეს ქვეყნები ახალი ტექნოლოგიების მომხმარებლები უფრო არიან, ვიდრე მწარმოებლები. მათი მწარმოებლურობის დონის გაუმჯობესება ძირითადად განპირობებულია არა ქვეყნის შიდა ახალი ტექნოლოგიების გა-

მოყენებით, არამედ უცხოური ტექნოლოგიების ათვისებით. ამ შემთხვევაში, სუსტი საპატენტო დაცვის უარყოფითი მხარე ნაკლებია, რადგან განვითარებად ქვეყნებში შიდა გამოგონებები მცირეა, მაგრამ დაბალი საპატენტო დაცვის სარგებელი აშკარაა: სამამულო ფირმებს ურჩევნიათ უცხოური ფირმებისთვის სალიცენზიო გადასახადების გარეშე გამოიყენონ და აითვისონ უცხოური ტექნოლოგიები, ვიდრე თავად განავითარონ ტექნოლოგია, რომელიც ასე კარგია ქვეყნისთვის.ჩვენი ქვეყნის შემთხვევაში, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის გავლენა ეკონომიკის ზრდაზე კვლავ ძალიან მაღალი შეიძლება იყოს. ინოვაციური ეკონომიკის წასახალისებლად კი, მხოლოდ სააგენტოს შექმნა საკმარისი არ არის.ეკონომისტთა უმრავლესობის აზრით, ტექნოლოგიურად ჩამორჩენილი ქვეყნების მთავარი პრობლემა მათი ცუდი ინსტიტუციური მოწყობაა. მთავარი – საკუთრების უფლების დაცვაა. ძალზე ცოტა თუ მოინდომებს შექმნას ფირმები, შემოიტანის ახალი ტექნოლოგია და განახორციელოს ინვესტირება იმ პირობებში, როცა მოსალოდნელია, რომ ან მთლიანად სახელმწიფოს მიერ იქნება მითვისებული ან კორუმპირებულის მოსყიდვა დასჭირდება ან ეკონომიკის სხვა სუბიექტები მოპარავენ.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. https://ka.wikipedia.org
2. ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა“
3. http://www.nplg.gov.ge
4. geostat.ge

# სტატისტიკის როლი საბაზრო ეკონომიკის პირობებში
# The role of statistics in the market economy

*ავტორ(ებ)ი - **მარიამი ლანჩავა, მარიამი ფანჩულიძე,** ხელმძღვანელი - ასოც. პროფ. **ნაირა ვირსალაძე,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნი-ვერსიტეტი*

*Author(s) – **Mariami Lanchava, Mariami Panchulidze,** Supervizor – Assoc. Prof. **Naira Virsaladze,** Akaki Tsereteli State University*

### *Abstract*

*Introduction and aim: Statistics, as the science of mass events and processes, provide the scientifically proven, accurate information for legislative, executive, economic institutions and the general public for socio-economic management of the country. In our country statistics are not evaluated appropriately. It does not benefit from the popularity and prestige. In Georgian society, the role, importance and possibilities of statistics are still weak in the state development. Based on its principles, statistics must be independent in the collection and processing of information, it should be characterized by the country's macroeconomic situation, it should become the opponent of the Ministry of Economic Development, to monitor its decisions and evaluate the efficiency of his policy. The article deals with the role and objectives of statistics and the main principles that should be based on the National Statistics Office in the process of producing and disseminating the official statistics.*

*Research methodology: As the statistics is reviewing events and processes in society with permanent variability and development, in a specific time and space, the article uses dialectical, statistical observation, economic-statistical analysis and etc. methods.*

*Results and implications: Official statistical information in Georgia is less reliable, well-groomed, tendentious and biased. The statistics office is still largely under the influence of state institutions, it is serving the interests of the ruling party and under political pressure.*

*Conclusion: Thus, if the fundamental principles adopted by law on statistics in Georgia will not remain on the paper and will become the most important guideline in the practice of Geostat, the National Statistics Office will be able to gain. At the same time it is important to change state dependence on statistics and financial support for it. The country with strong statistical service can be democratic and authoritative. But the country can not be democratic if it does not have a strong statistical service. N a trust mandate in society. At the same time it is important to change state dependence on statistics and financial support for it. The country with strong statistical service can be democratic and authoritative. But the country can not be democratic if it does not have a strong statistical service.*

*Key Words: Statistics, development, macroeconomic situation, democratic.*

სტატისტიკა, როგორც მასობრივი საზოგადოებრივი მოვლენებისა და პროცესების შემსწავლელი მეცნიერება და სოციალური შემეცნების მძლავრი იარაღი, მოწოდებულია ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკური მართვისათვის, მეცნიერულად დასაბუთებული, უტყუარი ინფორმაციით უზრუნველყოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სამეურნეო ინსტიტუტები და ფართო საზოგადოება.

ნებისმიერ ქვეყანაში სტატისტიკის სრულყოფილ ფუნქციონირებას განაპირობებს მისი რაციონალური ორგანიზაცია, სახელმწიფოს მიერ სტატისტიკის შესახებ მიღებული კანონით ხელმძღვანელობა. საქართველოში სტატისტიკის წარმოებასა და სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელებას ახდენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი).

საქსტატის საქმიანობა ეფუძნება ოფიციალური სტატისტიკის შემდეგ ძირითად პრინციპებს:

1.**პროფესიული დამოუკიდებლობა** – სტატისტიკის წარმოება და მისი წარმოების შედეგად მიღებული ინფორმაციის გავრცელენა უნდა განხორციელდეს პოლიტიკური ან/და დაინტერესებული ჯგუფების გავლენისგან დამოუკიდებლად;

2.**ობიექტურობა** – დაცული უნდა იქნეს სისტემურობა, საიმედობა და მიუკერძოებლობა;

3.**სანდოობა –** სტატისტიკის წარმოება უნდა განხორციელდეს სწორად, ზუსტად და თანმიმდევრულად, რაც გულისხმობს სტატისტიკური სტანდარტების, მეთოდოლოგიისა და რესურსების შესარჩევად სამეცნიერო კრიტერიუმების გამოყენებას;

4.**სტატისტიკური მონაცემების კონფიდენციალურობა** – დაცული უნდა იქნეს დაკვირვების ერთეულთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაცია. აკრძალულია ამ ინფორმაციის არასტატისტიკური მიზნით გამოყენება ან მისი უკანონოდ გავრცელება.

5.**ეფექტიანობა** – სტატისტიკის წარმოებისათვის საჭირო დანახარჯები უნდა იყოს შედეგის მნიშვნელობის და მიღებული სარგებლის პროპორციული.

აღნიშნული პრინციპებიდან გამომდინარე, ოფიციალურ სტატისტიკას უმნიშვნელოვანესი როლი და ფუნქცია აკისრია საზოგადოებაში მიმდინარე სოციალურ–ეკონომიკური პროცების შეფასების, ეკონომიკაში არსებული ვიწრო ადგილების გამოვლენისა და მათი

დაძლევის საქმეში. იგი იმანენტურადაა(1) მოწოდებული იყოს ობიექ-ტური და თავად შეაფასოს ამა თუ იმ მოვლენის პროგრესულობა და ეფექტურობა სოციალურ–ეკონომიკური რეფორმის შედეგებში. შესა-ბამისად, სამოქალაქო საზოგადოებაში სტატისტიკა ფაქტობრივად სოციალური მენტორის(2) როლს ასრულებს და სიმართლის ვერდიქ-ტი(3) გამოაქვს.

გაგვიჩნდება კითხვა, როგორ ახერხებს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ნდობის მანდატის მოპოვებას საზოგადოებაზე ?

არსებობს კანონი სტატისტიკის შესახებ, რომლის საშუალებითაც სტატისტიკა ნდობას ნერგავს საზოგადოებაში და აწესრიგებს სტა-ტისტიკური საქმიანობის სწორად ფუნქციონირებას. საქართველოს პარლამენტმა ეს კანონი ჯერ კიდევ 1997 წელს მიიღო , თუმცა მასში რიგი ცვლილებები შევიდა 2015 წელს. ამ კანონის მიზანია შექმნას სა-მართლებრივი ბაზა თანამიმდევრული ორგანიზაციული, სამეცნიე-რო და პრაქტიკული ღონისძიებების განსახორციელებლად, რომლე-ბიც უზრუნველყოფენ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარე-ბის, მასობრივი საზოგადოებრივ-ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების მახასიათებელ სტატისტიკურ მაჩვენებელთა მოპოვებას, დამუშავებას, ანალიზსა და სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინ-სტიტუტების და მოსახლეობის ინფორმირებას. ეს კანონი განსაზ-ღვრავს სახელმწიფო, უწყებრივი და არასახელმწიფო სტატისტიკის ორგანიზაციულ პრინციპებსა და საქმიანობის მეთოდებს, აგრეთვე სტატისტიკური საქმიანობით დაკავებულ დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან ურთიერთობებში იურიდიულ და ფიზიკურ პირ-თა უფლება-მოვალეობებს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სტატისტიკა ამდიდრებს ეკონომიკურ თეორიას კონკრეტული ეკონომიკური ინფორმაციით და ამ ინფორმა-ციის საფუძველძე გაკეთებული დასკვენით. ასეთი ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება იძლევა ეკონომიკური თეორიისა და სტატისტიკის განვითარების შესაძლებლობას. მეტიც, თანამედროვე ეტაპზე სტატისტიკური მეცნიერება წარმოადგენს სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე სოციალურ–პოლიტიკური მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივი მხარის შემსწავლელ ურთიერთ დამაკავ-შირებელ დისციპლინების კომპლექსს. ეს კომპლექსი მოიცავს:

1.**მათემატიკურ სტატისტიკას**. ის შეისწავლის სხვადასხვა მოვ-

ლენებისა და პროცესების ანალიზსა და პროგნოზირების მათემატი-კურ–სტატისტიკურ მეთოდებს. ეს მეთოდი ფართოდ გამოიყენება ყოველი ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკური სიტუაციის დასახასია-თებლად.

2.**სტატისტიკის ზოგად თეორიას**.მისი კვლევის საგანია შესასავ-ლი მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივი მხარის ამსახველი ინფორმაციის მოპოვების, კონტროლის, დამუშავებისა და ანალიზის მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდოლოგიის შემუშავება.

3.**სოციალურ–ეკონომიკურ სტატისტიკას (მაკროეკონომიკური სტატისტიკა).** ის იკვლევს ეკონომიკური საქმიანობის წინამძღვრების, მსვლელობისა და შედეგების ამსახველ სოციალურ–ეკონომიკური მოვლენების რაოდენობრივ მხარეს.

4.**დარგობრივ სტატისტიკებს**. თითოეული მათგანი შეისწავლის ეკონომიკის სხვადასხვა დარგში მიმდინარე მოვლენებისა და პროცე-სების რაოდენობრივ მხარეს. განასხვავებენ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობისა და სხვა დარგების სტატისტიკებს. დარ-გობრივი სტატისტიკა იყენებს მათემატიკური სტატისტიკის, სტატის-ტიკის ზოგადი თეორიისა და მაკროეკონომიკური სტატისტიკის მიერ შემუშავებულ ერთიან მეთოდოლოგიურ პრინციპებს. ამავდროულად დარგობირივი მაჩვენებელთა სისტემა აიგება შესასწავლი დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.

5. **ეროვნულ ანგარიშთა სისტემა (ეას),** რომელიც ასახავს ეკონო-მიკური საქმიანობის წინამძღვრებს, მსვლელობასა და შედეგებს, სტა-ტისტიკური ცხრილების ფორმით წარმოდგენილ, ურთიერთდაკავში-რებულ განზოგადებულ ეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემის მეშვე-ობით.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკა მჭიდროდაა დაკავშირებული რიგ მეცნიერულ დისციპლინასთან. პირველ რიგში, აღსანიშნავია მისი კავშირი თანამედროვე ეკონომი-კურ თეორიასთან, რომელიც შეიუმუშავებს განმარტებებს და მნიშ-ვნელოვანი ეკონომიკური კატეგორიებისა და მაჩვენებლის გაანგარი-შების მეთოდოლოგიას, შეისწავლის სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკუ-რი განვითარების ტენდეციებსა და კანონზომიერებებს. ასეთი ურთი-ერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება იძლევა ეკონომიკური თეორიისა და სტატისტიკის განვითარების შესაძლებლობას. აღსანიშ-

ნავია, საერთაშორისო–ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკის კავშირი პროგრამებსა და ელექტრონული ტექნიკის გამოყენებასთან. ეს კავშირი აისახება შემდეგი ძირითადი გარემეობებით:

1.საერთაშორისო–ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკას საქმე აქვს დიდი მოცულობის ინფორმაციასთან, რომლის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი შეუძლებელია ელექტრონული ტექნიკის გამოყენების გარეშე;

2.გაეროს, საერთაშორისო ორგანიზაციების, ქვეყნის გაერთიანებებისა და ცალკეული ქვეყნების სტატისტიკური ორგანოების გამაერთიანებელი ეკონომიკური ინფორმაციის დროულად მიღება და დამუშავება შეუძლებელია მსოფლიო ელექტრონული ქსელის შექმნის გარეშე;

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკის ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სტატისტიკური მონაცემების უტყუარობის უზრუნველყოფა. სტატისტიკური ინფორმაციის არაუტყუარობა აიხსნება იმით, რომ გამოიყენება ინფორმაციის არასრულყოფილი წყაროები და მაჩვენებელთა გაანგარიშების ხერხები. სტატისტიკური მონაცემების უტყუარობის უზრუნველსაყოფად საჭიროა:

1. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ერთი მაჩვენებლების სხვა მაჩვენებლებთან ურთიერკავშირების გამოყენება;

2. ერთი და იმავე მაჩვენებლების მრავალვარიანტული გაანგარიშების გამოყენება.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკის ზემოთ ჩამოთვლილი ამოცანები არ არის ამომწურავი და მუდმივი. საზოგადოების განვითრების სხვადასხვა ეტაპზე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკის წინაშე თანდათან წარმოიშვება ახალი კონკრეტული ამოცანები.

ჩვენ საკმაოდ კარგად დავინახეთ, თუ რაოდენ დიდია სტატიკის როლი, ზოგადად, საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებსა და პროცესებში და ამავდროულად საბაზრო ეკონომიკაში. ვფიქრობთ, სწორი, საიმედო, რეალობის ამსახველი სტატისტიკური მონაცემები წინაპირობა და გარანტიაა ქვეყნის ეკონომიკური სურათის ჭეშმარიტად აღსაქმელად.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. არჩვაძე ი. ოფიციალურ სტატისტიკის საზოგადოებრივი როლისა და ფუნქციების გაძლიერების ზოგიერთი მიმართულების შესახებ. საერთაშორისო კონფერენცია,,გლობალიზაცია და სტატისტიკა", შრომების კრებული, თბ. 2014, გვ. 43.
2. არჩვაძე ი.როგორ ხალხს იმსახურებს ხელისუფლება?ტენდენციური სტატისტიკა, თუ იმედში დეპონირებული კეთილდღეობა, თბ, 2014, გვ. 252.
3. გაბიძაშვილი ბ. სტატისტიკის თეორია,თბ. 2005
4. ბაკურაძე ა. ვირსალაზე ნ. სტატისტიკის თეორია, ქუთაისი, 2014.
5. საქართველოს კანონი ოფიციალური სტატისტიკის შესახებ. http://www.geostat.ge/cms/site_images/saqstatis_kanoni.pdf

♦♦♦

# *მევახშეობა XXI საუკუნის საქართველოში*
# *Usury 21 st century in Georgia*

*ავტორ(ებ)ი - **მარიკა სანიკიძე, მამია სარალიძე,** ხელმძღვანელი- პროფ. **ნანა შონია,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*Authors – **Marika Sanikidze, Mamia Saralidze,** Supervizor – Prof. **Nana Shonia,** Akaki Tsereteli State University*

***Abstract***

*Usury is, as defined today, the practice of making unethical or immoral monetary loans that unfairly enrich the lender. Originally, usury meant interest of any kind.*

*A loan may be considered usurious because of excessive or abusive interest rates or other factors. Historically in Christian societies, and in many Islamic societies today, charging any interest at all would be considered usury. Someone who practices usury can be called a usurer. Usury means the practice of lending money at excessively high rate*

*Market economy can not function without credit relations and the main source of income of commercial banks is credit, we can not oblige the banks to stop making profit at the expense of `spirit salvation'. But they have to free the debtors from usurious characteristics and the state should make its own contribution in this direction. Credit should not be burdened by insurance premium in the country where there is no middle layer. The society has a great wish to make use of insurance*

*products but the level of income excludes the possibility to make one.*

*Key words:* Bank rate, Online credit, *Economic*, finance, National bank, Usury .

მევახშეობა ანუ საპროცენტო გასესხება გასული საუკუნეებიდან იღებს სათავეს, თუმცა ძველი ჩვეულება თანამედროვე ბიზნეს-საქმიანობაშიც აქტიურად გამოიყენება და მრავალ საუკუნეს ითვლის. იგი დროთა განმავლობაში განიხილებოდა, როგორც სარგებლის უშრომელად მიღება. აღსანიშნავია, რომ მევახშეობა მთელ ქრისტიანულ სამყაროში "ცოდვილ" საქმიანობად მიიჩნეოდა. სესხთან დაკავშირებით მაცხოვარი იესო ქრისტე ბრძანებს: **"გიყვარდეთ თქვენი მტრები, კეთილი უყავით და სესხი მიეცით მათ, ისე, რომ არაფერს მოელოდეთ სანაცვლოდ" (ლუკა 6. 35).**

**საიდან წარმოიშვა მევახშეობა?**

მევახშეობას, როგორც საკრედიტო საქმიანობის უძველეს ფორმას, უდიდესი ისტორია გააჩნია და რამდენიმეათეულ საუკუნეს ითვლის. ის დროთა განმავლობაში სხვადასხვაგვარად განისაზღვრებოდა. ფეოდალურ საქართველოში მევახშეობის გარკვეული ტიპები არსებობდა, თუმცა პირველი შედარებით გამოკვეთილი სახე გიორგი ბრწყინვალეს პერიოდში მიიღო. ხოლო ვახტანგVI დროს კი განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა. სულხან-საბა ორბელიანი თავის ლექსიკონში განასხვავებს „ვახშს", რომელიც ვალის სარგებლის უწესო სარგებელს ნიშნავს, ვასხისგან, რომელიც წესიერი ვალის სარგებელიაო. უწესო ვალი გაჭირვებული ადამიანისგან საპროცენტო სარგებლის აღებას ნიშნავს. XV-XVI საუკუნეებში სესხით სარგებლობას შემდეგი მიზეზები განაპირობებდა: მოსახლეობის დიდი ნაწილი გაჭირვებული იყო, ვალი კი თვითგადარჩენის ერთადერთი საშუალება გახლდათ, ფეოდალური დაბეგვრის სისტემის სიმძიმის გამო, გლეხს, ან სხვა პირს რომელიც იღებდა სავახშო ვალდებულებას, სხვა გზა არ გააჩნდა გადასახადების დასაფარად.

ვახტანგ VI საკანომდებლო რეგულაციებით სცადა მევახშეობის ჩარჩოებში მოქცევა, უამრავი კანონიდან და წერილიდან შეიძლება გამოვყოთ რამოდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი. პირველ რიგში ქვეყნის რელიგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, მოხდა მევახშეობის რელიგიასთან დაკავშირება, იგი წერს:**„თეთრი რომ გასცეს კაცმან, თუ ძალა ქნა და სული სძულს, თუმანი თვეში ხუთ შაურად; თუ სუ-**

**ლი ცოტა უყვარს აბაზად; თუ უკეთ უყვარს სამ შაურად; და თუ მართლა უყვარს ორ შაურად. სულისთვის უკეთესი ეს არის რომ სარგებელი სულ არ აიღონ“**

აღსანიშნავია ვახტანგ VI სამართლის კანონის 132 მუხლი სადაც წერია: **თუ კაცი გაღარიბებულიყოს და ვალის მიცემა აღარ შეეძლოს, დიაღ დაცემულიყოს, თავზე დაცდა იკლება; და თუ ცოტაც არის, რომ შეუძლია, თავნი უნდა მისცეს და სარგებელი ჩაივლის“.** ეს შევზად იქცა მოსახლეობისთვის, რადგან მევახშეები ისე თავისუფლად ვეღარ მოქმედებდნენ. მოგვიანებით ვახტანგ მეექვსე იძულებული გახდა ქვეყნიდან წასულიყო, ხოლო მისი კანონები უბრალო ჩანაწერებად გადაიქცა, მოსახლეობა კი მევახშეების ხელში აღმოჩნდა. უფრო გვიან პერიოდში, XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესულ საქართველოს მოსახლეობას, მდგომარეობა კიდევ უფრო დაუმძიმდა, მათ გადასახადები უნდა ეხადათ საიმპერატორო მთავრობისთვის და თან ადგილობრივი თავად-აზნაურობაც უნდა შეენახათ. ეს პრობლემა საქართველოში გვიან პერიოდამდე არსებობდა, თვით ილია ჭავჭავაძეც კი აღნიშნავს თავის ჩანაწერებში, მაღალი საპროცენტო განაკვეთის იგივე ვახშის შესახებ, ილია იმდენად იყო შეწუხებული საკითხით რომ ხშირად თვითონ აგვარებდა დავებს, მოსახლეობის დახმარებისთვის ბანკის დაარსებაც გადაწყდა, რომელიც სესხებს გაცემდა ძალიან დაბალ პროცენტში. ეს კი მევახშეების უკმაყოფილებას იწვევდა.

1921 წლის გასაბჭოების შედეგად თითქმის მთლიანად გაუქმდა კერძო საკუთრების ფორმები. ფინანსური ინსტიტუტები განუვითარებელი იყო. შეიქმნა მევახშეობის მანკიერი სისტემა. შეთანხმება სიტყვიერი გარიგების საფუძველზე იდებოდა, მისი დარღვევის შემთხვევაში კი ხშირი იყო კრიმინალური ავტორიტეტებისა და სხვა საშუალებების ჩარევა ან გამოყენება. 1991 წელს საქართველო თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ქვეყანა გახდა, გაჩნდა კერძო საკუთრება, ჩამოყალიბება დაიწყო საფინანსო სექტორმაც და მევახშეობაც ახალ ეტაპზე გადავიდა. დამოუკიდებლობის პირველ წლებში საქართველოში ეკონომიკური კრიზისი განვითარდა, კორუფციამ და ინფლაციამ პიკს მიაღწია, ჩამოიწერა მოსახლეობის მიერ ბანკებში დაგროვილი ანაბრები, დაიკარგა ნდობა საბანკო სექტორის მიმართ, რის გამოც უპირატესობა კვლავ მევახშეების მხარეს გადავიდა. მიუხედავად ბან-

კებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთებისა შედარებით „ლიბერალური“ იყო დაფარვის ვადები. რის გამოც მევახშეობა ამ პერიოდში განსაკუთრებით შემოსავლიან საქმიანობად შეიძლება ჩავთვალოთ.

2003 წელს, ქვეყანაში მაშტაბური რეფორმები დაიწყო. შემცირდა კორუფცია, მოწესრიგდა საგადასახადო პოლიტიკა, გაჩნდა მოწესრიგებული საბანკო სისტემა, აშკარა გახდა, რომ მევახშეობა ძველი ფორმით ვეღარ გაუწევდა კონკურენციას ბანკებს, ამიტომ აუცილებელი გახდა ფორმის შეცვლა და თანამედროვე სტანდარტებთან მორგება.

საქართველოში საბანკო საფინანსო სექტორის განვითარებამ უბიძგა მევახშეებს, დაეხვეწათ საქმიანობის ფორმები, ეს რამდენიმე მიზეზით იყო გამოწვეული: ბანკების მომსახურება ზევრად

უფრო კომფორტულია, კრედიტებს უფრო დაბალ პროცენტში გასცემდნენ და სხვა. დღეისათვის თანამედროვე მევახშეობის მრავალი ფორმაა ცნობილი: მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები, ონლაინ სესხები და სხვა. მათ შორის ყველაზე მსხვილად შეიძლება ჩაითვალოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციები. მიკროსაფინანსო სექტორი საქართველოს ეკონომიკის ერთ–ერთი სწრაფად მზარდი დარგია (იხ. დიაგრამა 1).




დიაგრამა 1

საქართველოში მოქმედი მიკროსაფინანსოების საკრედიტო განაკვეთები ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია. კლიენტებს უძრავი ქონების უზრუნველყოფით იმ შემთხვევაშიც კი აძლევენ სესხს, როცა თავიდანვე ცნობილია, რომ მის გადახდას ვერ შეძლებენ. მათთვის მთავარია ჩადებული უძრავი ქონება, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში რეალიზებას უკეთებენ. (იხ. დიაგრამა1.2).




დიაგრამა 1.2

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების დაკვირვებით შეიძლება განვსაზღვროთ მისი მოქმედების ტაქტიკა ბაზარზე. ისინი გასცემენ სესხს მარტივად, მაღალ პროცენტში, მიუხედავად იმისა რომ კრედიტის დაფარვის რისკი მაღალია, იმდენად დიდია პროცენტი რომ, 100% იდან 20-25% სესხების დაუბრუნებლობის შემთხვევაშიც კი მოგებაზე გადიან. (ბალანსის ცვლილება დიაგრამა 1.3).




დიაგრამა 1.3

რაც შეეხება ე.წ საკრედიტო კავშირებს ისიც მევახშეობის თანამედროვე ფორმას წარმოადგენს, თუმცა აღნიშნული ორგანიზაციული სტრუქტურა ნაკლებად ცნობილია და მისი წილი ბაზარზე მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან შედარებით ძალიან დაბალია და მხოლოდ 8 მოქმედი ორგანიზაციით შემოიფარგლება. (იხ. დიაგრამა 1.4).




დიაგრამა 1.4

ონლაინ-საკრედიტო ორგანიზაციები საქართველოში 2014 წელს გამოჩნდა. ონლაინ-კომპანიების კლიენტები მოკლევადიან სესხებს ყოველგვარი უზრუნველყოფის გარეშე, მხოლოდ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის საფუძველზე იღებენ და სესხი სულ რაღაც 10-15 წუთში უმტკიცდებათ. ერთადერთი მოთხოვნა მოქალაქის ასაკია — ის 20 წელს ზევით უნდა იყოს. დღეისთვის საქართველოში 20-ზე მეტი ონლაინ კრედიტორული ორგანიზაციაა დარეგისტრირებუ-

ლი. საკრედიტო პორტფელი ძირითადად სწრაფი სესხით განისაზღვრება 100_დან 700 ლარამდე ერთი თვის ვადით. (5 რეიტინგული ონლაინ სესხის საპროცენტო განაკვეთი იხ.დიაგრარამა 1.5). აქედან გამომდინარე ჩანს რომ ყველაზე მაღალ პროცენტში მომხმარებლებს ონლაინ სესხების ორგანიზაციები აკრედიტებენ. მათ უმრავლესობას ეფექტური საპროცენტო განაკვეთი თითქმის 100% აქვს დაწესებული. გასათვალისწინებელია მიზნობრიობის ფაქტორი, ონლაინ სესხების მომხარებლები ძირითადად ახალგაზრდა ადამიანები არიან, ხშირად ისინი ფულს არამიზნობრივად ფლანგავენ და ფინანსურ პრობლემებში ეხვევიან.




დიაგრამა 1.5

მაშასადამე, ქართულ ბაზარზე მძიმე ვითარებაა, უმუშევრობის დონე მაღალია, ხალხს ფული არ აქვს, პრობლემაა ისიც, რომ ბევრი ბიზნესი არის კრედიტის ქვეშ, კიდევ უფრო ბევრი ბიზნესია კერძო იპოთეკარების კრედიტის ქვეშ, სადაც საპროცენტო განაკვეთი მაღალია, რაც პირდაპირ რომ ვთქვათ, ამ ხალხს ახრჩობს. ყოველწლიურად იმატებს გასხვისებული ქონების რიცხვი (იხ-.დიაგრამა 1.6), განსაკუთრებით მძიმე ვითარება მოყვა ქვეყანაში ეროვნული ვალუტის გაუფასუ-




დიაგრამა 1.6

რებას, რამაც ისედაც ძვირი კრედიტები კიდევ უფრო გააძვირა, ინფლაციამ გამოიწვია ფასების ზრდა და უმუშევრობა, ქვეყანაში კატასტროფულად მცირდება საშუალო ფენა, მოსახლეობა ხდება გადახდისუუნარო. ჩვენი ქვეყნის ლიბერალური საფინანსო კანონმდებლობის გამო, თითქმის არ არსებობს საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრის რაიმე მექანიზმი, თანამედროვე „მევახშეები" კი თავის თავზე ირგებენ სიტუაციას. დღევანდელი რეალობა ასეთია - გვაქვს მსხვილი ბიზნესი და მის ხელშია ყველაფერი მოქცეული. გამომდინარე იქიდან, რომ პირველად დაფინანსებას არ იძლევა ბანკი, ბიზნესის დაწყების მსურველი მიდის კერძო იპოთეკართან, დებს ბინას, რომელსაც აქვს საკმაოდ მაღალი პროცენტი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია დარეგულირდეს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მხრიდან სესხების გაცემის პროცედურა, დღეს არსებული კანონმდებლობით მიკროსაფინანსო სექტორის რეგულირება, ფორმალობაა. საკრედიტო ხელშეკრულებები კი ცალსახად დაუბალანსებელია, ის ასახავს მხოლოდ, საკრედიტო ორგანიზაციების ინტერესებს უგულებელყოფს კლიენტის ინტერესებს. ასევე გასამკაცრებელია იპოთეკური კრედიტების გაცემის, ქონების შეფასების და გასხვისების პროცედურები. იპოთეკური კრედიტი არ უნდა გაიცეს ისეთ პიროვნებებზე რომლებსაც არ აქვთ მინიმალური შემოსავალიც კი. ყველა შემთხვევაში უნდა მოხდეს მომხმარებლის ინტერესის დაცვა, წინააღმდეგ შემთხვევაში რამოდენიმე წელიწადში მივიღებთ სრულ დისბალანსს, მსხვილი ბიზნესისა და გაღატაკებული მოსახლეობის შემადგენლობით. უნდა დაწესდეს ზედა ზღვარი კერძო იპოთეკარებთან დაკავშირებით, არ შეიძლება ქვეყანა იქცეს მევახშედ. მევახშეობა დღეს ერთგვარი ბიზნესია, მოსახლეობის ერთ ნაწილს აქვს მეორე ნაწილის ვალი.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ეროვნული ბანკის საბალანსო და სააღრიცხვო მასალები Ngb.Gov.Ge
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიურო GeoStat.Ge
3. ეკონომიკური პორტალი Sab.Ge
4. ჟურნალი კომერსანტი Commersant.Ge
5. ჟურნალი forbes georgia. Forbes.Ge

# შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების სტრუქტურის ანალიზი საქართველოში

# Household income and expenditure structure analysis in Georgia

*ავტორი - **მეგი ქათამაძე,** ხელმძღვანელი - ასოც. პროფ. **ვალერი მოსიაშვილი,** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*Author – **Megi katamadze,** Supervizor – Assoc. Prof.**Valeri Mosiashvili**, Georgian Technical University*

***Abstract***

*"Household". The Law "of the census about" households in the following definition of society basic meurneobrivi living cells - A group of persons who are subject to a single dwelling common living rules and are connected with a common budget H (or a part thereof), family and / or non-relative relationships.*

*In Georgia. According to the National Statistics Office of Georgia, in December 2015, average monthly income in Georgia amounted to 1022.3 GEL per household, which is 3,9% higher than the 2014 figure, and the average monthly income was calculated by 284.5 GEL per person in December 2015 instead of 2014 273.1 lari, or 4.1% increase.*

*Total income in Georgia has increased by 159.3% (from 178.6 GEL to 284.5 GEL) and consumer prices by 103.7% in 2010-2015. Thus, real cash revenues have increased by 159.3% per person per year, but by 155.6%.*

*Key Words: hosehold, income, cost, consumption, housekeeping, capital costs.*

ფინანსების შესახებ ლიტერატურაში თავდაპირველად გამოჩნდა ტერმინი პირადი ფინანსები, შემდეგ ეს ტერმინი გარდაიქმნა მოსახლეობის ფინანსებში (საოჯახო მეურნეობათა ფინანსები) და უკვე განიხილებოდა, როგორც საფინანსო სისტემის ცალკე რგოლი. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და სხვა ოფიციალურ გამოცემებში საოჯახო მეურნეობათა ფინანსების ნაცვლად (სინონიმად) გამოიყენება ტერმინი "შინამეურნეობა". საქართველოს კანონი „საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შესახებ" (2001 წლის 12 ოქტომბერი, მუხლი 1) შინამეურნეობას შემდეგნაირად განმარტავს _ საზოგადოების ძირითადი მეურნეობრივი საყოფაცხოვრებო უჯრედი – ადამიანთა ერთობლიობა, რომელიც ექვემდებარება ერთ საცხოვრებელ ერთეულზე ერთობლივი ცხოვრების საერთო წესებს და ერთმანეთთან დაკავშირებულია საერთო ბიუჯეტით (მისი ნაწილით), ნათესაური ან/და არანათესაური ურთიერთობებით (შინამეურნეობა შეიძლება შედგებოდეს ერთი პი-

რისგანაც).

**საოჯახო მეურნეობების შემოსავლები** – არის ფულადი სახსრების და მატერიალური კეთილდღეობის ჯამი, რომლებიც მიიღეს ან აწარმოეს საოჯახო მეურნეობებმა დროის გარკვეულ მონაკვეთში. შემოსავლები მოიცავს: შრომის ანაზღაურებას, შემოსავლებს სამეწარმეო საქმიანობიდან, პენსიებს, სტიპენდიებს, სხვადასხვა დახმარებებს, შემოსავლებს ქონების გამოყენებიდან, დივიდენდებს საბანკო ანაბრებზე, სახსრებს ფასიანი ქაღალდების, მოძრავი და უძრავი ქონების გაყიდვიდან და სხვა.

**შინამეურნეობების შემოსავლების დინამიკა და სტრუქტურა საქართველოში.** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების თანახმად, 2015 წლის დეკემბერში საქართველოში საშუალო თვიურმა შემოსავლებმა ერთ შინამეურნეობაზე 1022.3 ლარი შეადგინა, რაც 3,9%-ით აღემატება 2014 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს, ხოლო საშუალო თვიურმა შემოსავალმა ერთ სულზე გაანგარიშებით 2015 წლის დეკემბერში შეადგინა 284.5 ლარი, ნაცვლად 2014 წლის 273.1 ლარისა, ანუ გაიზარდა 4.1%-ით .




მთლიანად საქართველოში ფულადი შემოსავლები ერთ სულ მოსახლეზე 2010-2015 წლებში გაიზარდა 159.3%-ით (178.6 ლარიდან 284.5 ლარამდე), ხოლო სამომხმარებლო ფასები 103.7%-ით. ამგვარად, რეალური ფულადი შემოსავლები ერთ სულ მოსახლეზე აღნიშნულ წლებში გაიზარდა არა 159.3%-ით, არამედ 155.6%-ით .

საქართველოში რეგიონების მიხედვით მოსახლეობის შემოსავლების განაწილება არათანაბარია: შემოსავლების ოდენობა საგრძნობლად განსხვავდება ქალაქად და სოფლად მცხოვრებ ადამიანთა შორის. მაგალითად, 2016 წლის სტატისტიკური მონაცემების თანახმად, საშუალო თვიური ფულადი შემოსავალი ერთ შინამეურნეობაზე შეადგენდა ქალაქში_ 1160.9 ლარს, სოფელში _ 922.0 ლარს .




**საკლასიფიკაციო ნიშნის მიხედვით ხარჯები შეიძლება დაიყოს რამდენიმე სახედ:**

1. ხარჯების განხორციელების სიხშირის მიხედვით; 2. ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით; 3. პირველი და მეორე ნიშნების შეხამებით.

მოკლევადიან ხარჯებს შეიძლება მიეკუთვნოს ხარჯები საკვები პროდუქტების და ზოგიერთი არასასურსათო საქონლის (მაგალითად, ჰიგიენის საგნების, პირადი ავტო¬ტრანსპორტისთვის საწვავის და სხვა) შეძენაზე, მომსახურების ანაზღაურებაზე (სატრანსპორტო, კომუნალური, სილამაზის სალონის და სხვა). საშუალოვადიანი ხარჯები მოიცავს პერიოდულად ან სეზონურად შესაძენი საქონლის (მაგალითად ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და სხვ.) ხარჯებს, ასევე ზოგიერთ მომსახურებას (მაგალითად, განათლებას). გრძელვადიანი ხარ-

ჯები შედგება ხარჯებისგან, რომლებსაც ადგილი აქვთ რამდენიმე წელიწადში ერთხელ (მაგალითად, საიუველირო ნაწარმი, ავტომობილები, უძრავი ქონება და სხვა). კლასიფიკაციის ნაკლოვან მხარეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ არ გაითვალისწინება საოჯახო მეურნეობების სავალდებულო გადასახდელები (გადასახადები და მოსაკრებლები).

| **საკლასიფიკაციო ნიშანი** | **ხარჯების სახეები კლასიფიკაციის თანახმად** |
|---|---|
| 1. ხარჯების განხორციელების სიხშირე | 1. მოკლევადიანი ხარჯები;<br>2. საშუალოვადიანი ხარჯები;<br>3.გრძელვადიანი ხარჯები. |
| 2. ფუნქციონალური დანიშნულება | 1. პირადი სამომხმარებლო ხარჯები;<br>2. გადასახადები;<br>3. ფულადი დანაზოგები; |

**მოხმარებაზე გაწეული ხარჯები.** მოხმარებაზე იხარჯება საოჯახო მეურნეობების შემოსავლების ძირითადი ნაწილი (60-70%). მოხმარებაზე გაწეული ხარჯების სიდიდე და წილი დამოკიდებულია ერთობლივ შემოსავალზე, ნატურალური მეურნეობის წარმართვის ინტენსიურობაზე, ფულადი სახსრების ეკონომიის დონეზე, მატერიალურ საჭიროებებზე, საცალო ფასების დონეზე, საოჯახო მეურნეობის სავალდებულო გადასახდელების ჩამონათვალზე და სხვა ფაქტორებზე.

არსებობს მოხმარებაზე გაწეული ხარჯების შიდა კლასიფიკაციის სხვადასხვა ვარიანტები. ერთ-ერთი ვარიანტის თანახმად, სამომხმარებლო ხარჯები შედგება 14 ჯგუფისგან: კვება; ტანსაცმელი და ფეხსაცმელი; ხარჯები საცხოვრებელზე; შიდა მოწყობილობა; თეთრეული; გალანტერეა; სანიტარია და ჰიგიენა; ჭურჭელი; განათლება და აღზრდა; კულტურა; ჯანმრთელობა და დასვენება; ტრანსპორტი; კავშირგაბმულობის მომსახურება; ალკოჰოლური სასმელები და თამბაქოს ნაწარმი. მსგავსი დაყოფა არ არის უნივერსალური და არ ითვალისწინებს ყველა შესაძლო ხარჯებს, მათ შორის ხარჯების ახალ სახეებს.

ეკონომიკური კლასიფიკაციის თანახმად, საოჯახო მეურნეობის მოხმარებაზე გაწეული ხარჯები შეიძლება დაიყოს 2 ჯგუფად: მიმდინარე და კაპიტალური ხარჯები. მიმდინარე ხარჯებს მიეკუთვნება ხარჯები სურსათის და სამრეწველო საქონლის შეძენაზე, რომლებიც გამოიყენება დროის შედარებით მოკლე პერიოდის განმავლობაში (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი), ასევე პერიოდულად მოხმარებადი მომსახურების ანაზღაურებაზე (სილამაზის სალონი, სამრეცხაო, ქიმწმენდა, სტომატოლოგი და ა. შ.).

კაპიტალური ხარჯები მოიცავს ხარჯებს, როგორც წესი, გრძელვადიანი საქონლის შეძენაზე, რომლებიც გამოიყენება დროის საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში: ხარჯები ავეჯის, საცხოვრებლის, სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე და ა.შ. ხარჯების ამ ჯგუფს შეიძლება მიეკუთვნოს ხარჯები იმ მომსახურებების ანაზღაურებაზე, რომლებსაც საოჯახო მეურნეობის მონაწილეები მიმართავენ შედარებით იშვიათად (ხარჯები პროფესიული განათლების მიღებაზე, სამედიცინო ოპერაციაზე, ტურისტულ მოგზაურობაზე და ა.შ.).



შინამეურნეობების მიერ დეკლარირებული მონაცემების მიხედვით

**შინამეურნეობების ხარჯების დინამიკა საქართველოში.** 2015 წელს საშუალო თვიური ხარჯები (ხარჯები, სულ) გასულ წელთან შე-

დარებით ერთ შინამეურნეობაზე 1.1%-ით გაიზარდა, ერთ სულზე კი – 5.4%-ით და შესაბამისად 1022.0 და 279.6 ლარი შეადგინა. შინამეურნეობების სამომხმარებლო ფულადი ხარჯების წლიურმა ზრდამ კი 2015 წელს ერთ შინამეურნეობაზე 105.0%, ხოლო ერთ სულზე 105.4% შეადგინა.

ტრადიციულად, ხარჯების ძირითად ნაწილს როგორც ქალაქის, ასევე სოფლის მოსახლეობაში სამომხმარებლო ხარჯები შეადგენს. ქალაქის მოსახლეობაში სამომხმარებლო ხარჯები შეადგენს მთლიანი ხარჯების 71.1.%-ს (2015 წ.), სოფლის მოსახლეობაში კი – 74.3%-ს (2014 წ.).




სამომხმარებლო ფულადი ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს როგორც ქალაქის, ასევე სოფლის მოსახლეობაში სურსათზე, სასმელსა და თამბაქოზე გაწეული ხარჯები იკავებს.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. http://geostat.ge
2. ვანიშვილი მ, ვანიშვილი ნ, საჯარო ფინანსები. თბ. 2017
3. მოსიაშვილი ვ, ჭელიძე მ, ფინანსები. თბ. 2016

# პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში

# The roles of direct foreign investments in the development of the Georgian economic field

*ავტორ(ებ)ი - **ნანო მოლაშხია, სალომე კვარაცხელია,** ხელმძღვანელი - პროფ. **ალექსანდრე სიჭინავა,** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*Authors – **Nano Molashkhia**, **Salome Kvaratskhelia,** Supervizor – Prof.**Aleqsandre Sichinava,** Georgian Technical University*

***Abstract***

*From the historical point of view it has not passed so much time after the governments of the countries had analyzed the decisive role and importance of direct foreign investments for the purpose of development of the country. Georgia significantly depends on the inflows of direct foreign investments from EU Member States. This shows dependence on them, from the one hand, and the member states' interests in Georgia, from the other hand. Since independence of Georgia, till present time, according to the number of direct foreign investments implemented in Georgia are interested only a few countries. By our opinion, if not the war between Georgia-Russia and World Financial Crisis, Georgia would keep the index before war status and may be it would be even improved its economical status for future years. Almost all the EU member states from 28 countries (26 countries) had implemented direct investments in Georgia. Since 2008 till the first quarter of 2014 the foreign direct investors have been interested in domestic market mainly. On the second place were the investments for searching affectivity and for the third place there were resource seekers. But the basic motivation is resource development and utilization of local market. According to the index contribution under the influence of the enterprises being founded by the foreign capital, Georgia goes ahead of the other countries of the region and moreover, it is the leader according to each direction. Georgian export mainly is developing on the expenses of foreign investments. As a result of signing the association agreement Georgia discovered new possibilities in attraction of new direct foreign investments. It should be mentioned, that European policy action plan considers that open economics and direct foreign investments will support Georgian economical development and improve the life level of its population. Unfortunately, the significant problem of foreign trade of our country is still negative commercial balance. It's a real fact, that the investment environment and the business climate for entrepreneurs cannot still create the appropriate conditions for activity and incentives. It should be mentioned, that on 28-29 November, 2017 was held a large-scale international event "Tbilisi Silk Road Forum" where more than 800 visitors participated ( USA, China, Azerbaijan, Kirgizia, the first persons of the World*

*Investment Companies and others). The mentioned forum has a great importance as in the field of attracting investments, so for the purpose of implementation of new economical projects for the benefit of the whole Georgia and for its capital city as well.*

*Key Words: Direct foreign investments, Globalization, Portfolio investment, Georgian investigators politic.*

გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ეკონომიკაში მისი განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს. საქართველოსა და აგრეთვე საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მნიშვნელოვანი ოდენობით უცხოური ინვესტიციების მოზიდვას მრავალი მაჩვენებელი განაპირობებს. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ჭრილში საქართველო მიმზიდველ ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნება. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ხშირ შემთხვევაში, არა მიმღები ქვეყნის მაჩვენებლის უპირატესობაზე, არამედ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ექსპორტიორ ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზეა დამოკიდებული, აგრეთვე - ისეთ გლობალურ მოვლენებზეც, როგორიცაა მსოფლიო ფინანსური კრიზისი ან პირიქით - მსოფლიო ეკონომიკური ბუმი. საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის დარგებს შორის პერსპექტიულია - ენერგეტიკა; ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა; უძრავი ქონებისა და სამშენებლო ბაზრები, აგრეთვე დამამუშავებელი მრეწველობა. ქართული ეკონომიკის თვისობრივად ახალ დონეზე გადასაყვანად და მისი ექსპორტის, როგორც აბსოლუტურ, ასევე სტრუქტურულ ჭრილში გასაუმჯობესებლად, საჭიროა გეზის აღება ისეთ მიმართულებაზე, როგორიცაა თანამედროვე ტექნოლოგიები, რომელიც, თავის მხრივ, განათლებაში (პროფესიული და ტექნოლოგიური ცენტრები; საშუალო და უმაღლესი განათლება;) მნიშვნელოვანი რესურსების დაბანდების გარეშე წარმოუდგენელია. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კუთხით საქართველო განსაკუთრებული წარმატებით ევროკავშირის ქვეყნებთან თანამშრომლობს.

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახეობები და მნიშვნელობა**

ტერმინი ინვესტიცია ეკონომიკის სხვადასხვა დარგის საწარმო-

ებში კაპიტალის გრძელვადიან დაბანდებას აღნიშნავს. თუმცა, აღნიშნული ტერმინის მრავალგვარი განმარტება არსებობს, რომლებიც სხვადასხვა ორგანიზაციებისა თუ მეცნიერების მიერაა შემოთავაზებული. საქართველოს კანონის „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ"მე-3 მუხლის თანახმად, ინვესტიცია არის - „სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა დარგის საწარმოში, საწარმოო-საინვესტიციო პროექტებში კაპიტალის დაბანდება, რომლის ძირითადი მიზანია ქვეყნის სამრეწველო პოტენციალის მაქსიმალური ეფექტიანობით ამოქმედება და წარმოების განვითარების ხელშეწყობით უმუშევრობის დონის შემცირება. უცხოური ინვესტიციების გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე შეიძლება მრავალმხრივ იქნეს შეფასებული. ერთ-ერთი დაბალანსებული მეთოდი შეიძლება იყოს მისი დაყოფა მიკრო და მაკროეკონომიკური მიდგომების საფუძველზე. პირველი გულისხმობს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ემპირიულ ანალიზს ეკონომიკის ზრდაზე, ვაჭრობაზე, დასაქმებასა და უმუშევრობაზე, აგრეთვე ხელფასების დინამიკის ცვალებადობაზე დაკვირვებით. ხოლო მიკრო დონეზე კი ინვესტიციები შეიძლება განხილულ იქნეს კონკრეტული საწარმოების დონეზე. ამ შემთხვევაში, ყურადღება ექცევა ინვესტორის სახსრებით შექმნილი ფილიალების მიერ მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკისათვის განხორციელებული აქტიურობების შედეგებს. აღსანიშნავია, რომ ორივე დონეზე მეცნიერები ვერ თანხმდებიან და სრულიად საპირისპირო მოსაზრებებსა და დაკვირვებებს აყალიბებენ. წარმომავლობის მიხედვით, ინვესტიციები შეიძლება დაიყოს ადგილობრივ(სამამულო) და უცხოურ ინვესტიციებად. სამამულოა ინვესტიცია, რომელიც მოცემული ქვეყნის რეზიდენტის (კერძო, სახელმწიფო და მუნიციპალური) მიერ არის განხორციელებული. ხოლო უცხოური, შესაბამისად, უცხოური ქვეყნის მოქალაქის მიერ სახსრების საზღვარგარეთიდან შემოტანას აღნიშნავს .ადგილობრივი ინვესტიციებისგან განსხვავებით, ძირითადად პოლიტიკური მოსაზრებიდან გამომდინარე, უფრო დიდ ყურადღებასა და დაინტერესებას მთავრობები უცხოური ინვესტიციების მიმართ იჩენენ, რომელიც, თავის მხრივ, ორ ნაწილად იყოფა: ა) პორტფელური ინვესტიციები ანუ დაბანდებანი გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდების შესაძენად (მაგალითად: ობლიგაციურ ვალდებულებებში სახსრების დაბანდება),რომელსაც ძირითადად რისკების შემცირების მიზნით მიმართა-

ვენ. როგორც წესი, ფასიანი ქაღალდების პაკეტი იმდენად მცირეა ან ისე განაწილებული სხვადასხვა ემიტენეტს შორის, რომ იგი არ იძლევა კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას. პორტფელური ინვესტიციები, როგორც წესი, საფინანსო შუამავლების დახმარებით ხორციელდება, მათ შორის: კომერციული და საინვესტიციო ბანკების, კერძო და სახელმწიფო საინვესტიციო კომპანიების, ფონდების და მრავალი სხვა. ამ ტიპის ინვესტირებით დაინტერესებული ბიზნესმენები, როგორც წესი ისეთი მრჩევლების მითითებებს ენდობიან, რომელთაც აღნიშნულ სფეროში გარკვეული გამოცდილება უკვე აქვთ.პორტფელური ინვესტიციებს ხშირად „ცხელ ფულსაც“ უწოდებენ და მოკლევადიანი ხასიათიდან გამომდინარე, კაპიტალის არასტაბილურ ნაკადებთან აიგივებენ, რადგან იგი რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკაში არასტაბილურობის პირველი ნიშნის გამოჩენისთანავე დაუყოვნებლივ ტოვებს ქვეყანას.

ბ)პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რომელიც ძირითადი კაპიტალის შემქმნელ დაბანდებას წარმოადგენს, ხშირად რეალურ ინვესტიციებსაც უწოდებენ; პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს განსაკუთრებული ადგილი უკავია ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ - პოლიტიკურ ცხოვრებაში, რადგანაც დიდწილად სწორედ ისინი განაპირობებენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას გრძელვადიან ასპექტში. მითუმეტეს მაშინ, როდესაც ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერე და საბანკო სისტემა ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ისეთ დონეზე, რომ შეძლოს ეკონომიკის სტაბილურად და იაფი სესხებით მომარაგება. დაბანდების ხანგრძლივობიდან გამომდინარე, განასხვავებენ ინვსტიციების სამ კატეგორიას:

ა) მოკლევადიანს - 1 წლამდე ინვესტიციები;

ბ) საშუალოვადიანს - 1 დან 3 წალამდე ინვესტიციები;

გ) გრძელვადიანს - 3 წელზე მეტი ხანგრძლივობის ინვესტიციები.

თავისი მიზნებიდან გამომდინარე ინვესტიციის ხანგრძლივობა ყოველთვის განსხვავებული, თუმცა განსაკუთრებით ღირებულია გრძელვადიანი ინვესტიციები, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მყარ გარანტიას იძლევა. ამიტომ, ასეთი ტიპის ინვესტიციებზე რეციპიენტი ქვეყნებისა და ორგანიზაციების მხრიდან ერთგვარი „ნადირობაც“ კი მიმდინარეობს.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, საკუთარების ფორმიდან გამომდინარე, 4 კატეგორიად იყოფა:

ა) კერძო - ოჯახური მეურნეობის ან/და კერძო პირის მიერ განხორციელებული ინვესტიცია;

ბ)სახელმწიფო - ქვეყნის მთავრობის მიერ განხორციელებული ინვესტიცია,როგორადაც შეიძლება ჩაითვალოს, მაგალითად, ინფრასტრუქტურის მშენებლობა;

გ)უცხოური - ქვეყნის გარედან შემოსული ინვესტიციების ნაირსახეობა, რომელიც, შესაძლებელია, განხორციელდეს როგორც უცხო ქვეყნის მთავრობების, ასევე მოქალაქეებისა და ორგანიზაციების მიერ;

დ)შერეული - კერძო,სახელმწიფო და უცხოური ინვესტიციების ერთობლიობა.

საერთო მოსაზრებით ყველა ზემოთაღნიშნული ინვესტიცია მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის და უნდა ხდებოდეს მათი წახალისება. თუ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელება მხოლოდ ნაწილობრივ, ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნით, არის ქვეყნის მთავრობაზე დამოკიდებული, სახელმწიფო ინვესტიციის განხორციელებაში მთავრობები კიდევ უფრო შეზღუდულები არიან. მიჩნეულია, რომ სახელმწიფო ინვესტიციების მთავრობები მასობრივად მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკის გადახურების პირობებში, როგორიც საქართველოს აქვს, რთულია კერძო ინვესტიციების განხორციელებისკენ მოსახლეობის წახალისება. თუმცა ფაქტია, რომ ამის გარკვეული რესურსი, არათუ დღევანდელ საქართველოში, არამედ მეორე მსოფლიო ომში დამარცხებულ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაშიც კი გამოიძებნება. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შესაძლოა განვიხილოთ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ჭრილში.

ჰორიზონტალური პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გულისხმობს ინვესტორის მიერ რეციპიენტ ქვეყანაში სახსრების დაბანდებას მსგავსი ან იმავე ტიპის პროდუქციის საწარმოებლად, რომელსაც ის სამშობლოში აწარმოებს. ამ ტიპის ინვესტიციას მიმართავენ ის კომპანიები, რომელთაც უკვე გაიმყარეს საკუთარი პოზიციები ადგილობრივ ბაზარზე და თავისი იმიჯის და რეპუტაციის მეშვეობით ახალ ბაზარზე გასვლა სურთ. ე. ჰელპმენის კვლევების თანახმად, ფირმები პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს იმ შემთხვევაში ახორციელებენ,

თუ სავაჭრო ბარიერები მაღალია,ხოლო დაბალი სავაჭრო ბარიერების პირობებში კი პირიქით, ამჯობინებენ პროდუქციის ექსპორტირებას და არა ინვესტიციის განხორციელებას.სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჰორიზონტალური პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და საგარეო ვაჭრობა ურთიერთშემცვლელი მოვლენებია.

ვერტიკალური პირდაპირი უცხოური ინვესტიცია გულისხმობს პროდუქციის წარმოებისადმი ისეთ მიდგომას, როდესაც წარმოების სხვადასხვა ფაქტორები შესაძლებელია, განთავსებულ იქნეს სხვადასხვა ქვეყანაში. მაგალითად: კაპიტალ-ინტენსიური წარმოების ნაწილის განლაგება კაპიტალით მდიდარ და, შესაბამისად, ამ რესურსთან წვდომის მარტივი შესაძლებლობის მქონე ქვეყანაში ან ბაზარზე; შრომის ინტენსიური ნაწილის განვითარებად ბაზარზე გადატანა;მეცნიერება-ტევადი წარმოების - მაღალგანვითარებულ ქვეყნებში და ა.შ.

ვერტიკალური პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, შესაძლებელია, ორ ნაწილად დაიყოს:

1.უკუ-ვერტიკალური პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ძირითადად ხორციელდება ნატურალური რესურსების ათვისების მიზნით, ამ კომპანიების მიერ, რომლებიც სექტორში მომძლავრებული არიან და ფლობენ ისეთ რესურსებს, როგორიცაა ახალი ტექნოლოგიები ან/და უხვი ფინანსური რესურსი

2.ვერტიკალის მიმდევარი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, კი გულისხმობს ექსპორტსა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციის ბერკეტების ერთდროულ გამოყენებას იმის გათვალისწინბით, რომ ისინი ურთიერთჩანაცვლებადია

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საინვესტიციო რესურსების ხასიათის მიხედვით,სამ სხვადასხვა კატეგორიად იყოფა:

ა) რეალური ინვესტიციები - წარმოების ეფექტიანობის გაუმჯობესებისკენ მიმართული კაპიტალდაბანდებები

ბ) ფინანსური ინვესტიციები - ფულადი სახსრების დაბანდება კერძო თუ სამთავრობო ფასიან ქაღალდებში;

გ)ინტელექტუალური ინვესტიციები - კაპიტალის დაბანდება მეცნიერულ გამოკვლევებში, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებაში, ახალი ტექნოლოგიების დანერგვაში და სხვა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ისეთ ფორმას, რომელიც საზღვარგარეთ ახალი საწარმოს ნულიდან შექმნას ან/და უკვე არსე-

ბულის გაფართოების მიზნით ხორციელდება, „გრინფილდ-ინვესტიცია“ ეწოდება.ასეთი ტიპის ინვესტიციებს, ძირითადად, დიდ საერთაშორისო კორპორაციები მიმართავენ და თავიანთ გადაწყვეტილებებს ადგილობრივ მთავრობებს, ლოკალური სამუშაო ძალის აქტიური ჩართვით აწონებენ. გრინფილდ -ინვესტიციების სხვა საინტერესო ელემენტებია:ახალი ტექნოლოგიების დანერგვა,კვალიფიციური კადრების მომზადება,ახალი ბაზრების ათვისება და (უმეტეს შემთხვევაში) ექსპორტის ზრდა. თუმცა, მეორე მხრივ,ასეთი ტიპის ინვესტიციებს გარკვეული ნაკლოვანებებიც აქვთ,რაც გამოიხატება იმავე დარგში მოღვაწე ადგილობრივი მცირე მეწარმეების შესაძლო „განადგურებით“,ძლიერი კონკურენციის ფონზე. ინვესტიციის მიმღები ქვეყნების ეკონომიკების შესაძლებლობიდან გამომდინარე,ისინი გრინფილდ-ინვესტორებს სხვადასხვა შეღავათიან პირობებს სთავაზობენ. კერძოდ: მოქნილ საგადასახო პირობებს,სუბსიდიებს,გარკვეულ რესურსებთან წვდომას და ა.შ. „გრინფილდ-ინვესტიციის“ ალტერნატივად შესაძლოა ‘ბრაუნფილდ-ინვესტიცია“ განვიხილოთ,რომელიც კომპანიის ან მთავრობის მიერ უკვე არსებული საწარმოს შესყიდვას ან/და იჯარით აღებას გულისხმობს ახალი წარმოების დასაწყებად. ასეთი ინვესტიციის მაგალითად შეიძლება განვხილოთ მანქანის მწარმოებელი კომპანიის მიერ საზღვარგარეთ მოქმედი საბურავების კომპანიის შექმნა. რაც შეეხება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების “შერწყმის“ და „შთანთქმის“ კატეგორიებს, ისინი აღნიშნავენ ორი ან მეტი კომპანიის აქტივების და ვალდებულებების გაერთიანებას ერთ ბიზნეს-სუბიექტში.სხვაობა მათ შორის გაერთიანებისადმი დამოკიდებულებაშია:

ა) თუ ორი ერთი და იგივე შესაძლებლობებს კომპანია ერთიანდება, მოვლენას შერწყმას უწოდებენ;

ბ) თუ უფრო დიდი კომპანია მცირე კომპანიას იერთებს მისი გარკვეული უპირატესობის დასაუფლებლად,მაშინ საქმე შთანთქმასათან გვაქვს.

არცთუ ისე დიდი დრო არის გასული მას შემდეგ, რაც მთავრობებმა გააცნობიერეს ინვესტიციების გადამწყვეტი მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის. მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა, როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო დონეზე ინვესტიციების მოზიდვის პოლიტიკის გასაუმჯობესებლად. განსაკუთრებუ-

ლი აქტიურობა შეინიშნება ე.წ განვითარებადი ქვეყნების რიგებში, რომლებისთვისაც პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს და მზად არიან საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ წამოყენებული პირობებიც დააკმაყოფილონ. გასული საუკუნის 90-იან წლებამდე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ტრენდი არასტაბილურად ვითარდებოდა. თუმცა მას შემდეგ იგი მნიშვნელოვნად გაიზარდა: 55 მილიარდი აშშ დოლარიდან 1980-იან წლებში, 220 მილიარდამდე 1992 წლისთვის.ზრდის ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდა( 2000-2004 წლებში მცირე მერყეობის მიუხედავად) და 2007 წელს თავის ისტორიულ მაქსიმუმს , თითქმის 2 ტრილიონ დოლარს გაუტოლდა. მსოფლიო ფინანსური კრიზისის შედეგად პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა პირდაპირი მასშტაბით მნიშვნელოვნად იკლო. 2008 წელს 10%-იანი ვარდნა განიცადა და 1.75 ტრილიონს გაუთანაბრდა. 2009 წლის ვარდნა კი უფრო ძლიერი აღმოჩნდა . 2011 წელს 30%-ით იმატა მაგრამ 2012 წელს , წინა წელთან შედარებით კვლავ 18% -ით დაეცა. 2016 წლისთვის განვითარებულმა ქვეყნებმა კვლავ დაიბრუნეს ლიდერის პოზიციები ყველაზე მეტი 52%-მდე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კუთხით საიდანაც საქართველოც მიიღებს თავის წილ უცხოურ ინვესტიციებს.

ზემოთ აღნიშნული ცხადყოფს რომ განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებმა ბოლო ათწლეულში საგრძნობლად მოიკიდეს ფეხი გლობალური პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ატლასზე. ამ ტრენდის გაგრძელების შემთხვევაში შესაძლოა განვითარებადმა და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებმა განვითარებულებს გაუსწრონ. პარალელურად კი, განვითარებული ქვეყნების მიერ ექსპორტირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დომინირებდა კლებულობს, რაც ძირითადად ევროკავშირთან განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლებას უკავშირდება. მსოფლიო ქვეყნების ჭრილში ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როგორც ექსპორტიორი ისე იმპორტიორი ამერიკის შეერთებული შტატებია, მხოლოდ 2013 წელს ამ ქვეყანამ მიიღო და გასცა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კოლოსალური ოდენობა-526 მილიარდი $, მეორე ადგილზე ჩინეთია-225 მილიარდი $, მესამე ადგილას კი რუსეთია- 174 მილიარდი $. ნიშანდობლივია რომ 2013 წლიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების იმპორტი ათეუ-

ლის თითქმის ყველა ქვეყანაში გაიზარდა გარდა ბრაზილიასა და ავსტრალიისა. ხოლო ექსპორტის ჭრილში კი სამმა: აშშ-მა, გერმანიამ და კანადამ შეამცირეს თავიანთი პირდაპირი ინვესტიციები დანარჩენ მსოფლიოში, დარჩენილმა შვიდმა ქვეყანამ კი პირიქით გააქტიურა მისი საზღვარგარეთული საინვესტიციო ბაზრები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რმ რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიისა და დასავლეთიდან შესაბამისი ,, სანქციების" დაწყების მიუხედავად, 2013 წელთან შედარებით , რუსეთის მიერ მიღებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 2014 წელს, თითქმის 60%-ით მოიმატა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მიუხედავად პოლიტიკურ ჭრილში ყველანაირი წინააღმდეგობებისა, ეკონომიკურად რუსეთი დანარჩენი მსოფლიოსთვის მეტად აქტუალურია .

მთლიანობაში UNCTAD -ის მიერ საინვესტიციო პოლიტიკის ჭრილში განხორციელებული დაკვირვების თანახმად , მსოფლიო მასშტაბით 2000-დან 2013 წლამდე მნიშვნელოვნად არის შეცვლილი სახელმწიფოების დამოკიდებულება საინვესტიციო პოლიტიკის მიმართ . კერძოდ , სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკების მიერ ადგილობრივი საინვესტიციო პოლიტიკის 2000 წლის 94%-იანი ლიბერალიზმი (შესაბამისად , 6%-იანი შეზღუდვა) 2013 წელს შემცირებულია 73% -მდე, რაც საერთო ჯამში ინვესტიციებისადმი გამკაცრებულ, მაგრამ კვლავ მეგობრულ დამოკიდებულებას გამოხატავს.

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თანამედროვე ტენდეციები საქართველოში.**

სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს წარმოადგენს.ეფექტიანი საინვესტიციო პოლიტიკის გატარებით სახელმწიფოს შეუძლია გავლენა მოახდინოს წარმოების მოცულობის ზრდაზე, სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროცესის დინამიკაზე. საერთოდ საინვესტიციო პოლიტიკა მდგომარეობს მიკრო და მაკროეკონომიკური ინტერესების შერწყმაში. ამიტომ მისი უმნიშვნელოვანესი პრინციპი იქმნება ყველა ეკონომიკური ბერკეტით- სახელმწიფოს მიერ საინვესტიციო საქმიანობისთვის ხელსაყრელი ეკონომიკური გარემოს შექმნით, საკრედიტო,საგადასახადო და სხვა მარეგულირებელი ინსტრუმენტებით. ეკონომიკური დატვირთვიდან გამომდინარე ინვესტიციების მთავარი ფუნქცია ეროვნული ეკონომიკის ზრდის ტემპების დაჩქარე-

ბის ხელშეწყობაა, ის ხელს უწყობს ინტეგრაციულ პროცესში ჩართვასა და ადგილობრივი კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას, გამოაცოცხლებს და წაახალისებს კრიზისში მყოფ საწარმოებს, შიდა წარმოებას უზრუნველყოფს აუცილებელი ფინანსური სახსრებით. საქართველო რამდენიმე ეკონომიკური რეგიონის მაკავშირებელი რგოლია, ევროპასა და აზიის გზაჯვარედინზე მყოფი მნიშვნელოვანი სატრანზიტო ქვეყანაა და ფაქტიურად ბუნებრივი სატრანსპორტო დერეფნის როლს ასრულებს. საქართველო ყველაზე მოკლე სატრანზიტო მარშუტია დასავლეთსა და ცენტრალურ აზიას შორის ნავთობისა და გაზის, ასევე, მშრალი ტვირთის ტრანსპორტირებისთვის. ტრანსფორმირებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ინვესტიციები, უპირველეს ყოვლისა, მიმართული უნდა იყოს ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაზე. ამისათვის კი საჭიროა მათი ისეთი განთავსება, რომ უზრუნველყოფილ იქნას მაღალი დონის საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება, ექსპორტზე ორიენტირებული და იმპორტჩანაცვლებადი საწარმოების ჩამოყალიბება და განვითარება, მრეწველობაში პროდუქციის გადამუშავების სტადიის (დონის) მიღწევა, ინოვაციების დანერგვა, ინტელექტუალური საკუთრების შეძენა.

საქართველოში თანამედროვე საინვესტიციო პოლიტიკა ხელსაყრელია როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ინვესტორებისათვის. კერძოდ, ქვეყანაში არსებობს ლიბერალური საინვესტიციო გარემო, თანაბარი პირობებია შექმნილი ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციებისთვის, ხორციელდება თავისუფალი საბაზრო ეკონომიკური პოლიტიკა, არსებობს მხოლოდ ექვსი გადასახადი და თან შემცირებული საგადასახადო განაკვეთები, ქვეყანას აქვს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, იზრდება საქართველოს საინვესტიციო პოტენციალი და ის უცხოელი ინვესტორებისთვის სულ უფრო მიმზიდველი ხდება. ამ პროცესს უფრო ინტენსიურს ხდის ქვეყანაში ბიზნესის დაწყებისა და მისი წარმატებული განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობები. კერძოდ, ლიბერალიზებული ბიზნესის ლიცენზირებისა და ნებართვის სისტემა, ადმინისტრაციული პროცედურების სიმარტივე, პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმები მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან, კარგად განვითარებული და ინტეგრირებული სატრანსპორტო სისტემა, კონკურენტული, განათლებული კვალიფიციური სამუშაო ძალა და სხვა. ამის შედეგად თანდათანობით უფრო ადვილი

ხდება განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე ქართული პროდუქციის შეღწევა. ეს კი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ ზოგიერთი სახის საბოლოო მოხმარების იმპორტირებული პროდუქცია ქვეყანაში შემოდის იაფ, ხშირად დემპინგურ ფასებში. იმპორტულ პროდუქტზე დემპინგური ფასები ქვეყნის ეკონომიკისთვის სასარგებლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პროდუქციის წარმოება არ არსებობს და მისი წარმოების დაწყება, ესე იგი იმპორტის ჩანაცვლება, დიდი დანახარჯების გამო მიზანშეწონილია. სხვა შემთხვევაში დემპინგური ფასები მოახდენენ ინვესტიციური აქტიურობის შეზღუდვას, მხედველობაშია მისაღები, რომ კვების მრეწველობაში ხდება ნატურალური ნედლეულის შეცვლა უფრო მისღები, უფრო იაფი იმპორტული მცენარეული ნედლეულით (მაგალითად,რძის პროდუქტების იაფასიანი პალმის და სხვა ტროპიკული ზეთებით, ხორცის პროდუქტებში გადაჭარბებით ხმარობენ სოიოს და სხვა სუროგატებს,) ამის შედეგად უფრო მეტ მოგებას იღებენ გადამამუშავებელი წარმოების მეწარმეები და იმპორტიორები, მაგრამ მკვეთრად მცირდება წარმოება სოფლად, განსაკუთრებით, მეცხოველეობის სექტორში,ეფექტური საინვესტიციო პოლიტიკა,რომელიც მიმართული იქნება იმ წარმოების განვითარება-გაფართოებისკენ,რომლებიც აწარმოებენ საექსპორტო პროდუქციას და ამავე დროს უზრუნველყოფენ იმპორტული პროდუქციის ჩანაცვლებას, საქართველოში საინვესტიციო საქმიანობას არეგულირებს კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ",რომლის მიზანია ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა,ინვესტიციების დაბანდებისა და სამეწარმეო საქმიანობისთის აუცილებელი პროცედურების გაუმჯობესება.2003 წლის შემდეგ საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მიზნით განხორციელებულმა რეფორმებმა და ინვესტიციებმა დადებითი შედეგები გამოიღო,რაც საერთაშორისო კვლევებითა და შეფასებებითაც დასტურდება.

2013 წელი ქართული ეკონომიკისთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო,რადგან განხორციელდა ეკონომიკის და ბიზნესის პოლიტიკური წნეხისგან გათავისუფლება, შეიქმნა წარმოების განვითარებისთვის თავისუფალი გარემო, მეწარმეს მიეცა საშუალება თავად განსაზღვროს საკუთარი ბიზნესის განვითარების პრიორიტეტები, ცხადია, მათი კერძო საკუთრების უფლებების დაცვის პირობებში. საქართვე-

ლოს ეკონომიკაში განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციებიდან ცალკე უნდა გამოიყოს ევროკავშირის, როგორც საქართველოს სტრატეგიული პარტნიორის მიერ განხორციელებული ინვესტიციები, რომელთა მოცულობამ 2014 წელს 640,507.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 64%-ით მეტია ვიდრე 2013 წლის და ინვესტიციებმა და დადებითი შედეგები გამოიღო,რაც საერთაშორისო კვლევებითა და შეფასებებითაც დასტურდება.

საქართველოს ეკონომიკაში განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციებიდან ცალკე უნდა გამოიყოს ევროკავშირის, როგორც საქართველოს სტრატეგიული პარტნიორის მიერ განხორციელებული ინვესტიციები, რომელთა მოცულობამ 2014 წელს 640,507.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 64%-ით მეტია ვიდრე 2013 წლის მაჩვენებელზე, ხოლო 45%-ით აღემატება 2012 წლის და 158%-ით 2010 წლის დონეს, მაგარმ 44%-ით ჩამორჩება 2007 წლის მაჩვენებელს, როდესაც ინვესტიციების მოცულობამ ყველაზე მაღალ ნიშნულს მიაღწია. 2014 წელს შემოსული ინვესტიციების მიხედვით ევროკავშირის ქვეყნების ტოპ-ათეული შემდეგნაირად გამოიყურება: წინა წელთან შედარებით ძირითადად არ შეცვლილა უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების ათეული, მხოლოდ ზოგიერთმა ქვეყნებმა დაიკავეს განსხვავებული ადგილები ათეულში მაგ: საფრანგეთი მეშვიდე ადგილიდან გადავიდა მეხუთეზე, ლუქსემბურგი მეორედან მესამეზე, ლიტვა საერთოდ აღარ მოხვდა ათეულში და ა.შ მაშინ , როდესაც 2012 წელს ინვესტორ ქვეყნების სიაში ლიდერობდა გერმანია, 2013-2014 წლებში ის ათეულშიც ვერ შევიდა.

**დასკვნა**

ისტორიული თვალსაზრისით არცთუისე დიდი დრო გავიდა მას შემდეგ რაც მთავრობებმა გააანალიზეს პირდაპირი ინვესტიციების გადამწყვეტი როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის.

საქართველო მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან შემოდინებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე, რაც ერთი მხრივ მათზე დამოკიდებულებას, ხოლო მეორე მხრივ საქართველოსადმი დაინტერესებაზე მეტყველებს. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე, მნიშვნელოვანი ოდენობით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებით საქართველოში,

სულ რამდენიმე ქვეყანაა დაინტერესებული. ჩვენი აზრით, რომ არა საქართველო-რუსეთის ომი და მსოფლიო ფინანსური კრიზისი, საქართველო მომდევნო წლებშიც შეინარჩუნებდა და შეიძლება გააუმჯობესებდა კიდეც ომამდელ მაჩვენებელს, რისი თქმის საფუძველსაც იძლევა.ევროკავშირის 28 ქვეყნიდან თითქმის ყველას (26) ქვეყანას აქვს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში.

2008 წლიდან 2014 წლის პირველ კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განმახორციელებლები ძირითადად საშინაო ბაზრის ათვისებით იყვნენ დაინტერესებულნი, მეორე ადგილზე გავიდა ეფექტიანობის მაძიებელი ინვესტიციები, მესამეზე კი რესურსების მაძიებელი. ძირითადი მოტივი კი რესურსების დაუფლება და ადგილობრივი ბაზრის ათვისება გახლავთ. კონტრიბუციის ინდექსის თანახმად, საქართველო უცხოური კაპიტალით დაფუძნებული საწარმოების გავლენით, არამხოლოდ უსწრებს სხვა დანარჩენ რეგიონებსა და ქვეყნებს, არამედ ლიდერია თითოეული მიმართულების მიხედვით. ქართული ექსპორტი მეტწილად უცხოური ინვესტიციების ხარჯზე ვითარდება. ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შედეგად საქართველოს გაუჩნდა ახალი შესაძლებლობები პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად.აღსანიშნავია, რომ ევროპული პოლიტიკის სამოქმედო გეგმა გულისხმობს იმას, რომ ღია ეკონომიკა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას. სამწუხაროდ ჩვენი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის მთავარი პრობლემა კვლავ უარყოფითი სავაჭრო ბალანსია. ფაქტია, რომ ჯერ-ჯერობით საინვესტიციო გარემო და ბიზნესკლიმატი მეწარმეებისთვის ვერ ქმნის სათანადო პირობებს აქტიურობისა და სტიმულირებისთვის.აღსანიშნავია ის ფაქტი , რომ 2017 წლის 28-29 ნოემბერს განხორციელდა მასშტაბური საერთაშორისო ღონისძიება ,, თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმი'', სადაც მონაწილეობას იღებდა 800-ზე მეტი სტუმარი( აშშ, ჩინეთი, აზერბაიჯანი, ყირგიზეთი, მსოფლიოს საინვესტიციო კომპანიების პირველი პირები და სხვა). აღნიშნულ ფორუმს დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ინვესტიციების მოზიდვისა, ისე ახალი ეკონომიკური პროექტების განხორციელების თვალსაზრისით, როგორც ქვეყნისთვის ასევე დედაქალაქისთვის.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. საქართველოს კანონი „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ",2002.N 1519 http.//www.matsne.gov.ge
2. სიჭინავა ალ.ინვესტიციები/ლექციების კურსი/.თბილისი,2002.გვ.24;25
3. ჭარაია ვ. „პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის",დისერტაცია.თბილისი 2015.გვ.15
4. პაპავა ვ. „პოსტვარდისფერი საქართველოს ეკონომიკური განვითარების ძირითადი გამოწვევები'. ექსპერტის აზრი,N 4.საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევების ფონდი.თბილისი,2013.
5. რ.აბესაძე ვ.ბურდული „საერთაშორისო ბიზნესის გავლენა საინვესტიციო აქტიურობაზე", საერთაშორისო სამეცნიეო-პრაქტიკული კონფერენცია: გლობალიზაცია,საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვითარების ტენდენციები. შრომების კრებული.თბ.,2012 გვ.303-304
6. Abesadze R., Burduli V. Innovative Activities and their Coordination under Advancing Globalization.-The Caucasus &Globalization.CA & CCPress. SWEDEN.Vol.3,Issue 4, 2009p.68-89,pp.93-94.
7. Гадыршин И. Возможности снижения антидемпинговых мер в ходе экономической интеграции. - Общество и экономика. N7,2011..

♦♦♦

# უმუშევრობის გამომწვევი მიზეზები და შედეგები
# The reasons and consequences of unemployment

*ავტორ(ებ)ი- **შოთა კვარაცხელია, დანტე ქავთარაძე,** ხელმძღვანელი-ასოც. პროფ. **ხათუნა თოდუა,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*Author(s)-**Shota Kvaratskhelia, Dante Kavtaradze,** Supervisor- Assoc. Prof. **Khatuna Todua** Akaki Tsereteli State University*

***Abstract***

*The article discusses the essence of unemployment, to understand his political, economical and philosophical perspective, negative and positive results caused by unemployment, causes of reason as well as unemployment statistics on different countries. The article deals with unemployment levels in Georgia, it is also*

*comparable to our country's statistical data on unemployment levels with other developing and developed countries*

*Key Words : Unemployment, Social-Economic of unemployment.*

უმუშევრობა საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა და მაკროეკონომიკური განვითარების არასტაბილურობის ძირითადი ინდიკატორია, რომლის დროს შრომისუნარიანი მოსახლეობის ერთი ნაწილი ვერ პოულობს სამუშაოს, იქცევა „ჭარბ" მოსახლეობად და ქმნის შრომის სარეზერვო არმიას. უმუშევრობა, როგორც სოციალური მოვლენა, განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა მე-19 საუკუნეში, მე-20 საუკუნის განმავლობაში კი გახდა მრავალი ქვეყნის ეკონომკური თანამგზავრი. ევროპაში, ჩრდილოეთ ამერიკაში, ავსტრალიასა და მრავალ განუვითარებელ ქვეყანაში უმუშევრობის პრობლემა განსაკუთრებით გამწვავდა მე-20 საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში, რამდენადაც მსოფლიოში დაიწყო 30-იანი წლების დროინდელი დიდი დეპრესიის მსგავსი უდიდესი დაქვეითება.

უმუშევრობის მაღალი ნორმა, ეკონომიკური გაგებით არის რესურსების ნაწილობრივი გამოყენება, ნაკლები პროდუქციის წარმოება და, შესაბამისად, მოსახლეობის დაბალი შემოსავალი. ხოლო პოლიტიკური გაგებით, უმუშევრობა მიჩნეულია „სოციალურ დინამიტად". რომელიც შეიძლება ყოველ წამს აფეთქდეს და დაემუქროს არსებულ ეკონომიკურ სისტემას. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უმუშევრობა ბადებს არასრულფასოვნების კომპლექს. სამუშაოს დაკარგვა ისეთი ფსიქოლოგიური ტრავმაა, რომელიც ახლობლის დაკარგვით გამოწვეულ სტრესს თუ შეედრება. იგი ამწვავებს ოჯახურ ურთიერთობას და საზოგადოებაში ემოციურ დაძაბულობას აღრმავებს. სამართლებრივი თვალსაზრისით, უმუშევრობა კონსტიტუციური მოთხოვნის დარღვევაა. ამ შემთხვევაში ოჯახი კარგავს მარჩენალს. საბოლოო ანგარიში, იზრდება კრიმინალურ დამნაშავეთა რიცხვი. უმუშევრობის არსის უკეთ გასაგებად მნიშნელოვანია მისი **მიზეზების** გამოვლენა. ადამიანები უმუშევრები არიან სხვადასხვა მიზეზის გამო. ეს მიზეზები შეიძლება უკავშირდებოდეს მათ მოტივაციას, არსებული სამუშაოს ხასიათს, პროფესიულ უნარ-ჩვევებს, სამუშაო ძალად მათი ყოფნის ვადასა და ეკონომიკის საერთო მდგომა-

რეობას. უმუშევრობა მწვავე პრობლემაა და მასთან დაკავსირებული ეკონომიკური და სოციალური ხასიათის უარყოფითი მოვლენები. უმუშევრობის მთავარი უარყოფითი შედეგი ისაა, რომ პროდუქტის წარმოების პოტენციური შესაძლებლობის ნაწილი სამუდამოდ ეკარგება საზოგადოებას, ე.ი ფაქტობრივად იწარმოება იმაზე ნაკლები, ვიდრე შესაძლებელი იყო სრული დასაქმების პირობებში. უმუშევრობის უარყოფითი შედეგი არ ამოიწურება წარმოების დანაკარგებით. იგი ამავე დროს სოციალური ტრავმაცაა. სამუშაოს დაკარგვა იწვევს დეკვალიფიკაციას, საკუთარი თავის არასრულფასოვნების სინდრომს, ოჯახის ნგრევას, საზოგადოებრივ დაბაბულობას. უმუშევრობის ეკონომიკური დანაკარგები ძირითადად დაკავშირებულია პროდუქციის გამოუშვებლობასთან.

უმუშევრობის მეორე მნიშვნელოვანი ეკონომიკური დანაკარგია შემოსავლის შემცირება. უმუშევრობა მკვეთრად ამცირებს არა მარტო თვით უმუშევრის შემოსავალს, არამედ სახელწიფოს შემოსავალსაც. უმუშევრობით გამოწვეულ ეკონომიკურ დანაკარგებზე მსჯელობისას არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ რესურსების სოლიდურ დანაკარგებთან დაკავშირებული ისეთი მნიშნელოვანი მომენტებიც, როგორიცაა: კაპტალისა და „ტვინის“ გადინება, დანაზოგებისა და სყიდვით უნარიანი მოთხოვნების შემცირება, მოთხოვნის შემცირება, მიწოდების შეკვეცა და ა.შ.

უმუშევრობა, როგორც მაკროეკონომიკური არსტაბილურობის გამოვლინება, საბოლოო ანგარიშით, რა თქმა უნდა, ნეგატიური მოვლენაა, მაგრამ ცალკეული დადებითი მომენტები მის შედეგებსიც შეინიშნება:

- ფრიქციული უმუშევრება, რაღაც ზომით სასურველადაც ითვლება იმიტომ, რომ მრავალი მომუშავე დაბალანაზღაურებადი სამუშაოდან გადადის უფრო მარალანაზღაურებად სამუშაოზე.
- უმუშევრობის არსებობა ზრდის პროფკავშირების აქტიურობას უმუშევართა ინტერესების დასაცავად, რასაც დასაქმებასთან ერთად თან სდევს ხელფასების მომატება.
- უმუშევრები ერთიმეორის კონკურენტები არიან, ამიტომ ცდილობენ დამქირავებლებს უფრო სრულყოფილი სამუშაო ძალა შესთავაზონ და ინტენსიურად იმაღლებენ პროფესიონალიზმს.

აღნიშნული მიზეზების გამო, ზომიერ უმუშევრობას საბაზრო ეკონომიკის განვითარების აუცილებელ თანამგზავრად მიიჩნევენ.

უმუშევრობა საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და რთულად მოგვარებადი პრობლემაა. ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) 2015 წლის მაისის სოციოლოგიურმა კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს მოსახლეობის 67% ყველაზე პრობლემატურ საკითხად სამუშაო ადგილების უკმარისობას მიიჩნევს. სექტემბრის კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 66% თავს დაუსაქმებლად თვლის. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მიხედვით კი 2014 წელს საქართველოში უმუშევრობის დონე (უმუშევრების პროცენტული რაოდენობა სამუშაო ძალაში) 12.4% იყო. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, გავარკვიოთ, თუ რატომ არის ასეთი დიდი სხვაობა ოფიციალურ სტატისტიკასა და უმუშევრობის თემაზე ჩატარებული სოციოლოგიური კვლევების შედეგებს შორის. ადამიანის მიერ საკუთარი უმუშევრობის აღქმა ხშირად არ ემთხვევა ოფიციალური სტატისტიკური მეთოდოლოგიით განსაზღვრულ უმუშევრობას. მაგალითად, ბევრი, ვისაც სასურველი სამსახური არა აქვს, მაგრამ მუშაობს, თვლის, რომ უმუშევარია. ასევე მიაჩნია, თუკი უმაღლესი განათლება აქვს და შესაფერის ადგილზე არ მუშაობს. ხშირად ადამიანი თავს მხოლოდ მაშინ აღიქვამს დასაქმებულად, თუ ხელფასი აქვს დანიშნული (დაქირავებულია). ასე გაჩნდნენ „უმუშევარი“ ტაქსის მძღოლები, საცალო ვაჭრობით დაკავებული ფიზიკური პირები, სოფლის მეურნეობაში საკუთარ მიწაზე დასაქმებულები და ა.შ. ოფიციალური სტატისტიკით კი ისინი უმუშევრებად არ ითვლებიან.

**ცხრილი1.**

| | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა), ათასი კაცი | 2023.9 | 2021.8 | 1965.3 | 1917.8 | 1991.8 | 1944.9 | 1959.3 | 2029.1 | 2003.9 | 1991.1 | 2021.5 | 1998.3 |
| დასაქმებული, ათასი კაცი | 1744.6 | 1747.3 | 1704.3 | 1601.9 | 1656.1 | 1628.1 | 1664.2 | 1724.0 | 1712.1 | 1745.2 | 1779.9 | 1763.3 |
| უმუშევარი, ათასი კაცი | 279.3 | 274.5 | 261.0 | 315.8 | 335.6 | 316.9 | 295.1 | 305.1 | 291.8 | 246.0 | 241.6 | 235.1 |
| უმუშევრობის დონე, პროცენტებში | 13.8 | 13.6 | 13.3 | 16.5 | 16.9 | 16.3 | 15.1 | 15.0 | 14.6 | 12.4 | 12.0 | 11.8 |

საქართველოს 2014 წლის უმუშევრობის დონეს თუ შევადარებთ ევროკავშირის ქვეყნების იმავე წლის უმუშევრობის დონეს, აღმოჩ-

ნდება, რომ ევროკავშირის 28 ქვეყნიდან 8-ში უფრო მაღალი უმუშევრობაა, ვიდრე საქართველოში. თუმცა 2016 წლის მონაცემეთიბ ჩანს რომ უმუშევრბის დონემ კიდევ უფრო მოიმატა და ამ დროისთვის მხოლოდ ხუთ ქვეყანაზე უკთესი შედეგი გვაქვს.

**ცხრილი 2.**




წყარო: შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია.

საქართველოს შედარებით დაბალი მაჩვენებელი განპირობებულია უმუშევრობის დახმარების არარსებობით, მინიმალური ხელფასის ქვედა ზღვრის ფაქტობრივად არარსებობითა და სოფლის მოსახლეობაში არსებული დაბალი უმუშევრობის დონით. ვინც სოფელში მიწაზე შრომობს ან მეცხოველეობას ეწევა, ყველა დასაქმებულად ითვლება. სოფლის მოსახლეობის წილი კი საქართველოს მთლიან მოსახლეობაში დაახლოებით 45%-ია. ოფიციალური სტატისტიკით, სოფელში უმუშევრობის დონე 5.4%-ია, ხოლო ქალაქში – 22.1%.

ბევრი ევროპული ქვეყნისთვის შრომის ბაზრის ლიბერალიზაცია ერთ- ერთი გზაა უმუშევრობის შესამცირებლად, საქართველოში კი მეტი ლიბერალიზება ფაქტობრივად შეუძლებელია და დასაქმების ამაღლების მხრივ მნიშვნელოვანი გავლენა არ ექნება. საქართველოში უმუშევრობას (დიდწილად თვითდასაქმებულობასაც) ორი მნიშვნელოვანი მიზეზი აქვს: მცირე ეკონომიკა და სამუშაო ძალის არასასურველი კვალიფიკაცია. საქართველოს ეკონომიკა დაახლოებით $15 მილიარდია, ერთ ადამიანზე მოდის საშუალოდ $4 ათასის

წლიური შემოსავალი, როდესაც განვითარებულ ქვეყნებში ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი $15 ათასიდან იწყება. დღეისათვის ფიზიკურად არ არსებობს საქართველოში იმდენი სამუშაო ადგილი, რამდენი სამუშაოს მსურველიც არის გარკვეული ხელფასის სანაცვლოდ. შესაბამისად, მოკლევადიან თუ გრძელვადიან პერიოდში, უმუშევრობის შემცირების ერთადერთი გზა საქართველოს ეკონომიკის ზრდა და, აქედან გამომდინარე, სამუშაო ადგილების მატებაა. საქართველოში საშუალო და უმაღლესი განათლების არასასურველი ხარისხის გამო პრობლემაა საშუალო და მაღალკვალიფიციური კადრების მოძიება. ასიათასობით უმუშევარს არა აქვს ის კვალიფიკაცია და ცოდნა, რაც ხშირად ამა თუ იმ ვაკანსიის დასაკავებლადაა საჭირო. 21-ე საუკუნეში კი გლობალიზაცია და თანამედროვე ტექნოლოგიები გაძლევს საშუალებას, მხოლოდ შენი ქვეყნის შიდა შრომის ბაზარზე არ ჩაიკეტო და ბევრ სხვა ქვეყანაში მოძებნო გაცილებით მაღალანაზღაურებადი სამსახური. მთავრობას უმუშევრობის პრობლემის თანდათანობით გადასაჭრელად ერთადერთი გზა რჩება: ხელი შეუწყოს ქვეყნის მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპის მიღწევას და პარალელურად განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე იზრუნოს. ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა კი მრავალ კომპონენტს გულისხმობს, როგორიცაა: პოლიტიკური სტაბილურობა, უსაფრთხოება, კერძო საკუთრების უკეთესად დაცვა, მაკროეკონომიკური სტაბილურობა, საერთაშორისო სავაჭრო-საინვესტიციო ურთიერთობების გაფართოება და აშ.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ უმუშევრობა მსოფლიოსთვის უპირველეს პრობლემას წარმოადგენს და განვითარებულ ქვეყნებშიც კი უმუშევართა მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია, თუმცა სტატისტიკური ინფორმაცია გვიჩვენებს, რომ ეს პრობლემა, როგორც საქართველოში ისე მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, ნელ-ნელა იკლებს, მაგრამ იმის გათვალისწინებით, თუ როგორ გამოითვლება უმუშევრობის დონე ან უმუშევართა რიცხვი შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს მხოლოდ ციფრებია და რეალურ მდგომარეობას ვერ ასახავს.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. მერაბ ვანიშვილი, ელგუჯა მექვაბიშვილი, „ეკონომიკის საფუძვლები“, 2007 წ.

2. http://geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo
3. http://forbes.ge/news/960/umuSevrobis-problema
4. http://netgazeti.ge/news/41235/
5. ეკა გეგეშიძე, „მთლიანი შიდა პროდუქტი და ეკონომიკური ზრდა" თბილისი 2010 წ.

♦♦♦

## „არის თუ არა საჭირო ეროვნული ვალუტა?"
## "Is national currency necessary?"

*ავტორ(ებ)ი - **მარიამ კინწურაშვილი, შორენა შენგელია,** ხელმძღვანელი- **ქეთო შონია,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*Author(s) - **Mariam Kinwurashvili, Shorena Shengelia,** Supervizor - **Keto Shonia**, Akaki Tsereteli State University*

***Abstract***

*There are themes that do not lose their actuality in the society. One of them is the exchange rate of Lari. In spite of the fact that the Lari rate is strengthened or impaired, the change is always a cause for concern and panic. In this topic, we are talking about factors and reasons that cause impairment of the Lari course. What causes a drop in the exchange rate and how it affects the prosperity of the population, what threats should we expect from the depreciation of the Lari. At the end of the topic we are discussing what measures should be addressed to solve the existing problem.*

*Key Words: impaired, exchange rate, factors, reasons, prosperity, depreciation, measure, discussing, solve the problem.*

ვალუტა - ეს არის ფულის ეროვნული ერთეული. საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი,გადახდის ერთადერთი საშუალება საქართველოს ტერიტორიაზე.სიტყვა „ლარი",რომელიც შეირჩა ქართული ეროვნული ვალუტის ძირითადი ერთეულის სახელწოდებად, ძველი ქართული სიტყვაა და ნიშნავს ზოგადად განძს,ქონებას. სახელწოდება „ლარი" ქართული ფულის ერთეულის დასახელებად 1991 წელს წამოაყენა აკადემიკოსმა ვასილ ჩანტლაძემ მინისტრთა კა-

ბინეტისთვის შედგენილ პროექტში.

საქართველოს ტერიტორიაზე ფულის ნიშნების გამოშვება შეუძლია განახორციელოს მხოლოდ და მხოლოდ ეროვნულ ბანკს. საქართველოს ეროვნული ბანკი წარმოადგენს საქართველოს ცენტრალურ ბანკს. კანონი მის შესახებ მიღებულ იქნა 1991 წლის 2 აგვისტოს პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს მიერ. საქართველოს ეროვნულ ბანკს ასევე აქვს ექსკლუზიური უფლება დაამზადოს მიმოქცევის ან სხვა მიზნით, სამახსოვრო ფულის ნიშნები. მისი სტატუსი განსაზღვრულია ქვეყნის კონსტიტუციით და მისი საქმიანობის უმთავრესი მიზანი ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფაა. პირველი ცენტრალური ბანკი საქართველოში 1919 წელს შეიქმნა. იგი დღევანდელი სახით, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს ცენტრალური ბანკი, 1991 წლიდან არსებობს.

ლარის კურსი-ფრაზა, რომელსაც პროფესიის მიუხედავად ყველა ყველაზე ხშირად ახსენებს, თუმცა, როდესაც ეკონომიკის მაღალი დოლარიზაციის პირობებში, ეროვნული ვალუტის კურსი დოლართან მიმართებაში 20%-ზე მეტად იცვლება და როდესაც მკვეთრი ცვლილებები რამდენიმე დღეში ხდება, ამგვარი დაინტერესება და საკითხის ამგვარი აქტუალობა სრულიად ბუნებრივია.

ყველაზე ხშირად ლარის კურსის ცვლილების მიზეზებზე და პროგნოზებზეა საუბარი, თუმცა ორივე ამ მიმართულებით ბუნდოვანება საკმაოდ დიდია, გამომდინარე იქიდან, რომ ლარის დოლართან მიმართებაში დაცემის უამრავი მიზეზი სახელდება, რომლებიც ხშირად ერთმანეთს ეწინააღმდეგება, რთულია ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა, თუ რამ გააუფასურა ლარი, არანაკლები ბუნდოვანებაა პროგნოზების მიმართულებითაც. კურსის პროგნოზირებას ახალი სტატისტიკა სჭირდება მაგრამ, დღეს ჩვენ შევეცდებით, ჩვენი გადმოსახედიდან გესაუბროთ ლარის გაუფასურების მიზეზებსა და შედეგებზე და შეძლებისდაგვარად ავხსნათ, თუ რა გავლენას ახდენს ლარის გაუფასურებამოსახლეობის კეთილდღეობაზე.

რატომ გაუფასურდა ლარი?

ვალუტის გაუფასურება მრავალი ფაქტორით შეიძლება აიხსნას:

1.ეკონომიკა,რომელიც ვერ უზრუნველყოფს დოლარის მოზიდვას: ლარის სტაბილურობა, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული უცხოურ ვალუტებსა და გრანტებზე, ვინაიდან,

ქვეყნის ეკონომიკა ვერ უზრუნველყოფს იმ მოცულობის უცხოური ვალუტის მოზიდვას, რომელიც ლარის სტაბილურობას შეუწყობს ხელს. ესეიგი ლარის კურსი უფასურდება იმ შემთხვევაში, როცა მცირდება საქართველოში შემოსული დოლარის ნაკადები.

2. ეკონომიკური ზრდა და ექსპორტ/იმპორტის დინამიკა-ეკონომიკური აქტივობა ლარის კურსის მნიშვნელოვანი ელემენტია. 2010 წლიდან საქართველოს ეკონომიკური ზრდა თანდათან მცირდება. 2010 წლის მონაცემებით ის 6,1%-ს შეადგენდა, 2016 წელს კი 2,8%-მდე დაეცა.

**ცხრილი 1.**

**საქართველოს ეკონომიკური ზრდა**

| ეკონომიკური ზრდა | |
|---|---|
| 2013 წელი | 6% |
| 2014 წელი | 4,6% |
| 2015 წელი | 2,8% |
| 2016 წელი | 2,8% |

3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები- 2015-16 წლებში უცხოური ინვესტიციების რიცხვმა საგრძნობლად იმატა და 1565 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, თუმცა საქსტატის წინასწარი მონაცემებით 2017 წლის ბოლოსთვის ეს რიცხვი რადიკალურად შემცირდება და 751 მლნ აშშ დოლარამდე დაეცემა.

4.ფულადი გზავნილები-ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინების მნიშვნელოვანი წყარო და ლარის სტაბილურობის ერთ-ერთი მაჩვენებელია. ფულადი გზავნილების უმთავრესი წყარო საქართველოდან უცხოეთში ემიგრირებული ქართველი მოსახლეობის მიერ გამოგზავნილი თანხებია, შესაბამისად, გზავნილების რეიტინგში ის ქვეყნები ლიდერობენ, სადაც მეტი ემიგრანტი ცხოვრობს. 2017 წლის ათი თვის მონაცემებით, წელს ფულადი გზავნილების სახით 1,11 მლნ აშშ დოლარი შემოვიდა, რაც 2016 წელთან შედარებით 19,7%-ით მეტია.

**ცხრილი 2.**

**საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები**

| წელი | მლნ აშშ დოლარი |
|---|---|
| 2010 | 814,5 |
| 2011 | 1117,2 |
| 2012 | 911,6 |
| 2013 | 941,9 |
| 2014 | 1758,4 |
| 2015 | 1564,5 |
| 2016 | 1565,9 |
| 2017 | 751,0 |

5.ტურიზმი-ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინების მნიშვნელოვანი წყაროა. ტურისტების რაოდენობის ზრდა, როგორც წესი, ზრდის უცხოური ვალუტის შემოდინების ნაკადს.

**ცხრილი 3.**

**ქვეყანაში შემოსული ტურისტების რაოდენობა**

| | 2017 წლის იანვარ-ოქტომბერი |
|---|---|
| საერთაშორისო მოგზაური | 6,430,824 |
| ტურისტი | 3,042,907 |
| შემოსავალი (მლრდ აშშ დოლარი) | 1,1 |
| წილი მშპ-ში (%) | 6,8 |

ახლა კი დროა დავსვათ კითხვა: „ რა არის ცუდი გაუფასურებაში და მაინც, რატომ უნდა ვდარდობდეთ იმაზე, რომ ლარი დოლართან მიმართებაში გაუფასურდა. რა საფრთხეებს უნდა ველოდოთ ლარის გაუფასურებით?“

ლარის კურსის გაუფასურებამ უკვე ზიანი მიაყენა ქვეყნის ეკონომიკას და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ შესაძლებლობებს,

რადგან:

1.ვალუტის კურსის მნიშვნელოვნად მერყეობა ნიშნავს არასტაბილურ მაკროეკონომიკურ გარემოს.

2.ბიზნესს იზიდავს სტაბილური გაცვლითი კურსი,რადგან ამ დროს არ არსებობს სავალუტო რისკები.

3.საქართველოში კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების 60% არის დოლარში. ლარში ეს არის 7,1 მლრდ ლარის სესხი. ყველა იურიდიული თუ ფიზიკური პირი, რომელსაც დოლარში აქვს სესხი, დაზარალდა კურსის გაუფასურების შედეგად, რადგან სესხის დასაფარად მათ დოლარის შესყიდვა უხდებათ.

4.საქართველოს სახელმწიფო ვალის 79% არის საგარეო ვალი. საგარეო ვალი 2017 წლის დასაწყისში 4,548,188 აშშ დოლარი იყო, რაც ლარში 12,307,850 უდრის. ოქტომბრის თვეში კი საგარეო ვალი გაიზარდა და 5,001,580 აშშ დოლარი შეადგინა, რაც ლარში 12,940,588 შეადგენს.

5.კურსის გაუფასურების შეჩერებას შეეწირა 80 მლნ აშშ დოლარის უცხოური ვალუტის რეზერვი. ვალუტის რეზერვი ქვეყნის ფინანსური სტაბილურობისა გარანტია და მისი გამოყენება უკიდურეს შემთხვევაში ხდება.

ლარის გაუფასურებით მოგებულნი დარჩებიან:

-ექსპორტიორები-ადგილობრივი ნაწარმის გატანა საზღვარგარეთ;

-დეპოზიტარები-დეპოზიტების 60% უცხოურ ვალუტაშია და ვიანიდან ამ თანხის დიდი ნაწილი დოლარშია განთავსებული, დანაზოგების რეალური ღირებულება გაიზრდება;

ლარის გაუფასურებით წაგებულნი დარჩებიან:

-მოსახლეობა-რომელსაც გაუძვირდა იმპორტი;

-მსესხებლები-სესხის 60% უცხოურ ვალუტაშია გაცემული და მსესხებლებს უძვირდებათ კრედიტის მომსახურების ხარჯები.

„მოგებული“ და „წაგებული“ პირობითი შეფასებაა, მნიშვნელოვანია საბოლოო შედეგი, ანუ პოზიტივი გადაწონის, თუ ნეგატივი.

რაშია გამოსავალი?

არსებობს პრობლემის გადაჭრის ორი გზა:

1.ლარის სტაბილურობის მხარდაჭერა კვლავ საგარეო კრედიტებით, რაც წლების მანძილზე ხდებოდა;

2.ეროვნული ვალუტის სტაბილურობის მიღწევა ეკონომიკური ზრდით,რომელიც წლების მანძილზე არ ხდებოდა;

ასევე ხელისუფლებამ უნდა შეძლოს შეცდომებზე სწავლა. უკვე კარგად ვიცით, რომ

1. მაღალი ბიუჯეტის დეფიციტი ლარის კურსისთვის და მთლიანად ეკონომიკისთვის სახიფათოა;

2. ეკონომიკაში რეგულირების გამკაცრებით და სახელმწიფოს როლის გაძლიერებით ვერ მივაღწევთ მივიღეთ ექსპორტის ზრდაზე ორიენტირებული ეკონომიკა;

3. უნდა გაგრძელდეს რეფორმები ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების მიმართულებით;

საბოლოო სურათი ასეთია: ლარი არ დაუბრუნდება პურვანდელ კურსს, მაგრამ ახალ წონასწორობის წერტილზე გაჩერდება, თუმცა ეს დროებითი სტაბილურობა იქნება, რადგან თუ ფუნდამენტურად არ გადაიხედა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა, საიდანაც გამომდინარეობს ლარის გაუფასურების სტატისტიკური მიზნები, ჩვენი ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილურობა მუდმივი საფრთხის ქვეშ იქნება.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1.www.ipress.ge
2.www.idfi.ge
3.www.forbes.ge
4.www.lari.ge

♦♦♦

## ვალუტის კურსზე მოქმედი ფაქტორები
## Factors operating at the currency rate

*ავტორი - **მარიტა ბობოხიძე,** ხელმძღვანელი - ასოც. პროფ. **ზვიად ბეშკენაძე,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*Author-**Marita Bobokhidze,** Supervizor - Assoc. Prof. **Zviad Beshkenadze,** Akaki Tsereteli State University*

***Abstract***

*In the conference theme presented by Marita Bobokhidze, "Current Factors on Currency Course", are focused on the main factors that affect on currency rates. The author presents all the factors directly related to the currency and affects its course. In this topic the conversation is about the general currency rate, which is the basis of the currency rate. There is also a fixed currency exchange rate and floating exchange rate, which are the currency exchange regulatory instruments. After that, there begins the extension of the basic idea of the topic, so the conversation is about the factors which affect on the currency rate. Here are emitted the structural and conjunctural factors, that show which belong to each of them and in what period of time they operate on the currency course. After that, there becomes determination of the fundamental (economic) and non-economic charachter of the currency course. At the end of the work, it is set up by 13 major factors that directly affect on the currency rate. There is extensively discussed what is meant in these factors, what is their impact on the currency rate and not only on the currency rate.*
***Key Words** :Currency exchange, currency parity, fixed exchange rate, floating exchange rate, currency intervention.*

**ვალუტის კურსი** არის ეროვნული ვალუტა გამოხატული სხვა ქვეყნის ფულად ერთეულში ყიდვა–გაყიდვის ოპერაციების დროს. ანუ, სავალუტო კურსი წარმოადგენს ერთი ქვეყნის ფულადი ერთეულის „ფასს“ გამოხატულს სხვა ქვეყნის ფულად ერთეულში. სავალუტო კურსის დონე ინსაზღვრება მეორე ქვეყნის ვალუტის კურსის დონით.

ვალუტებს შორის დამყარებულ ამ თანაფარდობას, რომელიც შეესაბამება მათ ოქროს შედგენილობას და განსაზღვრულია საკანონმდებლო წესით ეწოდება **სავალუტო პარიტეტი.** პარიტეტი წარმოადგენს ვალუტის კურსის საფუძველს. თუმცა, ვალუტის კურსი, როგორც წესი, გადახრილია სავალუტო პარიტეტიდან (ს.პ).

სავალუტო კურსის რეგულირების კუთხით მსოფლიო პრაქტიკაში ზოგადად გამოიყოფა: **ფიქსირებული სავალუტო კურსი** და **მცურავი სავალუტო კურსი**..

**ფიქსირებული სავალუტო კურსი** ისეთი კურსია, რომელიც დგინდება (რეგულირდება) მთავრობის (ცენტრალური ბანკის) მიერ და გარკვეული პერიოდის მანძილზე უცვლელია და სავალდებულოა მისი გამოყენება საერთაშორისო ანგარიშსწორებაში (ამ დროს ცენტრალური ბანკი კურსის ერთ დონეზე შენარჩუნების მიზნით ახორციე-

ლებს ინტერვენციებს). ფიქსირებული კურსის კლასიკურ ფორმას წარმოადგენს „ოქროს სტანდარტის" სავალუტო სისტემა, როდესაც თითოეული ქვეყანა ადგენს თავისი ვალუტის ერთეულის ოქროს შემადგენლობას.

ფიქსირებული სავალუტო სისტემა საშუალებას იძლევა გადაჭრილ იქნას მოკლევადიანი პრობლემები, რომელიც პირველ რიგში დაკავშირებულია ინფლაციის მაღალ დონესთან და ეროვნული ვალუტის არასტაბილურობასთან.

**თავისუფლად მცურავი (მოქნილი) სავალუტო კურსი** განისაზღვრება სავალუტო ბაზარზე მოთხოვნა–მიწოდების ურთიერთქმედებით (ამ დროს ცენტრალური ბანკი არ ერევა კურსის ფორმირებაში – არ ახორციელებს ინტერვენციებს სავალუტო ბაზარზე). სავალუტო ბაზარი წონასწორდება საფასო, ანუ საკურსო მექანიზმით.

ის გამოიყენება მაღალი შემოსავლის მქონე საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში.

არსებობს რიგი ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებენ ვალუტის კურსისფუნდამენტალური წონასწორობის ცვლილებაზე.

ნებისმიერი აქტივის ფასი, ერთი ვალუტის მიმდინარე კურსი, გამოხატული მეორე ვალუტაში, ექვემდებარება რყევებს, ეს რყევები დაკავშირებულია მოთხოვნისა და მიწოდების ცვლილებასთან. ამ ფაქტორებს ყოფენ – **სტრუქტურულ** და **კონიუქტურულ** ფაქტორებად.

**სტრუქტურული ფაქტორებს** მიეკუთვნება ფაქტორები, რომლებიც ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ზემოქმედებენ, როგორიცაა: მსოფლიო ბაზარზე ქვეყნის პროდუქციის კონკურენტუნარიანობა და მისი ცვლილება; ქვეყანაში ეროვნული შემოსავლის დონე და მისი ცვლილება; ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობა; ფულადი ერთეულის მსყიდველუნარიანობა და ინფლაციის ტემპები; სხვადასხვა ქვეყნებში საპროცენტო განაკვეთების ცვლილება; სავალუტო კურსის სახელმწიფო რეგულირება; ეკონომიკის გახსნილობის ხარისხი და სხვ.

**კონიუქტურული ფაქტორები**, ისეთი ფაქტორებია, რომლებიც იწვევენ ვალუტის კურსის მოკლევადიან მერყეობებს, როგორიცაა: სავალუტო ბაზრების საქმიანობა; სპეკულაციური სავალუტო ოპერაციები; კრიზისები, ომები, სტიქიური უბედურებები; მოლოდინები და პროგნოზები (პოლიტიკური, ეკონომიკური); ქვეყანაში და ძირითად

საერთაშორისო ბაზრებზე საქმიანი აქტივობის ციკლურობა და სხვ.

ვალუტის კურსის განმსაზღვრელ ფაქტორებს აგრეთვე ყოფენ **ფუნდამენტურ (ეკონომიკურ)** და **არაეკონომიკური ხასიათის** ფაქტორებად.

**ფუნდამენტური (ეკონომიკური) ფაქტორები** განსაზღვრავენ ამა თუ იმ ვალუტის ქცევაში გრძელვადიან ტენდენციებს. თავად ეს ფაქტორები განისაზღვრება ისეთი მაკროეკონომიკური მაჩვენებლებით, როგორიცაა: მშპ–ს დინამიკა, ინფლაციის ტემპები, საგადასახდელო ბალანსის, და უპირველესად, მისი მთავარი შემადგენლის – მიმდინარე ოპერაციის ანგარიშის მდგომარეობა. უშუალოდ ეროვნული ფულადი ერთეულის კურსზე ზემოქმედებას ახდენს ქვეყნის ფულადი ბაზარი.

**არაეკონომიკური ხასიათის ფაქტორები** გაცილებით მეტია. უფრო ხშირად ისინი დაკავშირებულია პოლიტიკურ პროცესებთან, როგორიცაა: პოლიტიკური ხელისუფლების ცვლილება, დებატები პარლამენტში, დაძაბულობა საერთაშორისო ურთიერთობებში და სხვ. არც თუ იშვიათად ვალუტის კურსის მოკლევადიანი მერყეობები წარმოადგენს ქვეყნის ხელმძღვანელობის წარმომადგენლების (უპირველესად ცენტრალური ბანკის) გაუფრთხილებელი ან მიზანმიმართული განცხადებების შედეგს.

განვიხილოთ ეს და სხვა ფაქტორები შედარებით ვრცლად.

**1.შრომის მწარმოებლობის შეფარდებითი ცვლილებები (კონკურენტუნარიანობა და მისი ცვლილება)**. შრომის მწარმოებლობის შეფარდებითი ზრდას გრძელვადიან პერსპექტივაში მივყავართ ეროვნული ფულის შეფარდებითი მსყიდველუნარიანობის ზრდასთან საქონელთან მიმართებაში და შესაბამისად ამ ქვეყნის ვალუტის კურსის გამყარებასთან.

რაც მაღალია წარმოების დანახარჯები და ფასები ქვეყანაში (შრომის მწარმოებლობა დაბალია) მსოფლიოსთან შედარებით, მით მეტად იზრდება იმპორტი ექსპორტთან შედარებით, რასაც მივყავართ ეროვნული ვალუტის გაუფასურებასთან, და პირიქით. ამან მიიღო „ მსყიდველობითი უნარის პარიტეტის" (მუპ) სახელწოდება. ვალუტის მსყიდველობითი უნარის პარიტეტი ეს არის- ორი ვალუტის ისეთი გაცვლითი კურსი, რომელიც ათანაბრებს თითოეულის მსყიდველობით უნარს სხვა თანაბარ პირობებში.

**2.ქვეყნის ეროვნული შემოსავლის ზრდა, შეფარდებითი ცვლილებები ქვეყნების ეროვნულ შემოსავალში.** ქვეყნის ეროვნული შემოსავლის ზრდა განაპირობებს იმპორტულ საქონელზე მოთხოვნის ზრდას, წარმოშობს მოთხოვნას იმპორტიორი ქვეყნის ვალუტაზე და ქმნის ეროვნული ვალუტის გაუფასურების ტენდენციებს. ხოლო სხვა ქვეყანაში ეროვნულ შემოსავლის ზრდასთან დაკავშირებული ექსპორტის ზრდა, ქმნის ექსპორტიორ ქვეყანაში ეროვნული ვალუტის კურსის ამაღლების ტენდენციებს. როცა ერთი ქვეყნის ეროვნული შემოსავლის ზრდა უსწრებს მის გადიდებას სხვა ქვეყნებში, მაშინ, მისი ვალუტის კურსი შემცირდება.

**3.ციკლური ხასიათის მერყეობები.** როდესაც ქვეყანაში ტარდება ექსპანსიონისტური ეკონომიკური პოლიტიკა- მთავრობა ამცირებს გადასახადების განაკვეთებს, ზრდის სახელმწიფო ხარჯებს. შედეგად ეკონომიკის ზრდის ტემპები და ერთობლივი მოთხოვნა იზრდება იმპორტზე. იმპორტის ზრდა განაპირობებს მოთხოვნის ზრდას უცხოურ ვალუტაზე, ე.ი. ეროვნული ვალუტის მიწოდების ზრდას და, საბოლოოდ, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის შემცირებას.საპირისპირო მოქმედებები მიმდინარეობს, თუ ქვეყანაში ტარდება რესტრუქციული ფისკალურ–ფულადი პოლიტიკა.

ზოგადად, ეროვნული ვალუტის კურსზე ზემოქმედებას ახდენს ციკლური მერყეობები არა მხოლოდ სამშობლოში, არამედ უცხოეთშიც.

**4.ფულადი მასის მოცულობა. მიმოქცევის სფეროში,** ფაქტორებიდან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ისეთი ფაქტორი, როგორიცაა მოცემული ქვეყნის ფულადი მასის შეფარდებითი რაოდენობა მსოფლიო მეურნეობის სხვა ქვეყნების ფულადი მიწოდების მთლიან რაოდენობასთან. სავალუტო კურსის ცვლილება ბოლოს და ბოლოს წარმოადგენს ნაციონალური ფულადი ერთეულების მოცულობებს შორის თანაფარდობის შედეგს. საერთაშორისო არენაზე, ისე როგორც საშინაო ბაზარზე, ვალუტის ღირებულება სხვა თანაბარ პირობებში მით ნაკლებია, რაც მეტია ის ბრუნვაში.

**5.ფასების შეფარდებითი ცვლილება (ინფლაციის ტემპი). მიმოქცევის სფეროში** ვალუტის კურსის ცვლილების გრძელვადიანი ტენდენციების განმსაზღვრელ ფაქტორებს მიეკუთვნება აგრეთვე **ინფლაცია.** რაც მაღალია ინფლაციის ტემპები ქვეყანაში, მით დაბალია მისი

ვალუტის კურსი, თუ ადგილი არ აქვს სხვა ფაქტორების უკუქმედებას. ფულის ინფლაციური გაუფასურება ქვეყანაში იწვევს მსყიდველუნარიანობის შემცირებას და მისი კურსის შემცირების ტენდენციას იმ ქვეყნების ვალუტასთან, სადაც ინფლაციის ტემპები უფრო დაბალია. მოცემული ტენდენციას ადგილი აქვს საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში.

**6.რეალური საპროცენტო განაკვეთების შეფარდებითი ცვლილება (სხვადასხვა ქვეყნებს შორის საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობა),** ანუ ნომინალური საპროცენტო განაკვეთი კორექტირებული ინფლაციით. ამ ფაქტორის ზემოქმედება ვალუტის კურსზე აიხსნება ორი ძირითადი გარემოებით. ჯერ ერთი, საპროცენტო განაკვეთების ცვლილება ქვეყანაში, სხვა თანაბარ პირობებში, ზემოქმედებს კაპიტალის საერთაშორისო მიგრაციაზე, უპირველესად მოკლევადიან პერიოდში. მეორე, სავალუტო კურსები ზემოქმედებენ სავალუტო, საკრედიტო, საფონდო ბაზრებზე განხორციელებულ ოპერაციებზე. უნდა აღინიშნოს რომ, უფრო ძლიერი ინფლაცია და უფრო დაბალი რეალური საპროცენტო განაკვეთები განაპირობებენ ვალუტის გაუფასურებას.

**7.საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობა.** პასიური ბალანსი -აუარესებს ამა თუ იმ ვალუტის მდგომარეობას მსოფლიო ბაზარზე, რამდენადაც მოთხოვნა უცხოურ ვალუტაზე აჭარბებს მის მიწოდებას; აქტიური ბალანსი – პირიქით აუმჯობესებს, რამდენადაც უცხოური ვალუტის მიწოდება აჭარბებს მასზე მოთხოვნას. საგადასახდელო ბალანსის არასტაბილურობა განაპირობებს შესაბამის ვალუტაზე მოთხოვნისა და მიწოდების ნახტომისებურ ცვლილებას.

**8.ცვლილებები სამომხმარებლო გემოვნებაში.** ნებისმიერი ცვლილებები სამომხმარებლო გემოვნებაში უცხოური ან სამამულო პროდუქციის სასარგებლოდ, ცვლიან უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნას და მიწოდებას და, აქედან გამომდინარე, ქვეყნის ეროვნული ვალუტის კურსს.

**9.განსაზღვრული ვალუტის გამოყენების ხარისხი ევროპულ და საერთაშორისო ანგარიშსწორებებში.** დღეისმდგომარეობით, ევრობანკების ოპერაციების 60 % და საერთაშორისო ანგარიშსწორებების 50% ხორციელდება დოლარებში, ამიტომ დიდია ამ ვალუტაზე მოთხოვნისა და მიწოდების მასშტაბები. შესაბამისად, საგარეო ვალებზე გადა-

სახდელების და მსოფლიო ფასების პერიოდული მატება ხელს უწყობს დოლარის კურსის ამაღლებას, მისი მსყიდველობითი უნარის შემცირების პირობებშიც კი.

**10.სავალუტო კურსის მომავალი დინამიკის მოლოდინები და სპეკულაცია**. უდავოა, რომ ვალუტის კურსზე ზემოქმედებს მისი მომავალი დინამიკის მოლოდინი. როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ამ მოლოდინებს განსაზღვრავს:

✓**ფულადი მასის მოსალოდნელი ცვლილება.**

✓**კერძო სექტორთან დაკავშირებული მოსალოდნელი სამთავრობო პოლიტიკა.**

✓**ვალუტის კურსის მოსალოდნელი ცვლილებიდან გამომდინარე საერთაშორისო გადახდების დაჩქარება და შეფერხება.**

✓**სავალუტო ბაზარზე სამთავრობო ინტერვენციის შედეგების მოლოდინი და სპეკულაციები.**

**11.ეროვნულ და მსოფლიო ბაზარზე ვალუტისადმი ნდობის ხარისხი.** ის განისაზღვრება ეკონომიკის მდგომარეობითა და პოლიტიკური სიტუაციით ქვეყანაში, ასევე ზემოდ განხილული ფაქტორებით, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ ვალუტის კურსზე. ამასთანავე, დილერები ითვალისწინებენ ეკონომიკური ზრდის ტემპებს, ინფლაციას, ვალუტის მსყიდველუნარიანობას, მასზე მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობას, ასევე მათი დინამიკის პერსპექტივას.

**12.სავალუტო პოლიტიკა.** ვალუტის კურსის რეგულირების სახელმწიფო და საბაზრო რეგულირების თანაფარდობა ზემოქმედებას ახდენს მის დინამიკაზე. ვალუტის კურსის სავალუტო ბაზარზე ფორმირებას ვალუტაზე მოთხოვნისა და მიწოდების მექანიზმით თან ახლავს კურსების თანაფარდობის მკვეთრი მერყეობები. ბაზარზე ყალიბდება რეალური საბაზრო კურსი – ეკონომიკის მდგომარეობის, ვალუტაზე ნდობის მაჩვენებელი. ვალუტის კურსის სახელმწიფო რეგულირება, კონკრეტული სავალუტო–ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანიდან გამომდინარე, მიმართულია მისი რევალვაციის ან დევალვაციისკენ. ამ მიზნით ტარდება განსაზღვრული სავალუტო პოლიტიკა.

**13.სავალუტო ინტერვენცია**, ანუ ცენტრალური ბანკის ჩარევა სავალუტო ოპერაციებში, ტარდება ეროვნული ვალუტის როგორც რევალვაციისთვის ასევე დევალვაციისთვის. თუ მიზანია ეროვნული ვალუტის რევალვაცია ცენტრალური ბანკი ყიდის უცხოურ ვალუტას

და ყიდულობს ეროვნულს და პირიქით. ეროვნული ვალუტის კურსის დევალვაცია განაპირობებს ექსპორტის გაიაფებას და იმპორტის გაძვირებას.

ეს არის ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებას ახდენს ვალუტის კურსზე.

**გამოყენებული ლიტერატურა :**


1. ზ. ბეშკენაძე, საერთაშორისო ეკონომიკა (საერთაშორისო მაკროეკონომიკა), დამხმარე სახელმძღვანელო (ელექტრონული), ქუთაისი, 2017 წ.
2. Киреев А., Международная экономика. Часть II, Международная микроэкономика, М.: " Международные отношения", 1999.
3. Introductionto International Relations: Theories and Approaches. – oxford. Oxford University Press, USA, 2003.


♦♦♦

# შრომითი მიგრაცია და მისი თავისებურებანი საქართველოში
# Labour Migration and its Peculiarities in Georgia


*ავტორ(ებ)ი: **ანი ტაბუცაძე, თორნიკე კიკაჩეიშვილი,** ხელმძღვანელი: პროფ. **თამილა არნანია-კეპულაძე,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*Authors: **Ani Tabutsadze, Tornike Kikacheishvili**, Supervisor: Prof. **Tamila Arnania-Kepuladze,** Akaki Tsereteli State University*



***Abstract***

*Labour migration means when people transfer from one country into another in order to get employed there. It comparison to main bilateral processes – emigration and immigration.*

*Reasons of labour migration can be economic as well as non-economic factors.*

*Both countries can benefit as well as get damaged by labour migration.*

*The most essential factor is that international money transfers play a big role in Georgian economics.*


*Key Words : migration, emigration, immigration, export, import*

შრომითი მიგრაცია არის ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში დასაქმების მიზნით ხალხთა გადაადგილება. საერთაშორისო მიგრაცია აერთიანებს ორ ძირითად ურთიერთდამოკიდებულ პროცესს: ემიგრაციას და იმიგრაციას. **ემიგრაცია** – ეს სამუშაო ძალის გადაადგილება ერთი ქვეყნიდან მეორეში, ანუ სამშობლოდან – სხვა ქვეყანაში. **იმიგრაცია** – სამუშაო ძალის გადაადგილებაა მიმღებ ქვეყანაში, ანუ უცხოელთა შესვლაა ამა თუ იმ ქვეყანაში. ასევე გამოიყოფა **რეემიგრაცია**, რომელიც გულისხმობს სამუშაო ძალის დაბრუნებას ემიგრაციის ქვეყანაში, ანუ ემიგრანტის დაბრუნებას სამშობლოში.

შრომის საერთაშორისო მიგრაციის მიზეზები შეიძლება იყოს როგორც ეკონომიკური აგრეთვე არა ეკონომიკური ფაქტორები. მიგრაცია უპირველესად განპირობებულია ქვეყნის ეკონომიკური ფაქტორებით და გვევლინება შრომითი მიგრაციის ფორმით. ეკონომიკური ხასიათის მიზეზები განპირობებულია უპირველესად ცალკეული ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონეებს შორის განსხვავებით, ეკონომიკური დივერგენციით, რაც აისახება განსხვავებულ სახელფასო განაკვეთებში. მიგრირება წარმატებულ ქვეყნებში ხდება არა მხოლოდ მაღალი ანაზღაურების გამო. სახელფასო განაკვეთებში განსხვავება – შრომითი მიგრაციის ძირითადი მიზეზია. თუმცა განსაზღვრულ პერიოდში შრომის საერთაშორისო მობილურობის მამოძრავებელ ძალად შეიძლება გამოდიოდეს აგრეთვე პოლიტიკური, სამხედრო, რელიგიური, ეროვნული, კულტურული, ოჯახური და სხვა სოციალური ფაქტორები. ამ არაეკონომიკურ ფაქტორებს აქვს იგივე ეკონომიკური შედეგები, როგორიც შრომით მიგრაციას.

შრომითი მიგრაცია ორივე მხარისთვის – როგორც გამგზავნი, ასევე მიმღები ქვეყნებისთვის – აქტუალური დღის წესრიგია. წარმგზავნი და მიმღები ქვეყნები შრომითი მიგრაციის მზარდ რიცხვს განიხილავენ როგორც ეროვნული განვითარებისა და დასაქმების სტრატეგიის განუყოფელ ნაწილს. ერთი მხრივ, წარმოშობის ქვეყნები შრომითი მიგრაციისგან იღებენ სარგებელს, რადგან ის ამსუბუქებს უმუშევრობის წნეხს, ფულადი გზავნილების საშუალებით აუმჯობესებს ვითარებას, ხელს უწყობს ცოდნის გადაცემას და ბიზნეს-ქსელების ჩამოყალიბებას. მეორე მხრივ, მიგრანტთა მიმღებ ქვეყნებში, სადაც სამუშაო ძალის დეფიციტია, სათანადოდ ორგანიზებული შრომითი მიგრაციის დროს მსუბუქდება მდგომარეობა და უფრო ეფექ-

ტური ხდება მობილობა.

რაც შეეხება შრომის საერთაშორისო მიგრაციის შედეგებს, ის საკმაოდ განსხვავებულია შრომითი რესურსების ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნების კუთხით – ერთიც და მეორეც ნახულობს გარკვეულ მოგებასა და ზარალს,ამიტომმსოფლიო მთლიანობაში მოგებული რჩება, რამდენადაც თავისუფალი მიგრაცია ადამიანებს საშუალებას აძლევთ გადაადგილდნენ იმ ქვეყანაში, სადაც მათ შეუძლიათ შეიტანონ მეტი წვლილი მსოფლიო წარმოებაში.

სამუშაო ძალის მიმღები (იმპორტიორი) ქვეყნები ღებულობენ შემდეგ სარგებელს: 1) ეკონომიკური ზრდის ტემპები მატულობს (განსაკუთრებით მაშინ თუ ადგილი აქვს კვალიფიციური კადრების შემოდინებას) – იმიგრანტების მხრიდან საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდა ახდენს წარმოების ზრდისა, და შესაბამისად, დასაქმების სტიმულირებას; 2) იაფი მუშახელის შემოდინება ქვეყანაში ამცირებს შრომის ანაზღაურებას, ზღუდავს ხელფასების ზრდას, ამით ამცირებს წარმოების დანახარჯებს და შედეგად წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობა იზრდება; 3) კვალიფიციური კადრების შემოდინება საშუალებას იძლევა გაკეთდეს სპეციალისტთა მომზადების ხარჯების ეკონომია; 4) მიმღები ქვეყანა ღებულობს შემოსავლებს მაღალკვალიფიციური კადრების დაბეგვრის შედეგად, რამდენადაც, როგორც წესი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები წარმოადგენენ მსხვილ გადამხდელებს; 5) უცხოელი დაქირავებულები ხშირად განიხილებიან, როგორც ერთგვარი ამორტიზატორები უმუშევრობის ზრდისას – ისინი პირველ რიგში შეიძლება იქნენ დათხოვნილი სამსახურიდან; 6) უცხოელი მშრომელების მიმართ არ გამოიყენება საპენსიო უზრუნველყოფა და სხვა სოციალური პროგრამები; 7) ემიგრანტები აუმჯობესებენ განვითარებული ქვეყნების დემოგრაფიულ მდგომარეობას, რომლებისთვისაც დამახასიათებელია მოსახლეობის მობერება; 8) უმჯობესდება შრომის ბაზრის ასაკობრივი სტრუქტურა; 9) იზრდება შრომის საშინაო ბაზრის ტევადობა.

არსებობს აგრეთვე სამუშაო ძალის იმპორტთან დაკავშირებული უარყოფითი შედეგებიც. ასე მაგალითად, უცხოელი მუშების მხრიდან შრომის ბაზარზე დამატებითი კონკურენცია იწვევს უმუშევრობის ზრდას ბაზრის გარკვეულ სეგმენტებზე. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მასობრივ იმიგრაციას ყოველთვის თან ახლავს სოციალური

დაძაბულობა საზოგადოებაში, კონფლიქტები რასობრივ, ნაციონალურ ან რელიგიურ ნიადაგზე, კრიმინოგენული სიტუაციის გაუარესება და სხვა ნეგატიური გამოვლინებები.

შრომითი რესურსების ექსპორტიორი ქვეყნები ღებულებენ შემდეგ სარგებელს: 1) მცირდება უმუშევრობის დონე და მისი შედეგია ქვეყანაში სოციალური დაძაბულობის შემცირება; 2) დონორი ქვეყნების შრომითი მიგრანტები უფასოდ შეისწავლიან ახალ პროფესიებს, ითვისებენ თანამედროვე ტექნოლოგიებს, შრომის ორგანიზების ფორმებს და სხვ., რომელსაც ისინი გამოიყენებენ თავიანთ სამშობლოში რეემიგრაციისას. 3) მიგრანტები საკუთარ სამშობლოში მინიმალური შემოსავლის ნაცვლად, იმიგრაციის შემთხვევაში ღებულობენ გაცილებით მაღალ შემოსავლებს, შედეგად დონორ ქვეყანაში შემოდის სავალუტო შემოსავლები ემიგრანტების ფულადი გზავნილების სახით.

მრავალი ქვეყნისთვის მიგრანტების ფულადი გზავნილები წარმოადგენენ სავალუტო შემოსულობების მნიშვნელოვან ნაწილს, რაც დადებითად აისახება ქვეყნის ეროვნულ შემოსავალზე. სასაქონლო ბაზრისგან განსხვავებით, სამუშაო ძალისგან შემოსავლის მისაღებად დონორ ქვეყანას არ სჭირდება საწარმოო ხარჯების გაწევა. როგორც პრაქტიკა ადასტურებს სამუშაო ძალის ექსპორტის სავალუტო ეფექტი მნიშვნელოვნად აჭარბებს საქონლით ექსპორტის სავალუტო ეფექტს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, საქონლის ექსპორტიდან მოგების საშუალო ნორმა შეადგენს - 20 %, მომსახურებიდან –50%, ხოლო სამუშაო ძალის ექსპორტიდან – საშუალოდ დაახლოებით 100%.

მეორე მხრივ ეს ქვეყნები სამუშაო ძალის ექსპორტიდან ნახულობენ მნიშვნელოვან დანაკარგებს: 1) გადასახადის გადამხდელების რიცხვის შემცირების შედეგად საგადასახადო შემოსულობები მცირდება; 2) მუდმივი მიგრაციის შემთხვევაში ხდება კვალიფიციური, ინიციატივიანი ადამიანების (ე.წ. „ტვინების“) გადინება, რაც ამცირებს ქვეყნის სამეცნიერო–ტექნიკურ და კულტურულ დონეს. ბოლო წლების განმავლობაში საქართველოდან უცხოეთში სამუშაოდ წასული ჩვენი თანამოქალაქეების ოდენობის შესახებ ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს. თუმცა ფაქტი ფაქტად რჩება, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქვეყანა უამრავმა მოქალაქემ სამუშაოს საძებნელად და-

ტოვა და შრომით მიგრანტად იქცა .

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2015 წლის არაოფიციალური მონაცემებით მსოფლიოს 43 ქვეყანაში 2 847 621 ქართველი,ეთნიკური ქართველი და საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირი ცხოვრობს. საქტატის მონაცემების მიხედვით საქართველოში მიგრაციული სალდოარის უარყოფითი (იხ.ცხრილი 1):

*ცხრილი 1*: **საქართველოს მიგრაციული სალდო**

| წელი | 2002 | 2003 | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ათასი კაცი | -27,8 | -27,5 | 5,5 | 76,3 | -12,1 | -20,7 | -10,2 | 34,2 | 18,1 | 20,2 | -21,5 | -2,6 | -6,5 | -3,4 | -8,1 |

www.geostat.ge

მიგრაციული სალდოს მიხედვით ჩანს, რომ 2009-2011 წლებში სალდო მოულოდნელად დადებითი და საგძნობლად მაღალი ხდება, რაც გამოწვეულია იმით, რომ საქრთველოში უცხოლმა ინვესტორებმა თავიანთი მუშახელი ჩამოიყვანეს. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ საქსტსტატის მონაცემების მიხედვით ქართველ ემიგრანტებსა და იმიგრანტებში, სქესის მიხედვით, ჭარბობს მამაკაცები (იხ.ცხრილი 2):

*ცხრილი 2*:**ემიგრანტებია და იმიგრანტების დინამიკა სქესობრივ ჭრილში**

| 2012 | | | | | | 2013 | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ემიგრანტი | | | იმიგრანტი | | | ემიგრანტი | | | იმიგრანტი | | |
| ორივე სქესი | მამაკაცი | ქალი | ორივე სქესი | მამაკაცი | ქალი | ორივე სქესი | მამაკაცი | ქალი | ორივე სქესი | მამაკაცი | ქალი |
| **90,584** | **52,082** | **38,502** | **69,063** | **42,753** | **26,310** | **95,064** | **55,581** | **39,483** | **92,458** | **55,574** | **36,884** |

| 2014 | | | | | | 2015 | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ემიგრანტი | | | იმიგრანტი | | | ემიგრანტი | | | იმიგრანტი | | |
| ორივე სქესი | მამაკაცი | ქალი | ორივე სქესი | მამაკაცი | ქალი | ორივე სქესი | მამაკაცი | ქალი | ორივე სქესი | მამაკაცი | ქალი |
| **88,704** | **51,858** | **36,846** | **82,161** | **48,938** | **33,223** | **95,965** | **55,817** | **40,148** | **92,557** | **56,692** | **35,865** |

www.geostat.ge

საერთაშორისო ფულადი გზავნილები ის პირადი თანხებია, რომლებსაც მიგრანტები თავიანთ სამშობლოში მცხოვრებ ოჯახებსა და მეგობრებს უგზავნიან. მსოფლიოს მასშტაბით 215 მილიონი ადამიანი სამშობლოს გარეთ ცხოვრობს. 2008 წელს, მიგრანტების ფულადმა გზავნილებმა ყველა განვითარებადი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 2% და დაბალშემოსავლიანი ქვეყნის მშპ-ის 6% შეადგინა.საქართველო სწორედ ამ 6 პროცენტიან ზღვარზეა: 2011 წლის

სექტემბრის მდგომარეობით, საქართველოში შემოსულმა ფულადმა გზავნილებმა 812,6 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია, რაც 19.6%-იანია ზრდაა წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით და ქვეყნის მშპ-ის 6%-ს შეადგენს. უხეში გათვლებით, მოსახლეობის 9% ფულადი გზავნილების მიმღებია. ფინანსური ინსტიტუტების წმინდა შემოსავლის 20% ფულადი გზავნილების მომსახურების გადასახადებზე მოდის, მიუხედავად იმისა, რომ ამ ინსტიტუტებს ძალიან დიდ არაფორმალურ სექტორთან, ანუ მეგობრების, ნათესავებისა და სხვების მეშვეობით ფულადი გზავნილების გამოგზავნასთან უწევს კონკურენცია.- ფულადი გზავნილების მნიშვნელობის გასაცნობიერებლად აღსანიშნავია შემდეგი სტატისტიკა: ფულადი გზავნილები საქართველოში შემოსული გრანტებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადებს თითქმის ორნახევარჯერ აღემატება. ამასთან, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და განვითარების ხელშეწყობის ოფიციალური დახმარების სხვადასხვა წყაროსგან განსხვავებით, ფულადი გზავნილებისთვის არ არის დამახასიათებელი უკუნაკადები პროცენტის, ვალის ან დივიდენდის გადახდის ფორმით. ჩვენი აზრით, შრომითი მიგრაცია არ წარმოადგენს ისეთ მწვავე პრობლემას, როგორადაც საზოგადოება აღიქვამს. პირიქით, ეკონომიკური გადმოსახედიდან დღეს საქართველოსთვის დადებით გავლენას ახდენს. საქართველოს ბოლო წლების ეკონომიკურ ფონზე, უმუშევრობა, დაბალი ანაზღაურება და ნაკლებად პერსპექტიული სამუშაო ადგილები საგრძნობლად დაბალია იმ ქვეყნებთან შედარებით სადაც ემიგრანტები იმკვიდრებენ ადგილს. ყურადღება მისაქცევია ის ფაქტი, რომ ფულადი გზავნილები საქართველოს ეკონომიკისთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

***გამოყენებული ლიტერატურა:***

1. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი - „საერთაშორისო ფულადი გზავნილების როლი საქართველოს ეკონომიკაში“
2. ზვიად ბეშკენაძე - ,,საერთაშირისო ეკონომიკა 1“
3. ფრიდრიხ ებერტის ფონდი,,შრომითი მიგრაციის სამართლებრივი რეგულირების ასპექტები (შედარებითი მიმოხილვა)“
4. ნათია ჭელიძე - „შრომითი ემიგრაცია პოსტსაბჭოთა საქართველოდან“

# უმუშევრობა: სახეები, მიზეზები და შედეგები
# The Types, Causes and Outcomes of Unemployment

*ავტორ(ებ)ი: **ანა ხობუა, ლერი გოგიშვილი,** ხელმძღვანელი: პროფ. **თამილა არნანია-კეპულაძე,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*Authors: **Ana Khobua, Leri Gogishvili**, Supervisor: Prof. **Tamila Arnania-Kepuladze,** Akaki Tsereteli State University*

***Abstract***

*The topic of the conference theme concerns "unemployment", in other words temporary unemployment of the employable population. In the theme we pay much attention to 10 kinds of unemployment and their causes. We should also emphasize the results of unemployment, which has a great effect on each member of the population. Overcoming unemployment is the main action plan of each country. They fight against unemployment with different programmes. Unemployment greatly harms the condition of society and it increases the level of migration, which also damages the country's condition.*

*Key Words: unemployment, employment, unemployment types, unemployment level, enumeration*

## შესავალი

სამუშაო ადგილის დაკარგვა ერთ-ერთი ყველაზე უსიამოვნო მოვლენაა ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში. ადამიანთა უმრავლესობა საკუთარ შრომით შემოსავალზე ამყარებს ცხოვრების დონის შენარჩუნების იმედებს. ამასთან, ადამიანები შრომისგან არა მხოლოდ შემოსავალს, არამედ პიროვნული სრულყოფილების გრძნობასაც იღებენ. სამუშაოს დაკარგვა ცხოვრების დონის შემცირებას, მომავალზე წუხილსა და საკუთარი თავისადმი პატივისცემის დაკარგვას ნიშნავს. ამიტომაც არ გვიკვირს, რომ პოლიტიკოსები „სავარძლებისთვის ბრძოლის" პროცესში ხშირად ლაპარაკობენ იმაზე, თუ როგორ შეუწყობს ხელს მათ მიერ შემოთავაზებული პოლიტიკა ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

**უმუშევრობა** მაკროეკონომიკური არასტაბილურობის ერთ-ერთი უარყოფითი გამოვლინებაა. ეს არის შრომის უნარიანი მოსახლეობის ნაწილის დროებითი დაუსაქმებლობა, რომელიც საბაზრო ეკონომიკის განუყრელი თანამგზავრია. ოფიციალურად უმუშევრებს განე-

კუთნებიან შრომისუნარიანი ასაკის დროებით დაუსაქმებელი მოქალაქეები, რომელთაც სურთ ჰქონდეთ სამუშაო, ეძებენ მას, რეგისტრირებულები არიან შესაბამის სახელმწიფო უწყებებში და როგორც წესი ღებულობენ გარკვეულ კომპენსაციას.

**უმუშევრობის სახეები.** განასხვავებენ უმუშევრობის რამოდენიმე სახეობას.

**ფრაქციული უმუშევრობა**- ანუ შრომისუნარიანი მოსახლეობის დროებით დაუსაქმებლობა, რაც დაკავშირებულია ერთი სამუშაოდან მეორეზე გადასვლასთან ან საცხოვრებელი ადგილის გამოცვლასთან.

**სტრუქტურელი უმეშევრობა** - გამოწვეულია წარმოების სტრუქტურის შეცვლით, რომელიც განპირობებულია საზოგადოების მოთხოვნილების ცვლილებით. ეს იწვევს სამუშაო ძალაზე მოთხოვნის სტრუქტურის შეცვლას: ზოგ პროფესიაზე მოთხოვნა იკვეცება ან საერთოდ ქრება, იზრდება მოთხოვნა ახალ პროფესიებზე. პროფესიის შეცვლას დრო და ხარჯი სჭირდება, ამ დროის მანძილზე კი შრომისუნარიან ადმიანთა ნაწილი დაუსაქმებელია.

**ციკლური უმუშევრობა** - გამოწვეულია წარმოების დაცემით, ესეიგი ხასითდება იმით რომ წარმოება იკვეცება, დასაქმება მცირდება, უმუშევრობა მატულობს. აქედან გამომდინარე, უმუშევრობის ამ სახეობას ხშირად მოთხოვნის დეფიციტთან დაკავშირებულ უმუშევრობასაც უწოდებენ.

**სეზონური უმუშევრობა** - მრავალ დარგში (სოფლის მეურნეობა, კვების მრეწველობა, მშენებლობა და ა.შ) წარმოება სეზონურია. არის თვეები (გაზაფხულზე, ზაფხულობით, შემოდომობით) როცა ინტენსიური მუშაობაა და მუშახელი სრულადაა დასაქმებული. სეზონთაშორისი პერიოდში კი (ძირითადად ზამთარში) წარმოება მთლიანად გაჩერებულია ან დატვირთულია ნაწილობრივ და მუშახელის დიდი ნაწილი უმუშევარია.

**რეგიონული უმუშევრობა** - არც თუ იშვიათად უმუშევრობას ადგილი აქვს ქვეყნის მხოლოდ ცალკეულ რეგიონებში და არა ყველგან. ამის მიზეზი ამ რეგიონების სპეციფიკური ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები. საქართველოში ამის მაგალითია ტყიბულის რაიონი ქვანახშირის მოპოვების შემცირების, სამეგრელოსა და გურიის რეგიონები ჩაისა და ციტრუსების წარმოების მოშლის გამო.

**ფარული უმუშევრობა** - მისი არსი ისაა, რომ ეკონომიკური კრი-

ზისის შედეგად, ნაწილობრივი დატვირთვით ფუნქციონირების პირობებში, საწარმოები თანამშრომლებს კი არ ანთავისუფლებენ სამუშაოდან, არამედ გადაჰყავთ ისინი მუშაობის შეკვეცილ რეჟიმზე ან კიდევ უშვებენ უხელფასო შვებულებაში განუსაზღვრელი ვადით. ამ გარემოებათა გამო, ისინი ოფიციალურად არ აღირიცხებიან უმუშევართა რიგებში, მეტიც ითვლებიან დასაქმებულად, მაშინ როცა არსებითად უმუშევრები არიან.

**დემოგრაფიული უმუშევრობა** - აზიისა და აფრიკის კონტინენტებზე არის ქვეყნები, სადაც მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპები ძალიან მაღალია და შრომითი რესურსების რაოდენობა მკვეთრად აღემატება არსებული სამუშაო ადგილების რაოდენობას. ამ სიდიდეებს შორის დისბალანსი იწვევს ე. წ. დემოგრაფიულ უმუშევრობას.

**ინსტიტიციონალური უმუშევრობა** - არის შემთხვევები, როცა არსებობს არც თუ ცოტაოდენობის ვაკანტური სამუშაოა დგილი, მაგრამ მოსახლეობისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიუწვდომლობის გამო, ისინი აუთვისებელი რჩება, მაშინ როცა მუშაკთა გარკვეული ნაწილი უმუშევარია.

**ნებაყოფლობითი უმუშევრობა** - ნებისმიერ საზოგადოებაში არსებობს ადამიანთა გარკვეული ფენა, რომელსაც თავისი ფიზიკური წყობის თუ სხვა გარემოებათა გამო, არ სურს ჰქონდეს რეგულარული სამუშაო.

**შეჩერებული უმუშევრობა** - ამ კატეგორიას განეკუთნებიან შრომისუნარიანთა, ის ჯგუფები, რომელთაც დაკარგული აქვთ მუდმივი სამუშაო, შეგუებულები არიან ამ მდგომარეობას, ასრულებენ მეტწილად არარეგულარულ სამუშაოს და სჯერდებიან დაბალ საზღაურს.

**უმუშევრობის მიზეზები.** რა იწვევს უმუშევრობას? შევეცდებით გავცეთ პასუხი ამ კითხვაზე.

უმუშევრობის გამომწვევ ძირითად მიზეზთა შორის აღსანიშნავია: **წარმოების ციკლური განვითარება** (რომელსაც თან სდევს კრიზისული მოვლენები წარმოების ფუნქციონირების შეკვეცა-შეწყვეტა)-,**მომუშავეთა მიერ სამუშაოს შეცვლა და ხშირი გადაადგილება** (როგორც დარგობრივ, ისე ტერიტორიულ ჭრილში), **სტრუქტურული ცვლილებები ეკონომიკაში** და **წარმოების სეზონური ხასიათი**.

## უმუშევრობის ეკონომიკური შინაარსი




ეკონომისტებისაზრით,უმუშევრობა**მინიმალურიხელფასებისკა-ნონების**შედეგადაციზრდება. მინიმალური ხელფასი ზრდის იმ მშრომელთა შემოსავალს, რომელთაც სამუშაო აქვთ, მაგრამ ართმევს იმათ შემოსავალს, ვინც სამუშაოს მოძებნა ვერ მოახერხა.

უმუშევრობის მუდმივი არსებობის მიზეზის ახსნა **ეფექტიანი ხელფასების თეორიითაცაა** შესაძლებელი. ამ თეორიის თანახმად, ფირმები უფრო ეფექტიანად იმოქმედებენ, თუ ხელფასები წონასწო-რულ დონეზე მეტია. ამიტომ, ფირმებისთვის მომგებიანი იქნება, თუ მაღალ ხელფასებს შეინარჩუნებენ შრომის ჭარბი მიწოდების დროსაც კი.

გარკვეულწილად უმუშევრობა, რომელიც ეფექტიანი ხელფასე-ბის შედეგად ჩნდება, იმ უმუშევრობის მსგავსია, რომელსაც **მინიმა-ლური ხელფასის კანონები** და **პროფკავშირები** იწვევნ. სამივე შემ-თხვევაში, უმუშევრობა იმის შედეგია, რომ ხელფასი შრომის მიწოდე-ბისა და მოთხოვნის გამაწონასწორებელ ხელფასზე მეტია. მაგრამ, ამ შემთხვევებს შორის ერთი განსხვავებაცააა. მინიმალური ხელფასის კანონები და პროფკავშირები ფირმებს ხელფასის შემცირების საშუა-ლებას არ აძლევენ მშრომელთა რაოდენობის სიჭარბის დროს. „ეფექ-ტიანი ხელფასის თეორია" კი ამტკიცებს, რომ ასეთი შეზღუდვა ხში-

რად სულაც არ არის აუცილებელი, ვინაიდან ფირმების მდგომარეობა უკეთესია, როცა ხელფასი წოასწორულ დონეზე მეტია.

**სამუშაოს ძებნით** გამოწვეული უმუშევრობა გარდაუვალია თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ეკონომიკა ყოველთვის იცვლება. ამ ცვლილებების მსვლელობისას, ზოგ ფირმაში ახალი სამუშაო ადგილები შეიქმნა, ზოგში კი არსებული სამუშაო ადგილები გაუქმდა. ამ პროცესის საბოლოო შედეგი გაზრდილი მწარმოებლურობა და გაზრდილი ცხოვრების დონეა მაგრამ, ამ პროცესში შემცირებადი დარგების მშრომელები უმუშევართა რიცხვს ავსებდნენ და ახალ სამუშაო ადგილებს ეძებენ.

**უმუშევრობის შედეგები:**

უმუშევრობა თითოეული ქვეყნის მწვავე პრობლემა. ის გავლენას ახდენს სახელმწიფოს ნების მიერ სტრუქტურაზე და საზოგადოების თითოეულ წევრზე.

**საქსტატის დასაქმებისა და უმუშევრობის სტატისტიკა**

| | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა), ათასი კაცი | 1944,9 | 1959,3 | 2029,1 | 2003,9 | 1991,1 | 2021,5 | 1998,3 |
| დასაქმებული, ათასი კაცი | 1628,1 | 1664,2 | 1724,0 | 1712,1 | 1745,2 | 1779,9 | 1763,3 |
| უმუშევარი, ათასი კაცი | 316,9 | 295,1 | 305,1 | 291,8 | 246,0 | 241,6 | 235,1 |
| უმუშევრობის დონე, პროცენტებში | 16,3% | 16,1% | 16,0% | 14,6% | 12,4% | 12,0% | 11,8% |

უმუშევრობის გამომწვევ ნეგატიურ შედეგებს შორის აღსანიშნავია: **ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის არასრული გამოყენება** - ამ შედეგის განხილვისას უნდა გავიხსენოთ, რომ წარმოების ერთ-ერთი ფაქტორია შრომა. ქვეყანა ვერ ახერხებს არსებული რესურსების გამოყენებას ნაკლები სამუშაო ადგილის გამო. საქართველოს მაგალითზე რომ განვიხილოთ 2016 წლის მონაცემების მიხედვით, უმუშევარი ადამინები რომ ეკონომიკაში ჩაგვერთო ისინი საშუალოდ გამოიმუშავებდნენ დამატებით 4 მილიარდზე მეტს. **შემოსავლების შემცირება** - როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ქყვეყანა ვერ ახერხებს უმუშევრობის პირობებში რესურსების სრულ გამოყენებას და შესაბამისი ეფექტის მიღებას. ყოველივე ეს კი აისახება შემოსავლების შემცირებაში.

| | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 (I) | 2017 (II) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მთლიანი ეროვნული შემოსავალი (მეშ), მლნ. ლარი | 20102.8 | 23631.7 | 25925.6 | 26340.7 | 28882.5 | 30884.8 | 32340.8 | 7831.4 | 8610.7 |
| შემოსავალი ერთ სულზე, ლარი | 4531.3 | 5287.7 | 5764.3 | 5874.6 | 6431.9 | 8316.5 | 8692.8 | 2106.2 | 2315.8 |

**მომუშავეთა დეკვალიფიკაცია** - ადამინების სამუშაოს დაკარგვა ხდება ძირითადად ორი სახით. პირველი, როცა ისინი განათავისუფლეს და მეორე, იმ დარგის მოშლა, სადაც ის მუშაობდა. **ადამიანის ფსიქიკის შერყევა** - ეს შეიძლება ითქვას, რომ უმუშევრობის ყველაზე მძიმე შედეგია, რაც პირდაპირ აისახება ადამიანის ქმედებაზე და განსაზღვრავს მის მომავალს. ადამიანები, რომლებიც კარგავენ სამუშაოს ხშირ შემთხვევაში განიცდიან დეპრესიას. აქვე შეგვიძლია გამოვიყენოთ ძველი გამოთქმა: „როცა მეზობელი კარგავს სამუშაოს ეს დაქვეითებააა, ხოლო თუ თქვენ კარგავთ სამუშაოს ეს დეპრესიაა!". **დამნაშავეობის ზრდა** - უმუშევრობის ეს შედეგიც ადამინის მდგომარეობის გამომხატველია, როცა ის არ ცდილობს ეძებოს სამუშაო ან თვლის, რომ შედეგს არ გამოიღებს მისი ძებნის მცდელობა, მიმართავს ხშირ შემთხვევაში ყველაზე ცუდ გამოსავალს, რომელიც არის დანაშაულის ჩადენა. **მიგრაციის დონის ამაღლება** - ადამინები, რომლებიც ვერ პოულობენ შესაბამის ანაზღაურებად სამუშაოს იმ ტერიტორიის ფარგლებში, სადაც ისინი ცხოვრობენ იძულებულები არიან დატოვონ საცხოვრებელი ადგილი და სამუშაო სხვა რაიონში, ქალაქსა თუ ქვეყანაში ეძებონ. სწორედ სამუშაო ადგილების არ არსებობის გამო და დაბალი ანაზღაურების პირობებიდან თავის დასაღწევად ადამინები ტოვებენ ქვეყნებს. მიგრაციის მსხვერპლი ქვეყნები კი კარგავენ სამუშაო ძალას. ყოველივე ამის მსხვერპლი საქართველოცაა, სადაც ბოლო წლების განმავლობაში შეინიშნება მოსახლეობის მკვეთრი გადინება საზაღვარგარეთ სამუშაოს ძებნის მიზნით.

| წელი | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მიგრაციის სალდო (ათასი კაცი) | 18,1 | 20,2 | -21,5 | -2,6 | -6,5 | -3,4 | -8,1 |

**რესურსების სოლიდური დანაკარგი** -ამ შედეგში მნიშვნელოვანი

ყურადღება გამახვილებულია სამუშაო ძალის გამოუყენებლობაზე, რაც იწვევს უნარების დაქვეითებას და ქვეყანას უფრო დაბალი ხარისხის სამუშაო ძალა ჰყავს.

*გამოყენებული ლიტერატურა:*


1. *გრეგორი მენქიუ - „ეკონომიკის პრინციპები";*
2. *შოთა ლომინაშვილი - „ეკონომიკის პრინციპები";*
3. *საქსტატის მასალები:*
4. *http://geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo*
5. *http://geostat.ge/?action=page&p_id=121&lang=geo*
6. *http://www.geostat.ge/?action=page&p_id=172&lang=geo.*


♦♦♦

# საქართველოს შრომის ბაზრის თავისებურებანი
# The Peculiarities of Georgian labor market

*ავტორ(ებ)ი:* ***ლელა ყუფარაძე, ქრისტინე ხაჭაპურიძე,*** *ხელმძღვანელი:* ***პროფ. თამილა არნანია-კეპულაძე,*** *აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*Authors:* ***Lela Kufaradze, Kristine Khachapuridze,*** *Supervisor: Prof.* ***Tamila Arnania-Kepuladze,*** *Akaki Tsereteli State University*

***Abstract***

*A conference topic deals with the peculiarities of Labour market, which presents the base of optimal functioning and improvement of Market Economics and is proved by statistics of Sakstat (National Service of Statistics of Georgia). The topic is also about Labour -market of Georgia and its variations by Labour Code introduced on May 25, 2006. According to research of " Forbce News", it is proved that the reason of social explosion and deep depression is the negative results of ongoing reforms in Georgia.*

*Key Words : labour market, unemployment, employment, Georgia*

შრომის ბაზრის ურთიერთობები, ისევე, როგორც ნებისმიერი საბაზრო ურთიერთობები გაცვლას გულისხმობს. თუმცა, განსხვავებით სხვა ბაზრებისგან, შრომის ბაზარზე ერთმანეთს უპირისპირდება კა-

პიტალი და შრომა. მათი დაპირისპირება აისახება არა მარტო წარმოების ეფექტიანობაში, არამედ იგი სოციალური და კლასობრივი ურთიერთობების ფორმას იძენს.

თანამედროვე ეტაპზე შრომის ბაზარი არ არის მხოლოდ ურთიერთკავშირი დამქირავებლისა და დაქირავებულის, არამედ ის წარმოადგენს საკმაოდ რთულ დინამიურ სისტემას, რომელშიც ჩართულია როგორც მისი ინსტიტუტების შემოქმედება, ასევე დასაქმების პოლიტიკის რეალიზებაში დიდ როლს თამაშობს სახელმწიფო.

შრომის ბაზრის ფუნქციონირება მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. ეს ფაქტორები განსხვავებული ხასიათისაა (დემოგრაფიული, ეკონომიკური, სოციალური, საკანონმდებლო, ორგანიზაციული, ინსტიტუციონალური) და შრომის ბაზარზე მათი გადაკვეთით გარკვეულწილად ფოკუსირდება ქვეყანაში არსებული ვითარება. სწორედ ამიტომაც შრომის ბაზარი ქვეყნის ეკონომიკურ-დემოგრაფიული განვითარების (სიტუაციის) სარკისებური ფენომენია, რომელშიც აირეკლება როგორც ცალკეული რეგიონის, დარგის, ასევე მის შიგნით მიმდინარე პროცესები.

შრომის ბაზრის თავისებურებების კვლევა იკავებს ცენტრალურ ადგილს საქართველოს საბაზრო მეურნეობის სტრუქტურაში. თავისი ბუნებით იგი წარმოადგენს საფუძველს საბაზრო ეკონომიკის ოპტიმალური ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის. მისი ძირითადი ფუნქცია - წარმოებისა და მომსახურების სფეროების შესაბამისი ადამიანური რესურსებით დროული და ოპტიმალური უზრუნველყოფა, ასევე შრომის ბაზრის ყიდვა-გაყიდვის ობიექტის სპეციფიკა განაპირობებს მის პრიორიტეტულ როლს დემოგრაფიული პოლიტიკის, ეკონომიკის მთავარი რესურსის - ადამიანის განვითარებისათვის.

საქართველო უამრავი პრობლემის წინაშე დგას. ეკონომიკური კრიზისის ფონზე არსებულ ვითარებაში განსაკუთრებული სიმწვავით გამოიკვეთა დასაქმების პრობლემა, მასობრივი უმუშევრობა. ამას ემატება მწვავე დემოგრაფიული პრობლემებიც, რომელიც წარმოადგენს სოციალ-ეკონომიკური განვითარების ფუნქციას და დიდ გავლენას ახდენს შრომის ბაზრის ფუნქციონირებაზე და შედეგში, ეკონომიკურ ზრდაზე. თავის მხრივ დემოგრაფიულ პროცესებზე გავლენას ახდენენ ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, რელიგიური და სხვა პროცესები. გავლენა ცალმხრივი არაა. თავად დემოგრაფიული

პროცესებიც უკუგავლენას ახდენენ საზოგადოებრივ პროცესებზე (მაგალითად, შობადობის დონის შემცირება იწვევს პენსიონერთა პროცენტული წილის ზრდას), რაც აისახება როგორც შრომისა და სამომხმარებლო ბაზრის მდგომარეობაზე, ასევე საზოგადოების სოციალურ და კულტურულ უწყვეტობაზეც. ეს დემოგრაფიული მოვლენები, ბუნებრივია შრომის ბაზრის პრობლემაცაა და მისი განვითარების ინტერესები ეკონომიკური, დემოგრაფიული, ასევე სამუშაო ძალის კვლავწარმოების სტანდარტებისგან გამომდინარეობს და მათი თანხვედრის ხარისხით განისაზღვრება.

აქედან გამომდინარე, თანამედროვე შრომის ბაზრის თავისებურებების შესწავლა დემოგრაფიული პრობლემების ფონზე ეკონომიკური ზრდის, საბაზრო ეკონომიკის მოტივაციების, მისი სახელმწიფო რეგულირების, ეკონომიკური მექანიზმისა და ისტიტუციური სისტემის ჩარჩოებში, საკითხს კიდევ უფრო აქტუალურს ხდის. შრომის ბაზარი დღესაც განიცდის მოდერნიზაციის პროცესებს, რომლებიც ერთეულ შემთხვევაში ასტიმულირებენ პროგრესული ხასიათის ცვლილებებს ეკონომიკაში, ან სხვა შემთხვევაში ამუხრუჭებენ, ან სრულიად ამყარებენ დადებით ტენდენციებს და ქრონოლოგიურად აყალიბებენ გარკვეულ სიტუაცას ბაზარზე. თანამედროვე შრომის ბაზრის მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ფუნქციონირება უხდება სისტემური კრიზისის პირობებში, რომელიც მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს და გამოიხატება წარმოების დაცემაში, ინვესტიციების შემცირებაში, არასტაბილურ საფინანსო--საკრედიტო სისტემაში, დარღვეულ სამუშაო ძალის მოთხოვნა-მიწოდების ბალანსში. შრომის ბაზრის ნელი ტემპით განვითარება სერიოზულად აფერხებს ქვეყნის წინსვლას და დასაქმების შემცირებასთან ერთად უმუშევრობის, სიღარიბის, დემოგრაფიის და მასთან დაკავშირებული პრობლემების სახით ვლინდება.

შრომის ბაზრები ხასიათდება განსხვავებული ხარისხის შრომაზე მოთხოვნით დამუშახელის დენადობით (იგულისხმება იძულებითი ან ნებაყოფლობითი განთავისუფლება,ახალი სამუშაო ადგილების გაუქმება ან შექმნა). შრომის ბაზარი მით უფრო დინამიურია,რაც უფრო ღიაა ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკა. ძირითადად, ახალი სამუშაო ადგილებისშექმნა ან გაუქმება ბიზნეს ციკლების ცვალებადობის შედეგია, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია სტრუქტურული კომპონენტის

გავლენა. როცა ახალი სამუშაო ადგილები იქმნება, ხშირად ის იწვევს სხვა სამუშაო ადგილების გაუქმებას. როგორც წესი, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და გაუქმებას ადგილი არ აქვს ერთი და იმავე სექტორში,კომპანიასა თუ რეგიონში. გარდა ამისა, ეს არ ხდება დრო-ის ერთსა და იმავე პერიოდში.ხშირად, სამუშაო ადგილები უქმდება ერთ ქვეყანაში და იქმნება მეორეში. ამასთან, ახალისამუშაო ადგილე-ბის შექმნა და გაუქმება თავისი შინაარსით განსხვავებულია და დამო-კიდებულია ანაზღაურების ოდენობაზე, დასაქმებულის გამოცდილე-ბაზე და უნარებზე ,ასაკზე, სქესზე და სხვა.

*ცხრილი: შრომის ბაზარი და სოციალური პოლიტიკა ევროკავშირის 15 ძველ წევრ სახელმწიფოში (2002 წლის მონაცემები)*

| | საბერძნეთი, ლუქსემბურ-გი, ავსტრია, იტალია, ბელ-გია, პორტუ-გალია შვედე-თი | საფრანგე-თი, გერმა-ნია, ფინეთი, ესპანეთი | დანია, ნი-დერლანდე-ბი, ირლანდია, დიდი ბრიტანეთი |
|---|---|---|---|
| საშუალო ხანგრძლივობა | 11,9 | 10,3 | 9,4 |
| დასაქმების დონე 15-64 ასა-კობრივ ჯგუფში | 63,1 | 64,2 | 73 |
| დასაქმების დონე 15-24 ასა-კობრივ ჯგუფში | 32,5 | 35,5 | 61,7 |
| დასაქმების დონე 55-64 ასა-კობრივ ჯგუფში | 41,4 | 42,3 | 52,6 |
| დასაქმების დონე ქალებში | 53,8 | 56,8 | 66,3 |
| დროებითი სამუშაოების წი-ლი | 11,8 | 18 | 10,3 |
| ნახევარგანაკვეთაიანი სამუ-შაოების წილი | 12 | 12,9 | 28 |
| უმუშევრობის დონე ახალ- | 17,6 | 18,8 | 8,5 |

| | | | |
|---|---|---|---|
| გაზრდებში | | | |
| მთლიანი უმუშევრობის დონე | 6,8 | 9,8 | 4,6 |

როგორც ცხრილიდან ჩანს, უმუშევრობის დონე ყველაზე დაბალია და დასაქმების მაჩვენებელი (ყველა კატეგორიაში) ყველაზე მაღალია იმ ქვეყნებში, რომლებიც მოქცეულია მესამე დაჯგუფებაში. ხოლო, როგორც ამ ცხრილის, ასევე ცხრილი 1-ის შესაბამისად, სწორედ ამ ქვეყნებში არის სამუშაოს საშუალო ხანგრძლივობა ყველაზე დაბალი. ეს ყველაფერი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ სამუშაოს ხანგრძლივობის მაღალი მაჩვენებელი არ არის იმის გარანტია, რომ ქვეყანაში მაქსიმალურად იქნება გამოყენებული სამუშაო ძალა. პირიქით, უმუშევრობის დონე ყველაზე დაბალია და დასაქმების დონე ყველაზე მაღალია იმ ქვეყნებში, სადაც დაბალია სამუშაოს საშუალო ხანგრძლივობა. ამაშიც არის ალბათ კანონზომიერება, ვინაიდან დასაქმებულებს სწორედ ამ ქვეყნებში აქვთ საშუალება ხშირად გამოიცვალონ სამუშაო ადგილი და მუშახელზე მოთხოვნა ყოველთვის შედარებით მაღალია.

შრომის ბაზრის დერეგულაციამ ბევრი პრობლემა წარმოშვა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში. პრობლემები ძირითადად უკავშირდება სამუშაო ადგილების სტაბილურობას და მოქნილობას, უმუშევრობის დაზღვევას და შრომის ბაზრის რეგულირებას. პრობლემების ძირითადი გამომწვევი მიზეზი იყო ის, რომ ამ ქვეყნებმა გაიარეს საკმაოდ მძიმე გარდამავალი კრიზისი, რამაც გამოიწვია ბევრი სამუშაო ადგილის დაკარგვა და უმუშევრობის სწრაფი ზრდა. ზოგიერთ ქვეყანას დღესაც კი არ მიუღწევია აღმავლობისთვის, ზოგიერთმა მათგანმა შეძლო სტაბილურობის მიღწევა, მაგრამ ვერ შეძლო მისი შენარჩუნება. გარდა ამისა, ამ ქვეყნებში არ არსებობს გამართული სტატისტიკური მონაცემთა ბაზა.

**შრომის ბაზრის დაუბალანსებლობა** - ახსნა ნაწილობრივ დაკავშირებულია ზოგიერთ დაუბალანსებლობასთან - ვიწრო ადგილებისა და სტრუქტურული პრობლემებისა, რომელიც შრომის ბაზარზე წარმოიშობა ეკონომიკის სრული დასაქმების მდგომარეობასთან მიახლოების შესაბამისად. ძირითდი მოტივი ისაა, რომ შრომის ბაზარი შრომის ინდივიდუალიზებული ბაზრების განსაკუთრებით დიდ რა-

ოდენობას მოიცავს, რომელთაც სეგმენტირებული ხასიათი გააჩნიათ და ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც დასაქმების სტრუქტურით, ისე გეოგრაფიულადაც. შრომის ბაზრების ასეთი მრავალფეროვნება იმის შესაძლებლობას გულისხმობს, რომ ეკონომიკის ზრდის კვალობაზე სრული დასაქმება არ შეიძლება მიღწეულ იქნას ერთდროულად ყველა ბაზარზე მაშინ, როცა ერთი სპეციალობისთვის ცალკეულ გეოგრაფიულ რაიონებში შესაძლებელი იქნება სრული დასაქმება და დამოუკიდებელი მოთხოვნაც კი, უმუშევრობა შენარჩუნებული იქნება სხვა სპეციალობებისა და რაიონებისათვის.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და საბაზრო პრინციპების დანერგვისათვის მნიშვნელოვანია საბაზრო ეკონომიკის ყველა ინსტიტუტის გამართული ფუნქციონირება. შრომის ბაზრის ჩამოყალიბების პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოცემული სფეროს მარეგულირებელ კანონმდებლობას.

შრომითი ურთიერთობების საკანონმდებლო რეგულირება ხორციელდებოდა 1999 წლის 1 სექტემბერს მიღებული საქართველოს „შრომის კანონთა კოდექსით". აღნიშნული კანონი შრომით იურთიერთობების რეგულირების პროცესში წარმოშობდა ბარიერებს და ართულებდა ურთიერთობაში მონაწილე მხარეებს შორის შეთანხმების მიღწევას. არსებული სიტუაციის გაუმჯობესების მიზნით კანონში წლების განმავლობაში შევიდა 20-ზე მეტი ცვლილება, რამაც მნიშვნელოვნად ვერ შეცვალა არსებული მდგომარეობა. კანონში არსებული ხარვეზებისა და ბარიერების არსებობამ განაპირობა მისი შეცვლის აუცილებლობა.

შრომით ურთიერთობებში მონაწილე სუბიექტთა შორის ურთიერთობისა და შეთანხმების მიღწევის გამარტივებისათვის უნდა შექმნილიყო ახალი კანონმდებლობა, რომელიც გაამარტივებდა მხარეებს შორის შეთანხმების მიღწევას. ეფექტიანი შრომის ბაზრის ფორმირებისას გასათვალისწინებელი იყო „ევროპის სოციალურ ქარტიასთან" მიერთებით ნაკისრი ვალდებულებები.

საბოლოოდ, საქართველოს პარლამენტის მიერ 2006 წლის 25 მაისს მიღებულ იქნა ახალი „შრომის კოდექსი", რომელიც მოცემული სფეროს ძირითადი მარეგულირებელი კანონია. სხვა კანონები, რომლებიც არეგულირებენ შრომით ურთიერთობებს, ეხება სახელმწიფო სამსახურში დასაქმებულ პირებს (პრეზიდენტის, პარლამენტის და

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა ანაზღაურების შესახებ კანონები და სხვ.).კოდექსის ძირითად პრინციპს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობების სახელმწიფო რეგულირება იმ შემთხვევაში, როცა რაიმე პირობა/საკითხი არ არის გათვალისწინებული მხარეთა შეთანხმებით და ისეთ შემთხვევებში, როდესაც დაქირავებულს წარმოადგენენ არასრულწლოვნები, ორსული და მეძუძური ქალები. კოდექსი ასევე უზრუნველყოფს უსაფრთხო შრომითი პირობების შექმნასა და კონსტიტუციური უფლებების დაცვას შრომით ურთიერთობებში.

ახალ კანონში შეტანილია მთელი რიგი ცვლილებები. კერძოდ, ყველაზე მნიშვნელოვან ცვლილებას წარმოადგენს დამსაქმებლისა და დასაქმებულის შრომითი ურთიერთობის რეგულირება შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნულ ურთიერთობებში მონაწილე მხარეები თვითონ გამოდიან საკუთარი ინტერესების დასაცავად და ხელშეკრულებით განსაზღვრავენ ურთიერთვალდებულებებს, პასუხისმგებლობებსა და სხვა პირობებს.

ამრიგად, საქართველოში მიმდინარე რეფორმების ნეგატიური შედეგები, რაც გა- მოიხატა, წარმოების დაცემაში და რამაც შეარყია ხალხის სასიცოცხლო-საარსებო საშუალე- ბები, გახდა მიზეზი სოციალური აფეთქების და ღრმა დეპრესიისა.

*გამოყენებული ლიტერატურა:*

1. *შოთა ლომინაშვილი - „ეკონომიკის პრინციპოები“ (2013წ.);*
2. *გრეგორი მენქიუ - „ეკონომიკის პრინციპები“ (2007წ.);*
3. *ელგუჯა მელაძე - „შრომითი ურთიერთობების რეგულირება და სოციალური დიალოგის განვითარება საქართველოში” (*2012წ.);
4. *დარეჯან ჩხუბაძე - „თანამედროვე შრომის ბაზრის თავისებურებები დემოგრაფიული პრობლემების ფონზე და მისი სახელმწიფო რეგულირება” (* 2017წ.)*;*
5. *FORBES NEWS;*
6. *საქსტატის სტატისტიკა;*
7. *საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.*

# მიგრაცია: არსი, სახეები და ფაქტორები
# Migration: essence, faces and factors

*ავტორი: **მარიამ ჩაკვეტაძე,** ხელმძღვანელი: პროფ. **თამილა არნანია–-კეპულაძე,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*Author:* ***Mariam Chakvetadze,*** *Supervizor: Prof.* ***Tamila Arnania-Kepuladze****, Akaki Tsereteli State University*

***Abstract***

*With this topic I would like to increase the level of information,I want to show you the real problem which is actualnot only today, but was always. Is it really a problemor just a clearly established stereotype? I would like to show more clearly the situation in this direction, namely migration. Based on the actual data I will try to present the existing problemand the ways of solving problems them based on my view.My main goal is to show you relationship between migration and economy which realy exists.*

*Key Words:Migration, Internal Migration, International Migration*

მიგრაცია - ეს არის ადამიანების ერთი რეგიონიდან ან ქვეყნიდან სხვა ქვეყანაში ან რეგიონში გადაადგილება. ქვეყანაში მიგრაციას იმიგრაციას უწოდებენ, ხოლო ქვეყნიდან მიგრაციას – ემიგრაციას. ტერიტორიული საზღვრების გასწვრივ მცხოვრები ადამიანების მუდმივი გადაადგილება მიჩნეულია, როგორც საზღვრების გადაკვეთა, როდესაც საზღვრების გადაკვეთაა მიგრაცია და ემიგრაცია, ან იმიგრაცია და ემიგრაცია. მიგრაციის ან იმიგრაციის ადგილს ეწოდება მიმღების მოსახლეობა და გარეთ მიგრაციის ან ემიგრაციის ადგილი ეწოდება გამგზავნი მოსახლეობას.

**მიგრაციის ტიპები.**

მიგრაციის ორი ძირითადი ტიპი არსებობს: შიდა მიგრაცია და საერთაშორისო მიგრაცია.

**შიდა მიგრაცია** წარმოადგენს ეროვნულ საზღვრებში რეზიდენციის შეცვლას, მაგალითად პროვინციებს, ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებს შორის. შიდა მიგრანტი არის ადამიანი, რომელიც გადადის ერთი ადმინისტრაციული ტერიტორიიდან მეორეში.

**საერთაშორისო მიგრაცია** წარმოადგენს ადგილობრივ საზღვრებზე რეზიდენტის გადასვლას. საერთაშორისო მიგრანტი არის ადამია-

ნი, რომელიც გადადის სხვა ქვეყანაში. საერთაშორისო მიგრანტები შემდგომში კლასიფიცირდებიან, როგორც იურიდიული ემიგრანტები, უკანონო ემიგრანტები და ლტოლვილები. *იურიდიული ემიგრანტები* კანონიერი ნებართვით გადადიან მიმღების ერის საზღვრებს, *უკანონო ემიგრანტები* ნებართვის გარეშე გადადიან მიმღების ერის საზღვრებს და ლტოლვილები გადაკვეთენ საერთაშორისო საზღვრებს დევნისგან.

ჯეი ვაინშტეინი და ვიგანე პილაი (2001) აღნიშნავდნენ მესამე კლასიფიკაციას: იძულებითი მიგრაცია. იძულებითი მიგრაცია არსებობს მაშინ, როდესაც ადამიანი თავისი ნების საწინააღმდეგოდ გადაადგილდება, ან როდესაც ეს ნაბიჯი გარე ფაქტორების (სტიქიური უბედურების ან სამოქალაქო ომის გამო) ინიცირებულია.

შიდა და საერთაშორისო მიგრაციას შორის განსხვავება გადამწყვეტია, რადგან ისინი სხვადასხვა მიზეზებით არიან გამოწვეული. იმის გამო, რომ შიდა მიგრანტთან შედარებით სტრუქტურული ბარიერები უფრო მეტად ხელს უშლის პოტენციური საერთაშორისო მიგრანტის მობილობას, საერთაშორისო მიგრაცია მოიცავს უფრო ადმინისტრაციულ პროცედურებს, დაკავშირებულის უფრო მეტ ხარჯებთან და უფრო მეტ სირთულესთან დაც დაკავშირებულია დასაქმების მოპოვებასთან, სახელმწიფო სამსახურების ხელმისაწვდომობასთან, ახალი ენის სწავლასთან და ა.შ. საერთაშორისო მიგრაციას, როგორც წესი, გააჩნია უფრო ძლიერი მოტივაცია, ვიდრე შიდა მიგრაციის დროს.

მიგრაცია არის რთული სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა, რომელიც მოიცავს ადამიანებს, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო სხვადასხვა სივრცეში გადადიან. მიგრანტი შეიძლება იყოს ადამიანი, რომელიც ერის სხვა ქალაქის ან ქალაქისკენ გადადის; ლტოლვილი, რომელიც გადაკვეთს საერთაშორისო საზღვრებს, რელიგიური თუ პოლიტიკური დევნისგან გაქცევა; მაძიებელი, რომელიც სხვა ქვეყანას გადააქვს უკეთესი ეკონომიკური შესაძლებლობებისთვის;ან პირი, რომელიც იძულებით გადაადგილდება; ან პირი, რომელიც იძულებით გადაადგილდება ომის ან სტიქიური უბედურებით. დემოგრაფებს არ გააჩნიათ ერთიანი, საოპერაციო განსაზღვრა მიგრაციისთვის, რადგან ეს ხდება სხვადასხვა პირობებში.

მიგრაციის მიზეზები დაკავშირებულია იმ სპეციფიკურ კონტექ-

სტებთან, რომლებშიც მიგრანტები იმყოფებიან. *პირველი,* მიგრაციის ნაკადების შემადგენლობა ხასიათდება ისეთი სტრუქტურული ძალებით, როგორიცაა *გლობალური ეკონომიკა.მეორე,* სოციალურ-კულტურული განსხვავებები (გენდერი, კლასი, კასტა და სხვ.) მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინდივიდუალური მობილობისაზე. იმის გამო, რომ მიგრაცია სხვადასხვა გარემოებებში მიმდინარეობს, მიმღების პოპულაციის დემოგრაფიული შედეგები შესაბამისად იცვლება. მაგალითად, როდესაც სოფლის მოსახლეობის დიდი რაოდენობა ქალაქებში გადადის, ინფრასტრუქტურული პრობლემები შეიძლება წარმოიშვას.

მიგრაციის პროცესში შესაძლოა ვარიაციის გათვალისწინებით, ყველა მიგრანტის ანალიზი ვერ მოხდება იმავე თეორიული ჩარჩოებით. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ჰეტეროგენული ფაქტორები საყოველთაო განსაზღვრა შეუძლებელია, ზოგადად, მიგრაცია არის პროცესი, რომლის დროსაც ინდივიდუალური ან ჯგუფი საკუთარ საცხოვრებელი ადგილიდან ერთ ადგილას გადადის. გარდა სივრცითი განზომილებისა, მიგრაცია ასევე გულისხმობს სამუშაოების შეწყვეტას, სწავლებას, სოციალურ ცხოვრებას და სხვა ნიმუშებს. მიგრანტი არის ადამიანი, რომელიც არღვევს საქმიანობას და ასოციაციებს ერთ ადგილას და რეორგანიზება ხდება მათი ყოველდღიური ცხოვრებისა სხვა ადგილას. გადაადგილება იმავე არეალში განიხილება როგორც მობილურობა და არა მიგრაცია, რადგანაც მუდამ შეუძლია გააგრძელოს ყოველდღიური ცხოვრება,შეინარჩუნოს იგივე სამუშაო ან სასწავლო დაწესებულება, იაროს იმავე მაღაზიებში, იურთიერთოს ერთი და იგივე ადამიანებთან და ა.შ.

დემოგრაფისტები ამტკიცებენ, რომ მიგრაცია აუცილებლად უნდა შეიცავდეს არსებულ მუდმივ ტერიტორიულ ცვლილებას, რითაც ისგანსხვავდება მობილობისგან. აქედან გამომდინარე, მგზავრები გამორიცხავენ მიგრაციის კვლევებს, რადგან ისინი გადაადგილდებიან საზღვრების დროებით საფუძველზე და რადგან მათი მოძრაობა ზოგადად არ იწვევს მნიშვნელოვან ცვლილებას ნებისმიერ მოსახლეობაში. მათი გადაადგილების მკაცრი თვალსაზრისით მკაცრი კატეგორიების განზოგადება შეიძლება იყოს პრობლემატური, თუმცა, ეს მეთოდი უგულებელყოფს მოსახლეობის მოძრაობის სოციალურ კონტექსტს. დროებითი ნაბიჯები არ აღინიშნება მოსახლეობის აღწერი-

საგან და შესაბამისად არ დარეგისტრირდება დემოგრაფიული თვალსაზრისით. ამ თვალსაზრისით, პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერი, რომელიც სან ფრანცისკოში ლოს ანჯელესში გადავიდა, კლასიფიცირებულია როგორც მიგრანტი, ხოლო მექსიკელი კალიფორნიაში მოღვაწეობს, როგორც სეზონური სოფლის მეურნეობის თანამშრომელი. თუმცა, სოფლის მეურნეობის მუშაკისათვის, ალბათ, ყველაზე სოციალურად მნიშვნელოვანია ენობრივი ბარიერები, კულტურის შოკი და რასის დისკრიმინაცია. ამ პოლიტიკამ შექმნა უმნიშვნელო უმუშევრობის პრობლემები მექსიკაში, სადაც ეკონომიკა არ იყო ძლიერი. აქედან გამომდინარე, პროგრამა, რომელიც ადრე შეერთებულ შტატებში მობილურობისკენ მოუწოდებდა, მექსიკელის სიდუხჭირის შემდეგ 1964 წელს შეწყდა. მიუხედავად იმისა, რომ ისინი მიგრანტებად არ ჩაითვალა , მექსიკელი სოფლის მეურნეობის მუშაკთა მობილურობამ დიდი გავლენა  მოახდინა მექსიკის ეკონომიკაზე და აშშ-ის საემიგრაციო პოლიტიკის ცვლილებებზე.

ფაქტორები, რომლებიც აიძულებენ ადამიანს გადავიდეს ერტი ადგილიდან მეორეშის შეიძლება იყოს გვალვა, შიმშილობა, სამუშაო ადგილების ნაკლებობა, მოსახლეობის და სამოქალაქო ომი, ხოლო ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანს გადაადგილებაში - ეს არის უკეთესი სამუშაო ადგილის მოძებნის შანსი, უკეთესი განათლების მიღების შესაძლებლობა, ცხოვრების უკეთესი დონის მიღების იმედი და სხვ.



**ეკონომიკური ეფექტები.** მიგრაციის ეკონომიკური ეფექტები

განსხვავდება. გამგზავნელი ქვეყნები მოკლევადიან პერიოდში განიცდიან მოგებასაც და ზარალსაც. მიგრაციის ეკონომიკური ეფექტები, როგორც გაგზავნისა და მიმღებ ქვეყნებისთვისაც, შეიძლება განსხვავდებოდეს იმაზე, თუ ვინ მიდის, განსაკუთრებით მიგრანტ მუშაკთა უნარიანობის თვალსაზრისით. შვედეთის პროფესორმა აღნიშნა: "პრობლემა არ არის იმიგრაცია; ეს არის ინტეგრაცია, განსაკუთრებით შრომის ბაზარზე. თუ არ არსებობს სამუშაო ადგილები, შედეგები არის სეგრეგაცია, საბინაო პრობლემები და გაყოფილი ქალაქები. გამგზავნელი ქვეყნებისთვის ემიგრაციის მოკლევადიანი ეკონომიკური სარგებელი გამოიხატება ფულადი გზავნილებით. ფულადი გზავნილები ეს არის ის თანხა რომელსაც ემიგრანტები საზღვარგარეთ გამოიმუშავებენ და უკან აგზავნიან საკუთარ ქვეყანაში , ძირითადად ოჯახის მხარდასაჭერად. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ფულადმა გზავნილებმა 2012 წელს 529 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. სავარაუდოდ, ეს მაჩვენებელი მხოლოდ ფორმალური არხების საშუალებით მოწოდებულ ინფორმაციას შეესაბამება, სინამდვილეში კი გზავნილების რაოდენობა სავარაუდოდ ბევრად აღემატება ამ ნორმებს.ბოლო დროს UNCTAD- ის ანგარიშში აღნიშნულია:კონფლიქტურ და პოსტკონფლიქტურ სიტუაციებში გადარიცხვები ძალზე მნიშვნელოვანია გადარჩენის, შენარჩუნების, რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციისათვის. ძირითადად, საყოფაცხოვრებო საარსებო საშუალებების უზრუნველყოფის მიზნით, ფულადი გზავნილები იხარჯება ადგილობრივ თემებში, რომლებიც ხელს უწყობენ ადგილობრივ ეკონომიკას მცირე ბიზნესის მხარდასაჭერად. ამ ხარჯების სამართლიანი წილი მიმართულია სახლების, ჯანდაცვისა და განათლების მშენებლობისკენ, საფინანსო ინსტიტუტებთან ერთად, რაც ამ კრიტიკული მომსახურების სექტორში დასაქმების საშუალებას იძლევა.უფრო მეტიც, უცხოური ვალუტის მეშვეობით, ფულადი გზავნილები ეკონომიკურ ზრდას უწყობს ხელს საზღვარგარეთის ქვეყნებში კრედიტუნარიანობის გასაუმჯობესებლად და საერთაშორისო კაპიტალის ბაზრების ხელმისაწვდომობისათვის. (UNCTAD, 2011).

ამავდროულად, განვითარებად ქვეყნებს შეუძლიათ განიცადონ "ტვინის გადინება" - გადამზადებული და განათლებული პირების დაკარგვა ემიგრაციაში. მაგალითად, აშშ-ში მუშაობს უფრო მეტი აფრიკელი მეცნიერი და ინჟინერი, ვიდრე თვით აფრიკაში. მიგრაციის

საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მონაცემებით, ზამბიაშიემიგრაციამ რამდენიმე წლის წინ პრაქტიკოსი ექიმების რაოდენობა1,600-დან 400 მდე შეამცირა .IOM- ის მონაცემებით, 1997 წლიდან „აფრიკის ტვინის“ გადინებამ დაახლოებით 9 მილიარდი დოლარის ღირებულების კაპიტალის დაკარგვა გამოწვია.






## მიგრაციის ფაქტორები და მიზეზები

"ფაქტორის" კონცეფცია (ლათინური თარგმანიდან გამომდინარე) გამოიყენება ნებისმიერი პროცესის, ფენომენის მამოძრავებელ ძალის გასანმარტად . ფაქორებს ყოფენ ორ ძირითად ნაწილად : დონის ფაქტორი (სტატისტიკა) და განვითარების ფაქტორი (დინამიკა). აქედან გამომდინარე, ფაქტორები განსაზღვრავენ ფენომენის დონეს ან განვითარებას.მიგრაციისთეორიაში მიგრაციის ფაქტორები მიგრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების კომპლექტია. ყველაზე გავრცელებული კლასიფიკაციაა მიგრაციის ფაქტორების დელიმირება, მიგრაციული პროცესების გავლენის მარეგულირებელი შესაძლებლობის გათვალისწინებით. 1960-იანი წლების ბოლოს შეიქმნა კლასიფიკაცია, რომლის მიხედვითაც მიგრაციის ფაქტორები იყოფა სამ ჯგუფად:

- უკონტროლო, მუდმივად მოქმედი ფაქტორები;
- ე.წ. დროებითი ფაქტორები, რომლებიც რეგულირდება არაპირდაპირი ეფექტით;
- რეგულირებადი ცვლადი ფაქტორები.

*უკონტროლო, მუდმივად მოქმედი მიგრაციის ფაქტორები* მოიცავს გეოგრაფიული ტერიტორიას. მისი ბუნებრივი კომპონენტებია: მეტეოროლოგიური, გეოლოგიური, ფიტო და ზოოგეოგრაფიული. მიწისძვრა, წყალდიდობა, სისხლისღვრა, მწერები ხშირად ხელს უწყობენ მოსახლეობის გადინებას, ვიდრე ყველა სხვა ფაქტორი.

2) მიგრაციის ფაქტორთა მეორე ჯგუფი ანუ ე.წ. *დროებითი ფაქტორები, რომლებიც რეგულირდება არაპირდაპირი ეფექტით,* მოიცავს ფაქტორებს, რომლებიც ეტაპობრივად იცვლება. ეს არის ტერიტორიის განვითარების დონე, მათ შორის, სამრეწველო და სოციალური ინფრასტრუქტურის შექმნა; მოსახლეობის ასაკობრივი, ეთნიკური შემადგენლობა. იმ ადგილას, სადაც მოსახლეობა სწრაფად იზრდება მიგრაციის ხარჯზე ახალჩამოსულების წილი იზრდება.

3) მიგრაციის *რეგულირებადი ცვლადი ფაქტორები* ანუ მიმდინარე მარეგულირებელი ფაქტორი - მოიცავს: ანაზღაურების მომატებას, ქონების დაბეგვრის გარკვეული შეღავათებით , საკადრო პოლიტიკას, ცვლილებებს ეროვნულ პოლიტიკაში და ა.შ.

ადამიანები მიგრაციის მიზანშეწონილობას სხვადასხვა მიმართულებებით აფასებენ. პიროვნების თვისებები რომლებიც განაპირობებს გადაწყვეტილებათა დიფერენციაციას, შეიძლება ჩაითვა-

ლოს სუბიექტურ ფაქტორებად.

როგორც უკვე ავღნიშნე, ადამიანის "მიგრაციის პრობლემები" გამოწვეულია ომის, პოლიტიკური და რელიგიური დევნის, სტიქიური უბედურებების, ეპიდემიების, შიმშილის, გვალვისა და ეკონომიკური შესაძლებლობების მძიმე ნაკლებობით. ჩვენი დღევანდელი სამყარო არ არის მზად მილიონობით მიგრაციისთვის.. თუმცა ჩემი აზრით, ჩვენ ყველანი მიგრაციის ნაწილი ვართ, ანუ მიგრაციის „შედეგი" . ასე რომ - ტერმინი არ უნდა წარმოადგენდეს "პრობლემას", რადგან მიგრაცია ახალი არაფერია. მიგრაცია, როგორც პრობლემა, მხოლოდ სახელმწიფო საზღვრებში არსებობს. ის ფაქტი, რომ მან გამოიწვია სიღარიბე, ძალადობა და პოლიტიკური საკითხები , ეს უკვე შეიძლება იყოს პრობლემა.

ვფიქრობ, გამოსავალი არის ის, რომ მიგრაციის შედეგად ახალ ქვეყანაში წასულ ხალხს უნდა მიეცეს ყველა ის შესაძლებლობები, რაც სხვა მოქალაქეებს გააჩნიათ .საჭიროა იმ ქვეყნებმა, რომლებიც იღებენ ამ მიგრანტებს, შეცვალონ თავიანთი დამოკიდებულება მათ მიმართ. მიგრანტებმა არ უნდა იგრძნონ თავი უცხო გარემოში ,რაც ჩემი აზრით მშვიდობისკენ გადადგმული ნაბიჯი იქნება. აგრეთვე სახელმწიფოებმა უნდა შეამცირონ სიმკაცრე სავიზო რეჟიმებზე და მოძრაობის შეზღუდვაზე. მიჩნეულია რომ ყველაზე დიდი „იძულებითი" მიგრაცია მეორე მსოფლიოს ომის შემდეგ მოხდა, თუმცა ათწლეულების მანძილზე ანტი–ემიგრაციულ განწყობას ზევრად მეტი შეეწირა. ასე რომ, მიგრაციის მიერ გამოწვეულ პრობლემებთან ბრძოლა უმეტესწილად სახელმწიფო რეფორმებს შეუძლია.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1.https://migration.academic.ru/113/%D0%A4%D0%B0%D0%BA%D1%82%D0%BE%D1%80%D1%8B_%D0%B8_%D0%BF%D1%80%D0%B8%D1%87%D0%B8%D0%BD%D1%8B_%D0%BC%D0%B8%D0%B3%D1%80%D0%B0%D1%86%D0%B8%D0%B8

2. http://family.jrank.org/pages/1173/Migration.html

3.http://www.geography.learnontheinternet.co.uk/topics/migration.html#pushpull

4. http://www.globalization101.org/economic-effects-of-migration/

# სახელმწიფო შესყიდვების როლი ბიზნესის განვითარებაში
# The role of the public procurement in business development

*ავტორი* - ***ალიმი ხერხაძე,*** *ხელმძღვანელი* - ***პროფ. გიორგი ღავთაძე,*** *აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*Author* - ***Alimi Kherkhadze,*** *Supervizor - Prof.* ***George Gavtadze****, Akaki Tsereteli State University*

*Abstract*

***Preface and goal:*** *state procurements for all countries have one of the main decisive importances for studying rational and effective spending of budgetary funds. Excluding of corruption in the public procurements means public transparency and just spending of public finances. The goal of the present work is to review united electronic system of the current state procurements, to demonstrate its role in the development of business sector and to aim ways for improvement of the system as far as possible.*

***Research Methodology:*** *In the course of research we relayed on practical experience and the base of the public procurement system, where is gathered statistical material of previous years, as well as trends of current periods are well visible. The united electronic system of state procurement allowed us to compare the situation of the previous years and now concerning to the state procurement and analyze the business interest indicators in this field.*

***Results and implications:*** *The study showed that both domestic and foreign business interest rates are increased from year to year, which is reflected in the number of "suppliers" registered in the system.*

***Conclusion:*** *Based on the above, it should be noted that the united electronic system of public procurement is equally serving as the democratization and transparency process of the country as well as the promotion and development of the business sector. The united electronic system of public procurement has removed the geographical barrier and provided equal distribution of information to all interested parties.*

***Keywords:*** *Public procurements, Business development, United electronic system of the public procurements, procurements law.*

სახელმწიფო შესყიდვები ცივილიზებული ფორმით, სახელმწიფოთა დემოკრატიზაციის პროცესთან ერთად ჩამოყალიბდა, მას შემდეგ, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის ეფექტურ და გამჭვირვალე ხარჯვას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა. სახელმწიფო შესყიდვების თანამედროვე სისტემები განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყნებში მიმართული არიან სახელმწიფო სახსრების ეფექტიანი და სამართლიანი ხარჯვისკენ, სადაც მაქსიმალურ დონეზეა უზრუნველყოფილი

სახსრების ხარჯვის რაციონალურობა და გამჭვირვალობა.

საქართველოში დღეისათვის მოქმედ სახელმწიფო შესყიდვების სისტემას 2010 წლის პირველ დეკემბერს ჩამოყალიბებისას გადაეცა მძიმე მემკვიდრეობა მანამდე არსებული სატენდერო სისტემის სახით, რომელსაც, სათანადო გამჭვირვალობის არქონის გამო, ახასიათებდა დისკრიმინაციული მიდგომები, ფიქსირდებოდა კორუფციის, ფავორიტიზმისა და სხვა არაჯანსაღი პრაქტიკის ფაქტები. შესაბამისად, საზოგადოებრივი ნდობის ხარისხი სახელმწიფო შესყიდვების სისტემის მიმართ დაბალი იყო, რასაც ემატებოდა ინფორმაციის შეზღუდვა, ტენდერში მონაწილეობის მაღალი ხარჯი და დროის მოთხოვნების არაადეკვატურობა. ამ მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დაევალა სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის შექმნა, დანერგვა და მართვა. ეს პროცესი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტექნიკური მხარდაჭერით განხორციელდა. ამ ძალისხმევის შედეგად, შესაძლებელი გახდა „ქაღალდის ტენდერების" სრულად გაუქმება და სახელმწიფო ტენდერების მხოლოდ e-სისტემის (ანუ ელექტრონული სისტემის) მეშვეობით განხორციელება.

სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა (PROCUREMENT.GOV.GE; SPA.GE) არის საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების ოფიციალური პორტალი, რომელიც უზრუნველყოფს ღია, გამჭვირვალე და კონკურენტუნარიან გარემოს სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში მონაწილე ნებისმიერი პირისათვის. სისტემა მრავალენოვანია (ქართული, ინგლისური, რუსული) და მასში განთავსებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისათვის არსებობს რამდენიმე სხვადასხვა ინსტრუმენტი, რომელთა გამოყენება დაკავშირებულია შესყიდვის ვადებთან, თანხის მოცულობასა და შესყიდვის ობიექტის სპეციფიკაციასთან. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს საქონელი, სამუშაო და მომსახურება, რომელთა შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს კონკურსის, გამარტივებული შესყიდვის ან სხვადასხვა ტიპის ელექტრონული ტენდერის მეშვეობით. 2017 წლის 19 ივლისამდე არსებობდა აგრეთვე გამარტივებული ელექტრონული ტენდერი.

სახელმწიფო შესყიდვა სამი ძირითადი სუბიექტის მონაწილეო-

ბით მიმდინარეობს. ესენია: შემსყიდველი ორგანიზაცია, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, როგორც შუამავალი რგოლი და მიმწოდებელი. სახელმწიფო შესყიდვა შედგება ქმედებათა ციკლისგან, რომელთა სათანადოდ წარმართვა აუცილებელია, რათა მიღწეულ იქნას სახელმწიფო სახსრების ეფექტიანი ხარჯვა. მოთხოვნების წაყენებისას აუცილებელია, დაცული იქნას ობიექტურობის და არადისკრიმინაციულობის პრინციპები, რაც გულისხმობს წაყენებული მოთხოვნების შესყიდვის ობიექტთან პირდაპირ და ზომიერად პროპორციულ კავშირს. შესაბამისად, ცალკეული მოთხოვნები უნდა განისაზღვროს შემთხვევისებრ, შესყიდვის ობიექტის მოცულობის, სირთულის, მიწოდების ვადის, გადახდის პირობებისა და შესყიდვის სხვა თავისებურებათა გათვალისწინებით.

საქართველოს სახელმწიფო შესყიდვებში ბიზნესის დაინტერესების მაჩვენებლები წლიდან წლამდე იზრდება. აღნიშნული ფაქტი გამოწვეულია როგორც პროცესის გამჭვირვალობითა და სანდოობით, აგრეთვე შესყიდვის მოცულობათა მზარდი ტენდენციით. 2014 წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ 2,846,942,257[1] ლარს მიაღწია, საიდანაც ჩატარებული ელექტრონული და გამარტივებული ელექტრონული ტენდერების საერთო სავარაუდო ღირებულებამ 1,945,016,717 ლარი, ხოლო, სახელშეკრულებო ღირებულებამ 1,703,884,154 ლარი შეადგინა. ბიზნესის ინტერესის ზრდაზე სახელმწიფო ტენდერების მიმართ მიგვანიშნებს წლების მიხედვით სისტემაში რეგისტრირებულ მიმწოდებელთა რაოდენობის ზრდის დინამიკა. 2014 წლის მანძილზე სისტემას შეემატა 4,285 ახალი პოტენციური მიმწოდებელი და ჯამში წლის ბოლოსთვის სისტემაში რეგისტრირებულ მიმწოდებელთა რაოდენობამ 19,911 შეადგინა, რაც 2014 წელს, ქვეყნის მასშტაბით მოქმედი აქტიური ბიზნესის 18.5%-ს შეადგენდა. სისტემაში რეგისტრირებული შპს-ების რაოდენობა 9,677-დან 12,234-მდე (ქვეყნის მასშტაბით მოქმედი აქტიური შპს-ების დაახლოებით 27%), ხოლო სისტემაში რეგისტრირებული ინდივიდუალური მეწარმეების რიცხვი 3,742-დან 4,578-მდე გაიზარდა, რაც ქვეყანაში მოქმედი აქტიური ინდივიდუალური მეწარმეების

[1]http://procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/AnalyticalStudiesReports/2014-tslis-angarishi-geo.pdf.aspx

დაახლოებით 8%-ს უტოლდება.

2015 წლის განმავლობაში კი სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკ-რულებების ჯამურმა ღირებულებამ უკვე 3,203,258,126[2] ლარი შეად-გინა. მათგან ელექტრონული პროცედურებით განხორციელდა 2,124,163,190 ლარის შესყიდვები. 2015 წელს შემდგარი ტენდერების ჯამური სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 2,292,647,193 ლარს, ხო-ლო სახელშეკრულებო ღირებულება კი 1,992,942,977 ლარს. გამოცხა-დებული ტენდერიდან დაახლოებით 79%-ის სავარაუდო ღირებულე-ბა წარმოადგენდა 50,000 ლარს და ნაკლებს. აღნიშნული ფაქტი მეტყ-ველებს იმაზე, რომ ისევე როგორც წინა წლებში, სახელმწიფო შეს-ყიდვებში მონაწილეობის მიღება კვლავაც დიდწილადაა ხელმისაწ-ვდომი მცირე და საშუალო ბიზნესისთვის. 2015 წლის მანძილზე სის-ტემაში ჯამში 5,134 ახალი მიმწოდებელი დარეგისტრირდა. შედეგად, რეგისტრირებული მიმწოდებლების რაოდენობამ 2015 წლის ბოლოს-თვის 25,045 შეადგინა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორ-მაციით, საქართველოში 2015 წლისთვის ფიქსირდება დაახლოებით 160,000 აქტიური ეკონომიკური ოპერატორი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობას ღებულობს დაახლოებით 15.6%. სისტემაში რეგისტრირებული მიმწოდებლების უდიდეს ნა-წილს წარმოადგენენ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოე-ბები, ინდივიდუალური მეწარმეები და ფიზიკური პირები. 2015 წლის მდგომარეობით არარეზიდენტი პირების რაოდენობამ სისტემა-ში შეადგინა 704, რომელიც 2014 წლის მაჩვენებელს 222-ით (46%-ით) აღემატება. 2015 წლის განმავლობაში არარეზიდენტ მიმწოდებლებ-თან სისტემის მეშვეობით გამოცხადებულ ტენდერებზე გაფორმდა 56 ხელშეკრულება, რომელთა ჯამური ღირებულებაც წარმოადგენდა 58,101,005 ლარს.

2016 წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრუ-ლებების ჯამურმა ღირებულებამ 4,018,097,958 ლარი შეადგინა. 2016 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა 11%-ით აღემა-ტება 2015 წლის მონაცემებს. 2016 წელს ხელშეკრულება დადებული ტენდერების ჯამურმა სავარაუდო ღირებულებამ 2,550,507,717 ლარი

---

[2]http://procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/AnalyticalStudiesReports/Angarishi_2015_geo.pdf.aspx

შეადგინა, ხოლო სახელშეკრულებო ღირებულებამ კი 2,272,072,677 ლარი. წლის ბოლოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებული მიმწოდებლების რაოდენობამ 30,704-ს მიაღწია. მათგან რეზიდენტი მიმწოდებლების რაოდენობა წარმოადგენდა 29,581-ს, ხოლო არარეზიდენტების 1,123-ს, რაც წინა წლის ამავე მაჩვენებელს 60%-ით აღემატება. აღნიშნული ფაქტი კიდევ ერთხელ მეტყველებს, რომ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა ღია და ხელმისაწვდომია ყველა საერთაშორისო ეკონომიკური სუბიექტისთვის.

2017 წლის 10 თვის მონაცემებით[3] სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში გამოქვეყნდა სახელმწიფო შესყიდვის 27,736 განაცხადი, რომელთაგან უარყოფითი შედეგით დასრულდა 1755, არ შედგა 5091, შეწყდა 913 და ხელშეკრულება დაიდო 19331 განაცხადზე, ხოლო დანარჩენზე მიმდინარეობს შესყიდვის სხვა პროცედურები (შერჩევა/შეფასება, ხელშეკრულების მომზადება).

აღნიშნული მონაცემები ადასრტურებს, რომ სახელმწიფო შესყიდვების ზრდის პარალელურად, მზარდია ამ სფეროსადმი კერძო სექტორის დაინტერესებაც, რაც პროცედურული სიმარტივით, სამართლიანობითა და გამჭვირვალეობითაა გამოწვეული. სადავო საკითხების გადაწყვეტისას, კი დავების საბჭო სამართლიანობის ავტორიტეტით სარგებლობს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ შესყიდვებში წლიდან წლამდე იზრდება მომსახურებისა და სამუშაოების ჯამური მოცულობა, ხოლო შესყიდული საქონლის პროცენტული რაოდენობა იკლებს. საქართველოს დღევანდელი ეკონომიკური რეალობიდან გამომდინარე, შესყიდული საქონლის უმეტესობა ინპორტულია, ხოლო სამუშაოებსა და მომსახურებას მეტწილად ადგილობრივი კომპანიები ასრულებენ. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვებში სამუშაოებისა და მომსახურების წილობრივი მაჩვენებლების ზრდა მიანიშნებს იმ ფაქტზე, რომ სახელმწიფო შესყიდვების შედეგად დახარჯული საბიუჯეტო სახსრები მიმართულია ადგილობრივი ბიზნესის განვითარებასა და ხელშეწყობაზე. მაგალითისთვის, 2014 წელს ჩატარებული ტენდერების 54% საქონლის, 25% მომსახურების, ხოლო 21% კი სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე მო-

[3] https://tenders.procurement.gov.ge/

დიოდა (სახელშეკრულებო ღირებულებათა განაწილება კი ასეთია: სამუშაოები 918,627,950 (54%) ლარი, საქონელი 478,011,901 (28%) ლარი და მომსახურება 307,244,303 (18%) ლარი), აღნიშნული მაჩვენებელი 2015 წლისთვის შემდეგნაირად გამოიყურებოდა: 53% საქონლის შესყიდვა, 25% - მომსახურება, 22% სამუშაოები (სახელშეკრულებო ღირებულებით ჭრილში, სახელმწიფო შესყიდვებში სამუშაოების მოცულობა ყველაზე დიდია და წარმოადგენს 1,144,773,383 (57%) ლარს, ხოლო საქონლისა და მომსახურების სახელშეკრულებო ღირებულებები კი შესაბამისად 537,918,938 (27%) და 310,250,656 (16%) ლარს). 2016 წელს, შესასყიდი საქონლის პროცენტული წილი კიდევ უფრო შემცირდა და გაიზარდა სამუშაოსა და მომსახურების წილობრივი მაჩვენებელი: 49% მოდის საქონლის შესყიდვებზე, ხოლო დანარჩენი 24% და 27% შესაბამისად, ნაწილდება სამშენებლო სამუშაოებზე და მომსახურებაზე, საიდანაც სამშენებლო სამუშაოებზე მოდის სახელშეკრულებო ღირებულებების ჯამური თანხის 60% (1,359,884,102 ₾), მომსახურებაზე 16% (369,920,135 ₾), ხოლო 24% (542,268,440 ₾) საქონელზე.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა თანაბრად ემსახურება როგორც ქვეყნის დემოკრატიზაციისა და გამჭვირვალობის პროცესს, აგრეთვე ბიზნეს სექტორის ხელშეწყობასა და განვითარებას. სახელმწიფო შესყიდვების ერთიანმა ელექტრონულმა სისტემამ მოხსნა გეოგრაფიული ბარიერი და უზრუნველყო ინფორმაციის თანაბარი გავრცელება ყველა დაინტერესებულ პირზე. ამ სისტემის მეშვეობით ეკონომიკური სუბიექტები იღებენ სწორ, ნეიტრალურ და მიუკერძოებელ ინფორმაციას, ხოლო მათი უფლებების დაცვა გარანტირებულია როგორც დავების საბჭოს, აგრეთვე სასამართლოს მეშვეობით.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. http://www.transparency.ge/sites/default/files/post_attachments/State%20Procurement%20GEO.pdf
2. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0preziden--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10--.%2E-4----4---0-0l--11-ka-10---10-help-50--00-3-1-00-0-00-11-1-0utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-10&cl=CL3.4.4&d=HASH016702c4f6f61047dd94e6fd&x=1

3. https://matsne.gov.ge/ka/document/view/14758
4. http://procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/Manuals/saxelmwifo-shesyidvebis-gzamkvlevi_25-11-2015.pdf.aspx
5. http://procurement.gov.ge/
6. http://procurement.gov.ge/ELibrary/AnalyticalStudiesReports.aspx
7. http://procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/StrategyActionPlan/CSPA-Strategic_Plan_Final.pdf.aspx
8. http://procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/LegalActs/Sesyidvebis_Sesaxeb.pdf.aspx

♦♦♦

# ПРОБЛЕМЫ И ПЕРСПЕКТИВЫ ИННОВАЦИОННОЙ ДЕЯТЕЛЬНОСТИ ПРЕДПРИЯТИЙ В РЫНОЧНОЙ СИСТЕМЕ УКРАИНЫ

***Стёпкин В.В.,*** *студент 3 курса финансово-экономического факультета направления подготовки «Финансы и кредит» (ХУНИ ГВУЗ УБД, Харьков)*

***Носова О.В.,*** *доктор экономических наук, профессор кафедры финансов, банковского дела и страхования (ХУНИ ГВУЗ УБД, Харьков)*

***Abstract***

*The world economic theory and practice of economic transformations of a market economy system depict that innovation activity plays a specific and, at the same time, a fundamental role in the development of a market economy, especially in its formation.*

*Given the importance of innovation for economic development, an important task is to research and justify the problems and prospects for the development of innovation activities in Ukraine.*

*The purpose of this work is theoretical substantiation and development of methodological and practical recommendations for providing an effective innovation process of Ukrainian enterprises.*

*The subject of the study is the mechanisms for the formation, implementation and development of innovative processes in market economy.*

*The object of research is the innovation processes in the market system of management.*

***Keywords:*** *enterprise, innovation, innovative activity, innovation policy, innovative development.*

**Введение.** В современных рыночных условиях хозяйствования повышение качества и конкурентоспособности производственно-технической базы предприятий является важным фактором роста их экономической стабильности и дальнейшего развития. В течение

последних лет в Украине научно-технический прогресс протекал преимущественно на эволюционной основе, главным образом, путем усовершенствования действующей технологии, частичной модернизации машин и оборудования, а приоритеты в развитии производственно-технической базы недостаточно соглашались с экономическими результатами развития производства. Недостаточное внимание уделялось таким формам развития производственно-технической базы, как техническое перевооружение предприятия.

**Изложение основного материала.** Ключевым фактором развития человечества начиная со второй половины XX века стали инновации, как следствие сочетания результатов научной деятельности и их дальнейшего практического внедрения в самые разнообразные области общественной деятельности. Инновационная деятельность на сегодняшний день остается важнейшим фактором в обеспечении эффективной деятельности, как отдельных предприятий, так и глобальной экономической системы в целом.

Главными факторами, сдерживающими инновационную деятельность предприятий Украины остаются: недостаток собственных средств, недостаточная финансовая помощь государства, значительные затраты на нововведения, экономический риск, отсутствие информации о новых технологиях, отсутствие квалифицированного персонала, отсутствие спроса на продукции в стране и за ее пределами [1] .

Как видим в Таблице 1, в течении последних десяти лет общая сумма затрат на инновационную деятельность постоянно колеблется, но в последние года, она имеет тенденцию к росту. Однако подавляющую их часть составляют именно собственные расходы, тогда как доля государственных расходов и иностранных вложений является сравнительно небольшой. Это приводит к постоянной тенденции в ухудшении материально-технической базы и отрицательно сказывается на результатах их деятельности. [4].

*Таблица 1*

Источники финансирования инновационной деятельности в Украине

| | Общая сумма затрат | В том числе за счет средств | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | Собственных | Государственного бюджета | Иностранных инвесторов | Другие источники |
| | млн.грн. | | | | |
| 2006 | 6160,0 | 5211,4 | 114,4 | 176,2 | 658,0 |
| 2007 | 10821,0 | 7969,7 | 144,8 | 321,8 | 2384,7 |
| 2008 | 11994,2 | 7264,0 | 336,9 | 115,4 | 4277,9 |
| 2009 | 7949,9 | 5169,4 | 127,0 | 1512,9 | 1140,6 |
| 2010 | 8045,5 | 4775,2 | 87,0 | 2411,4 | 771,9 |
| 2011 | 14333,9 | 7585,6 | 149,2 | 56,9 | 6542,2 |
| 2012 | 11480,6 | 7335,9 | 224,3 | 994,8 | 2925,6 |
| 2013 | 9562,6 | 6973,4 | 24,7 | 1253,2 | 1311,3 |
| 2014 | 7695,9 | 6540,3 | 344,1 | 138,7 | 672,8 |
| 2015 | 13813,7 | 13427,0 | 55,1 | 58,6 | 273,0 |
| 2016 | 23229,5 | 22036,0 | 179,0 | 23,4 | 991,1 |

Важным показателем развития инновационной деятельности является численность научных организаций и кадров. В Таблице 2 наведены данные о количестве научных кадров и организаций в Украине [4]. За последние годы, количество организаций, которые выполняли научные исследования сократилась (в 2004 году- 1505, а в 2014 - 999). Сократилась и численность ученых. Положительным является лишь то, что численность докторов наук в экономике Украины увеличилась, что говорит о росте качественного уровня ученых.

Для совершенствования инновационной модели развития отечественной экономики большое значение имеют финансовые ресурсы, в том числе иностранные капиталовложения, поскольку государственное финансирование находится на низком уровне (0,2% от общего объема). Тогда как в зарубежных странах на довольно значительном уровне развито венчурное инвестирование инновационной деятельности, в Украине данная сфера нуждается в совершенствовании и независимой государственной поддержки. С помощью венчурного финансирования активизируются инновационные процессы, что является толчком для развития науки, производства и рынка. Венчурный капитал выступает основным источником финансирования инновационно-активных предприятий мира [2].

*Таблица 2*

Численность научных организаций и кадров

| | Количество организации, выполняющие научные исследования и разработки | Количество ученых, чел. | Количество докторов наук в экономике Украины, чел. | Количество кандидатов наук в экономике Украины, чел. |
|---|---|---|---|---|
| 2004 | 1505 | 106603 | 11573 | 65839 |
| 2005 | 1510 | 105512 | 12014 | 68291 |
| 2006 | 1452 | 100245 | 12488 | 71893 |
| 2007 | 1404 | 96820 | 12845 | 74191 |
| 2008 | 1378 | 94138 | 13423 | 77763 |
| 2009 | 1340 | 92403 | 13866 | 81169 |
| 2010 | 1303 | 89564 | 14418 | 84000 |
| 2011 | 1255 | 84969 | 14895 | 84979 |
| 2012 | 1208 | 82032 | 15592 | 88057 |
| 2013 | 1143 | 77853 | 16450 | 90113 |
| 2014 | 999 | 69404 | 16090 | 86230 |

Одним из факторов, которые негативно влияют на инновационное развитие предприятий и отталкивают иностранных инвесторов является сложность налоговой системы Украины. Для иностранных инвесторов как легальных налогоплательщиков, украинская система является сложной и обременительной для инновационной деятельности, которую они финансируют. Именно поэтому, необходимо пересмотреть и усовершенствовать налоговую систему Украины, что значительным образом повысит уровень инвестиционной привлекательности отечественных предприятий и инновационного развития.

Для поддержки инновационной деятельности в Украине необходимо использовать положительный опыт зарубежных стран, о способах стимулирования инновационных процессов и деятельности инновационно-активных предприятий. Важным шагом должно стать предоставление целевых субсидий предприятиям, которые осваивают новые технологии. Также стоит создать налоговые скидки на собственные инвестиции в инновационную деятельность, что будет способствовать развитию высокотехнологичного производства, вследствие чего повысится уровень конкурентоспособности. Целесообразно освободить от налогообложения средства, направленные на повышение квалификации и переподготовку научных кадров.

Основное содержание инновационной стратегии развития Украины должна заключаться в формировании совершенной и эффективной

государственной политики регулирования деятельности инновационных предприятий. Осуществляя политику регулирования и стимулирования инновационного развития, государство должно постоянно решать проблему баланса распределения ресурсов между предприятиями. В этих условиях надежным залогом интенсификации инновационной деятельности национальных субъектов хозяйствования хорошо взвешенная государственная инновационная политика, которая объединит науку, технику, предпринимательство, экономику и управление, и коснется практически всех сфер деятельности рыночной инфраструктуры [3].

**Вывод.** Таким образом, была рассмотрена проблема необходимости ведения инновационной деятельности для совершенствования финансово-экономического состояния предприятий в Украине. В перспективе, стратегической задачей для национальной экономики является использование конкурентных преимуществ в сфере высоких технологий и завлечение в систему иностранных инвестиций, что позволит изменить роль и место страны в системе международного разделения труда.

**Список использованной литературы:**

1. Ратушняк А. Г. Анализ инновационной активности промышленных предприятий Украины [Текст] / А. Г. Ратушняк, А. Г. Лялюк // Вестник ХНУ. Серия "Экономические науки". - 2015. - № 2, т. 1. - С. 132-135.

2. NOSOVA O. The Innovation Development in Ukraine: Problems and Development Perspectives / Olga NOSOVA. // INTERNATIONAL JOURNAL OF INNOVATION AND BUSINESS STRATEGY. – 2013.

3. Стратегия инновационного развития Украины на 2010-2020 годы в условиях глобализационных вызовов. [Электронный ресурс]. - Режим доступа: (http://www.kno.rada.gov.ua/komosviti/control/uk/doccatalog/list? CurrDir = 48718.

4. Официальный сайт Государственной службы статистики Украины [Электронный ресурс]. - Режим доступа: http://www.ukrstat.gov.ua/

# სერვეინგური (survey) კომპანიების ჩამოყალიბება განვითარებულ უძრავი ქონების ბაზრებზე და მათი ფუნქციონირების ორგანიზაციულ - ეკონომიკური მექანიზმის ანალიზი
# Establishing surway companies in developed real estate markets and their organizational and economic functioning mechanism

*ავტორი-**გიგი სონღულაშვილი,** ხელმძღვანელი - პროფ.**ელინა ქრისტესიაშვილი,** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*
*Author-**Gigi Songulashvili,** Supervizor - Prof. **Elina Kristesiashvili,** Georgian Technical University*

*Abstract*

*Establishing surway companies in developed real estate markets and their organizational and economic functioning mechanism. On the basis of analysis of types of entrepreneurial activities on developed real estate markets, the authors identified companies that provide real estate management services (management companies), All types of companies have been described by their functional peculiarities and analysis of their organizational-economic functioning mechanism. The authors of the article are convinced that by some intentions their formation can be made for sustainable development of the Georgian real estate market. The authors of the article are convinced that by taking prudent steps,by the way, they can be established in the real estate market of Georgia for its sustainable development.*

*Key Words : real property, market, management, service, organizational economic mechanism.*

## 1.სერვეინგური კომპანიების როლი უძრავი ქონების ბაზარზე

დასავლეთის ქვეყნების პრაქტიკაში მნიშვნელოვნად იზრდება როლი უძრავი ქონების ბაზარზე პროფესიული მართვის კომპანიების ჩამოყალიბების, რომლებიც განახორციელებენ ბაზრის სისტემურ მართვას და განვითარებას. მსგავს კომპანიებს ეწოდებათ „სერვეინგური კომპანიები", ხოლო მათში ჩართულ სპეციალისტებს-სერვეირები. სერვეირინგი გულისხმობს უძრავი ქონების ბაზრის სიტუაციების უწყვეტ მონიტორინგს და ბაზრის კონიუნქტურიდან, უძრავი ქონების ობიექტის მდგომარეობიდან და პოტენციალიდან გამომდინარე ბაზრის ყოველნაირი ექსპერტიზის ჩატარებას. ანალიზის

საფუძველზე სერვეირების მიერ ხდება ისეთი ხერხების შერჩევა, რომელიც გახდის შესაძვებელს მიღებულ იქნას უძრავი ქონების ობიექტიდან მაქსიმალური სარგებლი. აქედან დამომდინარე სერვეინგულ საქმიანობას გააჩნია ტექნიკური, ეკონომიკური, იურიდიული, ეკოლოგიური და სოციალური შემადგენელი ნაწილები და ამასთან ერთად ის არ შეიძლება წარმოადგენდეს რომელიმე მათგანს. მაქსიმალური დადებითი ეფექტის მიღწევისათვის სერვეიერებმა უნდა მიიღონ მხედველობაში  უძრავი ქონების შესაბამის სეგმენტზე უძრავი ქონების ობიექტის განვითარების ყველა შესაძლებელი ვარიანტები და ნიუანსები, შეაფასონ მისი პერსპექტივები, დაამუშაონ კონკრეტული გეგმა და გააკონტროლონ მისი შესრულება. აქედან გამომდინარე, სერვეინგი გულისხმობს უძრავი ქონების ობიექტების მესაკუთრეების ძირითადი ამოცანის გადაწყვეტას დაკავშირებულს ობიექტის ყველაზე საუკეთესო და სწორი მართვის პრინციპების გამოყენებასთან, რომლებიც მიზანმიმართულია მესაკუთრის შემოსავლების ზრდაზე უძრავი ქონების ეფექტიანი განოყენების ხარჯზე.

ისტორიულად სევეირინგი პირველად ჩამოყალიბდა ინგლისში XV-XVI საუკუნეებში და საწყის ეტაპზე ითვისებდნენ სახელმწიფო მოხელეების ფუნქციებს დაკავშირებულს მიწის ნაკვეთების გამიჯვნასთან და მათზე უფლებების რეგისტრაციასთან. სერვეირები 1868 წლიდან გადიან მომზადებას შექმნილ სერვეიერების მოსამზადებელ ინსტიტუტში, რომელსაც მიანიჭეს 1881 წელს სამეფოს წოდება დასადაც ისინი იცავენ დიპლომს. დოპლომირებული სერვიერები ასრულებენ:უძრავი ქონების ობიექტების შესახებ ინფორმაციის შეგროვების, წარდგენის და გადამუშავების, ქალაქების დაგეგმარების, განაშენიანების პროექტების მომზადების და დანერგვის, უძრავიქონების შეფასების და მართვის,  შენობების რეკონსტრუქციის, მოდერნიზაციის და რემონტის ფუნქციებს, ასევე ღებულობენ მონაწილეობას კომერციული და სხვა სახის ქონების გაყიდვაში ან იჯარით გაცემაში. აქედან გამომდინარე, სერვეიერების საქმიანობა მოიცავს უძრავი ქონების ყველა ეტაპებს და სასიცოცხლო ციკლის გამოვლენილ ფორმებს, რაც უზრუნველყოფს ყველა ურთიერთდაკავშირებული პრაქტიკული საკითხების გადაჭრას.

**2.სერვეინგური კომპანიების საქმიანობის მიმართულებები თანამედროვე პერიოდში**

თანამედროვე პერიოდში სერვეინგური კომპანიები დაკავებული არიან არა მარტო ექცპლუატაციაში მყოფი და გამზადებული უძრავი ქონების ობიექტების, არამედ ექსპლუატაციაში შესვლის სტადიაზე მყოფი ობიექტების მართვით. უკანასკნელი გარემოება იძლევა საშუალებას კლიენტთან სამუშაო პროცესში გაითვალისწინონ დაგეგმარების ინდივიდუალური გეგმა. მსგავსი კომპანიები მართავენ, როგორც ბიზნეს-ცენტრების, რომლებსაც გააჩნიათ მატერიალურ - ტექნიკური აღჭურვილობის მაღალი დონე, გაფართოებული ინფრასტრუქტურა, პროფესიული მომსახურება და დამატებითი სერვისების გაფართოებული კომპლექსი, მაღაზიების ქსელებით და სავაჭრო კომპლექსებით, სხვადასხვა დონის სასტუმროებით, ასევე ცალკე მდგარი სხვადასხვა დანიშნულებისძრავი ქონების ობიექტებით.

სერვეინგური კომპანიების საქმიანობა სეიძლება იყოს აუცილებელი საწარმოების გაკოტრების ან ანტიკრიზისული მართვის შემთხვევაში, შემდგომში მათი ფინანსური გაჯანსაღების მიზნით. მოვალე ორგანიზაციების ფინანსური გაჯანსაღების დროს გამოიყენება უძრავი ქონების ექსპერტიზის და მართვის ძირითადი დებულებები. გაკოტრებულ ორგანიზაციებს გააჩნიათ ძირითად წარმოებაში გამოუყენებელი უძრავი ქონების ობიექტები შენობა - ნაგებობების ან მიწის ნაკვეთების სახით, რაც თავისთავად წარმოადგენ დამატებით ფინანსურ სირთულის ფაქტორს ორგანიზაციისათვის, რადგანაც საწარმოს უწევს მათი შენახვა.ამავე დროს ისინი შეიძლება სასარგებლო იყოს საშუალო ან მცირე ბიზნესისათვის სერვეინგური კომპანიის გათვლებით. საწარმოს რესტრუქტურიზაციის დროს, გატარებული გაკოტრების პროცედურების ჩარჩოებში, როგორც წესი, გადასცემენ ნახსენებ აქტივებს ახლად შექმნის იურიდიულ პირს, სადაც ისინი ეფექტიანად გამოიყენება.

ამგვარად სერვეინგულმა კომპანიებმა შეიძლებაშესთავაზონ უძრავი ქონების მესაკუთრეს მომსახურეობის მრავალმხრივი სპექტრი. მომსახურეობის მრავალმხრივი სპექტრის მიხედვით მსოფლიო პრაქტიკა განსაზღვრავს შემდეგი სტანდარტების მქონე სერვეინგულ კომპანიების:

**1.Facility management (ობიექტის მართვა)** არის ორგანიზაციის ინფრასტრუქტურით მართვა, სადაც მთავარი ამოცანას წარმოადგენს საინჟინრო - ტექნიკური ექსპლუატაცია, ინფრასტრუქტურის მომსახუ-

რეობა, კომფორტის შექმნა. მსგავსი კომპანიების ფუნქცია არის მრავალფეროვანი სათავსოების დალაგებიდან და ავეჯის შესყიდვიდან დაწყებული, ყველა სახის სარემონტო სამუშაოების ორგანიზებით და დაცვის სამსახურების მართვით დამთავრებული.

2.**Property management (უძრავი ქონების მართვა)** არის სერვეინგური კომპანიის მიერ მომსახურეობის ისეთი სახით ჩატარება, როდესაც ის დაკავებულია მოიჯარადეებთანხეშელშეკრულებების დადებით, იჯარით გასაცემი შენობის მესაკუთრის კლიენტებთან. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს აქტივების მართვასთან, სადაც იგულისხმება კრედიტების აღება რეკონსტრუქციის ქვეშ ან საინვესტიციო კაპიტალის მართვა. წინა სტანდარტისგან (ობიექტის მართვა) განსხვავდება იმით, რომ მისთვის არ არის დამახასიათებელი უძრავ ქონებასთან დაკავშირებული გარიგებების განხორციელება. ამასთან კომპანიები, რომლებიც დაკავებული არიან ამ სახის მართვით უწევენ მომსახურეობის გაცილებით უფრო მეტ დასახელებას, რომლებიც მოიცავენ: ობიექტის ფართების რეალიზებას, ფართების დამატებითი კომერციული მიზნებისათვის გამოყენებას, ობიექტის იურიდიული და ფინანსური დოკუმენტაციის წარმართვას, ასევე ობიექტის მართვას, როგორც აქტივების ობიექტის კაპიტალიზაციის განაკვეთის გაზრდის მიზნით.

3.**Building management (მშენებლობის მართვა)** უძრავი ქონების ამ სახის მართვის მომსახურეობას ახორციელებენ კომპანიები უძრავი ქონების ბაზარზე, რომლებიც მართავენ შენობას, მისი სასიცოცხლო ციკლის ფაზების მიხედვით ანუ ობიექტის პროექტირების, მშენებლობით, მისი უტილიზირების ან ნგრევის პროცესებით მართვა. ამასთან, ისინი მონაწილეობენ პროექტების მართვაში, პროექტირებაზე ტექნიკური დავალების გაცემის საკითხებზე კონსულტაციების გაწევაში, შენობის საინჟინრო სისტემების შერჩევაში, ობიექტის ტექნიკური ექსპლუატაციის სისტემის დამუშავებაში.

4.**Asset management (აქტივების მართვა).** მართვის მომსახურეობის მსგავსი სახე ნიშნავს უძრავი ქონების მესაკუთრის ფინანსური ნაკადების მართვას. ამასთან, უძრავი ქონებიდან შემოსული მოგება მთლიანად რჩება მმართველი კომპანიის ანგარიშზე, რომელსაც მომავალში ის მართავს მესაკუთრის ნაცვლად. ამ შემთხვევაში კომპანიამ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ობიექტის მშენებ-

ლობის ან სხვა ეკონომიკურ სექტორებში თანხების დაბანდების შესახებ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთებულ იქნას შემდეგი დასკვნა, რომ დასავლეთის ტიპის მართვის მომსახურეობის კომპანიებს აქვთ საქართველოს უძრავი ქონების ბაზარზე არსებობის უფლება, გარკვეული სიფრთხილის გათვალისწინებით. მომსახურეობის ბაზარი უძრავი ქომების ბაზარზე მართვისათვის დიდია და მსგავსი კომპანიების ჩამოყალიბება არსებულ დეველოპერულ და სარიელტორო კომპანიებთან ერთად ხელს შეუწყობდა უძრავი ქონების ბაზრის მდგრად განვითარებას.

**3.სერვეინგური საქმიანობის ორგანიზაციულ - ეკონომიკური მექანიზმი**

სერვეინგური საქმიანობის კონცეპტუალური მოდელი შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი ეტაპისაგან:

•ანალიზის ეტაპი. მართვაში არსებული უძრავი ქონების ობიექტების ანალიზი, მათი საბაზრო მდგომარეობის შეფასება, უძრავი ქონების ბაზრის განვითარების ტენდენციების შესწავლა, რაც გულისხმობს შემდეგი მოქმედებების შესრულებას:

-უძრავი ქონების ბაზრის ანალიზს და მონიტორინგს;

-ობიექტის ადგილმდებარეობის და სამართლებრივი მდგომარეობის ანალიზს;

-ობიექტის მდგომარეობის ტექნიკური ანალიზი ჩატარებას;

-უძრავი ქონების ეკონომიკური და მმართველობითი ექსპერტიზების ჩატარებას;

•დაგეგმარების და შეფასებას ეტაპი. ეს ეტაპი გულისხმობს შემდეგი სამუშაოების ჩატარებას:

-უძრავი ქონების პორტფელის მართვის სტრატეგიების შემუშავებას;

-უძრავი ქონების ობიექტების შექმნის, რეკონსტრუქციის, ექსპლუატაციის, გამოყენების და ლიკვიდაციის პროცესების დადემარებას. სერვეინგის თეორიაში დაგეგმარებას გააჩნია ცენტრალური ადგილი და წარმოადგენს გადაწყვეტილებების მიღების რეგულარულად განმეორებად პროცესს, რაშიც აქვს ადგილი მმართველობითი საქმიანობის სხვადასხვა სახეობებს.

•უძრავი ქონების მართვის რეალიზების და შეფასების ეტაპი. ამ

ეტაპზე ექსპერტიზების ჩატარება მჭიდროდ არის დაკავშირებული პრაქტიკული რეკომენდაციების გამომუშავების ქვეეტაპთან უძრავი ქონების კონკრეტული ობიექტების ეფექტიანი მართვასთან დაკავშირებით.

უძრავი ქონების მმართველობითი სტრატეგიებს გააჩნია ორი შემადგენელი ნაწილი: პერველი სტრატეგიების შესაბამისობამესაკუთრის მიზნებთან; მეორე - შესაბამისობა არსებულ სამართავ რესურსებთან, რომელიც, როგორც წარმოების ნებისმიერი ფაქტორი არის შეზღუდული. ამიტომ მაქსიმალური ეფექტის მიღწევის ამოცანა შეზღუდული რესურსების პირობებში შესაძლებელია და დაკავშირებულია ამ ქონების სარგებლობასთან. აქედან გამომდინარე ობიექტის მართვის სტრატეგიები დამოკიდებულია იმ გუნდის უნარზე განახორციელოს შერჩეული სტრატეგიის რეალიზებაზე. უძრავი ქონების მართვის პრაქტიკაში, როგორც ზემოთ არის აღწერილი, შეიძლება განხორციელდეს სპეციალიზირებული მმართველობითი კომპანიების საშუალებით ან მესაკუთრის მიერ შიგნით შექმნილ ქვედანაყოფის მიერ.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. შეფასების საერთაშორისო სტანდარტის ქართული თარგმანი. მოამზადა და გამოსცა საქართველოს ქონების შემფასებელ ექსპერტთა ინსტიტუტმა. თბილისი. 2012წელი
2. გ. ხოფერია. სახელმძღვანელო: ”უძრავი ქონების შეფასება” თბილისი. 2015წ. საქართველოს განათლების სამინისტრო (ელექტრონული ვერსია).
3. Грабовый. П. Г.Сервейинг и профессиональный девелопмент недвижимости.-М. : Изд-во МГСУ, 2012ю
4. Максимов С. А. Основы предпринимательской деятельности на рынке недвижимости.-СПБ.: Изд-во Питер 2000
5. Грабовой П.Г. Экономика и управление недвижимостью. М. АСВ, 2001.
4. Henry S. Harrison “Real Estate Appraisal”. USA. 1993.

# კომერციული ბანკის მოზიდული რესურსების მართვის სრულყოფის მიმართულებები

# Directions for Improvement of Attracted Resource Management of Commercial Banks

*ავტორი-* **გოგა გელიტაშვილი,** *ხელმძღვანელი - ასოც. პროფ.* **მედეა ჭელიძე,** *საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*
*Author -* ***Goga Gelitashvili,*** *Supervizor - Assoc. Prof.* ***Medea Chelidze,*** *Georgian Technical University*

***Abstract***

*The real purpose of management of the attracted resources by the banks is optimization of the base of financial resources. The banking system has certain specifications according to the countries and, therefore, the formation and use of attracted resources happens in different ways.*

*To optimize the bank's resource base, it is necessary to ensure effective management of attracted funds. The Bank's Management and Marketing Departments, as well as other subdivisions of bank, are involved in this process. The resource management includes: Deposit and interest rate policy; The definition of needed resource base; Establishment and management of optimal structure of attracted funds; Organizing work with clients; Methods of fund management; Risk management, etc.*

*Of course, each commercial bank has its own specific and individual methods of resource management. It depends on bank's politics, bank's resource base, micro- and macro economic factors, etc. Commercial banks are trying to develop a method of resource management that will be suitable for their goals, strategy and image. It is almost impossible without marketing and market analysis.*
*Keywords: Attracted resources, Resource management mechanism, Effective management of resources, Improvement of management methods, Deposit insurance.*

საბანკო მენეჯმენტის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს საკმარისი მოცულობით ისეთი ფინანსური სახსრების მოზიდვა, რომელზეც რაც შეიძლება ნაკლები ხარჯი იქნება გასაწევი და, ამასთანავე, საკმარისი იქნება აქტიური ოპერაციების ჩასატარებლად. ამისათვის ბანკის მენეჯმენტი მუდმივად ცდილობს ფინანსური რესურსების მართვის მეთოდების სრულყოფას და ადაპტირებას არსებულ

ეკონომიკურ ვითარებაში.

ბანკის საქმიანობის ეფექტიანობა, სწრაფი ტემპებით განვითარების უზრუნველყოფა, ეკონომიკისა და ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნების დაკმაყოფილება, კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ფინანსური მდგრადობა მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება ფინანსური რესურსების მართვის ხარისხით. მოზიდული რესურსების მართვის პროცესი უნდა უზრუნველყოფდეს საკრედიტო ორგანიზაციის პრინციპების, მიზნებისა და გეგმების რეალიზაციას.

რესურსების მართვის მიზნების მიღწევა საჭიროებს, პირველ რიგში, მართვის მექანიზმის ჩამოყალიბებას, რაც მოიცავს მეთოდების, საშუალებების, ინსტრუმენტების ერთობლიობას, რომელსაც მოზიდული ფულადი სახსრების მართვაში გამოიყენებენ. ბანკის მოზიდული რესურსების მართვის მექანიზმის შემადგენლობა განისაზღვრება საკვანძო პრობლემების გადაწყვეტის და მათი ეფექტიანი მართვის აუცილებლობით.

რესურსების მართვის თანამედროვე მექანიზმი თავის თავში მოიცავს: ზედმიწევნით შემუშავებულ დეპოზიტურ და საპროცენტო პოლიტიკას; კონკრეტულ პერიოდში საჭირო მოსაზიდი რესურსების მოცულობის განსაზღვრას; მოზიდული სახსრების სტრუქტურის მართვას; მოზიდული რესურსების ხარისხის ანალიზს; კლიენტებთან მუშაობის ორგანიზებას; მოზიდული სახსრების მართვის მეთოდების კომპლექსს.

ჩატარებული ანალიზის მიხედვით, თანამედროვე პირობებში განვითარებულ ქვეყნებში გამოიყოფა კომერციული ბანკების მოზიდული რესურსების მართვის მეთოდების შემდეგი ძირითადი ტენდენციები: მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების შერბილება; რეპო ოპერაციების ხელშეწყობა; ანალიტიკური მეთოდების უფრო ფართო გამოყენება; საბანკო მომსახურების გამრავალფეროვნება და გაფართოება კლიენტების მიერ თანხების დეპოზიტებზე მოზიდვის და სხვა საბანკო პროდუქტებით სარგებლობის წახალისების მიზნით; კომერციული მომსახურების განვითარება; ბანკის იმიჯის შექმნის პრიორიტეტულობა; შესაბამისი საპროცენტო განაკვეთების შეთავაზება; საბანკო მომსახურების გამჭვირვალობა; კლიენტების პერსონიფიკაცია; მოზიდული რესურსების დივერსიფიკაციის ახალი გზების ძიებას და სხვა.

ყველაზე ხშირად ბანკის მდგრადობა უკავშირდება ჩატარებული აქტიური ოპერაციების თანმხლებ რისკებს და საკუთარი კაპიტალის მოცულობას. ეფექტური ფუნქციონირების და სტაბილური ფინანსური მდგომარეობის შესაფასებლად აქტიური ოპერაციების რისკთან და კაპიტალის ხელმისაწვდომობასთან ერთად, საჭიროა მოზიდული რესურსების განხილვაც. კერძოდ, საჭიროა მოზიდული რესურსების მართვის პორტფელური მეთოდის გაანალიზება, რაც გულისხმობს მოზიდულ და განთავსებულ ფინანსურ სახსრებს შორის დისბალანსის მართვას. რესურსების მართვის პორტფელური მეთოდის გამოყენების მიზანს წარმოადგენს მოცემული დროის განმავლობაში მოზიდულ და განთავსებულ ფულად სახსრებს შორის ბალანსის უზრუნველყოფა.

იმისათვის, რომ მოხდეს ბანკის სარესურსო ბაზის ოპტიმიზაციის რეალიზება, აუცილებელია მოზიდული სახსრების ეფექტიანი მართვის უზრუნველყოფა, რაც მიიღწევა მართვის მეთოდების სრულყოფის გზით. კერძოდ, მნიშვნელოვანია სტრუქტურული ანალიზის სრულყოფის მიღწევა, რადგან იგი წარმოადგენს ბანკის მიერ მოზიდული სახსრების ანალიზის ძირითად მეთოდს.

ყოველი კომერციული ბანკი ცდილობს დამოუკიდებლად, საკუთარი კვლევების და ანალიზის საფუძველზე, ჩამოაყალიბოს მოზიდული რესურსების მართვის ისეთი მეთოდები, რომლებიც მისი მიზნების შესაბამისი იქნება და ხელს შეუწყობს დასახული გეგმების რეალიზაციას. ასეთი მეთოდიკის შემუშავება გულისხმობს მოზიდული რესურსების თითოეული წყაროს, მათი ყოველი სახეობის, მოცულობისა და ხარისხის, ასევე სპეციფიკური თავისებურებების შესწავლას.

იმისათვის, რომ მიღებულ იქნას ყოველმხრივი და ამომწურავი ინფორმაცია რესურსების მოზიდვასთან და სარესურსო ბაზასთან დაკავშირებით, ანალიზის ჩატარება საჭიროა როგორც ვერტიკალური, ისე ჰორიზონტალური მიმართულებით. ვერტიკალური ანალიზი განიხილავს მოზიდულ რესურსებთან დაკავშირებულ სტატისტიკურ მონაცემებს, რაც იძლევა ინფორმაციას გარკვეული პერიოდის განმავლობაში მოზიდული სახსრების ყოველი ჯგუფის ხვედრით წილზე მთელს სარესურსო ბაზის მოცულობაში. მოზიდული სახსრების ამა თუ იმ ჯგუფის ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში ახასიათებს მის როლს ბანკის სარესურსო ბაზის ფორმირების პროცესში. ჰორი-

ზონტალური ანალიზი საშუალებას იძლევა გაანალიზდეს სხვადასხვა სახეობის მოზიდული რესურსების დინამიკა საანგარიშო პერიოდში, რის საფუძველზეც შესაძლებელი ხდება სარესურსო ბაზის შემდგომი ცვლილების პროგნოზირება.

მოზიდული ფინანსური რესურსების მართვის მეთოდების სრულყოფაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დაბანდებების დაზღვევის სისტემას. დაბანდებების სადაზღვევო სისტემის შექმნა ბევრ განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში მიუთითებს კლიენტების მიერ დაბანდებული თანხების უსაფრთხოებასა და საიმედოობაზე, რაც თავისთავად საბანკო სისტემის სტაბილურობას ნიშნავს.

დაზღვევის სისტემის ძირითადი მიზანია საბანკო დაბანდებების დანაკარების მინიმიზება, ამასთანავე ეხმარება საბანკო მენეჯმენტს, გადაწყვიტოს ბანკის წინაშე როგორც მიკრო-, ასევე მაკროეკონომიკურ დონეზე მდგარი სხვადასხვა სახის ამოცანები. ბანკში განთავსებული სახსრების დაზღვევის სისტემა უბიძგებს კლიენტებს მეტი სახსრები განათავსონ საბანკო დეპოზიტებზე და არ ჰქონდეთ მათი დაკარგვის შიში. საბოლოო ჯამში, დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბებით, მსუბუქდება ფინანსური რესურსების ბაზის ფორმირების პრობლემები, იქმნება თანაბარი კონკურენტული გარემო მცირე და მსხვილ ბანკებს შორის დეპოზიტების მოზიდვასთან დაკავშირებით. ამასთანავე, მაღლდება ბანკებისადმი ნდობა, მცირდება საბანკო სტაბილურობის სისტემური კრიზისის წარმოქმნის ალბათობა და მაღლდება ფინანსური სისტემის სტაბილურობის დონეც.

2017 წლის მაისში ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს საქართველოში დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შექმნის, დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს სამართლებრივი ფორმის, მართვისა და უფლებამოსილების და დეპოზიტების დაზღვევის ფონდის ადმინისტრირების სამართლებრივ საფუძვლებს. კანონის მიზანია კომერციულ ბანკში კანონით გათვალისწინებული სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ფიზიკური პირების დაზღვეული დეპოზიტების ანაზღაურება, კომერციული ბანკების მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლება, დანაზოგების წახალისება და ქვეყნის საფინანსო სისტემის მდგრადობის ხელშეწყობა.

მიგვაჩნია, რომ კომერციული ბანკების საიმედოობისა და მდგრა-

დობის განმტკიცებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შემოღება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების და საბანკო სისტემაში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით. განვითარებული ქვეყნების დეპოზიტების დაზღვევის სისტემების ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ეფექტიანად ფუნქციონირებად დეპოზიტების დაზღვევის სისტემას მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრა შეუძლია, თუმცა დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბებისათვის მსოფლიოში არსებული გამოცდილების გადმოღება ადგილობრივი ეკონომიკის თავისებურებებისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინების გარეშე მიუღებელია.

დასკვნის სახით დავძენთ, რომ ვინაიდან კომერციული ბანკების მოზიდული რესურსები წარმოადგენს მათი საქმიანობის, საიმედოობის, მდგრადობისა და განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს პირობას, საჭიროა ბანკების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება რესურსების წყაროების არჩევის, ოპტიმალური სტრუქტურის ჩამოყალიბების, სარესურსო ბაზის სწორი და ეფექტიანი მართვის, ასევე კომერციული ბანკის მოზიდული რესურსების მართვის მეთოდების სრულყოფის მიმართულებების განსაზღვრის მიზნით.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. საქართველოს კანონი „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“. საქართველოს პარლამენტი. ქუთაისი. 2017 წლის 17 მაისი.

2. საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“. საქართველოს პარლამენტი. თბილისი. 1996 წლის 23 თებერვალი.

3. საქართველოს მთავრობის დადგენილება N357 „სსიპ - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“. 2017 წლის 24 ივლისი.

4. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ. თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა. თბილისი: გამომცემლობა შპს „სეზანი“. 2014, 548 გვ.

5. მოსიაშვილი ვ., ჭელიძე მ. საბანკო საქმის საფუძვლები. თბილისი: გამომცემლობა „დანი“. 2013, 415 გვ.

# დეველოპერებისთვის უძრავი ქონების ობიექტის მიმართ ღირებულებითი კრიტერიუმების დადგენა მართვითი გადაწყვეტილების მიღებისასას - გაყიდოს ის თუ იჯარით გასცეს

# Developers value valuation criteria for the real estate object to sell or lease if a decision is made

*ავტორი - **ზურაბ ხარებავა,** ხელმძღვანელი - **გრიგორ ხოფერია,** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*
*Author - **Zurab Kharebava,** Supervisor - Prof. **Grigor Khoperia,** Georgian Technical University*

*Abstract*

*Georgian Technical University, Professor Gregory Khoperia Georgian Technical University, 1-year student of the Magistracy Zurab Kharebava to establish evaluation criteria management selection decisions to sell or lease an object real estate developers.*

*The authors ' decision-making technique to choose between selling or renting real estate property is an approach where the main parameters are: the current state of the real estate market, as defined by the parameters of market-priced sales, rents, as well as in terms of each other changes to these options. Market analysis allows you to set the selection criteria for the owner (in this case the developer) to sell real estate or lease it out.*

*Key Words: Developer, Methods, Real Estate Market, Market Conjuncture, Growth Phase, Fall Phase, Criteria, Owner, Sell Property, Buy Property.*

უძრავი ქონების ობიექტის მართვის თანამედროვე კონცეპცია ორიენტირებულია ღირებულებით მიდგომაზე გადაწყვეტილებების მიღების დროს. კონცეპცია Value Bazed Management (VBM) გულისხმობს ღირებულებაზე ორიენტირებულ მენეჯმენტს, მონიტორინგის სისტემაზე აგებული ბიზნესი უძრავ ქონების ბაზარზე, სადაც მმართვითი გადაწყვეტილებების მიღების დროს გამოიყენება ისეთი მაჩვენებლები, როგორებიცაა: საბაზრო ღირებულება, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ბიზნესის ნამეტი ღირებულება, ფულადი ნაკადები, რისკები და კაპიტალის ფასი, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებიან რენტაბელობის და სუფთა მოგების მაჩვენებლებისაგან. ამი-

ტომ ევროპაში და ამერიკის შეერთებულ შტატებში ღირებულებით მართვა შეადგენს Value Bazed Management-ის სისტემას, როგორც მართვის სისტემა, მიზანმიმართული შექმნაზე, ღირებულების შეფასებაზე და განვითარებაზე.

სტატიასი, ავტორების მიერ, პირველად ნახსენები კონცეპციაზე დაყრდნობით, დეველოპერულ კომპანიებისათვის და ინვესტორებისათვის, ასევე ამ ბაზარზე მოქმედი მონაწილეებისათვის (მყიდველი ან გამყიდველი) გამოყვანილია მართვის გადაწყვეტილებების კრიტერიუმები გაყიდოს თუ იჯარით გასცეს უძრავი ქონების ობიექტი.

**1. უძრავი ქონების ობიექტის ღირებულებითი შეფასების და მართვის მეთოდოლოგიური ასპექტები და მიდგომები.**

**1.1.შემფასებლობითი საქმიანობა და მისი როლი უძრავი ქონების ბაზარის სისტემაში**

ეკონომიკური ანალიზთან და აუდიტთან ერთად უძრავ უძრავი ქონების ობიექტების შეფასების ფუნქცია მიეკუთვნება საკუთრების მართვის მეთოდოლოგიური (ანალითიკური) აპარატის ძირითად ამოცანებს და მიზნებს. ამასთან დაკავშირებით შეფასება წარმოადგენს უძრავი ქონების ობიექტის ღირებულების დადგენის საფუძველს, ანუ მართვის პროცესის ერთ-ერთ ეტაპს მხოლოდ შეფასების შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება მიღებულ იქნას მმართველობითი გადაწყვეტილებები უძრავი ქონების ბაზრის მართვის სისტემაში.

**1.2. უძრავ ქონების ბაზარზე მეწარმეობის ძირითადი საქმიანობის ფორმების აღწერა და დახასიათება.**

უძრავ ქონების ბაზარზე სპეციალიზაციის გაღრმავება მიმდინარეობს მართვის ფუნქციების ცენტრალიზაციით, სპეციალურად ამისთვის შექმნილ ქვედანაყოფებში. მათ შორის კოოპერაცია მიმდინარეობს მართვის ინტეგრაციით უძრავი ქონების სისტემის სხვადასხვა ობიექტების და პროცესების მიმართ. განვითარებულ ქვეყნებში, უძრავი ქონების ბაზრის ჩამოყალიბებამ, განაპირობა უძრავი ქონების მართვის ბაზარზე რამდენიმე სახეობის კომპანიების - მონაწილეების ჩამოყალიბება, ჩვენი ყურადღების ქვეშ ექცევა ერთ-ერთი საქმიანობის სახეობა დეველოპმენტი.

დეველოპმენტის საქმიანობის მომსახურეობის ძირითადი არსია უძრავი ქონების სფეროში საინვესტიციო პროექტების მომზადება და რეალიზება, ასევე უძრავი ქონების მშენებლობის დროს საზედამხედ-

ველო ფუნქციის შესრულება, ხოლო კომპანიების ძირითადი ფუქციები კონკრეტული მომსახურების გაწევის დროს არის: უძრავი ქონების ობიექტების აგება, ბიზნეს გეგმის დამუშავება და გამზადებული ობიექტის ექსპლუატაციაში ჩაბარება.

**1.3. შეფასების ღირებულების სახეები და მეთოდოლოგიური ასპექტები უძრავი ქონების სისტემის მართვისათვის.**

**1.3.1. ღირებულების სახეები**

უძრავი ქონების ობიექტის ოთხ ძირითად მართვად პარამეტრებს შორის არის ღირებულების პარამეტრი. მისი განსაზღვრა აუცილებელია უძრავი ქონების ობიექტის ყველა საბაზრო ოპერაციების განხორციელების და მართვის გადაწყვეტილებების მიღების დროს.

ღირებულება წარმოადგენს ეკონომიკური სფეროს ფუძემდებელ ერთ - ერთ კატეგორიას და სტანდარტით მირებულია ძირითადი შემგეგი სახე.

**საბაზრო ღირებულება**. ის მიეკუთვნება კონკრეტულ განმარტებას ღირებულების გაცვლაში კატეგორიას და ფართოდ გამოიყენება, როგორც კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტი არა მარტო უძრავი ქონების ობიექტის შეფასებაში, არამეტ შეფასების სხვა სფეროებში.

**საბაზრო ღირებულება,** ***არის "შეფასებითი თანხა და ეხება ფასს, რომლითაც გამყიდველი, რომელიც ფლობს ქონების ღირებულებაზე სრულ ინფორმაციას და არ არის იძულებული გაყიდოს ის, თანახმა იქნება გაყიდოს, ხოლო მღიდველი, რომელიც ფლობს ქონებაზე სრულ ინფორმაციას და არ არის იძულებილი იყიდოს ის, თანახმა იქნება შეიძინოს.***

ამგვარად საბაზრო ღირებულება განისაზღვრება, როგორც შემფასებლის მიერ ჩატარებული "გონებრივი ექსპერიმენტის" შედეგი, ჰიპოთეტური სუფთა გარიგებისას განხორციელებული გარკვეული პირობების დაცვით.

**საბაზრო საიჯარო განაკვეთის ღირებულება,** ***არის გაანგარიშებული თანხა, რის საფასურადაც ქონება უნდა გაიცეს იჯარით დაინტერესებული მეიჯარის მიერ დაინტერესებული მოიჯარეზე შეფასების თარიღისათვის,შესაფერისი საიჯარო პირობებით, "გაშლილი ხელის პრინციპით" დადებული გარიგებით, სათანადო მარკეტინგული ღონისძიებების შემდეგ, როდესაც თითოეული მხარე მოქმედებს შეგ-***

*ნებულად, წინდახედულად და ძალდაუტანებლად.*

### 1.3.2. ღირებულების განსაზღვრის მიდგომები და შესაბამისი მეთოდები.

შეფასების საერთაშორისო სტანდარტები ცნობენ სამ შემფასებლობით მიდგომას, რომლებითაც შესაძლებელი ხდება უძრავი ქონების ობიექტის ღირებულების განსაზღვრა: შემოსავლის მიდგომა; საბაზრო მიდგომა; დანახარჯების მიდგომა. პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში გამოიყენება ეს მიდგომები, მაგრამ მათი რეალიზება მსტ წილად განსხვავებულია.მთავარი მიზეზი არის ყველა ქვეყანაში ისტორიულად ჩამოყალიბებული საკანონმდებლო პრაქტიკა, სასამართლო წარმოება და სამეურნეო საქმიანობა და სხვა. ამ ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს ყველა მიდგომის და მათი შესაბამისი განხილვა. იმის გამო, რომ ეს სალითხი დეტალურად განხილულია ნაშრომის ქვემოთ მითითებულ ნებისმიერ ლიტერატურაში, კერძოდ: ლიტერატურა [2;3;4;5;6]

### 1.4. უძრავი ქონების ობიექტის გაყიდვის ან იჯარით გაცემის შერჩევის კრიტერიუმები, დეველოპერის მიერ შესრულებული პროექტის რეალიზების დროს

ამ მიდგომის გამოყენება იძლევა საშუალებას უძრავი ქონების ბაზრის კონიუნქტურის ტექნიკური ანალიზის საფუძველზე განისაზღვროს რა არის საუკეთესო ქონების მფლობელისათვის - გაყიდოს თუ გასცეს იჯარით, ხოლო მყიდველისათვის - იყიდოს თუ აიღოს იჯარით. ქვემოდ მოყვანილია ამ მიდგომის აღწერა და ამის საფუძველზე დეველოპერის ოპტიმალური ქცევის მოდელი (სამართავი პროცესების მიმართ) დეველოპმენტის პროექტის სასიცოცხლო ციკლის (ობიექტის მიმოქცევა უძრავი ქონების ბაზარზე) ბოლოს.

უძრავი ქონების სექტორის ან სეგმენტის ბაზარზე გააჩნია ზრდის და სტაბილურობის ფაზები (ბოლო მონაცემებით; ზრდის ფაზა გრძელდება ერთი - ორი წელი, ხოლო სტაბილობის- ერთი-სამი წელი), ასევე ვარდნის ფაზა (გრძელდება ორი ოთხი წილი, ან მეტი).

1). ზრდის და სტაბილურობის ფაზებში ეცემა კაპიტალიზაციის განაკვეთის (მულტიპლიკატორის) მნიშვნელობის სიდიდე. მულტიპლიკატორი არის წლიური საიჯარო განაკვეთის შეფარდება ამავე ქონების საბაზრო ღირებულებას, ანუ $\frac{Vcf}{V}$. მაშინ ზრდის და სტაბილურო-

ბის ფაზები შეიძლება აღწერილ იქნას შემდეგი უტოლობით:

$$\frac{\Delta v_{cf}}{\Delta\, v} \leq 1 \qquad (1)$$

| № | $v_{მიმ}$ | $v_{cf\,მიმ}$ | $\frac{\Delta v_{cf}}{\Delta v}$ | დეველოპერებისათვის და ინვესტორებისათვის მმართველობითი ქცევის (გადაწყვეტილებების) მოდელები უძრავი ქონების ბაზარზე მიმდინარე ღირებულებების ცვლილებებთან დაკავშირებით | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | მყიდველი/ მეიჯარე | გამყიდველი/ მოიჯარე |
| 1 | $< v_{სშ}$ | $< v_{cf\,სშ}$ | <1 | *შეიძინო, თუ მიმდინარე ტენდენცია არის ფასების დაწევა; აიღო იჯარით, თუ მიმდინარე ტენდენცია არის ფასების აწევა.* | *პირიქით* |
| 2 | $> v_{სშ}$ | $< v_{cf\,სშ}$ | >1 | *შეიძინო, თუ მიმდინარე ტენდენცია არის ფასების აწევა; აიღო იჯარით, თუ მიმდინარე ტენდენცია არის ფასების დაწევა.* | *პირიქით* |
| 3 | $< v_{სშ}$ | $> v_{cf\,სშ}$ | <1 | *შეიძინო, თუ მიმდინარე ტენდენცია არის ფასების დაწევა; არ აიღო იჯარით, თუ მიმდინარე ტენდენცია არის ფასების დაწევა.* | *პირიქით* |
| 4 | $< v_{სშ}$ | $> v_{cf\,სშ}$ | >1 | *შეიძინო, თუ მიმდინარე ტენდენცია არის ფასების აწევა; ნაკლებად სასარგებლოა შეიძინო თუ მიმდინარე ტენდენცია არის ფასების დაწევა.* | *პირიქით* |
| 5 | $> v_{სშ}$ | $< v_{cf\,სშ}$ | <1 | *აიღო იჯარით* | *პირიქით* |
| 6 | $> v_{სშ}$ | $< v_{cf\,სშ}$ | >1 | *დაელოდო შეძენას და აიღო იჯარით. მსგავსი სიტუაცია შესაძლებელია მხოლოდ მაშინ თუ დაიწყო ფასების დაცემა* | *პირიქით* |
| 7 | $> v_{სშ}$ | $> v_{cf\,სშ}$ | <1 | *დაელოდო ფასების დაცემას. იმ შემთხვევაში, თუ არის გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა, მაშინ ფასების დაწევისთანავე ჯობია აიღო იჯარით და დაელოდო და ფასების აწევის თანავე ასევე ჯობია აიღო იჯარით .* | *პირიქით* |
| 8 | $> v_{სშ}$ | $> v_{cf\,სშ}$ | >1 | *დაელოდო ფასების დაცემას. იმ შემთხვევაში, თუ არის გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა, მაშინ ფასების დაწევისთანავე ჯობია აიღო იჯარით და გადაიხადო გადასახადები დროის მოკლე მონაკვეთებში, ხოლო ფასების აწევის შემთხვევაში ჯობია შეისწავლო სიტუაცია* | *პირიქით* |

სადაც: $\boldsymbol{\Delta v_{cf}}$ - საბაზრო საიჯარო განაკვეთის ცვლილება პერიოდში

$\boldsymbol{\Delta\, v}$ - უძრავი ქონების ობიექტის ღირებულების ცვლილება პერიოდში;

აქ ორივე მნიშნელობა განისაზღვრება ანალოგებზე საბაზრო მონაცემების ანალიზის საფუძველზე.

2). დაცემის ფაზაში იზრდება კაპიტალიზაციის განაკვეთის (მულტიპლიკატორის) მნიშვნელობის სიდიდე. მულტიპლიკატორი არის წლიური საიჯარო განაკვეთის შეფარდება ამავე ქონების საბაზრო ღირებულებას, ანუ $\mathbf{\frac{v_{cf}}{v}}$. მაშინ დაცემის ფაზა შეიძლება აღწერილ იქნას შემდეგი უტოლობით:

$$\frac{\boldsymbol{\Delta v_{cf}}}{\boldsymbol{\Delta\, v}} \geq 1 \qquad (2)$$

სადაც: $\boldsymbol{\Delta v_{cf}}$ - საბაზრო საიჯარო განაკვეთის ცვლილება პერიოდში

$\boldsymbol{\Delta\, v}$ - უძრავი ქონების ობიექტის ღირებულების ცვლილება პერიოდში;

აქ ორივე მნიშნელობა განისაზღვრება ანალოგებზე საბაზრო მონაცემების ანალიზის საფუძველზე.

განვიხილოთ უძრავი ქონების ბაზარსე დეველოპერების მმართველობითი ოპტიმალური ქცევის მოდელები. ამისათვის დაუშვათ, რომ ბაზრის მონაცემებზე დაყრდნობით დადგენილია ($\Delta v_{cf\,სშ}$ და $\Delta\, v_{სშ}$)

საშუალო მნიშვნელობები. ასევე, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ რისკების ზრდასთან ერთად იზრდება კაპიტალიზაციის კოეფიციენტი, მაშინ $\Delta v_{cf}$ და $\Delta\ v$) მიმდინარე მნიშვნელობების და მოყვანილი ((1) და (2)) კრიტერიუმების მიხედვით შესაძლებელი ხდება გაცემულ იქნას რეკომენდაციები უძრავი ქონების ბაზარზე დეველოპერებისათვის და ინვესტორებისათვის შემდეგი მმართველობითი ქცევის მოდელების სახით (იხ. ცხრ1).

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. შეფასების საერთაშორისო სტანდარტის ქართული თარგმანი. მოამზადა და გამოსცა საქართველოს ქონების შემფასებელ ექსპერტთა ინსტიტუტმა. თბილისი. 2012წელი
2. გ. ხოფერია. სახელმძღვანელო: "უძრავი ქონების შეფასება" თბილისი. 2015წ. საქართველოს განათლების სამინისტრო (ელექტრონული ვერსია).
3. Иванова Е.Н. Оценка стоимости недвижимости. М. Кнорус, 2009.
4. Ресин В. И. Экономика недвижимости. М. Дело. 2003.

♦♦♦

# კლასტერი, როგორც ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების ინოვაციური მოდელი
# Cluster as an innovative model of tourism industry development

*ავტორი: **ეკა ლეჟავა,** ხელმძღვანელი – მოწვ. სპეც. **ქეთო შონია,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*Author: **Eka Lezhava,** Sup. Inv. Spec. Keto Shonia, Akaki Tsereteli State University*

*Abstract*

*Tourism is becoming increasingly important in the whole world, following its dynamic development to meet the growing demand for tourism products and services. Cluster development initiatives are important directions of economic policy. Tourist clusters are widely spread in the world and are considered as innovative form of service. In general, the goal of creating tourist clusters is to increase the competitiveness of the tourist area (destiny) on the tourist market.*

*The main goal of the tourism cluster is to establish a partnership between the local business, educational and research units, local government and local population, to effectively utilize local tourism potential.*

ტურიზმი სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი სექტორი ხდება მთელს მსოფლიოში, რასაც მოსდევს მისი დინამიური განვითარება ტურისტული პროდუქტებისა და მომსახურების მზარდი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. განვითარებას თან ახლავს ცნობიერების ამაღლება, საჭიროებებისა და მოლოდინების ზრდა სექტორის მომხმარებლების მხრიდან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თანამედროვე ტურისტი ხდება ძალიან მომთხოვნი კლიენტი. მათ სჭირდებათ მრავალფეროვნება, ადრენალინი და მაღალხარისხიანი მომსახურება.

"ტურიზმის" და "ტურისტების" ცნებებმა შეიძინა ახალი აზრი და ახლა მოიცავს სხვადასხვა ფორმებისა და ქცევის მთელ სპექტრს, კლასიკური მართვადი ტურების (კვალიფიციური ტურიზმის) აქტიური დასვენების (სპორტული ტურიზმის), ჯანმრთელობისა და საქმიანი ტურიზმის, დედამიწის ყველაზე შორეულ და ყველაზე რთულ კუთხეებში მოგზაურობა (ექსტრემალურ ტურიზმს, გეოტურიზმს). თითოეული სახის ტურიზმი იზიდავს ტურისტებს სხვადასხვა სურვილებითა და საჭიროებებით. მაგალითად, ზოგი მათგანი არ დატოვებს თავის საცხოვრებელ ადგილს დღეების განმავლობაში, სარგებლობს თავისი ფუფუნებით, ხოლო სხვებს არ უნდათ, რომ დრო გაატარონ სასტუმრო ოთახში და ცდილობენ უჩვეულო გამოწვევების მიღებას. ყველა ეს მოლოდინი და საჭიროება რომ იყოს დამაკმაყოფილებელი მოითხოვს, რომ ტურიზმის ორგანიზატორებმა შეასრულონ ორი ურთიერთგამომრიცხავი კონცეფცია: სპეციალიზაცია და მრავალფეროვნება, რაც თითქმის შეუძლებელია. გარკვეულ გარემოებებში ტურისტულ პროდუქტებსა და მომსახურებასთან ერთად აუცილებელია კონკურენტუნარიან სუბიექტებთან მჭიდრო თანამშრომლობა. კლასტერები ასეთი თანამშრომლობის საუკეთესო ფორმაა. ტურისტული მომსახურების კლასტერული ფორმის ეკონომიკური სუბიექტები საქართველოში არ არსებობს და ამდენად ინფორმაცია მცირეა, მაგრამ აღსანიშნავია რომ ტურისტული კლასტერები მსოფლიოში ამ ბოლო დროს ძალზე გავრცელდა და მომსახურების ინოვაციურ ფორმად არის მიჩნეული. ზოგადად ტურისტული კლასტერე-

ბის შექმნის მიზანია ტურისტულ ბაზარზე ტურისტული ტერიტორიის (დესტინაციის) კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

კლასტერული თეორია ეკონომიკურ მეცნიერებაში დაამკვიდრაა. მარშალმა, ხოლო დარგობრივი კლასტერული თეორიები, მ.შ. ეკონომიკაში, განავითარა მ. პორტერმა. მ. პორტერის მიხედვით კლასტერი, ეს არის გეოგრაფიულად ახლოს მდებარე ურთიერთ დაკავშირებული კომპანიების, ორგანიზაციების ერთობლიობა, რომლებიც მოქმედებენ გარკვეულ სფეროში და ავსებენ ერთმანეთს.

კლასტერული განვითარების ინიციატივები ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულებაა. მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის, პრივატიზაციის, ბაზრის გახსნისა და ბიზნესების ხარჯების შემცირების მიზნით წარსულმა ძალისხმევამ შენობა-ნაგებობებმა შეძლეს კონკურენტუნარიანობის გაზრდა დღევანდელ სულ უფრო რთულ, ცოდნაზე დაფუძნებულ და დინამიურ ეკონომიკაში.

კლასტერების შექმნის ობიექტური საფუძვლები არის მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, რეგიონში, სადაც ყველა საჭირო ფაქტორების, რესურსების და კომპეტენციების თავმოყრა ხდება. ტურისტული კლასტერი განხილული შეიძლება იქნას როგორც ორგანიზაციების, ფირმების, საოჯახო მეურნეობების, ინდმეწარმეების ერთობლიობა, რომლებიც მოქმედებენ გარკვეულ გეოგრაფიულ საზღვრებში - ჩართულნი არიან საერთო საქმიანობაში, ამ დესტინაციაში ტურისტული პროდუქტის მიწოდების შემდგომი განვითარება - გაფართოების მიზნით.

ტურისტული კლასტერის ფარგლებში სავარაუდო მონაწილეთა კლასიფიცირება შესაძლებელია შემდეგი ფორმით:

- ტურ ოპერატორები - ტურისტული მომსახურების მიმწოდებლები;
- ასტუმროები;
- სატრანსპორტო კომპანიები (ავტობუსი, ავიაფრენები, სარკინიგზო გადაყვანები);
- საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- სავაჭრო და ტურისტული რეგულირების კომიტეტი.

ტურისტული კლასტერის შექმნის ძირითადი მიზანია კონკურენტუნარიანი ტურისტული კომპლექსის ფორმირების და ფუნქციონირების უზრუნველყოფა. მასში შეიძლება შედიოდეს ეკონომიკური სუბიექტები, რომლებიც მოცემულ ტურისტულ დესტინაციაში

უზრუნველყოფენ ტურისტების განთავსებას, კვებას, ტრანსპორტირებას, სახალხო რეწვის ნივთებით და სხვა სუვენირებით ვაჭრობას, სამედიცინო მომსახურებას, დასვენებას და ტურისტებისათვის აუცილებელ, თუ სასურველ სხვა მომსახურებას.

ტურისტული კლასტერების შექმნის ეფექტურობა განპირობებულია მასში შემავალი ეკონომიკური სუბიექტების ვიწრო სპეციალიზაციით, რაც უზრუნველყოფილია კლასტერების შიგნით ფუნქციების დანაწილებით. ტურისტული კლასტერი მის საქმიანობაში ადგილობრივი მოსახლეობის ფართოდ ჩართვის და აქედან გამომდინარე რეგიონებში უმუშევრობის შემცირების და სოციალური დაძაბულობის მოხსნის საშუალებას იძლევა.

კლასტერინგის კონცეფცია ტურიზმის სფეროში სულ უფრო პოპულარული ხდება, რომელიც დასტურდება ჩანს, მუდმივად მზარდი თანამშრომლობის კავშირების რაოდენობით, რომელიც უერთდება ერთმანეთს პირდაპირ და არაპირდაპირ ტურისტული პროდუქტებისა და მომსახურების შეთავაზებით. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ტრადიციულ კლასტერებს ნაკლებად უკავშირებენ გეოგრაფიულ სიახლოვეს, რომელიც ქმნის ამ ბმულს, კავშირებს (ტექნოლოგიური პროგრესი, მარტივი კომუნიკაცია, სამყაროს ციფრული დიგიტალიზაცია დისტანციური და ინტერნეტ თანამშრომლობა), ეს ასპექტები გადამწყვეტი რჩება თანამშრომლობის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. ტურიზმში, მრავალრიცხოვან პირთა შორის თანამშრომლობის დაწყების წერტილი, მათი პოტენციალის გასაზრდელად, გამოიყენება სინერგიისა და მასშტაბის ეფექტები, ეს არის დიდი მიმზიდველობა, რომელიც აფასებს ბუნებრივი ატრაქციონების რაოდენობას, (ლანდშაფტი, კლიმატი, მიწის ნაკვეთები, ბუნებრივი ძეგლები და ა.შ.), ასევე ანთროპოგენური ატრაქციონების არსებობას (არქიტექტურა, ფოლკლორი, სამზარეულო, საცხოვრებელი ფართი, ადგილობრივი საზოგადოების ცხოვრების სტილი და სხვ.). ამ ტიპის ატრაქციონების დაგროვება ერთ სივრცეში ითარგმნება, როგორც ტურისტული რეგიონების შექმნა და განვითარება. ის არის ისეთ რეგიონებში, სადაც ტურისტული სერვისით სარგებლობენ სუბიექტები და უნდა შექმნან თანამშრომლობის კავშირები. რეგიონის ბუნებრივ პოტენციალს (მიმზიდველობას) წარმოადგენს კლასტერის შექმნის საფუძველი, მაგრამ მისი ფუნქციონირება და განვითარება ასევე მოითხოვს

ინფრასტრუქტურის სხვა ელემენტებს, მომსახურების მიმწოდებლებისა და მომწოდებლების, ბიზნეს გარემოს, აგრეთვე საჯარო დაწესებულებების მონაწილეობას. კლასტერის განვითარების ძალისხმევა განპირობებულია როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორის მიერ, მიუხედავად იმისა, თუ ვინ იწყებს ძალისხმევას, წარმატებულ კლასტერულ ინიციატივებში, ბიზნესი ცდილობს დაამყაროს საკუთარი დღის წესრიგი. მთავრობის როლი ძირითადად დაფინანსებისა და ორგანიზაციული მხარდაჭერის უზრუნველყოფით შემოიფარგლება. ინიციატივები, როგორც წესი, უკეთესად ხორციელდება, როდესაც კონკურენციის პირობებში ხდება მთავრობის დაფინანსების მიღება

ტურიზმი არის სწორედ შესაფერისი სექტორი კლასტერების პოტენციალის ეფექტურად გამოყენებისათვის. ტურისტული პროდუქტის ბუნება - მოიცავს კულტურული და ეკოლოგიური მიმზიდველობის ადგილს, მის ბრენდს, სასტუმროს მომსახურებას და კვალიფიციურ გიდებს - დაეხმაროს მეწარმეებს. საერთო მოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს ტურისტების მიერ ამ ტერიტორიაზე ყოფნის სიამოვნების გაღრმავება, რაც უზრუნველყოფს მათთვის სრული ტურისტული მომსახურების შეთავაზებას. კლასტერს, როგორც წესი, კომპლექსური ინფრასტრუქტურა გააჩნია სხვადასხვა მომსახურების მიმწოდებლის სახით, რომლის წყალობით შესაძლებელია კლიენტების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, მარკეტინგული საქმიანობისა და იურიდიული მომსახურების ხარჯების შემცირება და ა.შ. რეკლამის ეფექტიანობა და მასშტაბი გაცილებით მცირეა ინდივიდუალური მეწარმეების შემთხვევაში, ვიდრე კოოპერაციული ორგანიზაციების ქსელის შემთხვევაში. ასევე ბევრად უფრო ადვილია დიდი თანხების მოპოვება მსხვილ ჯგუფში. ასევე აღსანიშნავია, რომ ტურიზმი არის საუკეთესო სექტორი, სადაც შეიძლება განხორციელდეს სამმაგი ჰელიქსის იდეა, რაც შეეხება ურთიერთობას, ინფორმაციის ნაკადს და საერთო აქციებს სამ ძირითად აქტორზე: საწარმოები, სამეცნიერო დაწესებულებები და ადმინისტრაცია. ამ რეგიონების ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციას, რომლისთვისაც ტურიზმის განვითარება მნიშვნელოვანია, ხშირად სტრატეგიული განვითარების სფეროა, სურვილი ექნება ჩაერთოს ამ ტიპის ინიციატივებში, ვინაიდან მათი ტურისტული ბრენდების აშენების და გაზრდის საშუალებაა.

ტერიტორიული, ინსტიტუციონალური და სამეწარმეო სახსრე-

ბის ერთობლიობა და მათი შესაბამისი კონკურენტული უპირატესობა არის ის, რაც ტურისტული კლასტერების ერთობლივი და გლობალური კონკურენტუნარიანობის შედეგად მიიღება.ტურიზმის კონკურენტუნარიანობა არის აგენტის შესაძლებლობები, ხელი შეუწყოს ქვეყნის, რეგიონის ან ტურისტული საქმიანობის ზონაში მიზნების მიღწევას, რაც შეიძლება განხორციელდეს ფინანსურად მომგებიანი დათმობით სამეწარმეო სფეროში, სოციალური და გარემოსდაცვითი მოგება, როგორც ორგანიზაციისა და საჯარო დაწესებულებების ჩარევის შედეგი, გარდა ტურისტული კმაყოფილების მაქსიმალური მოპოვებისა. ამრიგად, კონკურენტუნარიანობის საბოლოო მიზანია მაქსიმალურად შეასრულოს ტურიზმის საქმიანობაში მონაწილე ყველა აგენტის მოლოდინი.

ტურსტული კლასტერის მთავარი მიზანი არის ადგილობრივი ბიზნესის, საგანმანათლებლო და კვლევითი ერთეულების, ადგილობრივი ხელისუფლებისა და ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელთა შორის პარტნიორობის ჩამოყალიბება, ადგილობრივი დანიშნულების ტურისტული პოტენციალის ყველაზე ეფექტურად გამოყენების მიზნით.

ტურისტული კლასტერი დაარსებულია რათა უზრუნველყოს :

- საერთო პროდუქციის შექმნა ან მომსახურება;
- ერთობლივად მასალების, მომსახურების ან ტექნოლოგიების შეძენა;
- სუბსიდირება საკონსულტაციო მომსახურების და ტრენინგებში მონაწილეობის წახალისება;
- საერთო ბრენდის შექმნა და რეგიონის ხელშეწყობა;
- ტურისტული პროდუქტის გაუმჯობესება და ადგილობრივი მნიშვნელობის დესტინაციები.

იმერეთის რეგიონში ჩატარებული კვლევების შედეგად გამოიყო 4 ტურისტული კლასტერი (სურათი N1), რომელთაც მომავალი განვითარებისათვის სჭირდებათ კიდევ უფრო სიღრმისეული შესწავლა და სტრატეგიული გეგმების დასახვა.

**იმერეთის გული:** იმერეთის ცენტრი, სადაც განლაგებული იქნება მთავარი ტურისტული ღირშესანიშნაობები და ტურისტული სერვისები; მხარე, რომელსაც თავიდანვე უნდა მიენიჭოს უმაღლესი პრიორიტეტი იმისათვის, რომ მოხდეს საწყისი კრიტიკული მასის ჩამო-

ყალიბება, რომელიც ხელს შეუწყობს შემდგომ ტურიზმის განვითარებას რეგიონში.

**იმერეთის კლასტერების რუქა**




წყარო: THR

სურათი N1

**წყალტუბოს კურორტი:** სპა კურორტი მინერალური წყლებით; შესაძლებელია განვითარდეს, როგორც დამოუკიდებელი კლასტერი და ბაზარზე გავიდეს, როგორც ინტეგრირებული კურორტი მოკლე–-საშუალო ვადაში.

**მოულოდნელი იმერეთი:** სათავგადასავლო/სასოფლო ტურისტული მიმართულება; არსებული სტრუქტურების და ლანდშაფტის დახმარებით ადგილობრივ მოსახლეობას აქვს შესაძლებლობა განავითაროს ის საშუალო ვადაში.

**იმერეთის მთები:** ოჯახებზე ორიენტირებული სპა კურორტი, დასვენების და ბუნების გამოცდილებების მხარე; გრძელვადიან პერსპექტივაში საჭირო გახდება მეტი ახალი კურორტების შექმნა, ისეთების, როგორებიცაა საირმე და ნუნისი.

კლასტერების განსაზღვრისას ბევრი სხვადასხვა ფაქტორი იქნა გათვალისწინებული: იმერეთის ტერიტორიის მახასიათებლები, უბნების სოციო-ეკონომიკური ფაქტორები, არსებული რესურსები და ღირშესანიშნაობები, პოტენციური შესაძლებლობები, სერვისების შეთავაზებები და ა.შ.

საბოლოო ჯამში აღსანიშნავია, რომ ტურისტული კლასტერების სიკეთეები გამოიხატება შემდეგში:

➢კლასტერში მონაწილე დამოუკიდებელ სუბიექტებს შორის მყარდება ურთიერთ ხელსაყრელი კავშირები, რომლებიც საშუალებას აძლევთ მათ იყვნენ უფრო ძლიერები და თავდაჯერებულები, ვიდრე იქნებოდნენ კლასტერგარეშე ფუნქციონირების პირობებში.

➢თითოეული მონაწილე მოქმედებს კლასტერის საერთო სტრატეგიის ფარგლებში.

➢მონაწილე სუბიექტების სამეურნეო საქმიანობა ხდება უფრო სტაბილური, რაც უზრუნველყოფს რეგიონში ახალი სამუშაო ადგილების გაჩენას და კლასტერების განვითარებასთან ერთად დასაქმებულთა ხელფასების ზრდას.

➢კლასტერის მონაწილე სუბიექტებს შესაძლებლობა ეძლევათ განავითარონ ინოვაციური საქმიანობები, აამაღლონ პროდუქციის ხარისხი, გაზარდონ მწარმოებლურობა და რენტაბელობა.

➢კლასტერის მონაწილე სუბიექტებს უადვილდებათ საბაზრო ინფორმაციების მიღება საერთო კლასტერული საინფორმაციო-ანალიტიკური სისტემების შექმნის ხარჯზე.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. მერაბ დიასამიძე - ტურიზმის ინდუსტრიაში კლასტერის ფორმირება და რეგიონული ტურისტული ბაზრის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, 2015 წელი, ბათუმი.
2. ნოდარ სამხარაძე - ტურისტული კლასტერების ფორმირების საკითხები საქართველოში, 2010 წელი, თბილისი;
3. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია;
4. საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025;
5. THE TOURISM CLUSTERS ROLE IN REGIONAL DEVELOPMENT: PRESENTING A COMPETITIVENESS CONCEPTUAL MODEL Cristina Maria Santos Estêvão and João J. Ferreira; Tourism Destination Development and Branding Eilat 2009 Conference Proceedings;
6. http://www.pi.gov.pl/parp/chapter_86197.asp?soid=2F92FA13FA4A4680 9761631DC34F8D9A

# ქვეყნის საგადასახადო სივრცეში გადასახადებთან და საგადასახადო დაბეგვრასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება
# Regulation of taxes and taxation matters in the country's tax area

*ავტორ(ებ)ი- **გიორგი მოცრაძე,** ხელმძღვანელი - ასოც. პროფ. **თამარ დევიძე,** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*
*Author(s) – **Giorgi Mocradze,** Supervizor – Assoc. Prof.**Tamar Devidze,** Georgian Technical University*

***Abstract***

*Regulation of Taxes and Tax Taxes in Taxes and Tax Taxes This is the theme that will pay attention to all of us today we will talk about the essence of taxes, the nature and nature of the taxes. What will happen if one day all people aim to pay taxes? What do you pay for taxes? How true is the growth of taxes and what prospects do the people promise? So I think that's a very interesting and controversial issue to begin with.*

*Key Words: Tax, tax system, tax policy.*

სახელმწიფო თავისი წარმოშობიდან დღემდე, მჭიდროდ არის დაკავშირებული გადასახადებთან და მისი არსებობა წარმოუდგენელია გადასახადის გარეშე, სწორედ ამ კავშირის ხასიათია გამოხატული ბენჯამინ ფრანკლინის ფრაზაში: ,,ცხოვრებაში გარდაუვალია ორი რამ: სიკვდილი და გადასახადები”.

რა არის გადასახადები? რა მოხდება თუ ერთ მშვენიერ დღეს ყველა ადამიანი მიზან მიმართულად შეწყვეტს გადასახადების გადახდას? რას გვაძლევს გადასახადები? რამდენად სწორია გადასახადების ზრდა და რა კეთილდღეობას ჰპირდება ის ხალხს?

დამეთანხმებით, საკმაოდ ბევრი კითხვა ჩნდება და ამ კითხვებზე პასუხი კი ყველას გვაინტერესებს, ყოველ ჩვენგანს აქვს მოსაზრება აღნიშნულთან დაკავშირებით, დღეს ჩემს სუბიექტურ აზრს მოგახსენებთ.

გადასახადი სავალდებულო გადასახდელია, რომელსაც სახელმწიფო ხელისუფლებას უხდიან იურიდიული და ფიზიკური პირები გადახდის აუცილებელი, არაექვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე. მისი გადახდა ყოველი ჩვენგანისათვის აუცი-

ლებელია, ვინაიდან მასზეა დამყარებული სახემწიფოს არსებობა. გადასახადი წარმოადგენს ფიზიკური და იურიდიული პირების სავალდებულო გადასახდელს, რომელსაც სახელმწიფო ამოიღებს.

გამომდინარე იქიდან, რომ მსოფლიოს არცერთ ქვეყანას ჯერ არ შეუქმნია სრულყოფილი საგადასახადო სისტემა ეს თემა ინარჩუნებს აქტუალურობას და მისი განხილვა ყოველდღიურად ხდება შესაბამის ორგანოებში, არ წყდება საგადასახადო სისტემის განახლება, რის გამოც ჩვენ დროის სვლასთან ერთად სრულიად ახალ საგადახდოს სისტემებს ვიღებთ და მოსახლეობაზე ვავრცელებთ, რაღა თქმა უნდა არსებობს დაშვებული შეცდომები, რომელიც მიგვითითებს სისტემის არასრულყოფილებაზე, მაგალითისთვის განვიხილავ ერთ_ერთს, რომელიც ჩემი აზრით შეცდომა იყო. ალბათ ბევრი მომხრეც მყავს, ისევე როგორც მოწინააღმდეგე.

,,საარსებო მინიმუმის ტოლი თანხის დაბეგვრის უკან დაბრუნების მექანიზმი'' ყველას ვისი შემოსავალიც 500 ლარზე ნაკლები იყო, საარსებო მინიმუმის ტოლი თანხის საშემოსავლო უკან უბრუნდებოდა. ერთი შეხედვით საკმაოდ ჰუმანური გადაწყვეტილებაა, თუმცა წარმოშობს რიგ რისკებს.

1.რატომ დავსაჯეთ ადამიანები ვისაც 505 ლარი აქვთ ხელფასი?

2.საქართველოში 530 ლარიან ხელფასს 500ლარიანი ხელფასი ჯობია?

ნუთუ ჩვენ ვცდილობთ რომ ზრდის სტიმული გავაქროთ? ან კიდევ უარესი, შემოსავლის დამალვის სტიმული გავაძლიეროთ? ერთი შეხედვით ეს სრული კრახი იქნება სახელმწიფოსთვის, რადგან მივყავართ პრობლემამდე, რასაც შემოსავლების დაფარვა ჰქვია. აქვე იბადება კიდევ ერთი საინტერესო კითხვა: რა უფრო მეტ სტიმულს აძლევს ადამიანს მეტი თუ ნაკლები გადასახადი? სავარაუდოდ აბსოლუტური უმრავლესობა ფიქრობს, რომ ,,ნაკლები'' მე მესმის თქვენი, ვინაიდან თქვენი პოზიცია საკუთარ ჯიბეს უფრთხილდება, ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ძლიერი გადასახადები ავტომატურად ძლიერ სახელმწიფოს ნიშნავს. ხოლო კითხვას, რომ ვუპასუხოთ სამი სახის დაბეგვრას უნდა გავეცნოთ:

1. პროპორციული დაბეგვრა_ პრინციპი, რომლის დროსაც მაღალშემოსავლიანი და დაბალშემოსავლიანი გადამხდელები ერთი და იმავე პრინციპით იბეგრებიან. დაბეგვრის ასეთი ფორმა სტი-

მულს არ აქრობს, ადამიანმა იმუშაოს მეტი, და მიიღოს მეტი შემოსავალი, ვინაიდან, მისი დაბეგვრის რეჟიმი, პროცენტული მაჩვენებელი არ იცვლება. შესაბამისად, შეეძლება მიიღოს მეტი შემოსავალი და დასაბეგრი პროცენტი იგივე დარჩება.

2. რეგრესული დაბეგვრა_ პრინციპი, როცა მაღალშემოსავლიანი გადამხდელი უფრო დაბალი განაკვეთით იბეგრება, ვიდრე დაბალშემოსავლიანი. ნებისმიერ შემთხვევაში, რაც უფრო ნაკლები პროცენტული განაკვეთით იბეგრება ადამიანი შემოსავლის ზრდასთან ერთად, ეს სტიმულად იქცევა - იმუშაოს მეტი და მიიღოს მეტი შემოსავალი. შესაბამისად, ადამიანი განსაკუთრებულად მიდრეკილია ასეთი სისტემის დროს მიიღოს მეტი შემოსავალი.

3. პროგრესული დაბეგვრა _ პრინციპი, რომლის თანახმადაც მაღალშემოსავლიანი გადამხდელი უფრო მაღალი განაკვეთით იბეგრება, ვიდრე დაბალშემოსავლიანი გადამხდელი. ეს არის პრინციპი რომელიც აჩენს უსამართლობის განცდას, რომ სახელმწიფო მაღალშემოსავლიან ადამიანს ,,სჯის'' ანუ მაღალი შემოსავალი ისჯება ქვეყანაში. შესაბამისად, ასეთი საგადასახადო პირობებში, ნებისმიერ ადამიანს უქრება სტიმული მაღალი შემოსავლის მიღების ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეძებს ,,ხვრელს'' ნაკლები გადასახადის გადახდისათვის.



რა მოხდება, თუ ერთ მშვენიერ დღეს ყველა ადამიანი მიზანმიმართულად შეწყვეტს გადასახადების გადახდას?

გადასახადები თავის ხასიათიდან გამომდინარე, თავის თავშივე გულისხმობს სახელმწიფოს არსებობას. ნებისმიერ ეპოქაში სახელმწიფო ეკონომიკასთან წინააღმდეგობრივ ერთობლიობაში ფუნქციონირებს. თავისთავად სახელმწიფო არ არის ეკონომიკა, ხოლო ეკონომიკა სახელმწიფო. თანაც სახელმწიფო წარმოუდგენელია ეკონომიკის გარეშე, ხოლო ეკონომიკა სახელმწიფოს გარეშე.  გამომდინარე იქიდან, რომ გადასახადები თავის თავში გულისხმობს ეკონომიკის არსებობას, ხოლო ეკონომიკის არსებობა სახელმწიფოსას, კითხვის პასუხი ნათელი ხდება, თუ შევწყვეტთ გადასახადების გადახდას, დაიშლება სახელმწიფო, სახელმწიფოს დაშლა გამოიწვევს ეკონომიკის არარსებობას, ამ სურათის წარმოდგენას კი არცერთ ჩვენგანს არ ვურჩევ. ეს იქნება ცივილიზაციის დასასრული, ბოლოს და ბოლოს ,,გადასახადები ხომ ის ფასია რომელსაც ცივილიზებულ საზოგადოებას ვუხდით'' (ოლივერ ჰოლმსი) .




გადასახადების ზრდა ყველა ჩვენგანს აშინებს, აქვე უნდა აღნიშნოს ისიც, რომ  ძლიერი საგადასახადო სისტემა და მაღალი გადა-

სახადები თავის თავშივე გულისხმობს ძლიერ სახელმწიფოს, რაც უფრო მეტი თანხების ამოღება ხდება სახელმწიფოს მხრიდან, მით უფრო დიდია ბიუჯეტი და სახელმწიფოს უჩნდება შესაძლებლობა დააფინანსოს რაც შეიძლება მეტი პროექტი ქვეყნის ეფექტიანი ეკონომიკური ზრდისათვის. ეკონომიკისა და მთლიანი შიდა პროდუქტის(მშპ-ს) ზრდა ცხოვრების დონის ამაღლება და მოსახლეობის კეთილდღეობაა. აქვე კარგად უნდა გავითავისოდ სახელმწიფო ვერ დაგეგმავს ბიუჯეტს, თუ ჩვენ შევწყვეტთგადასახადების გადახდას, გამომდინარე იქიდან, რომ არ ექნება ბიუჯეტი.

სახელმწიფოს ფორმულირებისა და განვითარების ეკონომიკური საფუძველია ფინანსური რესურსები, რომლებიც ძირითადად გადასახადებითა და მათი სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდით ფორმირდება. იქიდან გამომდინარე, *რომ გადასახადები ქვეყნის ბიუჯეტის დაფინანსების ძირითადი წყაროა საგადასახადო სისტემის სრულყოფასთან დაკავშირებული საკითხები საქართველოს ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხია. მხოლოდ გამართული და თანადროული სოციალურ–ეკონომიკური პირობების შესატყვისი საგადასახადო სისტემის ფორმირების პირობებშია შესაძლებელი ქვეყნის ეკონომიკური ზრდა, მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიღწევა, წარმოების განვითარება და ქვეყნის წინაშე არსებული სოციალური პრობლემების გადაწყვეტა. ქვეყნის ეკონომიკური სისტემის გამართული და ეფექტიანი ფუნქციონირება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სახელმწიფოს მიერ გატარებულ საგადასახადო პოლიტიკასა და საგადასახადო სისტემის გამართულ მუშაობაზე.*

***გამოყენებული ლიტერატურა***

1. *ასათიანი რ. საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა. თბ., 2017.*
2. *ბახტაძე ლ. კაკულია რ. ჩიკვილაძე მ. საგადასახადო საქმე., თბ., 2007*
3. *გაბისონია ი. საგადასახადო სამართალი და გადამხდელთა უფლებათა დაცვა. თბ., 2013.*
4. *კაკულია რ. ფინანსების თეორია., თბ., 2004*
5. *საქართველოს საგადასახადო კოდექსი. თბ., 2017.*
6. *www. Mof.ge*
7. *www. Rs.ge*
8. *www.Taxinfo.ge*

# ფულის გათეთრების პრობლემა ოფშორულ ზონებში
# Problems of Money Laundering in Off-shore Centers

*ავტორი – **თეკლა ბეჟიაშვილი,** ხელმძღვანელი: პროფ. **ვალერი მოსიაშვილი,** საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი*
*Author – **Tekla Bezhiashvili**, Supervizor – Prof.**Valeri mosiashvili,** Georgian National University*

***Abstract***

*As a rule, off-shore zones are created on such territories, which are not rich in resources, are useless for agriculture and are not profitable for functioning an industry because of the territorial location.*

*The reason for establishing off-shore companies and later their development is the desire of the businessmen in order to avoid or reduce payment of high taxes enacted by the Georgian legislation. Thus, establishing the tax privileges in the off-shore zones mostly support the companies to avoid taxes and in some cases, even legalize financial crimes.*

*Money laundering belongs to such crimes as those taking place in the off-shore centers. According to the indicator of gross domestic product, the number of global money laundering transactions ranges between 2% and 5% that is about 1-2 trillion US dollars per year. Money laundering and terrorism financing are the most priority issues of the world.*

***Keywords:*** *Offshore zone, money laundering, corruption, illegal transfers, shadow economy.*

*ფულის გათეთრება* — არალეგალური გზებით მიღებული ფულადი სახსრების ან საკუთრების სხვა ფორმების ლეგალიზებას, ანუ მათი ჩრდილოვანი, არაფორმალური ეკონომიკიდან ფორმალურში გადაყვანას იმისათვის, რომ ამ სახსრებით ღიად (სახალხოდ) სარგებლობა გახდეს შესაძლებელი.ფულის გათრების უკან დგას მთელი რიგი ეკონომიკური დანაშაულებრივი სისტემები:

- გადასახადებისგან თავის არიდება;
- კორუფცია;
- უკანონო ფულის გადინება საზღვარგარეთ.

თუმცა მარტო საქმე ეკონომიკურ დანაშაულებრივ სისტემებში როდია ფულის გათეთრების უკან დგას ისეთი მძიმე დანაშაულები როგორებიცაა

- ტერორიზმი;
- ნარკოვაჭრობა;
- ტრეფიკინგი;
- იარაღით ვაჭრობა;
- კრიმინალური სამყარო.

**ფულის გათეთრების პროცესი და მონაწილეები.** გათეთრების პროცესში ხდება შემოსავლის ნამდვილი წყაროს დამალვა, რეალური გარიგებების ფორმალურით შეცვლით, მაგ.: დამამოწმებელი დოკუმენტების გაყალბებით, მესამე პირთა დოკუმენტების გამოყენებით და მისთ.ფულის გათეთრება შესაძლებელია მრავალი დარგის მეშვეობით შეიძლება ამ დარგებს სულაც არ ჰქონდეს კავშირი ეკონომიკასთან:

- საბანკო სფერო;
- სათამაშო ბიზნესი;
- მსხვილი სუპერმარკეტები;
- მასობრივი სპორტული თუ კულტურული ღონისძიებები;
- არჩევნები და ა.შ.

**ოფშორული ზონა.** ოფშორული ზონა ცალკეულ სახელმწიფოთა ეროვნული ეკონომიკისგან იზოლირებული საფინანსო ინსტიტუტია, სადაც შეღავათიანი რეჟიმი განისაზღვრება სავალუტო შეზღუდვის უქონლობით, მოგებათა თავისუფალი გატანით, საწესდებო კაპიტალის დაბალი დონით, ფირმის რეგისტრაციისა და მართვის მაქსიმალურად გამარტივებული პროცედურით, საგადასახადო დანაკარგების შემცირების შესაძლებლობით, ფირმის მფლობელთა სრული ანონიმურობითა და კონფიდენციალობით.

ოფშორული ბიზნესი განსაკუთრებით სწრაფი ტემპით ვითარდება XX ს-ის 50-იანი წლების შემდგომ პერიოდში, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ განვითარებულ ქვეყნებში ბიზნესზე საკმაოდ მაღალი გადასახადები იქნა დაწესებული.

ამჟამად მსოფლიოში 72 ოფშორული ზონა მოქმედებს, რომლებიც მიმზიდველობის მთავარი კრიტერიუმი მეანაბრეთა ვინაობისა და მათი კაპიტალების ოდენობის გაუმხელობის ხარისხით განსხვავდებიან.

*ფულის გათეთრების პრობლემები ოფშორულ ზონებში.* სწორედ ოფშორულ ზონებში არსებული შეღავათები უწყობს ხელს იმას რომ

ფულის გათეთრება მოხდეს გაცილებით ადვილად ვიდრე ეს ხდება ჩვეულებრივ პირობებში, შეღავათები რომლებიც შექმნილია იმისათვის რომ ბიზნესს გაუადვილდეს ფუნქციონირება იქნება ეს:

- დაბალი ან საერთოდ არარსებული გადასახადები;
- ფირმის იოლი რეგისტრაცია;
- ანონიმურობა და ა.შ.

ეს ყველაფერი მშვენიერი იარაღია დამნაშავეებისათვის ფულის გასათეთრებლად. ვინაიდან მათ შეუძლიათ ადვილათ დარეგისტრირდენ არ გადაიხადონ გადასახადები და ისე აკეთონ დანაშაული რომ მათი ანონიმურობა გარანტირებული იყოს.

*ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა (ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფი (FATF)).* ფულის გათეთრების პრობლემის გადასაჭრელად დიდი შვიდეულის ინიციატივით 1989 წლის ივლისში პარიზში დაფუძნდა სპეციალური საერთაშორისო ორგანიზაცია The Financial Action Task Force (FATF),რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს ფულის გათეთრებასთან ბრძოლის ღონისძიებების შემუშავება, ტერორიზმის დაფინანსების აღმოფხვრისათვის სათანადო რეკომენდაციებისა და ღონისძიებების შემუშავება . 1990 წელს ამ ორგანიზაციამ შეიმუშავა 40 რეკომენდაცია, რომელსაც შემდგომ დაემატა რამდენიმე. ამ რეკომენდაციებში მოცემულია შავი ფულის გათეთრების აღმოფხვრის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა ძირითადი პრინციპები, რომლებიც სახელმწიფოებმა თავიანთ სამართლებრივ სისტემებში უნდა გამოიყენო

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა (პარიზის დეკლარაცია). 2002 წლის 8 თებერვალს ევროპარლამენტმა მიიღო ე.წ. პარიზის დეკლარაცია შავი ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. მასში მოცემულია FATF-თან თანამშრომელი ქვეყნების მიმართ განსახორციელებელი შემდეგი წინადადებები:

- **გამკაცრდეს** ევროპული ბანკებისა და სხვა ფინანსური დაწესებულებების ვალდებულებები ფულის ნამდვილი მფლობელების დადგენის თაობაზე ამ ქვეყნების მოქალაქეებთან ან კომპანიებთან გარიგების დადებამდე;
- გამკაცრდეს ანგარიშებისადმი წაყენებული მოთხოვნები, ან აუცილებელი გახდეს ფინანსური დაზვერვის ორგანოებში ანგარიშების წარდგენა ამ ქვეყნებთან განხორციელებული ყვე-

ლა ფულადი ოპერაციის შესახებ;

- შეიზღუდოს, დამატებით დაიბეგროს ან საერთოდ აიკრძალოს გარიგებები ამ ქვეყნების მოქალაქეებსა და კომპანიებთან.

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა (პატრიოტული აქტი). სიტუაციაკიდევ უფრო დაიძაბა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის შემდგომ აშშ-ში მიღებული პატრიოტული აქტის (The Patriotic Act) გამო, რომელმაც გააძლიერა სახელმწიფო კონტროლი ფინანსურ კომპანიებზე განსაკუთრებით კი უცხოელ სუბიექტებთან ურთიერთობებზე. ვინაიდან საერთაშორისო გადასახდელების უმეტესობა ამერიკული კლირინგული ბანკების მეშვეობით ხორციელდება, ასევე დაიწყო ოფშორული კომპანიების შესწავლაც და მათი შავი სიების შედგენა რამაც უარყოფითად იმოქმედა ამ ზონებზე, ბოლოს შავ სიებში მოხვედრილმა ყველა კომპანიამ თუ სახელმწიფომ თანხმობა განაცხადა საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებაზე.

საქართველო 2003 წელს შეუერთდა პარიზის დეკლარაციას და მიიღო კანონი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ, რომელიც პარიზის დეკლარაციის პრინციპებზეა აგებული. რაც შეეხება უშუალოდ ფულის გათეთრებას, როგორც დანაშაულს ის განისაზღვრება იურიდიული პირისათვის სასჯელის სახეებად განსაზღვრულია(საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 107 მუხლი):

ა) ლიკვიდაცია;

ბ) საქმიანობის უფლების ჩამორთმევა;

გ) ჯარიმა;

დ) ქონების ჩამორთმევა.

რაც შეეხება უშუალოდ ფულის გათეთრებას ფიზიკური პირების მიერ,ეს არის სისხლის სამართლის კოდექსის დანაშაული და მკაცრად რეგულირდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194 და 194(') მუხლებით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3- 12 წლამდე, გააჩნია დანაშაულის სიმძიმეს, თანხის რაოდენობას და დანაშაულის განმეორები თობითობას.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ბუხიაშვილი ი. ოფშორული კომპანიების სამართლებრივი სტატუსი. დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბ., 2014.
2. მოსიაშვილი ვ., ჭელიძე მ., ხიდირბეგიშვილი ნ., ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები. თბ., 2018.
3. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის N95 ბრძანებით დამტკიცებული ,,კომერციული ბანკების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესის შესახებ დებულება", 2016.
4. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 მაისის N132 დადგენილება „შეღავათიანი დაბეგვრის მქონე/ოფშორული ქვეყნების ჩამონათვალის განსაზღვრის თაობაზე".
5. Kochan N. The Washing Machine: How Money Laundering and Terrorist Financing Soils Us. Cengage Learning, 2005.
6. Madinger J. Money Laundering: A Guide for Criminal Investigators, Third Edition. CRC Press, 2011.
7. http://www. nbg.gov.ge;
8. http://www.fatf-gafi.org
9. http://www.for.ge/view.php?for_id=44738&cat=9


♦♦♦

# საქართველოს წყლის რესურსები და მათი რაციონალური გამოყენება
# Water resources of Georgia and their rational use

*ავტორ(ებ)ი - **ლანა კოპალიანი, მარიამ ტაბეშაძე,** ხელმძღვანელი- ასოც. პროფ. **ხათუნა თოდუა,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*Author(s)- **Lana Kopaliani, Mariam Tabeshadze,** Supervisor - Assoc. Prof. **Khatuna Todua,** Akaki Tsereteli State University*

*Abstract*

*Georgia has variety of natural resources, especially with resources of water. Here are 26060 rivers and many lakes, also here are 43 water reservoir too. Black sea is invaluable treasure for our country. Georgia has many resorts , which are rich with mineral water. For example: Bakuriani , Sairme , Borjomi and e.c. That water resources has great economical potential and priorty so it is important to use that resources right way. Water pollution is a big problem for the world and for Georgia too. We all must take care of our nature.*

*Kay words: (Georgia, Water resources of Georgia )*

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის შეფასებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბუნებრივ რესურსებს.საქართველოს ბუნებრივი პირობებისა და ბუნებრივი რესურსების განსაკუთრებული მრავალფეროვნება ახასიათებს. ქვეყნის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი მოიცავს ბუნების, ჰავის, რელიეფის, ნიადაგების, წყლის საფარის, სასარგებლო წიაღისეულის, მათი მარაგების და ა.შ შეფასებას. მტკნარი წყლის რესურსები საქართველოს ერთ-ერთ ძირითად სიმდიდრეს წარმოადგენს.წყლის რესურსებს ჩვეულებრივ უწოდებენ რომელიმე ტერიტორიის ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლების მარაგს. საქართველოს ტერიტორიაზე მიედინება 26060 მდინარე, რომელთა საერთო სიგრძე 26 ათას კმ-ს აღწევს. საქართველოს წყლის რესურსები ფართოდ გამოიყენება ქვეყნის ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგში. წყლის ობიექტებიდან წყლის აღება და მისი მოხმარება ან სხვა ადგილას ჩაშვება წარმოებს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მოთხოვნილების, ენერგეტიკის, მრეწველობის, მორწყვის, მეცხოველეობისა და სხვა მიზნებისათვის. წყლის ობიექტები უშუალოდ გამოიყენება თევზის მეურნეობისა და აგრეთვე სპორტული, რეკრეაციული და სხვა მიზნებისათვის.

თანამედროვე პირობებში ჰიდროენერგეტიკა წარმოადგენს წყალსამეურნეო კომპლექსის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს.ჰიდროელექტროსადგურებსა და ირიგაციულ სისტემებს 43 წყალსაცავი ემსახურება. მათგან 35 აღმოსავლეთ საქართველოში მდებარეობს. წყალსაცავები ქვეყნის ეკონომიკაში უდიდეს როლს ასრულებენ. ამჟამად საქართველოში ელექტროენერგიის 75%-ზე მეტი ჰიდროელექტროსადგურებში გამომუშავდება. ტერიტორიის ერთეულზე ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის მიხედვით საქართველო პირ-

ველ ადგილზეა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის,აგრეთვე აჭარბებს ისეთ ქვეყნებს,როგორიცაა იტალია, შვეიცარია, საფრანგეთი,რუმინეთი და სხვა. საქართველოში არსებულ 32 000 დიდ,საშუალო და მცირე მდინარეთა სრული პოტენციალი 194 მლრდ კვტ/საათია.

უდავოა, რომ ძვირადღირებულ იმპორტირებულ ელ.ენერგიას სჯობია ქვეყნის შიგნით გავზარდოთ ელ.ენერგიის გენერაცია, რომელიც გაცილებით იაფი ჯდება. შიდა მოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილების შემდეგ შესაძლებელია ელ.ენერგიის ექსპორტიორი ქვეყანა გავხდეთ იმის გათვალისწინებით, რომ გაგვაჩნია განახლებადი ჰიდრორესურსის უზარმაზარი აუთვისებელი ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი და ჰეს-ზე გამომუშავებული ელ.ენერგია არის სუფთა და გაცილებით იაფი, ვიდრე სხვა ალტერნატიული ენერგიის წყაროებით მზის, ქარის და ა.შ. გენერირებული ელ.ენერგია,საქართველოსთვის არსებობს მინიმუმ სამი მიზეზი თუ რატომ გვესაჭიროება დამატებითი სიმძლავრეები და ახალი ჰესების აშენება, ესენია:

მიზეზი I - ევროპა ენერგო დეფიციტის საფრთხის წინაშე დგას. 2011 წლის ფუკუშიმას ატომური ელექტროსადგურის კატასტროფის შემდგომ, ევროპის ქვეყნების უმრავლესობამ უარი განაცხადა ახალი აეს-ების მშენებლობაზე დათუ ევროპაში დაიწყება ენერგო კრიზისი, მაშინ საქართველოს ევროპიდან რაიმე სახის ენერგიის მიღების ილუზია არ უნდა ჰქონდეს. ასე რომ, ძალაუნებურად, მეტწილად გავხდებით ენერგო მონოპოლისტი რუსეთის ფედერაციაზე დამოკიდებული, რაც მძიმე შედეგების მომტანი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის.

მიზეზი II - სახელმწიფო განვითარებისათვის აუცილებელია ახალი სამუშაო ადგილებისა და ახალი საწარმოების შექმნა, რომლებიც საჭიროებენ დამატებით სიმძლავრეებს, რომელიც ამჟამად არ გაგვაჩნია. ასე რომ სასიცოცხლო მნიშვნელობისაა საქართველოსთვის არსებული ჯერ კიდევ აუთვისებელი ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის ათვისება ანუ ახალი ჰესების აშენება.

მიზეზი III - ენგურჰესი არის კონფლიქტის ზონაში და რუსეთ-საქართველოს შორის დავის საგანია, არსებობს იმის რეალური საშიშროება, რომ ენგურჰესიდან ელ.ენერგიის მოწოდება შეგვიწყდეს - ნათელია, თუ რა საფრთხის და კატასტროფის წინაშე აღმოვჩნდებით. ეს არის კიდევ ერთი მიზეზი იმისა თუ რატომ არ უნდა ვიყოთ მშვიდად

იმის გამო, რომ მოსახლეობას ელ.ენერგიის მიწოდება 24 საათიანი გვაქვს და რატომ არის საჭირო ახალი ჰესები.

ცხადია, ენერგოდამოუკიდებლობის მიღწევა დიდი პრიორიტეტია საქართველოსათვის, თუმცა ეს ყველაფერი უნდა განხორციელდეს, რაც შეიძლება მცირე დანაკარგებისა და ზიანის ხარჯზე. დახახლებული ტერიტორიების სიახლოვეს ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა უარყოფითად ისახება კლიმატის ცვლილებაზე. ამასთანავე, გარკვეულწილად ზიანდება ზღვის სანაპირო ზოლი, რაც გამოწვეულია იმით,რომ მდინარეებს ვეღარ ჩააქვს ინერტული მასალები ზღვამდე. ეს უკანასკნელი კი სანაპირო ზოლის შენარჩუნებისთვის აუცილებელია.ეკონომიკური საწარმოო პროცესის დროს წყლის გამოყენების ფორმები საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. იგი შეიძლება გამოყენებული იყოს, როგორც ნედლეული, გამხსნელი, თბომატარებელი და სხვა. წყლის დიდი რაოდენობა წარმოებაში გამოიყენება გაციებისათვის. წარმოებაში გარდა ტექნოლოგიური საჭიროებისა წყალს იყენებენ საყოფაცხოვრებო, სახანძრო და სანიტარული მიზნებისათვის. თევზის მეურნეობა საქართველოს წყლის ობიექტებით მოსარგებლეს წარმოადგენს. ტბებიდან, სადაც სამეურნეო თევზის ჭერას აწარმოებენ, აღსანიშნავია ფარავნის, საღამოს, ტაბაწყურის, პალიასტომის, ინკითის და სხვა; წყალსაცავებიდან: ხრამის, თბილისის, სიონის, შაორის, ტყიბულის; მდინარეებიდან: მტკვარი, ქცია-ხრამი, ალაზანი, რიონი, ენგური, კოდორი, ბზიფი და სხვა. თევზის მეურნეობისათვის მნიშვნელოვანია ტბორების მოწყობა, რაც საქართველოში 1933 წლიდან დაიწყო. მის შემდეგ შეიქმნა ნოქალაქევის, ქვემო მაღლაკის, სიღნაღის, და სხვა სატბორე მეურნეობები. მათი საერთო ფართობი 500 ჰექტარს აღემატება.

დიდი რაოდენობით წარმოებს მინერალური წყლების გამოყენება. საქართველოში მოიპოვება ბალნეოლოგიური კლასიფიკაციის თითქმის ყველა ტიპის სამკურნალო წყალი, სამკურნალო წყაროების მახლობლადვე შექმნილია სხვადასხვა სახის კურორტი (ბორჯომი, წყალტუბო, საირმე და სხვ.) წყალტუბოს მინერალურ წყალს ანალოგი არ მოეძებნება, ბორჯომის მსგავსი შემადგენლობის მინერალური წყალი კი მხოლოდ საფრანგეთშია, სპეციალისტთა ურავლესობა ბორჯომის წყალს ანიჭებს უპირატესობას. აღსანიშნავია, საირმე, ბაკურიანი, ბახმარო, ნაბეღლავი და სხვა თავიანთი უნიკალური თვისებებით,

აღსანიშნავია, რომ ''საქსტატის'' მონაცემებით, 2017 წლის მონაცემებით წყლის ექსპორტი 27%-ით გაიზარდა,ამავე წლის იანვარ-აპრილში უცხოეთის ბაზრებზე 30.25 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ქართული მინერალური წყლებ გავიდა,რაც 2016 წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემებს დაახლოებით 6 მლნ აშშ დოლარით აღემატება.

შავი ზღვის მნიშვნელობა ფასდაუდებელია ჩვენი ქვეყნისათვის. იგი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს რესურსულ პოტენციალს, რეკრეაციულ ზონას და საგარეო კავშირურთიერთობის მირითად არტერიას.

შავი ზღვა უდიდესი სატრანსპორტო არტერიაა. იგი ხიდია საქართველოსა და დანარჩენ მსოფლიოს, განსაკუთრებით საქართველოსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის.

მომავალში შავ ზღვაზე ბევრად იქნება დამოკიდებული საქართველოს ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური დამოუკუდებლობა – განვითარება. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ფოთის ნავსადგური საიდანაც დიდი რაოდენობით გააქვთ ნავთობი.

მართალია, შავი ზღვა არ არის მდიდარი იქ თიოფაუნით ანუ თევზებისა და წყლის სხვა ბინადრების დიდი რაოდენობით, მაგრამ მაინც წარმოებს თევზჭერა.

დიდი პერსპექტივები აქვს აგრეთვე სანაპირო ზოლში საერთაშორისო საკრუიზო ტიპის ტურიზმის განვითარებას და ამ მხრივ, აღსანიშნავია ბათუმი, რომელიც იქცა ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნად ტურისტულ ადგილად საქართველოში. ის პოპულარობით სარგებლობს არა მარტო რესპუბლიკის, არამედ რეგიონის მასშტაბითაც, რასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის.

დასკვნის სახით,შეიძლება ითქვას,რომ წყლის რესურსებს დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა და პოტენციალი გააჩნია,თუმცა დიდ პრობლემას წარმოადგენს,როგორც შავი ზღვის,ასევე,ტბების,მდინარეების და მიწისქვეშა წყლების დაბინძურება ქიმიური ნივთიერებებით.ამიტომ ქვეყნის ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხს უნდა წარმოადგენდეს წყლის რესურსების დაცვა და მათი რაციონალური გამოყენება,რაც ფუნდამენტურ როლს ითამაშებს ქვეყნის ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. იმისათვის,რომ სარგებელი გაცილებით მეტი იყოს ვიდრე ზიანი,ამისათვის გააზრებული და თანმიმდევრული

მოქმედებაა საჭირო.ბუნებას გაფრთხილება და დაცვა სჭირდება.მით უფრო ისეთ მნიშვნელოვან ბუნებრივ რესურსს,როგორიცაა წყლის რესურსი.საბედნიეროდ ჩვენი ქვეყანა მდიდარია წყლის მარაგით და სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შემთხვევაში შესაძლებელია შედარებით მცირე ზიანით მზარდი ეკონომიკური ეფექტიანობის მიღწევა.

*გამოყენებული ლიტერატურა:*

1. ვაჟა ტრაპაიძე ''წყლის რესურსები'' 2012 წ.
2. ლამარა გურესაშვილი ''საქართველოს ბუნებრივი-რესურსული პოტენციალი'' 2006 წ.
3. როზეტა ასათიანი '' საქართველოს ეკონომიკა" 2012 წ.
4.http://icode.ge/2012/04/29/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83

♦♦♦

# ურბანული მიწის ნაკვეთების შეფასების ასპექტები
# Aspects of urban land parcel evaluation

*ავტორი - **ლანა მჭედლიშვილი**,ხელმძღვანელი - პროფ. **გრიგორ ხოფერია**, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*
*Author-**Lana Mchedlishvili,** Supervizor-Prof. **Grigor Khoperia,** Georgian Technical University*

*Abstract*

*It is known that according to the price comparison method, the land value of the territories settled at market value means access to information on transactions with land plots that are not practically inactive in the current settlement.*

*The authors of the article offer an analytical method to determine the land as a share of the total value of the real estate object market based on city planning characteristics.*

*Key Words: urban suroundings, land, marcket price, transaction, secondary marcket, analitical method.*

**1. გამოყენების სფერო.**

სტატია ასახავს ნებისმიერი დასახლებული არეალის ურბანული (სხვადასხვა ტიპის და დანიშნულების მქონე გაუმჯობესებით განაშენიანებული) მიწის ნაკვეთების ღირებულების განსაზღვრის მეთოდებს.

**2.ურბანული (განაშენიანებული) მიწის ნაკვეთების შეფასების არსებელი მეთოდები**

შემფასებლობითი პრაქტიკაში მოყვანილი მეთოდების გამოყენებით ხდება დასახლებული არეალების ურბანული მიწის ნაკვეთების დადგენა განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. მიწის ნაკვეთების საბოლოო მნიშვნელობა განისაზღვრება სხვადასხვა მეთოდებით მიღებული შედეგების გასაშუალების ან მათი შეწონვის ხერხის გამოყენებით. შედეგების ერთმანეთთან შედარების დროს უპირატესობა ენიჭება შეფასების იმ შედეგებს, რომლებიც დაფუძნებულია მოპოვებულ სრულ და დადასტურებულ ინფორმაციაზე. მიდგომები და შესაბამისი მეთოდები მოყვანილია ქვემოთ.

**2.1.1. შედარებით მიდგომა**: ანალოგების გაყიდვების შედარების მეთოდი, გამოყოფის მეთოდი;. **2.1.2. შემოსავლებით მიდგომა:** მიწის ნაკვეთის რენტის (მოგების მასზე საქმიანობიდან) პირდაპირი კაპიტალიზაციის მეთოდი, ფულადი ნაკადების დისკონტირების (ან სავარაუდო გამოყენებაზე დაფუძნებული) მეთოდი. შემოსავლის მიწაზე ნარჩენის ტექნიკა.

**2.1.3. დანახარჯებით მიდგომა:** გამორიცხვის მეთოდი, ათვისებაზე დანახარჯების განსაზღვრის მეთოდი, ინფრასტუქტურაზე დანარაჯების განსაზღვრის მეთოდი, ტიპიური საინვესტიციო კონტრაქტების პირობებით შეფასების მეთოდი.

სტატიის ჩარჩოები არ ითვალისწინებენ ჩამოთვლილი ცნობილი მეთოდების დეტალურ განხილვას, რადგანაც მათი დეტალური განხილვა ასახულია სტატიის ბოლოს მოყვანილ ნებისმიერ ლიტერატურაში.

**3. ურბანული მიწის ნაკვეთის ღირებულების დადგენა დანახარჯების მიდგომის გამორიცხვის მეთოდის გამოყენებით.**

**3.1. შესავალი**

შემოთავაზებული შეფასების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მიწის ნაკვეთის ღირებულების დადგენის გამორიცხვის მე-

თოდი. იყენებს მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებასა და უძრავი ქონების ობიექტის საბაზრო ღირებულებას შორის არსებულ პირდაპირპროპორციული დამოკიდებულების პრინციპს. ამასთან, პროპორციულობის კოეფიციენტის (მულტიპლიკატორის) სახით გვევლინება სიდიდე, რომელიც ასახავს მიწის ნაკვეთის სავარაუდო წილს უძრავი ქონების მთლიან ღირებულებაში.

**3.2. გაანგარიშების პროცედურა.** მიწის ნაკვეთის ყველაზე სავარაუდო წილის გაანგარიშების მეთოდი მთლიანი უძრავი ქონების ობიექტის საბაზრო ღირებულებაში

იმის გათვალისწინებით, რომ შეფასების თარიღისათვის, განსაკუთრებით მიწის ნაკვეთებისათვის, რომლებიც განლაგებულია ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, მონაცემები ძალიან ცოტაა ან ვერ იძებნება, მულტიპლიკატორის განსაზღვრისათვის პირდაპირი შედარების (საბაზრო) მეთოდისათვის შეგროვდეს შედარების ობიექტების გაყიდვების ფასებზე დასაბუთებული მონაცემების ძალიან გართულებულია, რჩება მულტიპლიკატორის გაანგარიშების სხვა გზა - მთლიანი უძრავი ქონების ობიექტის საბაზრო ღირებულებიდან შენობა-ნაგებობის აღდგენითი ან ჩანაცვლების ღირებულების გამოკლებით.

ახალი აგებული ან ასაგები გაუმჯობესების მშენებლობის დანახარჯების დადგენა არ წარმოადგენს რთულ ამოცანას. ამოცანა რთულდება, როდესაც გაუმჯობესება აგებულია წარსულ პერიოდში. ამისათვის, შეფასების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, იანგარიშება შესაფასებელი შენობის აღდგენითი ღირებულება თანამედროვე ნორმების და სამშენებლო ტექნოლოგიის გამოყენებით. შემდგომ მიღებული აღდგენითი ღირებულებიდან აკლებენ შენობის ყველა სახის ცვეთის გამოთვლილი სიდიდეს და შედეგად მიიღება ობიექტის ჩანაცვლების ღირებულება. თქმულიდან ცხადია, რომ მიწის წილის დადგენა საკმაოდ რთულდება, ასევე რთულდება მისი სიზუსტის მტკიცებულების დადგენა.

**4. ურბანული მიწის ნაკვეთის ღირებულების დადგენა ანალიტიკური მეთოდის გამოყენებით**

**4.1. მეთოდის კონცეფცია**

სტატიის ავტორების მიერ შემოთავაზებულ მეთოდს საფუძვლად უდევს დაშვება, რომ დასახლებული არეალის ტერიტორია შე-

იძლება დაიყოს და აღიწეროს გენგეგმაში მოყვანილი ფუნქციონალურ ზონებად, ხოლო ეს ზონები არეალებად, სადაც მიწის ნაკვეთების ადგილმდებარეობა აღიწერება 10 კლასის გრადაციის და შემდეგი მოქმედი ფაქტორების მიხედვით, ესენია: ზოგადი აღწერა; სატრანსპორტო დამოკიდებულება დიდ ქალაქთან, საცხოვრებელი სექტორი,ინდუსტრია, ბიზნეს ოფისები, ვაჭრობა, ფასის აწევის ფაქტორები, ფასის შემცირების ფაქტორები. ცალკეული არეალის შესაბამისი კლასი ზუსტად აღწერს მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობას ქალაქის გენგეგმით დაყოფილ ზონებში და ჩამოთვლილი კრიტერიუმების მიხედვით, რაც აძლევს შემფასებელს საშუალებას ზუსტად დაადგინოს შესაფასებელი მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობა თითოეული არეალის აღწერისას ჩვენ გამოვდიოდით საყოველთაოდ აღიარებულ მონაცემების ფორმირების პრინციპებიდან.

**4.2. გაანგარიშების პროცედურა**

წინა მეთოდში ჩვენ შემფასებლებმა ყურადღება გავამახვილეთ იმ გარემოებაზე, რომ დასახლებულ არეალებში დასაბუთებულ მონაცემებზე დაყრდნობით გაგვაჩნია მეტი ინფორმაცია, ბინების ან ნებისმიერ გამოყენების სათავსოების ფართების და არა მთლიანი შენობების გაყიდვებზე ან იჯარის განაკვეთებზე. ამგვარად, პრაქტიკული თვალსაზრისით, მეტი მნიშვნელობა ენიჭება მიწის ნაკვეთის წილს მოსულს კონკრეტული სათავსოს საბაზრო ღირებულებიდან გამომდინარე, მაგალითად: ბინის ღირებულებიდან.

ამ შემთხვევაში, მიწის წილი დამოკიდებული იქნება განაშენიანების სიმჭიდროვეზე და იმაზე, თუ მთლიანი შენობის ფართის რა ნაწილი ექვემდებარება გაყიდვას. ასეთი მიდგომის ჩარჩოებში აუცილებელია განისაზღვროს მიწის ნაკვეთის ღირებულების ის წილი, რომელიც მიეკუთვნება შენობის ცალკეულ სათავსოების (ბინის, ოფისის, საწარმოო საამქროს ან მაღაზიის კომეციული ფართის) ღირებულებიდან. ამიტომ წინასწარ განვსაზღვროთ ტერმინი "მიწა მოსული შენობის ან სათავსოს 1მ2-ზე". ტერმინის შემოღება დაკავშირებულია იმასთან, რომ სათავსოების ჯამური საერთო ფართი- $S_{ს.ფ.}$ არ არის ტოლი იმ მიწის ნაკვეთის მთლიანი ფართისა - $S_{მ.ფ}$, რომელიც ამ ჯამს ეკუთვნის. ხოლო ცალკეული სათავსოს შემთხვევაში - მიწის ნაკვეთის ფართი, რომელიც მიეკუთვნება სათავსოებს, არ არის სათავსოების ფართის ტოლი.

ამგვარად, თუ ჩავთვლით, რომ მიწის ნაკვეთის ფართი იყოფა პროპორციულად დაკავებული სათავსოების ფართობზე, მაშინ შენობის ყველა სათავსოების ჯამური ფართის 1მ2-ზე ან ცალკეულ სათავსოს 1მ2-ზე მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი ფართით, რომელიც ტოლია:

$$\Delta=(1- S_{მ.ფ.}/S_{ს.ფ.}),\ მ2. \qquad (1)$$

მოყვანილი ფორმულა სამართლიანია,თუ შეფარდება გამოყოფილი მიწის ნაკვეთის საერთო ფართსა და შენობაში განთავსებული სათავსოების ფართს შორის (**$S_{მ.ფ.}/S_{ს.ფ.}$**) შესაფასებელი ობოიექტისათვის ისეთივეა, როგორც მოცემული არეალის სხვა ობიექტებისათვის.

ქალაქის ტიპიურ განაშენიანების სათავსოებისათვის, შეიძლება შევაფასოთ განაშენიანების სიმჭიდროვე ***სამშენებლო ნორმების და წესების - 2.07.01.89*** **"ქალაქთმშენებლობა: ქალაქების და სოფლის დასახლებების დაგეგმარება და განაშენიანება", გვ.35-ს თანახმად, შემდეგი ფორმულით:**

$$S_{მ.ფ.}/S_{ს.ფ.}= N_{სართ.}/(1-K_1)^* (1+K_2), \qquad (2)$$

სადაც: **$N_{სართ}$**- შენობის სართულიანობა, რომელშიც მდებარეობს სათავსო;

**$K_1$**- კოეფიციენტი, რომელიც ასახავს შეფარდებას შენობის ტექნოლოგიური ფართებისა (კედლები,სადარბაზოები, კიბის უჯრედები) და შენობის მთლიან ფართს შორის, **$K_1$**- არის მუდმივი სიდიდე, ყველა საქართველოში დაპროექტებულ შენობებისათვის და შეადგენს, **$K_1$=20%**;

**$K_2$K-** კოეფიციენტი, რომელიც ასახავს ქალაქის გამოყოფილი ზონის განაშენიანების სიმჭიდროვეს - ანუ ზონის განაშენიანებული მიწის ნაკვეთების მთლიანი (ჯამური) ფართის შეფარდებას განაშენიანებული შენობების საერთო ფართთან.

კოეფიციენტი **$K_1$**-განისაზღვრება შენობის დაგეგმარებით, ხოლო **$K_2$** - გამოყოფილ ზონაში ქალაქის უბნის განაშენიანების სიმჭიდროვით.

ფორმულების (1)-ს და (2)-ს გამოყენებით გამოთვლილ იქნა ცალკეულ კლასებში მოთავსებული ქალაქის მიწის ნაკვეთის წილი, რომელიც შეეფარდება სათავსოების 1მ2. გაანგარიშებების 1გამოთვლების შედეგები მოყვანილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში (იხ., ცხრ.1. )

***მიწის ღირებულების წილი უძრავი ქონების ნებისმიერი დანიშნულების სათავსოს ფართისბ -1მ 2-ს საბაზრო ღირებულებაში.***

*ცხრ.1*

| ადგილმდებარეობის არეალი- კლასი | მიწის ნაკვეთის ღირებულების წილი კლასის მიხედვით - %-ში, სათავსოს 1მ2-ს საბაზრო ღირებულებაში |
|---|---|
| ადგილმდებარეობის არეალი -კლასი 1 | 11 |
| ადგილმდებარეობის არეალი -კლასი 2 | 19 |
| ადგილმდებარეობის არეალი -კლასი 3 | 26 |
| ადგილმდებარეობის არეალი -კლასი 4 | 32 |
| ადგილმდებარეობის არეალი -კლასი 5 | 38 |
| ადგილმდებარეობის არეალი -კლასი 6 | 55 |
| ადგილმდებარეობის არეალი -კლასი 7 | 59 |
| ადგილმდებარეობის არეალი -კლასი 8 | 64 |
| ადგილმდებარეობის არეალი -კლასი 9 | 69 |
| ადგილმდებარეობის არეალი -კლასი 10 | 72 |

ნათელია, რომ: 1). სათავსოს საბაზრო ღირებულების დადგენა დასახლებული არეალის ფარგლებში წარმოადგენს იოლ ამოცანას; 2). ადგილმდებარეობის კლასი, ასევე პროცენტული მაჩვენებლის მნიშვნელობა ყოველთვის არ არის მთელი ციფრი. დასაშვებია ინტერპოლაცია.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1.გ.ხოფერია. უძრავი ქონების შეფასება. სახელმძღვანელო, ელექტრონული ვერსია, თბ., 2015წ.
2. სამშენებლო ნორმები და წესები (შემდგომში ს.ნ. და წ.) 2.07.01.89- ქალაქმშენებლობა. ქალაქების და სოფლების დასახლებების დაგეგმარება და განაშენიანება

♦♦♦

## დროის რაციონალურად განაწილების პრობლემები
## The problems of time rationally distribution

*ავტორი - **რუიზან ბესიაშვილი,** ხელმძღვანელი - ასოც. პროფ. **ვალერი მოსიაშვილი,** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*
*Author – **Ruizan Besiashvili,** Supervizor – Assoc. Prof. **Valeri Mosiashvili,** Georgian Technical University*

*Abstract*

*How to distribute time productively, that the cost of our time balances the price and value of the price, this is what I am, the value of what I want to get from time to time, this is what is impossible to return!So when we talk about the time allocation, we should think well about what we use our precious minutes and what do we get from this one day = 24 hours?*

*First of all, it is necessary to distribute the necessary and the time allotment is necessary, the list of cases you are obliged to pay for a certain period of your day. It may be service, education, family, etc. You are obliged every morning if you are a student at the university,*

*If you have a job, work for the whole day or share the best option for each of us, we have free time when you spend time online and social networks,this is a desirable time distribution you are not obliged to just want.*

***Remember!*** *Minute This is a phenomenon that can not be returned! So he is the most valuable treasure in life, so pay him for the people who love you!*

***Key Words****: time management, supervision, timeshare.*

დრო, ყველაზე ღირებული, მაგრამ ნაკლებად დაფასებული რესურსია. დროს ყველა ადამიანი ინდივიდუალურად აღიქვამს. გარდა ამისა,დღის განმავლობაში შეიძლება რამდენჯერმე შეიცვალოს დროის სისწრაფის შეგრძნება.ეს სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული:- ჩვენს ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე,ჯანმრთელობაზე,ასაკზე-რაც უფრო გვემატება წლები,უფრო სწრაფად გადის დრო, ვიდრე ბავშვობაში და ჩვენს ტემპერამენტზე.

ალბათ, ბევრ თქვენგანს აქვს დროის მართვის პრობლემა და ეს, შეიძლება ითქვას, ნორმალურიცაა ჩვენს დროში – იმისათვის, რომ დღევანდელი ცხოვრების ტემპს ფეხი აუწყოთ, საჭიროა მობილიზება და დროის სწორი განაწილება.

პირველ რიგში, საყურადღებოა ის, რომ დროის კონტროლი მით უფრო მარტივია, რაც უფრო ადრეულ ასაკშიც დაიწყებს ამისთვის მუშაობას ადამიანი, თუმცა ეს არც ზრდასრულ ასაკშია შეუძლებელი. მთავარია, თითოეულმა ადამიანმა თავისი ცხოვრების წესისა და ინტერესებისამებრ დაგეგმოს დრო და შემდეგ, ნაბიჯ-ნაბიჯ შეუდგეს მის შესრულებას.

დროის მართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალება არის ყოველდღიური გეგმის შედგენა. რა საჭიროა მომდევნო დღისთვის მოსაგვარებელი საქმეების ჩამონათვალის გაკეთება ყოველი დღის

ბოლოს და რატომ არის უმჯობესი მისი უბის წიგნაკში ჩანიშვნა? ამაზე ძალიან კარგი პასუხის პოვნა შეგვიძლია მენეჯმენტის მამად წოდებული ავსტრიელი მეცნიერის, პიტერ ფერდინანდ დრუკერის, წიგნში "ეფექტური მმართველი", სადაც მას ძალიან კარგი მაგალითი მოჰყავს: "ხალხს თუ შევკრიბავთ განათებულ, მაგრამ დახურულ სივრცეში, რამდენიმე საათში დაკარგავენ დროის შეგრძნებას და რაც არ უნდა ეცადონ, საკუთარი მეხსიერების ხარჯზე დათვალონ თუ რამდენი ხანი იმყოფებიან ასეთ შენობაში, ვერაფერს ვერ მიაღწევენ." იმ ადამიანის გონება, რომელიც გამუდმებით მუშაობს საკუთარ თავზე და შრომობს წინსვლისა და წარმატებისათვის, ისედაც დატვირთულია ძალიან ბევრი საფიქრალით, ასე რომ, ნამდვილად ჯობს ჩვენი ყოველდღიური გეგმა დავწეროთ და ამგვარად გავიმარტივოთ დროის მართვა. აუცილებელია, დაგეგმვისას გვახსოვდეს, რომ შეიძლება მოხდეს ბევრი გაუთვალისწინებელი რამ, რისი არიდებაც ფიზიკურად შეუძლებელია. მაგალითად, გვესტუმროს დიდი ხნის უნახავი მეგობარი, მოვხვდეთ მანქანების საცობში დიდი ხნით, მოგვიწიოს სასწავლო დაწესებულებებსა თუ სამსახურში მეტი დროით დარჩენა და ა.შ. თუმცა თუ ჩვენი დღის გეგმაში გამოვყოფთ საკმარის თავისუფალ დროს, მაშინ შესაძლებელი იქნება შეუფერხებლად შევასრულოთ ყველა მნიშვნელოვანი საქმე გაუთვალისწინებელი და დაუგეგმავი შემთხვევების მუხედავად – ისინი ავტომატურად ჩვენი გეგმის "თავისუფალი დროის გრაფაში" ჩაინიშნებიან.

დროის მენეჯმენტი არის ცხოვრების მართვა. შენ შეგიძლია აკონტროლო მოვლენების თანმიმდევრობა, აკონტროლო, თუ რა უნდა გააკეთო შემდეგ და შენ ყოველთვის თავისუფალი ხარ არჩევანში რა გააკეთო. მთავარია, განსაზღვრო მნიშვნელოვანი და ნაკლებად მნიშვნელოვანი დავალებები, რაც წარმატების გასაღებია.

პასუხი თუ რატომ ხდება ზოგიერთი ადამიანი უფრო წარმატებული ვიდრე სხვა, არის ის, რომ ისინი ზუსტად საზღვრავენ ცხოვრებისეულ მიზნებსა და პრიორიტეტებს და ეფექტურად მართავენ საკუთარ რესურსებს, ეფექტურად მართავენ დროს. მაგრამ როგორ უნდა გავაკეთოთ ეს? უნდა შევიმუშაოთ საკუთარი თავის დისციპლინა. ვაიძულოთ საკუთარი თავი, უარი ვთქვათ ნაკლებად მნიშვნელოვან საქმეებზე და მავნე ჩვევებზე. ნაკლები დრო დავუთმოთ სოციალურ ქსელებს, ჟურნალ-გაზეთებს, სატელევიზიო შოუებს, წინასწარ გან-

ვსაზღვროთ მომავალი დღეების აქტივობები, გამოვყოთ მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი და ნაკლებად მნიშვნელოვანი საქმეები და მოვახდინოთ მათი სორტირება. დღის დასაწყისშივე დავიწყოთ ყველაზე მნიშვნელოვანი დავალებების შესრულება და არ გადავიდეთ ახალ დავალებაზე, სანამ არ დავასრულებთ პირველს. გამოვიყენოთ დროის მართვის ცნობილი მეთოდები.გახდებით უფრო ამაყები შესრულებული დავალებების გადახედვისას. ამის შემდეგ კი იზრდება თვითრწმენა და ხდებით უფრო თავდაჯერებულები და ოპტიმისტები. ახალ შემოთავაზებებში კი საფრთხეებისა და წინასწარი წარუმატებლობის გრძნობას კი არა, ახალ შესაძლებლობებს დაინახავთ.

*დროის მენეჯმენტის ეფექტურობის შემთხვევაში სრულდება რამდენიმე პირობა:*

*1. შედეგით კმაყოფილი ხართ, ანუ დასახული მიზნისკენ შეუფერხებლად მიიწევთ;*

*2. თავისუფალი ხართ სასწრაფო და უმნიშვნელო, უინტერესო საქმეებისგან.*

უნდა გვესმოდეს, რომ იდეალი მიუღწეველია და ყოველი ადამიანისთვის ბედნიერება არა დანიშნულების საბოლოო პუნქტი, არამედ მისკენ მიმავალი გზა, თავად პროცესია. რაც უფრო კმაყოფილი ხართ თქვენი ცხოვრებით, რაც უფრო თავისუფალი ბრძანდებით – მით უფრო მაღალია თქვენი ეფექტურობა.

დროის მენეჯმენტი ფრანკლინის პირამიდის მიხედვით. ბენჯამინ ფრანკლინმა 20 წლის ასაკში შეადგინა თავისი მიზნების მიღწევის გეგმა. მისმა გეგმამ ,,,ფრანკლინის პირამიდის" სახელწოდება მიიღო და ის შემდეგნაირად გამოიყურება:




1. პირამიდის ფუნდამენტს წარმოადგენს მთავარი ცხოვრებისეული ღირებულებები. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის პასუხი კითხვაზე: ,,რა მისიით მოევლინეთ დედამიწას?”

2. ეფუძნება რა ცხოვრებისეულ ღირებულებებს, თითოეული ადამიანი თავისთვის აყალიბებს გლობალურ ამოცანას – ვინ უნდა გამოვიდეს და რის მიღწევას ცდილობს?

3. მიზნის მიღწევის გენერალური გეგმა – ესაა კონკრეტული შუალედური მიზნების ფიქსაცია გლობარლური მიზნების მიღწევის გზაზე.

4. ერთწლიან, სამწლიან, ხუთწლიან გეგმებს გრძელვადიანი გეგმები ეწოდება. აქ მნიშვნელოვანია შესრულების ზუსტი ვადების განსაზღვრა.

5. ყოველთვიური და ყოვლკვირეული გეგმები, მოკლევადიანი გეგემებია. რაც უფრო გააზრებული იქნება ისინი, რაც უფრო ხშირად გაანალიზებთ და შეასწორებთ მათ, მითუფრო ეფექტური იქნება სამუშაო.

6. მიზების მიღწების გეგმაში უკანასკლენი პუნქტია ყოველდღიური გეგმა. საქმიანობა, რომელსაც ყოველდღე ასრულებ და გაახლოებს საბოლოო მიზანთან.

**დასკვნა**: თუ დაიწყებთ დროის მართვას დღეიდან შედეგად გაზრდით, როგორც საკუთარ ეფექტურობას, ისე პატივისცემას საკუთარი თავის მიმართ. გახდებით უფრო ამაყები შესრულებული დავალებე-

ბის გადახედვისას. ამის შემდეგ კი იზრდება თვითრწმენა და ხდებით უფრო თავდაჯერებულები და ოპტიმისტები. ახალ შემოთავაზებებში კი საფრთხეებისა და წინასწარი წარუმატებლობის გრძნობას კი არა ახალ შესაძლებლობებს დაინახავთ.თქვენ შეცვლით ცხოვრებას, იქნებით უფრო კმაყოფილი საკუთარი პიროვნებით, გატარებული დღითა და შესრულებული საქმეებით გახდებით უფრო წარმატებულები პირად ცხოვრებაში და საქმიანობაში.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1.http://4motivi.com/%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91/
2.https://ihow.ge/%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%A0E1%83%95%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9D%E1%83%97-%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%9D/
3.http://b2p.ge/franklinis-piramida/
4.http://mastsavlebeli.ge/uploads/resursebi/drois%20menejmenti.pdf
5.http://www.rogor.ge/article_717_rogor-movaxdinot-drois-efeqturi-martva-menejmenti.html

♦♦♦

# სამშენებლო ობიექტის პროექტის ხარისხის მართვის ასპექტები, თანამედროვე უსაფრთხოების წესების შემუშავების გზით
# Aspects of quality management the construction projects, through the development of modern safety rules

*ავტორები - **სანდრო ლობჟანიძე,** ხელმძღვანელი - პროფ. **გრიგორ ხოფერია,** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*
*Author – **Sandro Lobzhanidze,** Supervizor – Prof. **Grigor Khoperia,** Georgian Technical University*

***Abstract***

*Analysis of the coexistence two different standards for the quality of construction projects in Georgia, SNiP-s USSR 1984 yaer. and recently imposed by the Government of Georgia in the practice of design and construction, «Safety rules for buildings and structures » (International Building Code) USA 2012 year., wearing a recommendatory nature, don`t ensure at the proper level the development and implementation of a unified quality standard for project management of newly constructed objects throughout their life cycle. It is concluded that the introduction of technical regulations that meet the requirements of a market economy will ensure proper management of the design of buildings and sustainable development of the construction industry in Georgia.*

*Key Words : Project management, safty rules, market economy*

## 1. ხარისხის დაგეგმარება

### 1.1. სამშენებლო ობიექტის უსაფრთოების გარემო

საქართველოში მოქმედებს საბჭოთა სისტემაზე მორგებული სამშენებლო ნორმები და სწორედ ეს ფაქტი წარმოადგენს მათ ძირითად ნაკლს, მათი საბჭოთა კავშირის დროს სწორად და შეუფერხებლად მოქმედბის წინაპირობას შეადგენდა ის მდგომარეობა, რომ "დამკვეთი, დამპროექტებელი, მშენებელი, მაკონტროლებელი და ყველა რესურსის მესაკუთრე მხოლოდ ერთი სუბიექტი იყო-სახელმწიფო",(იხილეთ: სტატია - სამოქალაქო ჩართულობის ინსტიტუტი, *"სამშენებლო წესები და ნორმები-საქართველო ტექნიკური კანონმდებლობა განახლებას საჭიროებს".*) აქედან გამომდინარე როდესაც სახელმწიფო აღარ არის ყველაფრის მაკონტროლებელი იქმნმება გარკვეული შეუსაბამობა მოთხოვნილებასსა და მისი შესრულების მარეგულირებელ წესებს შორის, როგორც დამკვეთს ისე სამშენებლო კომპანიას უწევს საკუთარი ძალებით მოიძიოს და და გამოიყენოს ის რესურსები, რომელიც აუცილებელია დასახული მიზნის მისაღწევად, ასეთ შემთხვევაში.

ვითარების გაუმჯობესების მიზნით მთავრობამ 2006 წელს გამოსცა დადგენილება *"საქართველოს მიერ სხვა ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და მოქმედების წესის შესახებ".* (იხილეთ: საქართველოს მთავრობის დადგენილება №45, ქ.თბილისი, მიღების თარიღი: 24.02.2006). დადგენილებამ შესაძლებელი გახადა არჩევის შემთხვევაში მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ნორმების გამოყენება. ამით ხელი შეუწყო საქართველოს სამშენებლო სფეროში

უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, რისი საფუძველიც გახდა შენობა-ნაგებობების საერთაშორისო ნორმებით დაპროექტება, რაც მანამდე არ არსებობდა.

აღნიშნული დადგენილება ითვლებოდა, როგორც გარდამავალი ეტაპი საქართველოსთვის ერთიანი სამშენებლო ნორმების შემუშავებამდე, თუმცა პროცესი გაჭიანურდა და განაპირობა, როგორც პროექტირების ისე მშენებლობის და ექსპლუატაციის დაბალი ხარისხი.

შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ შემდეგი, დღეისათვის საქართველოში მოქმედებს ბევრი განსხვავებული და ხშირად ერთმანეთთან შეუსაბამო სამშენებლო ნორმები, უმეტესი მათგანის გამოყენება არჩევითია.

"შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესების" შემოღება მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია არსებული ვითარების გასაუმჯობესებლად, თუცმა თანამედროვე სამშენებლო ნორმების სრულყოფილად დანერგვისთვის მნიშვნელოვანია ყოველი ნაბიჯის სწორად გააზრება და მიღებული შედეგის გამოყენება.

**1.2. შემავალი ფაქტორები.**

ამ ნაწილსი ავტორების მიერ განხილული იქნება თანამედროვე სამსენებლო ნორმები შენობა- ნაგებობების 2012 წლის საერთაშორისო კოდექსის ჭრილში და პროექტირების თანამედროვე მართვის სისტემა საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების პირობებში.

**1.2.1. შენობა- ნაგებობების 2012 წლის საერთაშორისო კოდექსი.**

"შენობა ნაგებობების საერთაშორისო კოდექსი" (International Building Code-IBC) არის კომპლექსური სამშენებლო კოდექსი, რომელიც ადგენს მინიმალურ მოთხოვნებს, რაც აუცილებელია შენობების უსაფრთხოებისა და შესაბამისად ამ შენობების დამკავებელი საზოგადოების ჯანმრთელობისა და კეთლდღეობის დაცვისათვის. იგი ეფუძნება ფართო და მრავალმხრივ პრინციპებს, რომლებიც უკვე არსებულ და გამოცდილ გადაწყვეტებთან ერთად იძლევა შესაძლებლობას გამოყენებულ იქნას ახალი მასალები და თანამედროვე სამშენებლო კონსტრუქციები. შენობა ნაგებობების საერთაშორისო კოდექსი შემუშავებული და გამოცემულია "საერთაშორისო კოდების საბჭოს"(The International Code Council-ICC) მიერ.

საერთაშორისო კოდების საბჭოს მიერ შემუშავებულ ნორმებში შედის: A ჯგუფის კოდექსები; B ჯგუფის კოდექსები.

ძირითადი განსხვავება A და B ჯგუფის კოდექსებს შორის, მდგომარეობს დეტალურობაში, A ჯგუფის კოდექსები ითვალისწინებს აუცილებელ მინიმალურ მოთხოვნებს, ხოლო B ჯგუფის კოდექსებში შედარებით დეტალური და მეტი ინფომრაციაა წარმოდგენილი სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. მაგალთად: შენობა-ნაგებობების საერთაშორისო კოდექსში (A ჯგუფი) აღწერილია სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ის მინიმალური მოთხოვნები, რომლებსაც აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს შენობა, ხოლო საერთაშორისო სახანძრო კოდექსი (B ჯგუფი) განავრცობს და მეტ ინფორმაციას აწვდის მომხმარებელს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რათა შედარებით ეფექტურად და ხარისხიანად მოხდეს შენობა-ნაგებობებთან დაკავშირებული საპროექტო გადაწყვეტილებების მიღება.

**1.2.2. პროექტირების თანამედროვე მართვის სისტემა საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების პირობებში.**

ნებისმიერი მართვის სისტემა, ხასიათთება შესვლით, შედეგით, პროცესით და სტრუქტურით. ზოგად ერთობლივობაში თავისი დანიშნულებით და შინაარსით პროცესები შეადგენენ ორ პირობითად დამოუკიდებელ და ამავე დროს ერთმანეთის გარაშე არ არსებულ ერთობლივობას (ჯგუფებს), ესენია: სამართავი სისტემა (მართვის ობიექტი) და მმართველი სისტემა (სუბოექტის მიერ მართვა). მართვის ობიექტის და სუბიექტის ერთობლივობა შეადგენს მართვის სისტემას. და ის მიღწევადია მათი ურთიერთქმედების შედეგად: სადაც პირდაპირი კავშირი - სუბიექტის ზემოქმედება ობიექტზე, მმართველობითი ინფორმაციის გადაცემის გზით, ხოლო შებრუნებითი კავშირი - ობიექტის რეაქცია სუბიექტის ზემოქმედებაზე ცნობად მისგან ინფორმაციის მიღების გზით. სისტემის სტრუქტურა არის მისი ელემენტებისა და მათი ურთიერთდამოკიდებულების (კავშირების) ერთობლივობა. მმართველობითი სისტემის სრუქტურის მექანიზმი განისაზღვრება შრომის განაწილებით და კოოპერაციით (პროცესებით) მისი სპეციალიზაციის საფუძველზე, რომლებიც გამოისახება მმართველობითი პროცესების დიფერენცირებით და ინტეგრირებით. აქედან გამომდინარე, მმართველობითი მექანიზმის ფუნქციონალური ელემენტები შეიძლება დაიყოს სამართავი ობიექტებისა და პროცესების, ასევე საპროექტო საქმიანობაში გამოყენებადი რესურსების და

მმართველობითი ფუნქციების მიხედვით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენი მიზანია განსაზღვროდ პროექტირების საქმიანობის რა მმართველობით ელემენტს და რომელ პროცესს წარმოედგენს ხარისხის ფაქტორი. ხარისხის მესამე თაობის სტანდარტები- ISO 9000 (ხარისხის მენეჯმენტის სტანდარტი) რეკომენდაციების თანახმად საპროექტო საქმიანობის მართვის სისტემის ხარისხი განიხილება სტანდარტებთან (ტექნიკურ რეგლამენტებთან) შესაბამისობის ჩარჩოებში, რაც ორიენტირებულია მომხმარებლების მოლოდინზე მიიღოს უსაფრთხო შენობა-ნაგებობა.

სტატიის სიმცირის გამო აქ პროექტის მართვის ელემენტები და ელემენტების შესაბამისი ბიზნეს პროცესები არ არის მოყვანილი სრულად. მხოლოდ დაკონკრეტებულია ხარისხის ფაქტორის მიმართ და არის პროექტის მონიტორინგის ელემენტის ჯგუფში და ამ ელემენტის შესაბამის ხარისხის მართვის პროცესში მოთავსებული. ამიტომ ცხადია, რომ ტექნიკური რეგლამენტების არა სრულყოფილება ან არა შესაბამისობა თანამედროვე მართვის სისტემის მიმართ იწვევს პროექტის მართვის სისტემის გაუმართაობას და შედეგად მიიღება პროდუქტი, რომელიც არ პასუხობს მომხმარებლის ან მესაკუთრის მოლოდინებს ხარისხის მიმართ.

ავტორები სტატიაში განიხილავენ მხოლოდ ტექნიკურ სტანდარტებს და წესებს დაკავშირებულს შენობა-ნაგებობების ხარისხის სტანდარტის განმარტება, როგორც: „... ობიექტის, ხარისხის ან საზომის ფაქტორები, რომლებიც ემსახურებიან საფუძვლად, მაგალითად ან პრინციპად, რომ სხვები შეესაბამებოდნენ..“, მიუთითებს მის როლზე, როგორც პირობების მიზნობრივ ნაკრებზე, რომელსაც აგებული შენობა - ნაგებობა უნდა შეესაბამებოდეს. შენობა - ნაგებობის უსაფრთხო მდგომარეობის სტანდარტისათვის ერთიანი საზომის არ არსებობის გამო, მშენებლობაში გულისხმობენ სხვა მრავალრიცხოვანი დამხმარე კრიტერიუმების გამოყენებას, რომლებიც უნდა შეესაბამებოდნენ ზოგად (ყოველმხრივ) სტანდართს. მაგალითად: ცეცხლმედეგობის სტანდარტის უზრუნველყოფნისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას ჰაერის გასუფთავების , ან მასალის ცეცხლმედეგობის სტანდარტი.

**2.მართვის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება.**

მართვის ტრადიციული მიდგომით ხარისხი განიხილება სტანდარტებთან შესაბამისობაში და უმაღლესი ხარისხის საქონლის მიღე-

ბას ვერ უზრუნველყოფს. ხარისხს უზრუნველყოფს თანამედროვე მართვის ტექნოლოგიები, რომლებიც ორიენტირებულია მომხმარებლის მოლოდინზე.

ამიტომ სერტიფიცირება სტანდარტ ISO 9000-ზე ფაქტიურად წარმოადგენს არა პროდუქციის ან მომსახურეობის ხარისხის მოწმობას. მოწმობა ადასტურებს იმას, რომ პროდუქციის დამამზადებელმა ორგანიზაციამ მთლიანად შეასრულა ხარისხის მართვის სისტემის პროცედურები და ეს პროცედურები მუშაობენ ხარისხის სტანდარტის შესაბამისად.

**2.1. ხარისხის სტანდარტები მესაკუთრის თვალსაზრისით**

იმ პირობის გათვალისწინებით, რომ გაუმჯობესების ფლობას გააჩნია გრძელვადიანი პერსპექტივა, მესაკუთრის ძირითადი მიზანია, რომ შეინარჩუნოს აქტივის ფასეულობა და მიიღოს მისი ფლობიდან გარანტირებული მუდმივი და მნიშვნელოვანი მოგება გრძელვადიან ინვესტიციისაგან. აქედან გამომდინარე, იჯარით გაცემული შენობის მესაკუთრე (ოფისები და სასტუმროები) დაინტერესებული უნდა იყვნენ ცეცხლმედეგი ხარისხის მქონე ობიექტების მშენებლობით უფრო მეტი, ვიდრე ამას ითხოვენ უსაფრთხოების ნორმატივები და საიჯარო ხელშეკრულებები.

**2.1. ხარისხის სტანდარტები მომხმარებლის თვალსაზრისით**

მომხმარებლის დამოკიდებულება მშენებარე გაუმჯობესების ხარისხის სტანდარტის მიმართ განსხვავებულია მესაკუთრისგან. მისთვის საინტერესო ხდება გარემო, რომელიც შექმნილია უშუალოდ შენობა - ნაგებობით, მასში განთავსებული მესაკუთრე მაცხოვრებლებით (ან მოიჯარე მაცხოვრებლებით), მანქანებით და მექანიზმებით, ასევე შენობის არსებული გარემოცვით. იმის გამო, რომ მათი რეაქცია მსგავსი გარემოს ცვლილებების (განსაკუთრებით საგანგებო შემთხვევაში-ხანძრის) მიმართ ძნელად არის წინასწარ დასადგენი. ამიტომ ცეცხლმედეგი ხარისხიანი შენობაში ცხოვრება არის მისი ძირითადი მოთხოვნა და გამოიხატება იმაში, რომ უზრუნველყოფილი იყოს გარკვეული ფუნქციონალური გარემო და პირობები მამხმარებლებისათვის, სადაც სტანდარტები უნდა ასახავდნენ კონკრეტულ მოთხოვნებს ამ გარემოს მიმართ და უნდა ეფუძნებოდნენ ფაქტორებზე, რომლებიც განსაზღვრავენ ამ გარემოს.

**დასკვნა:** ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ საქართველო-

ში სამშენებლო სექტორში დასავლეთის ტიპის „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები"-ს შემოღება და მათი არსებობა საბჭოთა „სნიპებთან" ერთად, შეუძლებელს ხდის სამშენებლო დარგის მდგრად განვითარებას, ვინაიდან ეს იწვევს საბაზრო ეკონომიკაზე მორგებული თანამედროვე მართვის ტექნოლოგიების სისტემის ჩარჩოებში შენობის ხარისხის შეფასების ისეთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმების უარყოფას, როგორებიცაა: შენობის კონსტრუქციული თავისებურებები, ჯამრთელობის დაცვა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა და შენობის გამგებლობა (მართვა) მისი „სასიცოცხლო" ციკლის ყველა ფაზაში (წინასაპროექტო, საპროექტო, მშენებლობის და ექსპლუატაციის).

**გამოყენებული ლიტერატურა:**
1. საქართველოს მთავრობის დადგენილება №41. ტექნიკური რეგლამენტის „შენობა–ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე. ქ. თბილისი. 28.01.2016.
2. С. Н. Максимова. Управление недвижимостью. Учебник и практикум для академического практикума. М. Юрайт. 2016
3. Ю. Н. Забродин, В.Л. Коликов, В. Д. Шапиро. Управление инвестиционно – строительным бизнесом. Справочное пособие. М. Омега – Л .2014
4. Е. И. Тарасевич. Управление эксплуатацией недвижимости. С-П. 2006

♦♦♦

## მომხმარებელთა ქცევა
## Consumer Behaviour

*ავტორები - **ქრისტინე აბაზაძე, მარიამ წიქარიშვილი,** ხელმძღვანელი - ასოც. პროფ. **ნარგიზა ქარქაშაძე**, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*Author(s) – **Kristine Abazadze, Mariam Tsikarishvili**, Supervizor – Assoc. Prof. **Nargiza Karkashadze**, Akaki Tsereteli State University*

*Abstract*

*As many businesses are discovering, customer behavior doesn't always make sense. That really shouldn't be surprising. As recent studies have shown, people tend to base their decisions on more subconscious, emotional desires than on rational, practical choices. What's more, customers aren't able to tell you accurately why they do what they do. All Customers Are Irrational shows why businesses must change their approach to attracting and retaining customers, and proposes ways they can alter their strategies on everything from customer research, product design and website development to call center management, employee recruitment, and retail store layouts, by focusing on what customers are actually doing instead of what they're saying. Honest, direct and insightful. All Customers Are Irrational will help businesses tap into the impulses and motivations that both attract and retain consumers for the long haul.*

*Key words:Consumer, Consumer behaviour, Adoption process, Consumer buyer behaviour, Attitude, Alternative evaluation, Purchase decision*

ინდივიდის, როგორც მომხმარებლის, ქცევა ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვნად იცვლება. დღეს, ადამიანებს შეგვიძლია ონლაინ შევიძინოთ თითქმის ყველა პროდუქტი, რაც ადრე წარმოუდგენელი იყო. ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა შეცვალა პროდუქტისა და მომსახურების გაყიდვის გზები. სოციალურმა ქსელებმა შეცვალეს ურთიერთობის სტილი. თუმცა, ყველა ამ სიახლეს (მათ შორის ტექნოლოგიურს) აერთიანებს ერთი რამ - შეიქმნა და არსებობს, რათა დააკმაყოფილოს მომხმარებლის მოთხოვნილებები, ამისათვის კი აუცილებელია შეისწავლოთ მომხმარებელთა ქცევა, რათა ჩავწვდეთ მათ სურვილებს.

მომხმარებლის ქცევა არის ადამიანების მიერ იმ პროდუქტებისა და მომსახურების ძიების, ყიდვისა და შეფასების პროცესი, რომლითაც ისინი თვლიან, რომ დაიკმაყოფილებენ მოთხოვნილებებს. მისი ანალიზის მთავარი მიზანია გაარკვიოს, რაში ხარჯავენ ინდივიდები მათ ხელთ არსებულ რესურსებს (დრო, ფული, ძალისხმევა); რას, რატომ, სად და როდის ყიდულობენ; რა სიხშირით ყიდულობენ; როგორ მოიხმარენ და როგორ აფასებენ. ამის დადგენის შემდეგ კი შედარებით ადვილად პროგნოზირებადი ხდება, როგორ მოიქცევიან ისინი მომავალში. ამიტომ, მომხმარებლის ქცევა, როგორც დისციპლინა, მარკეტინგის კონცეფციაშია ინტეგრირებული. მარკეტოლოგები დი-

დი ხანია ცდილობენ მომხმარებელს მათი პიროვნული ფსიქოტიპის მიხედვით მიუდგნენ. მარკეტინგულ და სარეკლამო მესიჯში პიროვნული მახასიათებლის გათვალისწინება უკვე ნაცადი ხერხია.

პიროვნების ფსიქოტიპი დღემდე მრავალი თეორეტიკოსის შესწავლის საგანია. ზოგი მათგანი მემკვიდრეობისა და ადრეული ბავშვობის პერიოდში განცდილი შეგრძნებების გავლენას თვლის პიროვნების განვითარების მთავარ განმსაზღვრელად, სხვანი კი უფრო ფართო სოციალურ და გარემო პირობებს მიიჩნევენ პიროვნებად ჩამოყალიბების მთავარ ფაქტორად. მოკლედ რომ ავხსნათ, პიროვნების ფსიქოტიპი ეს არის იმ შინაგანი ფსიქოლოგიურ მახასიათებელთა ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანის ქცევას არსებული გარემოს შესაბამისად. სწორედ ეს დაფარული მახასიათებლები, რასაც ჩვენ პიროვნულობას ვუწოდებთ, ახდენს გავლენას ინდივიდის მიერ პროდუქტის შერჩევაზე. ისინი ქმნიან მომხმარებლის დამოკიდებულებას პროდუქტისადმი. ამიტომ, პიროვნული მახასიათებლების იდენტიფიკაცია, რომელიც მომხმარებლის ქცევას განსაზღვრავს, მნიშვნელოვანია ისეთი პროდუქტის შექმნისათვის, რომელიც ზუსტად მოერგება მათ მოთხოვნებს. იმის გამო, რომ ადამიანის შინაგან თვისებათა ერთობლიობა ყოველთვის უნიკალურ კომბინაციაა, არ არსებობს ორი ზუსტად ერთნაირი ინდივიდი. თუმცა, ბევრ პიროვნებას შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე მსგავსი მახასიათებელი. მათი ანალიზი კი საშუალებას იძლევა მომხმარებლები დაჯგუფდეს ერთი ან რამდენიმე მსგავსი თვისების მიხედვით.

მაგალითად, თითქმის ყველა ადამიანს გვახასიათებს ფულის ხარჯვასთან დაკავშირებული შემდეგი მიდგომები:

**1.როდესაც საკუთარ ფულს ვხარჯავთ საკუთარი თავისთვის**

ჩვენთვის მნიშვნელოვანია მივიღოთ მაღალი ხარისხის მომსახურეობა მაქსიმალურად დაბალ ფასად. ამ დროს ძლიერი კორელაცია არსებობს დახარჯულ თანხასა და მიღებულ სარგებელს შორის.

**2. როდესაც საკუთარ ფულს ვხარჯავთ სხვისთვის.**

ამ დროს ჩვენთვის მნიშვნელოვანია მაქსიმალურად ეკონომიურად განვკარგოთ საკუთარი ფულადი რესურსი, ხოლო მომსახურეობის ხარისხსა და დანახარჯებს შორის კოლერაცია შედარებით სუსტია. ჩვენ ვცდილობთ კონკრეტული მომსახურეობა მივიღოთ მაქსიმალურად იაფად, თუმცა ძალიან არ ვზრუნავთ ხარისხზე, რადგან მი-

ღებული პროდუქტით ჩვენ არ გვიწევს სარგებლობა.

**3.როდესაც პიროვნება სხვის თანხას ხარჯავს საკუთარი თავისთვის**. ეს შემთხვევა წარმოშობს პირიქით კოლერაციას, ანუ ამ დროს მომხმარებლისთვის მნიშვნელოვანია მიღებული მომსახურეობის ხარისხი, ხოლო დანახარჯები არ არის არსებითი ფაქტორი. მაგალითად, წარმოვიდგინოთ, რომ ორგანიზაციამ, სადაც ვმუშაობთ, დაგვიფინანსა საღამოს კვება. ჩვენ შეგვიძლია მივირთვათ ნებისმიერი რამ, რაც გვინდა. ასეთ დროს ჩვენ არ ვიწყებთ ფიქრს იმაზე. თუ რა დაუჯდება აღნიშნული სერვისი ორგანიზაციას. ჩვენი ფიქრი მიმართულია მხოლოდ იქითკენ, რომ მაქსიმალურად გემრიელი სადილი მივირთვათ.

**4.როდესაც სხვის ფულს ვხარჯავთ სხვისთვის.** ეს არის ვითარება,როცა ყველაზე ნაკლები კოლერაცია არსებობს დანახარჯებსა და მიღებული მომსახურეობის ხარისხს შორის. რადგან თანხა მომხმარებელს არ ეკუთვნის, იგი არც ეკონომიურობის პრინციპს იცავს. არ ცდილობს, რომ ხარჯვა მაქსიმალურად მომჭირნედ განახორციელოს და არც მიღებული საქონლის/მომსახურეობის ხარისხს აკონტროლებს, რადგან საბოლოოდ ამ მომსახურეობის მომხმარებელი თვითონ არ არის.

ასევე, ცნობილია, რომ აღნიშნულთან ერთად, მომხმარებელთა არჩევანზე გავლენას ახდენს მათი ასაკი და გარეგანი და შინაგანი ფაქტორები.გარეგანს მიეკუთვნება კულტურა და სოციუმი, ხოლო შინაგანს - პიროვნული და ფსიქოლოგიური.

დღეს პიროვნების ფსიქოტიპის შესახებ უამრავი თეორია არსებობს. ისინი საინტერესოა მარკეტოლოგებისთვის, რათა უკეთ გაიგონ რა ახდენს გავლენას მომხმარებლის ქცევაზე და, შესაბამისად, სამიზნე ჯგუფიც იმის მიხედვით შეარჩიონ, რომლის წევრებიც დადებითად იქნებიან განწყობილი შეთავაზებული საქონლისა თუ მომსახურების მიმართ.

მარკეტოლოგთა საქმიანობას თითქოსდა ართულებს ის ფაქტი, რომ ადამიანთა უმეტესობის ქცევას ქვეცნობიერი უფრო განსაზღვრავს, ვიდრე ცნობიერი. თუმცა, თუ დავაკვირდებით, როგორ ახერხებენ მომხმარებელთა „შავი ყუთის" მართვას, მივხვდებით, რომ ისინი სწორედ ადამიანირი სისუსტეებით და არარაციონალურობით სარგებლობენ.

მარკეტოლოგები მომხმარებლებს ხშირად ადარებენ იმ ჭირვეულ ბავშვებს, გაღვიძებისთანავე რომ ტირილს იწყებენ და მშობლისთვის რთული ხდება იმის გარკვევა, თუ რა სურს რეალურად მას - თამაში, საჭმელი, სეირნობა თუ ა.შ.თუმცა, რაც უფრო დიდ დროს ატარებს მშობელი ბავშვთან, მით უფრო ადვილად იგებს მის საჭიროებებს. სწორედ ამიტომ, გამოიყოფა მყიდველებთან ურთიერთობის შემდეგი ეტაპები:

1)უნდა გამოიცნო რა სურს

2)სწორად შესთავაზო პროდუქცია

3)გააცნო ინფორმაცია მისთვის საჭირო პროდუქციათა სახეობებზე და შესთავაზო მისთვის ყველაზე ოპტიმალური

4)შეათანხმო ფასი

5) იზრუნო იმაზე, რომ ისევ გაუჩნდეს მყიდველს შენთან თანამშრომლობის სურვილი

ცნობილია, რომ მარკეტოლოგები არა მარტო ცდილობენ გამოიცნონ მყიდველა სურვილები, არამედ მანიპულირებენ კიდეც ისეთი თვისებებით, როგორიცაა მათი არარეალური შიშები, სოციალური პრესტიჟი და რაც მთავარია, მიმბაძველობა.

ასე მაგალითად, სადაზღვევო კომპანიებმა იციან, რომ ადამიანებს თვითმფრინავით მგზავრობის უფრო ეშინიათ, ვიდრე ავტომობილით გადაადგილების, მაშინ როცა, რეალურად, ალბათობა იმისა, რომ თვითმფრინავით მგზავრობისას მოხვდე ავარიაში უფრო ნაკლებია, ვიდრე ავტომობილით მგზავრობისას. ამიტომაც, თვითმფრინავის დაზღვევას უფრო ინტესიურად სთავაზობენ მყიდველს, ვიდრე ავტომობილისას.

ასევე, ადამიანთა უმეტესობა თვლის, რომ მაღალი თანამდებობის პირები და ე.წ. „სელებრითები" გენიოსები არიან. ამიტომ, ცდილობენ, მიბაძონ მათ - ჩაიცვან და გამოიყენონ ის პროდუქცია, რომელსაც იყენებს ესა თუ ის ცნობადი სახე. ამიტომაც, მარკეტოლოგები ცდილობენ, რეკლამაში სწორედ საზოგადოებისათვის „მიღებული" პირები გადაიღონ. სინამდვილეში კი, ძალიან ცოტა მომხმარებელმა თუ იცის, რომ რეალურად არც გენიოსები არსებობენ (ჩვეულებრივი ადამიანები არიან, რომლებმაც სხვაზე უკეთ „დაახარისხეს"სამყარო) და რეკლამაში ნანახი იშვიათად თუ შეესაბამება სინამდვილეს.

გარდა ამისა, ადამიანები სარგებლობენ სოციალური პრესტიჟით,

ე.წ. self-image-ით. რაც გამოიხატება იმაში, რომ ხშირად ცდილობენ, სხვას დაუმტკიცონ, როგორი მოხერხებულები და მდიდრები არიან. ამიტომაც, ხშირად მიმართავენ აზარტულ თამაშებს. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, აღნიშნული მიზეზითა და დეპრესიასთან საბრძოლველად აზარტულ თამაშებს უფრო მეტი ქალი მიმართავს, ვიდრე კაცი(მსოფლიოში მცხოვრები ქალების 1,1%, მამაკაცების 0.5%).

ასევე, მყიდველთა ქცევა ხშირ შემთხვევაში ემსგავსება ალპინისტების ქცევას. ალბათ, მთასვლელების საქმიანობის შესახებ რომ შევიტყობთ, გვგონია, რომ მათთვის მწვერვალის დაბყრობის მთავარი მიზანი დანიშნულების ადგილას ხედებით ტკბობაა. თუმცა, არა! ალპინისტების უმეტესობის მიზანი მხოლოდ სასურველი ადგილის დაბყრობაა და არა რელაქსაცია ან კომფორტი. ასევეა მომხმარებელიც. პროდუქციის უმეტესობას(განსაკუთრებით კი „გაჯეტებს“) ვიძენთ მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ფლობის სურვილი დავიკმაყოფილოთ და არა იმიტომ, რომ მათი ფუნქციები ჩვენი საქმიანობის გამარტივების ან გაუმჯობესებისთვისაა საჭირო.

ამრიგად, მომხმარებელთა ქცევის შესწავლა ემსახურება შემდეგ მიზნებს:

•გაუმჯობესდეს  მყიდველთა დაკმაყოფილების სურვილები, რათა მივიღოთ მეტი მოგება და გავუწიოთ ძლიერი კონკურენცია ანალოგიურ პროდუქციას

•შევძლოთ, ვიწინასწარმეტყველოთ მომხმარებელთა რეაგირებები ახალ სერვისებზე

•მყიდველთა ქცევებზე გამუდმებული დაკვირვებით განვავრცოთ მათ შესახებ ინფორმაციული ბაზა და  გამოვიყენოთ ჩვენს სასარგებლოდ.

ე.ი. მარკეტოლოგებისათვის მთავარია,მიხვდნენ რა სისუსტეები ან ამბიციები აქვთ მომხმარებლებს , შემდეგ კი მათი მანიპულირება სირთულეს აღარ წარმოადგენს.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1.Adam Smith “The theory of moral sentiments”
2.Gaurav Bhut “Consumer Behaviour”
3.Dan Ariely “Predictably Irrational: The Hidden Forces That Shape Our Decisions”
4.“Consumer Behavior and Marketing Strategy”
5.How Marketers Manipulate Us: Psychological Manipulation in Advertising

# სასურსათო ბაზარზე გენმოდიფიცირებული პროდუქციისადმი მომხმარებლის დამოკიდებულების კვლევა
# Customer's dependency research about genetically modified products on the market

*ავტორი – **ჯემმა საakიანი,** ხელმძღვანელი – ასოც. პროფ. **ლია ბერიკაშვილი,** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*
*Author– **Jemma Saakyan,** Supervizor – Assoc. Prof. **Lia Berikashvili,** Georgian Technical University*

*Abstract*

*Genetically modified foods or GM foods, also known as genetically engineered foods or bioengineered foods, are foods produced from organisms that have had changes into their DNA using the methods of genetic engineering. Commercial sale of genetically modified foods began in 1994, when Calgene first marketed its unsuccessful FlavrSavr delayed-ripening tomato. GMO legal regulation mechanisms developed internationally in a number of world countries. There is the same situation in Georgia. The production and import of the product that contains more than 0,9% of GMO is not permitted in Georgia. We have conducted the survey about GMO product and determined that our customer is aware about this, thinks that it isn't good for health. At the same time our problem is that our customer isn't aware about regulations and steps which was done by the Ministry of Agriculture.*

*Key Word: Genetically modified products, export, import, costumers opinion, demand, market relations.*

გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმი არის ის მცენარე ან ცხოველი, რომელსაც მისი გენეტიკური მასალის ცვლილებით (ახალი გენის ჩანერგვით) მინიჭებული აქვს რომელიმე ახალი "სასურველი" თვისება. მაგ. ყინვაგამძლეობა, სწრაფი სიმწიფე, უხვმოსავლიანობა. თანამედროვე ბიოტექნოლოგიის საშუალებით ხდება ორგანიზმების გენეტიკური მასალის იმგვარი შეცვლა, რაც არასოდეს მოხდებოდა ბუნებრივი ევოლუციის პროცესში. თანამედროვე ბიოტექნოლოგიის მიღწევები, ძირითადად გამოიყენება მედიცინასა და სოფლის მეურნეობაში. გენმოდიფიცირებული ორგანიზმებიდან იწარმოება გენმოდიფიცირებული პროდუქტები – სამკურნალო საშუალებები, ვაქცინები, საკვები პროდუქტები (ადამიანისა და ცხოველის), კვებითი ინგრედიენტები, პარფიუმერიული ნაწარმი, სათესლე და სა-

ნერგე მასალა და ა.შ. ამჟამად, გენმოდიფიცირებული ორგანიზმებიდან წარმოებული სათესლე,სანერგე მასალა და საკვები პროდუქტები მსოფლიო ბაზრის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმის ერთი კონკრეტული ტიპი არ არსებობს — გენური ინჟინერია ინსტრუმენტია, რომლის გამოყენება მრავალი მიზნისთვის შეიძლება. მე–20 საუკუნის მეორე ნახევარში მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ცოცხალი ორგანიზმის გენომი საკმაოდ არამდგრადია და ევოლუციაში გენეტიკური ინფორმაციის გაცვლის პროცესი უფრო ადვილია. 70–იანი წლების დასაწყისში ამერიკელი ბიოლოგი პოლ ბრეგი ხელოვნურად ჭრიდა და სხვა ნაწილებში ათავსებდა დნმ–ის ნაწილებს, ამგვარად ერთი ბაქტერიის გენები სხვა ბაქტერიაში გადაჰყავდა. პირველი გენმოდიფიცირებული პროდუქტი, რომელიც მსოფლიოში გაჩნდა, იყო 1994 წელს ამერიკულ ბაზარზე გამოტანილი პომიდორი „ფლავრ–სავრი“. საქართველოში გენმოდიფიცირებული ორგანიზმების იმპორტის პირველი გახმაურებული შემთხვევა იყო 1996 წელს კომპანია “მონსანტოს” ტრანსგენური კარტოფილის იმპორტი და კულტივაცია, აიდაჰოდან (80%) და კანადიდან (20%).

მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში და საერთაშორისო დონეზე შემუშავდა გენმოდიფიცირებული ორგანიზმების სამართლებრივი რეგულირების მექანიზმები.ზოგადად გმო–ს აკრძალვა ქვეყანაში დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, იმპორტს უქმნის პრობლემას. გამოიძებნა კიდევ ერთი გამოსავალი ზოგ ქვეყანაში გარკვეული ტერიტორიები გამოცხადდა „გმო–სგან თავისუფალ ზონად“ რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ტერიტორიებზე აიკრძალა გმო კულტურის მოყვანა, და გმო პროდუქტის გამოყენება სახელმწიფო დაწესებულებებში(ბაღი, სკოლა, საავადმყოფო, სამხედრო ნაწილი). დღევანდელი მონაცემებით ევროკავშირის ტერიტორიაზე 35 ქვეყანაში შექმნილია გმო––სგან თავისუფალი 175 ზონა. გმო–სგან სრულიად თავისუფალი მსოფლიოში მხოლოდ 5 ქვეყანაა: ავსტრია, ვენესუელა, საბერძნეთი, პოლონეთი და შვეიცარია. სტატისტიკა აჩვენებს, რომ ამ ქვეყნებში კიბოს მაჩვენებელიც დაბალია და მოქალაქეებმა ღრმა მოხუცებულობამდე ცოცხლობენ.

2016 წელს გარკვეული ცვლილებები შეიტანეს „ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ“ საქართველოს კანონში რო-

მელიც წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიის ცოცხალი გმო-საგან თავისუფალ ზონად გამოცხადების უზრუნველყოფა, რაც ნიშნავს გმო-ს გარემოში ინტროდუქციის, საბაზრო ქსელში განთავსების, იმპორტის (გარდა მათი ჩაკეტილ სისტემაში გამოყენების მიზნით იმპორტის შემთხვევისა) და რეექსპორტის აკრძალვას. კანონის მოქმედების სფერო ვრცელდება მხოლოდ ცოცხალ გმო-ზე და ის არ მოიცავს გენმოდიფიცირებულ პროდუქტებს და იმ სამკურნალო საშუალებებს (ფარმაცევტულ პროდუქტებს), რომლებიც შეიძლება თავად წარმოადგენდნენ ან/და შეიცავდნენ გენმოდიფიცირებულ ორგანიზმებსა და პროდუქტებს ან მათ ინგრედიენტებს. მოქმედი კანონით, საქართველოს ტერიტორიაზე გენმოდიფიცირებული ორგანიზმის გამოყენების რეგულირების კოორდინაციასა და საერთო ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.რომ იკრძალება არა იმპორტი, არამედ იცვლება წესდება გენმოდიფიცირებული პროდუქციის იმპორტით შემოტანაზე. კერძოდ, თუ პროდუქტის შემცველობის 0.9%-ზე მეტი წილი მოდის გენმოდიფიცირებულ ნივთიერებაზე, მწარმოებელი, იმპორტიორი ვალდებულია, პროდუქტზე მიუთითოს სპეციალური ნიშანი. ამ შემთხვევაში მყიდველს აქვს საშუალება, განასხვავოს გენმოდიფიცრებული და ტრადიციული გზით მიღებული პროდუქტი. ამასთანავე, საკვების შემადგენლობაში მითითებულ ნივთიერებებში უნდა იყოს მითითებული ის გენმოდიფიცირებული ნივთიერებები და მათი შემცველობის დოზა, რაც ევროკავშირის ზონაში დაშვებული და ლეგალურია.ამჟამად, გმო-ს ჩაკეტილ სისტემაში გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის არსებობისას, რომელსაც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო გასცემს განაცხადის წარმოებაში მიღებიდან 30 დღის ვადაში.

ჩავატარეთ კვლევა მიმდინარე წლის 20–24 ნოემბრის პერიოდში რის საფუძველზეც დავადგინეთ თუ რა დამოკიდებულება აქვთ ჩვენს მომხმარებელს გენმოდიფიცირებული პროდუქტის მიმართ. ანკეტის სახით გამოიკითხა 72 ადამიანი.



*გაგიგიათ თუ არა გენმოდიფიცირებული პროდუქტების შესახებ?*

გამოკითხულებიდან 72% გარკვეული იყო გენმოდიფიცირებული პროდუქტის შესახებ ხოლო 28% არა. 67%–მა რესპოდენტმა მიუთითა, რომ იცის თუ რომელია გენმოდიფიცირებული პროდუქტი, და 55%–მა დაგვიდასტურა რომ ანასხვავებს გმო პროდუქტს ნატურალური პროდუქტისაგან. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობებით ადგილობრივი ბაზრის 20–40% უკავია სწორედ იმ პროდუქტს რის შემადგენლობაშიც დაშვებული რაოდენობის გმო არსებობს, მაგრამ ჩვენი გამოკვლევის შედეგებით და ჩვენი რესპოდენტების თვალსაზრისით დღეს ჩვენი ბაზარი გაჯერებულია გმო პროდუქტებით (60%), 40%–ს არ ჰქონდა ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით. თუ რამდენად უსაფრთხოა გმო ადამიანის ჯანმრთელობისთვის, ამ კითხვაზე 20%–ის აზრის უსაფრთხოა, 45%–ის აზრით ნაწილობრის უსაფრთხოა, 30%–ის აზრით არ არის უსაფრთხო, ხოლო 5%–ის არ ფლობდა ინფორმაციას ამ საკითხთან დაკავშირებით.

როგორც მოგეხსენებათ გმო პროდუქტებს გააჩნიათ როგორც დადებითი ისე უარყოფითი შედეგები, ჩვენი რესპოდენტების თვალსაზრისით:

2016 წელს მიღებული საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე ისეთი სათესლე მასალის გამოყენება აკრძალულია საქართველოს ტერიტორიაზე რომლის შემადგენლობაში 0,9%–ზე მეტი გმო შეადგენს. გამოკითხულთა 15% მიიჩნევს რომ გმო სათესლე მასალის გამოყენება უსაფრთხოა, 65%–ის აზრით არ არის უსაფრთხო, 20% ინფორმაციას არ ფლობდა ამ საკითხთან დაკავშირებით.






ყიდვისას თუ რომელ პროდუქტს ანიჭებენ უპირატესობას 56%–მა შემოგვიხაზა ნატურალური მიუხედავად იმისა რომ ძვირია გმო–სთან შედარებით, 30%–თვის არ ჰქონდა არსებითი მნიშვნელობა მოიცავს გმო–ს თუ არა, ხოლო 14%–მა შემოგვიხაზა გმო პროდუქტი. ეცნობიან თუ არა პროდუქტის ყიდვისას ეტიკეტზე მითითებულ ინფორმაციას 78%–მა უპასუხა კი, ხოლო 22%–მა არა.

*პროდუქტის ყიდვისას რა ფაქტორებს ანიჭებთ უპირეტესობას?*




თუ რა მაჩვენებლებით საზღვრავენ პროდუქტის ხარისხს, 41% მიიჩნევს ვიზუალური მხარე, 45% – ეტიკეტზე მითითებული ინფორმაცია, ხოლო 14% – თვის არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა ხარისხს.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეიძლება დავადგინოთ რომ ჩვენი მომხმარებელთა მცირე ნაწილი გარკვეულია გენმოდიფიცირებული პროდუქტის შესახებ, მეტნაკლებად არჩევს ერთმანეთისგან გმო–ს და ნატურალურს. მაგრამ ამავედროულად უმეტესობა რესპოდენტებისა გმო პროდუქტს ცუდ და მავნედ თვლის, და არ არის გარკვეული იმ რეგულაციების და ნორმატივების შესახებ რაც ჩვენი მთავრობის, გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ იქნა გატარებული 2016 წელს და დღემდეც აქტუალურია მათთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:
1. http://www.who.int/foodsafety/areas_work/food-technology/faq-genetically-modified-food/en/
2. http://moa.gov.ge/
3. https://www.om-planet.com/vred-gmo-1/

♦♦♦

# სტუდენტთა მოტივაცია განათლების სფეროში
# Students' motivation in education

*ავტორ(ებ)ი- **ზეინაბ ხოზრევანიძე,** ხელმძღვანელი - ასოც. პროფ. **თამარ დევიძე,** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*
*Author(s) – **Zeinab Xozrevanidze,** Supervizor – Assoc. Prof. **Tamar Devidze,** Georgian Technical University*

***Abstract***

*People always need to find and live goals of life, which is the way to motivation. We encounter problems everyday that we are destroys and are overwhelming, which in turn tricks us, and what is motivation? How can we raise it? What benefits do we have for him? I think it is a very interesting topic, which has a lot of vibes everyday and the cue every day is trying to create something new that can make people motivate themselves.*

*Key Words: Motivation, education, success.*

,,პატრიოტიზმი _ ესაა პროფესიონალიზმი“
რეზო თაბუკაშვილი

ადამიანს განათლება სჭირდება არა მხოლოდ იმიტომ, რომ სასიცოცხლოდ აუცილებელი ფული გამოიმუშაოს, არამედ იმისთვისაც, რომ გაითვითცნობიეროს, ვინ არის ის სინამდვილეში, რა არის მისი ცხოვრების რეალური მიზნები და როგორი უნდა იყოს მათი მიღწევის მეთოდები. სწორი განათლება ადამიანს დააყენებს ნამდვილ განვითარების გზაზე.

ღირსეული ქვეყნის აშენება კი მხოლოდ განათლებულ და პატ-

რიოტ ადამიანებს შეუძლიათ. სწორედ ამიტომ არის აუცილებელი განათლების სისტემის ძირფესვიანი გარდაქმნა, რადგან, როგორც ილია ჭავჭავაძე ამბობდა, "სწავლების კარგად წარმართვაზე დამოკიდებულია არამცთუ სვე–ბედი მომავალი თაობისა, არამედ სვე–ბედი თვით ქვეყნისაც, რადგანაც ქვეყნის მომავალი მომავალი თაობის კუთვნილია და, მაშასადამე, მის ხელთ იქნება".

ადამიანი ყოველთვის საჭიროებს ცხოვრებისეული მიზნების დასახვასა და განხორციელებას, სწორედ მიზნამდე გზაა მოტივაცია. ჩვენ ყოველდღიურად ვხვდებით პრობლემებს, რომელიც გვანადგურებს და ვრჩებით გულგატეხილები, რაც თავის მხრივ გვიდაბლებს მოტივაციას, და მაინც რა არის მოტივაცია? როგორ უნდა ავიმაღლოთ იგი? რა სარგებელი მოაქვს ჩვენთვის მას? საკმაოდ საინტერესო თემაა, რაზეც ყოველდღიურად უამრავი სემინარი იმართება და ქოუჩები. ყოველდღე ცდილობენ შექმნან რაღაც ახალი, რითაც ადამიანი შეძლებს თვით მოტივაციის ამაღლებას.

მოდით განვიხილოთ დისნეის სტრატეგია, რომელიც თვით მოტივაციისთვის საკმაოდ საინტერესოა, მეთოდი შემდგომში მდგომარეობს ჩვენ უნდა აღმოვაჩინოთ საკუთარ თავში: მეოცნებე, რეალისტი და კრიტიკოსი, ალბათ იმაზე დავა არ დაგვჭირდება, რომ ეს სამივე თვისება ყოველ ჩვენგანს გააჩნია, რაღა თქმა უნდა ზოგს მეტად ზოგს ნაკლებად. ჩვენი მიზანი სამივე ამ როლის აქტიურად ამოქმედებაა, ხოლო როლების ცვლილებისთვის უნდა გამოვიყენოთ სკამები, მაშ ასე დავდგათ სივრცეში სამი სკამი, სადაც პირველი იქნება მეოცნებე ახლა მოვთავსდეთ ამ სკამზე, წარმოიდგინეთ ის რაც გინდათ და წარმოიდგინეთ, რომ ეს უკვე მოხდა, ახლა დაფიქრდით სად ხართ როგორ გამოიყურებით, ვინ არიან თქვენს გარშემო, რას აკეთებთ როცა მიზანს უკვე მიაღწიეთ, რა შეიცვალა შენს ცხოვრებაში, რა უნარები გაქვთ, რა ისწავლეთ ახალი, ვისთვის გინდათ ეს ყველაფერი და ვინ ხართ, ხოლო როცა ამ კითხვებს უპასუხებთ დრო დგება, გადავჯდეთ რეალისტის სკამზე. აქ კითხვებიც უფრო რეალურია: რა უნდა გააკეთოთ ამ მიზნის მისაღწევად, როგორი უნდა იყოს თქვენი ქმედება, რა დრო დაგჭირდებათ, რა რესურსები გაქვთ და რა გესაჭიროებათ, რა უნარები და კომპეტენცია უნდა განავითაროთ და ვინ შეიძლება დაგეხმაროთ მიზნის მიღწევაში. მაშ, ასე, ახლა დადგა დრო კრიტიკოსის ადგილი დავიკავოთ, ახლა კი დროა ავამოქმედოთ ბრძენი თქვენს

შიგნით, დასვით კითხვები, რამდენად მიღწევადია ის ყველაფერი რაც რეალისტმა დასახა, რა სუსტი მხარეები აქვს ამ გეგმას, რისი გაუნჯობესება შეიძლება, აქვე უნდა აღინიშნოს რომ კრიტიკოსი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადაიკვეთოს მეოცნებესთან, მას შესწორებები შეაქვს მხოლოდ რეალისტის მიერ დასახულ გეგმებში, ეს როლები შეგვიძლია ვცვალოთ მანამ, სანამ თქვენი მიზნისკენ რეალურ სამოქმედო გეგმას არ შეიმუშავებთ. ამის მიხვედრა კი შესაძლებელი ხდება მაშინ, როდესაც თქვენს შიგნით არსებული მეოცნებეც რელისტიც და კრიტიკოსიც ერთ ხმად იტყვიან, ეს ის გზაა რაც მიზნამდე მიმიყვანს. არ მეგულება ადამიანი, რომელსაც შეეძლება უგულველყოს დისნეის ეს საოცარი თვით მოტივაციის პროგრამა.

ყველა ადამიანი ვისაც მიზანი აქვს და სუნთქავს აქვს რაღაც რაც მათ ცხოვრებას ულამაზებთ მათ აქვთ მიზანი. დიახ, ბატონებო, მიზანი, რომლის მისაღწევად ყველაფერს აკეთებენ და არ კარგავენ იმედს, რომ ოდესმე მიზანში მოახვედრებენ, აი ეს არის მოტივაცია. ახლა კი განვიხილოთ ერთი პატარა ისტორია, დიდი როლი ითამაშა იმაში, რომ ჩემთვის ბორკილები აეხსნა და გამოვეყვანე მატრიცული სიტუაციიდან, მეგობრებო შემლებთ წარმოიდგინოთ უზარმაზარი სპილო რომელსაც ერთი ადამიანი წვრილი თოკით აჩერებს ალბათ ყველა თვლის რომ ეს შეუძლებელია. მეც ასე ვფიქრობდი, თუმცაა ყველაფერი შეიძლება მოხდეს, ერთ-ერთ ცირკში კაცს სწორედ წვრილი თოკით ჰყავდა სპილო დაბმული და როდესაც მას ჰკითხეს როგორ ახერხებდა ამას, მან უპასუხა, როცა სპილო პატარა იყო ამ თოკით ვაბამდი ხოლმე და მაშინ არ შეეძლო მისი გაწყვეტა, ახლაც ჰგონია, რომ ზუსტად ისეა. მან ხომ არ იცის, რომ ამით მე მას ვერ დავიჭერ. სწორედ ასეა ადამიანებშიდაც, როცა რაღაცა არ გამოგვდის ვნებდებით, თუმცა აუცილებელია ფეხზე დადგომა ვისწავლოთ. დააკვირდით როგორ გეღვიძებათ დაუმთავრებელი საქმის დამთავრების სტიმული, როცა სპილოს ადგილზე თავს აყენებთ. დიახ, ესაა მოტივაცია.

სასწავლო წლის დასასრულის მოახლოებასთან ერთად სულ უფრო რთული ხდება მასალაზე კონცენტრაციის მოხდენა და იმ ენთუზიაზმის შენარჩუნება, რაც წლის დასაწყისში გქონდათ. ამის მიზეზი მრავალგვარია. პირველ რიგში, ეს პრობლემა დასვენებისა და ყოველდღიურ ცხოვრებაში მრავალფეროვნების შეტანის სურვილით აიხსნება. ასეთ სიტუაციაში ადამიანი ყველაფრის კეთების სურვილს

კარგავს და უმოქმედო ხდება, მაშინ როდესაც წინ უამრავი გამოცდა და ტესტირებაა. ამიტომ ჩვენმა სიზარმაცემ შეიძლება მთელი წლის ნაშრომი წყალში ჩაგვიყაროს. ამ დროს მოტივაციის ამაღლება და საკუთარი თავის იძულება – კვლავ აქტიურად ჩავებათ სწავლის პროცესში არც ისე ადვილია, მაგრამ არც მთლად შეუძლებელი.

სტუდენტი ისწავლის იმ შემთხვევაში, თუ: უნდა სწავლა; აინტერესებს საგნები; ესმის, რატომ უნდა ისწავლოს ეს საგანი; აქვს მონაწილეობის შესაძლებლობა; აქვს შესაძლებლობა, თავისებურად იმუშაოს; შეუძლია სხვებთან ერთად მუშაობა.

სტუდენტი გრძნობს მოტივაციას, თუ მას შეუძლია საკუთარი თავის იდენტიფიცირება სწავლების ამოცანებთან. პრობლემა არ წარმოიქმნება, თუ სტუდენტს შეუძლია დამოუკიდებლად ჩამოაყალიბოს სწავლების ამოცანები ან ენთუზიაზმით ეკიდება ინსტრუქტორის მიერ შემოთავაზებულ ამოცანებს. ეს არის შინაგანი მოტივაცია, რომელიც შიგნიდან მოდის და პირდაპირ უკავშირდება სწავლების მიზნებს.

თუ თქვენ ასწავლით სტუდენტს იმას, რაც მას აინტერესებს, ნაკლებად სავარაუდოა მისი მხრიდან წინააღმდეგობის გამოვლენა. ამ დროს თქვენ შესაძლოა შექმნათ ისეთი მასტიმულირებელი ფაქტორები, რომლებიც არ უკავშირდება სწავლების მიზნებს (გარეგანი მოტივირების ფაქტორები). მაგალითის სახით შეიძლება დასახელებულ იქნეს დასჯის ან წახალისების პერსპექტივა, შეფასება ან სტუდენტებს შორის კონკურენცია.

სტუდენტებს ყოველთვის არ აქვთ შესაძლებლობა დამოუკიდებლად აირჩიონ ის, რასაც შეისწავლიან. ხშირად მას სჭირდება ხელის წაკვრა, სანამ შეაფასებს სწავლების შინაარს. როგორც წესი, ზრდასრული სტუდენტების მოტივაცია დაფუძნებულია როგორც შინაგან, ასევე გარეგან ფაქტორებზე. მაშინაც კი, როცა ზრდასრულ სტუდენტს სწავლების ამოცანები მნიშვნელოვნად და საინტერესოდ მიაჩნია, ის სწავლობს სხვა მიზნების მისაღწევად, მაგალითად, სამსახურში დაწინაურება, ჩინის ამაღლება ან ხელფასის მომატება. ამ შემთხვევაში სწავლა აღიქმება სხვა მიზნის მისაღწევად დამხმარე საშუალებად.

ძალიან მნიშვნელოვანია სტუდენტის მოტივირება, განსაკუთრებით სწავლების დასაწყისში, სწავლების ახალ ფაზაზე ან რთული და ძნელი საკითხის შესწავლისას, ამისათვის არსებობს შემდეგი საშუა-

ლებები: განმარტეთ სწავლების მიზნები, სტუდენტისთვის მათი მნიშვნელობა და სარგებელი; დაუკავშირეთ ახალი უნარ-ჩვევები იმ უნარ ჩვევებს, რომელთაც სტუდენტი უკვე ფლობს ან რომლის შესახებაც მან იცის; დაუკავშირეთ მასალა იმ სიტუაციას, რომელშიც აღმოჩნდა სტუდენტი; მიეცით სტუდენტებს შესაძლებლობა, სწავლების პროცესში აქტიური როლი შეასრულონ; დასვით კითხვები, მიეცით დავალება და სტუდენტებს მიეცით საშუალება, დამოუკიდებლად შეისწავლონ მასალა; გამოავლინეთ ენთუზიაზმი, ის გადამდებია; წაახალისეთ სტუდენტების კითხვები, რომლებიც გამოხატავენ შესასწავლი მასალისადმი ინტერესს. ეს ეხება ინტერესის სხვა გამოვლინებასაც, როგორიცაა წიგნების კითხვა, მითითება შესასწავლ მასალაზე, რომელსაც სტუდენტი დამოუკიდებლად გაეცნო (მაშინაც კი თუ ეს თქვენს შეხედულებას არ ემთხვევა); მუდმივად ჩართეთ მოულოდნელი ელემენტები. დასვით დამაინტრიგებელი კითხვები, მიეცით მოულოდნელი დავალებები, მეცადინეობა დაიწყეთ საინტერესო ინფორმაციით; შეინარჩუნეთ სტუდენტების ყურადღება. იმოძრავეთ, ცვალეთ სწავლების მეთოდები, დაყავით სტუდენტები მცირე ჯგუფებად და ა.შ.; სტუდენტი დროდადრო უნდა გრძნობდეს, რომ მან წარმატებას მიაღწია. უკუკავშირის დროს ისაუბრეთ სტუდენტის პროგრესზე, მან უნდა იგრძნოს თქვენგან, რომ მართლაც ისწავლა რაიმე სასარგებლო.

უმაღლესი განათლება, კვლევა და ინოვაცია გადამწყვეტ როლს ასრულებს სოციალური ინტეგრაციის, ეკონომიკური ზრდისა და გლობალური კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობის საქმეში. ევროპული საზოგადოების მისწრაფების გათვალისწინებით, გახდეს მზარდად ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოება, უმაღლესი განათლება არის ის კომპონენტი, რომელიც უმნიშვნელოვანესია სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის. ამავდროულად, უნარებსა და კომპეტენციებზე მზარდი მოთხოვნა უმაღლეს განათლებაში სიახლეების განხორციელებას საჭიროებს. წარმატების გზაზე დრო ყველას თანაბრად გვეძლევა. აქ მიზეზები არ არსებობს, არის მხოლოდ დისციპლინა და მძიმე შრომა!

ცხოვრება სირთულეებთან მუდმივი ბრძოლაა. ლტოლვა ბედნიერებისაკენ, მცდელობა უკეთესის მიღწევისა და კეთილდღეობის მაქსიმალურად გაზრდისა. არც ერთი გზა, რომელიც წარმატებამდე მი-

დის, არასდროსაა ისეთი ია-ვარდით მოფენილი, როგორადაც მას, განვითარების საწყის ეტაპზე ახალგაზრდები სახავენ, განსაკუთრებით, მაშინ როდესაც მათ „ვარდისფერი სათვალეებიდან“ უწევთ სამყაროს აღქმა. ხშირად ამბობენ, რომ „იღბალი კეთილგანწყობილია გამდებავი ადამიანებისადმი“. გამბედაობას კი ხშირ შემთხვევაში მოტივაცია სჭირდება, რადგან ადამიანების უმრავლესობა ერიდება ისეთ მდგომარეობაში აღმოჩენას, როდესაც დიდი რისკის გაწევაა საჭირო, ამა თუ იმ გადაწყვეტილების მისაღებად. როგორც გოეთე აზობდა: „მხოლოდ ცოდნა არ არის საკმარისი, ჩვენ ის უნდა გამოვიყენოთ. მხოლოდ სურვილი არ არის საკმარისი, ჩვენ უნდა შევძლოთ გაკეთებაც“.

შესაძლებელია პატარა წარმატებები დიდი მიღწევების საფუძველიც გახდეს, თუ კი ადამიანი მოტივირებულია, რომ მას შეუძლია გახდეს უკეთესი, თუ კი მას განსაზღვრული აქვს, რა შეუძლია, რა მიზნის მიღწევას აპირებს და რა ნაბიჯების გადადგმა სჭირდება ამისათვის. და თუნდაც მოტივაცია დიდი იდეალების მიღწევას არ ემსახურებოდეს, ყოველდღიურ ცხოვრებაში იგი მაინც გადამწყვეტად მნიშვნელოვანია თითეული ადამიანისათვის. პატარა საქმეც, კი რომლითაც შეიძლება დღეს დაკავებული ვართ და რომელსაც სიყვარულით, ან სიამოვნებით ვაკეთებთ, ჩვენგან დაუღალავ ენერგიას, ენთუზიაზმს და მოტივაციას მოითხოვს, რათა შუა გზაზე არ იქნას მიტოვებული. ცხოვრება ღირებულია, რადგან ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს სასწავლი. ცხოვრება ღირებულია, თუ ვსწავლობთ არა მხოლოდ იმისთვის, რომ ვიარსებოთ, არამედ იმისათვის რომ შევქნათ რაიმე ღირებული. ცხოვრება ღირებულია თუ ვსწავლობთ ჩვენი და სხვათა გამოცდილებიდან. ნუ შეწყვეტთ სწავლას!

ცხოვრება ღირებულია, თუ ვცდილობთ დავინახოთ, მოვისმინოთ, წავიკითხოთ, ვეძებოთ შესაძლებლობები. ცხოვრება ღირებულია, თუ გვსურს პროგრესი, სწავლა და განვითარება. ცხოვრება ღირებულია, თუ ყველაფერს ვაკეთებთ, რაც შეგვიძლია. ცხოვრება ღირებულია, თუ არ ვკარგავთ წინსვლის სურვილს. თუ გვაღელვებს შედეგები, ვზრუნავთ საკუთარ განვითარებაზე და მომავალზე – თუ გვსურს ვიყოთ გამორჩეული და დაფასებული.

თითოეული ადამიანი უნდა ცდილობდეს, რომ როდესაც რაიმე საქმის კეთებას იწყებს გამოძებნოს მიზეზები და საკუთარი თავი მაქ-

სიმალურად მოტივირებული გახადოს. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შესაძლებელია არსებულმა გარემომ და ამ გარემოში არსებულმა ცალკეულმა ინდივიდებმა გარკვეული ცვლილებები შეიტანონ თქვენს მოტივაციაში ან საერთოდ ჩაახშონ იგი. იმისათვის, რომ თქვენმა მოტივაციამ გაუძლოს არსებულ გარემო პირობებს, საკუთარ სიზარმაცესა თუ შინაგან კონფლიქტებს, აუცილებელია, რომ მოტივაცია რაც შეიძლება კარგად გაამყაროთ. მყარი მოტივაცია უნდა აერთიენებდეს მიზანსა და სარგებელს. საქმის წამოწყების, სწავლის დაწყების, ამა თუ იმ სამუშაოს დაწყების წინ გარკვევით უნდა ჩამოაყალიბოთ ის მიზნები, თუ რისთვის გჭირდებათ ეს. უნდა გააანალიზოთ, თუ რა სარგებელი გექნებათ საქმის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ რაც მეტია მიზანი და სარგებელი, მით მყარია მოტივაცია, კარგი მოტივაცია კი უკვე ნახევარი საქმეა.

სანამ არ დაასრულებთ ერთ ამოცანას არ გადახვიდეთ მეორეზე. თუ წარსულით ან მომავლით ცხოვრობ ვერ შეძლებ აწმყოში რაიმეს გაკეთებას. დააჯილდოვეთ საკუთარი თავი ყოველი პატარა ამოცანის შესრულების შემდეგ. ხშირად ადამიანები ვერ ხვდებიან რამხელას ნიშნავს პატარა საქმე. თქვენ უნდა გააკეთოთ ბევრი პატარა საქმე, რომ საბოლოო ჯამში მთავარი მიზანი შედგეს.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. ასათიანი რ. საქართველოს ეკონომიკა. თბ., 2012.
2. ბარათაშვილი ე., ბაგრატიონი ლ., მარიდაშვილი მ., მახარაშვილი ი. მენეჯმენტი, წიგნი 1, წიგნი 2. თბ., 2016.
3. ქიტიაშვილი ა. ლიდერობა და გუნდის მართვა. თბ., 2013.
4. Уитмор Джон. Внутренная сила лидера Коучинг как метод управления персоналом. 3-е изд. М. 2015.
5. Harvard Business Review 10 лучших статей. Лидерство. Ведуший мировой деловой журнал. 2017.

# უცნობი ოკრიბა
# Unknown Okriba

*ავტორი – **დავითი კაკაურიძე,** ხელმძღვანელი – მოწვეული სპეციალისტი **მანანა კობახიძე,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*Author – **Davit Kakauridze**, Supervizor – Invited Specialist **Manana Kobakhidze,** Akaki Tsereteli State University*

***Abstract***

*The research,what has done in Tkibuli region is about cultural and material values of this region. We can see the valability of this region from this research,which is material-culutral.*

*It's clear that Tkibuli region is rich with sightseeing which is material-cultural heritage of early middle ages.*

*The ancient monumnets which is located in Tkibuli are very important monuments for Georgia and for world as well.*

*The most important monument in Tkibuli is "Gelati" monastery,which is recognized by UNESCO. It's unique Georgian monument with special mosaic on sanctuary conclave of main monastery. Also, should mention, so far unknown "Saint's Giorgi" church of Kisoreti (X-XI century); Monastery of village Bueti (X-XI century); Village Jonia's monastery with nathex is built with stone of Portiko. This monastery is unique in the Tkibuli region. Also one of the important monument located village Kursebi, called "matskhovris X century" monastery. "Dzirovani" X century, TsuTskvati VI century monastery.*

*We should mention XI century's fortress fragment which is located in village Satsire.*

*Region of Tkibuli is special with intangible monuments. One of them is Tsutskhvati cave, where is 13 floors inside and it's the first cave number of floors in whole world.*

*Key Words: Tkibuli, Gelati, monument, Monastery.*

ქალაქი ტყიბული და მისი რაიონი, რომელიც საქართველოს ის-ტორიული მხარის - იმერეთის რეგიონს წარმოადგენს,მდებარეობს კოლხეთის დაბლობსა და იმერეთის მაღლობს შორის, 600–800 მეტრ სიმაღლეზე, იგი გაშენებულია მდინარე ტყიბულას ორივე ნაპირზე, რომელიც შემოფარგლულია ტყით დაფარული მთაგორიანი ტერი-ტორიით. ტყიბული, ისტორიულ რეგიონთან - ქუთაისთანსაკმაოდ ახლოს მდებარეობს, ალბათ ამ გარემოებამ განაპირობა მის შემოგა-რენთან ახლოს მყოფი თემის ისტორიულ–მემკვიდრეობით საგანძურ-

თა არსებობა, რომელიც რაიონის თემისთვის ფასდაუდებელ განძს წარმოადგენს.

უნიკალურობითა და მნიშვნელობით მდიდარ ამ რაიონს, მატერიალურ–კულტურული ძეგლები დაარამატერიალური ბუნებისპეიზაჟი მართლაც ღირსშესანიშნავ ადგილად აქცევს საქართველოში. ოკრიბაში უხვადაა საკულტო თუ არასაკულტო დანიშნულების ძეგლები ციხე–სიმაგრეები, ციხედარბაზები, მონასტრები, ეკლესიები, რომლებიც, თავის მხრივ, ამდიდრებს რაიონს და ფასდაუდებელ საუნჯედ ხდის ქვეყნისათვის. უპრიანი იქნება,ვიდრე კულტურული ობიექტების კონკრეტულად ჩამოთვლას დავიწყებთ გავეცნოთ ოკრიბის ისტორიას.

სახელწოდება ,,ოკრიბა“ 1071 წლიდან მოიხსენიბა ნიკორწმინდის „იადიგარში“ (საეკლესიო შიდაგანაწესი). იმ დროისათვის, ის ფართო ნაწილს მოიცავდა(იგი გადაჭიმული იყო რაჭიდან გურიამდე), ვიდრე დღესაადა მათ შორის ქუთაისსაც, ხოლო უშუალოდტყიბული 1259–1293 წლით დათარიღებულწყაროებში. ,,შეწირულების დაწერილ დეკანოზ იაკობისა ხახულის ღვთისმშობლისადმი“არის პირველი წყარო ტყიბულის ხსენებისა.

რაიონში მდებარე კულტურულიძეგლებისრაოდენობა 50–ზე მეტს მოიცავს, რომლებიც ქალაქის შვიდ სათემოსა(სოჩხეთი, გურნა, ჯვარისა, საწირე, კურსები, ხრესილი, ორპირი) და ორსოფელში- მუხურასა და ცუცხვათში არის განაწილებული.

**სოფელი ძიროვანი.**

სოფელი ძიროვანი ქალაქ ტყიბულთან ახლოს საწირის სათემოშიმდებარეობს, რაჭის ქედის სამხრეთკალთაზე, მდინარე მთისჭალის ზემოთში,ზღვის დონიდან 600 მეტრზე, ტყიბულიდან 10 კილომეტრის დაშორებით. 2002 წლისაღწერისმონაცემებით, სოფელში ცხოვრობს 627 ადამიანი. აქ არის თავისი სიძველით გამორჩეული შუა საუკუნეების მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია, რომელიც თარიღდება XI-XII საუკუნით და ამ საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ორნამენტებით გამოირჩევა. ეკლესია თითქმის დანგრეულია,ამის მიუხედავად, აქ არსებული მოჩუქურთმებული, დეკორაციული პილასტრის (სვეტის) ორიგინალურობა მნიშვნელოვანი და შესამჩნევია. მას ამშვენებდა წმინდა გიორგის გამოსახულებით შესრულებული ქვაზეკვეთა, რომელიც დასავლეთ კარის შესასვლელს ამ-

კობდა ზემოდან. ის დროთა განმავლობაში ჩამოვარდა. განსაკუთრებით საინტერესო გახლავთ დასავლეთ ფასადის შიდა დაბალ რეესტრში აღმოჩენილი მხატვრობა (ფერწერული), რომელიც წითელი საღებავით არის შესრულებული. ის მცირე ფორმითაა შემორჩენილი, მაგრამ აქ მყოფი უძველესი (დაახ. XI-XII ს) ფრესკა ფასდაუდებელ მნიშვნელობას ანიჭებს ძეგლს. შემდგომ, როგორც გაირკვა, მასზე გამოსახული იყო ნადირობის სცენა, რაც აღრმავებს მე–11 მე–12 საუკუნის ფრესკული მოხატვის შესაძლებლობას, რომელიც ამშვენებდა ეკლესიას. არქიტექტურა მეორდება ჭყეპის, ცუცხვათის, ზედუბნის ეკლესიების მსგავსად. თამარის წყარო გვიამბობს, რომ აქ არის გვიანი შუა საუკუნეების ციხეკოშკი, რომელიც სავარაუდოდ შიგაგზების გამაკონტროლებლად ითვლებოდა. დღევანდელი მდგომარეობით, ციხე დანგრეულია, თუმცა შემორჩენილია მისი დასავლეთი კედელი, რომელიც 9–10 მეტრის არის. მას აქვს სათოფურები და ქონგურებიც. ასევეა ქაშვეთის ეკლესია. დღეისათვის, მისი ნანგრევებია შემორჩენილი. აქვე უნდა ითქვას, რომ უცნობია მისი აგების პერიოდი. სოფელს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სასახლის არსებობა, რომელიც ნანგრევებადაა ქცეული. ასევე, ამ სოფელში დგას წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. იგი მოჩუქურთმებულია ,,ტეშენიტზე" ამოკვეთილი ჯვრის ორნამენტით, რომელიც დასავლეთ შესასვლელს ამშვენებს.აქ, ისევე, როგორც სხვა სოფლებში, დემოგრაფიული პრობლემა დგას. სოფლიდან დრო და დრო გაედინება სოფლის მაცხოვრებლები.

**ცხრაჯვარი**

ნაქერალას ქედზე (რაჭის ქედი), 1570 მეტრ სიმაღლეზე, სალი კლდის წვერზემყოფი წმინდა გიორგის სახელობის მთასაყდრის უგუმბათო ეკლესია დგას. ამ ადგილიდან ხელის გულივით იშლება ყველა ის ობიექტი, რომელიც ტყიბულის მიდამოებშიარის აგებული. ცხრაჯვარის წმინდა გიორგის საყდარს აქვს საინტერესო ისტორია, რომელიც მოგვითხრობს მისიაშენების შესახებ: ყოველი წლის (ძველით) მაისის ბოლო შაბათს, ცხრაჯვარი განსაკუთრებულ სიცოცხლეს იძენს და დღესასწაულის საბაბი ხდება. წმინდა გიორგის სახელობის სალოცავი, რომელიც საკუთარი არსებობის ლეგენდას ატარებს, ამ დღეს მომლოცველთა სიმრავლით ხარობს. ცხრა ჯვარის ლეგენდა მოგვითხრობს: დიდი ხნის წინათ, სვანეთში ძმებს ოფრომიანებს თავადი მოუკლავთ, სვანეთიდან გადასახლებუ-

ლან და ოკრიბის პატარა სოფელში ჩასახლებულან; გვარიკი ,,სოფრომაძედ" გადაუკეთებიათ. რამდენიმე ხნის შემდეგ, სოფრომაძეების გვარს ღვთის რისხვა დასტყდომიათ თავს, სოფრომაძეების ახალშობილები ვერაფრით აღწევდნენ სრულწლოვან ასაკს და იღუპებოდნენ. შეძრწუნებული მოსახლეობა ერთ დღესაც ღია ცის ქვეშ შეკრებილა და უფლისთვის უთხოვიათ: ოღონდ ძე გაგვიზარდე, ჩვენ მტრედს ავაფრენთ და სადაც ის დაჯდება, იქ უფლის სადიდებლად სალოცავს ავაშენებთო... მართლაც, აუფრენიათ მტრედი უხუცეს სოფრომაძეებს. მტრედი თურმე ამ მთის თავზე დაფრენილა...სულ ხელით უზიდავთ ქვები დაბლობიდან მთაზე სოფრომაძეებს, ბევრი კიდეც შესწირვია სალოცავის მშენებლობას, მაგრამ საბოლოოდ, დიდი შრომის და წვალების შემდეგ, მთაზე პატარა სალოცავი აუგიათ. სალოცავის აგების ბოლო დღეს, სოფრომაძეებს ნადიმი გაუმართავთ, დაუკლავთ უამრავი დეკეული, თუ ფრინველი. შუა ნადიმის დროს, შეზარხოშებულებს ჩხუბი მოსვლიათ, იარაღად კი დეკეულის ბასრი ძვლები გამოუყენებიათ, ცოდვილებს ერთმანეთი სასტიკად დაუჭრიათ და სისხლი დაუღვრიათ. როცა გამოფხიზლებულან, სინანულში ჩავარდნილან, მუხლებზე დამხობილან და უფლისთვის უთხოვიათ პატიება. მას შემდეგ სოფრომაძეები ყოველი წლის მაისის ბოლო შაბათს უფალს ადიდებენ და ხორცს არ ჭამენ.

ლეგენდა თაობიდან თაობაზე გადადის და ყველას სისხლში შეგვერია მაისის ბოლო შაბათის სიხარული... პატარა სოფელი, რომელიც თითქმის ყოველთვის ცარიელია, ამ დღეს ერთ იორად ივსება და ბედნიერდება. ძე თუ ასული სოფრომაძეების ჟრიამული ლაჟვარდისფერ ცას ცდება და უფალთან ადის...

**სოფელი მუხურა**

სოფელი მუხურა მდებარეობს ტყიბულთან ახლოს, რაჭის ქედის სამხრეთ კალთებზე. იგი დასავლეთ საქარველოში სიდიდით მესამესოფელია. აქ, გარდა ბუნებრივი (ულამაზესი, 60 მეტრიანი წყალვარდნილის) ძეგლებისა, არის ადრეული შუა საუკუნეების ციხე „შეუპოვარი", რომელიც მნიშვნელოვან სტრატეგიულ ადგილზემდებარეობდა. აქ ასევეა ელდათისა და ნოხტას წმინდა გიორგისსახელობის ეკლესიები, ბრესილის (XVIII საუკუნის) ეკლესია, ოქონის ეკლესია და ციხე.

**სოფელი ბუეთი**

სოფელ ხრესილის თემში. ისტორიული ოკრიბის ტერიტორიაზე, მდინარე წყალწითელას მარცხენა მხარეს, მდებარეობს სოფელი ბუეთი. ზღვისდონიდან 420 მეტრი, ტყიბულიდან 15 კილომეტრი. 2002 წლის აღწერის მონაცემებით, სოფელში ცხოვრობს 175 კაცი. იგი ქუთაისი–ტყიბულის შიგა საქალაქო გზაზე მდებარეობს, რომელიც ეკლესიის შემაღლების ქვედა წელშია. იგი ბარელიეფური გამოსახულებითაა წარმოდგენილი. მასზე გამოსახულია იმ დროისათვის გავრცელებული (ოკრიბაში და არამხოლოდ) ცხვრის თავის გამოსახულება, რომელიც კარნიზის ქვემოთაა. ტაძარი არ არის თლილი ქვით ნაგები, მის მშენებლობაში ვხვდებით სხვადასხვა დასახელების მოსაპირკეთებელ ქვებს: ტეშენიტი, კირქვა და სხვა. ტაძარს არ აქვს მოპირკეთებული პერანგი, თუმცა მრავლადაა ბარელიეფური გამოსახულებანი ოთხივეს კედლისფასადზე.

ეკლესია ერთნავიან ბაზილიკას წარმოადგენს. მას აღმოსავლეთით,საკურთხევლის მხარეს აქვს სამი სარკმელი. მას თავზე ჯვრის მოჩუქურთმებული, რელიეფური გამოსახულება ამშვენებს. ეს ეკლესია იდეალურად აღიქმება(სიმაღლე და სიგანე). მისი შემკულობებით ტაძრის შიგა ინტერიერი წარმოდგენილია XIX საუკუნის ხის კანკელით (ანალოგია ბარაკონის ეკლესიის), რომელზეც სიუჟეტურადაა 21 რელიგიური სცენა წარმოდგენილი. კანკელს უზარმაზარი ფორმა აქვს, რაც რუსული საეკლესიო არქიტექტურის დამახასიათებელი ნიშან–თვისებაა. ეკლესიას (2009წელს?) გაუკეთდა რესტავრაცია, რა დროსაც ტაძრის შიდა ინტერიერი შეთეთრებულია. ტაძარს აქვს სარკმლები რომელიც საკმაოდ ღვრის სინათლეს ეკლესიაში. ტაძარი ბრეგაძეების საგვარეულო ეკლესიაა. ტაძრის სიახლოვეს არსებობდა სოფლის დასახლება, მაგრამ სრულიად გაურკვეველი მიზეზით დღეისათვის ეს ტერიტორია არათუ სოფლის მოსახლეობას, არამედ ნათესებსაც არ უკავია.

სოფელი ბუეთი ცნობილია X-XI საუკუნის მთავარანგელოთა სახელობის ეკლესიით. მასთან ახლოს კი, 50 მეტრის ქვემოთ, გამოედინება მინერალური (გოგირდოვანი) წყალი.აქ ბუნების უმშვენიერესი პეიზაჟი იშლება. მდინარე ლაშიღელესიქვე ჩანჩქერი ამშვენებს. საგულისხმოა, რომ ეს ტერიტორია დღეისათვის ნასოფლარია, გასულ საუკუნეში დაცარიელდა. მდინარესთან შემორჩენილია ძველი

წყლის წისქვილები

**სოფელი ჯონია.** ორპირის თემში არსებული სოფელი ჯონია მდებარეობს მდ. წყალწითელასა და ღვანანას წყალგამყოფზე. ზღვის დონიდან 480 მეტრზე, ტყიბულიდან 21 კილომეტრის მოშორებით. 2002 წლის აღწერის მონაცემებით სოფელში ცხოვრობს 76 კაცი.

სოფელ ჯონიაში მდებარეობს X საუკუნის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. მშენებლობის პროცესში, გამოყენებულიადა- უმუშავებელი ტრავენტინი (პორტიკო, შირიმი). იგი ერთნავიანი ბაზილიკური ეკლესიაა. დასავლეთით მინაშენი აკრავს (დიდი ნაწილი დანგრეულია დროთა განმავლობაში, შემდგომ პერიოდში იმავე ქვებით ამოყვანილია კედლის ქვედა რეესტრი). ეკლესიის პერანგი ნაგებია მოუპირკეთებელი ქვით. განსხვავებულია ნაგებობის ფორმა: რიგ შემთხვევაში გამოყენებულია კირქვა და ტრავენტინი. ეკლესიას სამხრეთ ფასადზე აქვს ასომთავრული ლაპიდარული წარწერა, რომელიც ძლიერ დაზიანებულია. იგი აგების წელს გვამცნობს.

ტაძარის სახურავი მოჭიქული კრამიტითაა გადახურული, რომელსაც რესტავრაცია ახლახანს ჩაუტარდა. ტაძარს 2 კარი აქცს: სამხრეთით და დასავლეთით. შიდა ინტერიელი შებათქაშებულია ცემენტით.არ არის შემორჩენილი ფრესკა. რესტავრაციამდე ეკლესია დაზიანებული იყო. ტაძარში ინახება უძველესი საღვთისმსახურო მანტია.ტაძარს აქვს მცირე ზომის ახალი ხის კანკელი. დასავლეთით ღვთისმშობელი მარიამია გამოსახული, ხოლო აღმოსავლეღით - უფლის გამოსახულებაა. მათ შორის კარებს ამკობს მთავარანგელოზთა გამოსახულება, ხოლო კანკელის თავზე საიდუმლო სერობის სიუჟეტია წარმოდგენილი. დღეისათვის, ეკლესია მოქმედია. გარდა ამისა,ამავესოფელში 1967 წელს აღმოაჩინეს „კოლხური თეთრის“ მონეტები, რომელიც ერთი–ორად ზრდის სოფლის ისტორიულ მნიშვნელობას.

**სოფელი კისორეთი.** კისორეთი მდებარეობს გურნის სათემოში, ტყიბულიდან 45 კილომეტრის მოშორებით. აქ მცხოვრებთა რაოდენობა 100 კაცს აჭარბებს.მდებარეობს რაჭის (ნაქერალას) ქედის სამხრეთ მთისწინეტში, ზღვის დონიდან 600 მეტრზე.

სოფელი გამოირჩევა თავისი თვითმყოფადი კულტურით. სოფელი კისორეთი მდიდარია არქიტექტურული ძეგლებით, მათ შორის გამოირჩევა წმინდა გიორგის სახელობის X-XI საუკუნის ერთნავიანი დარბაზული ეკლესია. ტაძრის შესასვლელ აღმოსავლეთ ფასადს ამ-

შვენებს ცხვრის ბარელიეფური გამოსახულება, რომელიც კარნიზს ქვემოთაა. აღმოსავლეთით საკურთხევლის გარე ფასადს რელიეფური გამოსახულების ჯვარი ამშვენებს, რომელიც სარკმლის ჩრდილო–აღმოსავლეთით არის ამოჩუქურთმებული. ტაძრის სამხრეთ კართან აღმოსავლეთით უცნაური ფორმის თითებით ამოკვეთილი ქვაა, სადაც ოთხი თითი ფიგურირებს. მასზე არის მითი, თითქოს ამ ტაძრის ამგებს ეკლესიის აგების შემდეგ თავად გაუკეთებია ქვაზე თითებით ნათვირფალი.ეკლესიის პერანგი დარღვეულია. მოყვითალო ქვით ნაგებ ეკლესიას შემოძარცვული აქვს აქა-იქ თლილი ქვის პერანგი.-ტაძარი არის სხვადასხვა სცენის ფრესკებით მოხატული. წითელი ფერის პალიტრით შესრულებული მხატვრობა,რომელიც სიუჟეტურად იკითხება, გვაფიქრებინებს, რომ იგი XI საუკუნეშია შესრულებული. საკურთხევლის კონქი მოხატულია დეისისით: მაცხოვარი მჯდომი ტახტზე; მისგან მარჯვნივ მდგომი ღვთისმშობელი ჩანს, ხოლო მარცხენა მხარე წაშლილია და არ იკითხება. ასევე, არის ჯვარცმის სცენა გამოსახული, რომელიც დანარჩენთან ერთად XI-XII საუკუნის მხატვრობას (ფერწერას) მიეკუთვნება. ეკლესიის შიდა ფასადი დროთა განმავლობაში დაზიანდა და ჩაუტარდა რესტავრაცია, გადაიხურა სახურავი. იგი კონტრასტულად ერწყმის ბუნებას: დგას შემაღლებულ ბორცვზე, რაც მშვენიერ ნაზავს გვაძლევსბუნებისადა მატერიალურიმემკვიდრეობისა. ტაძარს არ აქვს სამრეკლო. მიუხედავათ ამისა, რუსეთში დამზადებულ ზარს (მე–20 საუკუნეში), რომელიც ხეზეა ჩამოკიდებული, რელიგიური რიტუალების შესრულების დროს იყენებენ. ტაძარს ლომთაძეები პატრონობენ. სოფელში, გარდა აღნიშნული ძეგლისა, ასევე არის VI საუკუნის ეკლესიის ნანგრევები, აქვეა გვიანი შუა საუკუნეების ციხე, რომელიც მთის მეორე ფერდობზეა აღმართული. სოფელი გამოირჩევა ღვინის წარმოების მარალი კულტურით, რომელსაც ,,ლაიტმოტივად“ ძველი თქმულებაც დარჩა: „დავით აღმასენებელი მხოლოდ კისორეთის ღვინოს მიირთმევდა,“ სამწუხაროდ, სოფელი თანდათან იცლება მოსახლეობისაგან და ეს დღითიდღე შეუქცევადი პროცესი ხდება.

**სოფელი ნაბოსლევი**

ორპირის სათემოში მდებარე სოფელი ნაბოსლევი ტყიბული–-ქუთაისის შიგა სახელმწიფოებრივ გზასთან ახლოს მდებარეობს.ტყიბულის რაიონის კულტურულ მემკვიდრეობათა ძეგლებს შო-

რის ყველაზე ახალგაზრდა ნაზოსლევისეკლესიაა, იგი XXსაუკუნის 10–იანი წლების პერიოდში ააგეს, მანამდე აქ უგუმბათო ეკლესია იყო. ეს უიშვიათესი ფორმის ჯვარ–გუმბათოვანი ტაძარია. მიუხედავად იმისა, რომ იგი XX საუკუნის პერიოდის ძეგლს წარმოადგენს, თავისი დახვეწილი არქიტექტურიდან გამომდინარე, ქართულხუროდმოძღვრებაში განსხვავებულ სიტყვად არის აღქმული თავისი დახვეწილი დეკორითა და ფასადური მოხატულობით, ამიტომაც, მიმზიდველს ხდის მნახველისათვის. ტაძარს ამშვენებს კარიბჭე, რომელიც ქონგურიანიკოშკით არის დაგვირგვინებული.ეკლესიას მრავლად აქვს რელიეფური გამოსახულებანი: დასავლეთის ფასადზე წმინდა გიორგის გამოსახულებით, ასევეა ჯვრის გამოსახულებები. ტაძრის შიდა ინტერიერი მოხატულია ფრესკებით, რომელიც ლურჯ ფერადაა შესრულებული. ასევეა ფრესკა - უფლის გამოსახულებით.

**გადაღმა წყალწითელა.** სოფელი გადაღმა წყალწითელა თავისი ისტორიულ–კულტურული მონაპოვარით ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ტყიბულის სოფლებს შორის. ამ სოფელში ანტიკური ხანის ნამოსახლარია ნაპოვნი. ასევეა მნიშვნელოვანი მდინარე საზელასურის ნაპირას მდებარე, ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი. ასევეა სოფელ ციხიასა და ოჯოლაში ნაპოვნი ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები. ამით გამოირჩევა სოფელი სოჩხეთიც.

**სოფელი კურსები.** სოფელ კურსების შესახებ, მნახველს უმალ უჩნდება შთაბეჭდილება. კურსების ეკლესიათა განსხვავებულობა მეტად შესამჩნევი და დასამახსოვრებელია. ის გამოირჩევა დახვეწილი სტილით და წარმოდგენილია რუსულ სტილში. მისი ორიგინალურობაციმაში გამოიხატება, რომ ტაძარს მიდგმული აქვს სამრეკლო, რომელიც სულ სხვა ელფერს სძენს ეკლესიას. ამ სტილით ნაგები ტაძრები ბევრი არ არის საქართველოში. აქ არსებული ხუროთმოძღვრული ნაგებობები ძალზედ დასამახსოვრებელია მნახველისათვის.

სოფელი კურსები ცნობილიაXIX ს. წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიით, რომელიც გამოირჩევა ტაძარზე მიდგმული ულამაზესი სამრეკლოთი.ზელობანში მდებარეობს(კურსების ერთ–ერთი დასახლება) მაცხოვრის სახელობის X-XI საუკუნის ერთნავიანი დარბაზული ეკლესია, რომელიც გამოირჩევასინგურიწარწერით შესრულებული ფრესკით. სოფელში აგრეთვე გვხვდება დედაღვთისას

(ღვთისმშობლის) სახელობის VI საუკუნის ეკლესია, რომელიც რესტავრირებულია.იგი სავარაუდოდ XII-XIII საუკუნეს ეკუთვნის. პროპორციული და კედლის წყობის განსხვავებული, მტკიცედ ნაგები ფორმითა და შიდა სივრცის გაფორმებით, მართლაც ფასეულს ხდის მნახველისათვის. ეკლესიას იქვე ვიწრობში თეთრი ქვით ნაგები კარიბჭე აქვს, რომელიც ორი სართულისაგან შედგებოდა. კარიბჭეს თავზე აქვს უხეში ქვით ამოყოლებული რკალისებრი კიბე,რომელსაც თავზე ჰქონდა დადგმული ფანჩატურიანი სამრეკლო. ამაზე მიუთითებს წრიულად დაწყობილი ქვების რიგი. ეზოს ტერიტორიაზე დარჩენილი მცირე ნაგებობის ნაშთები გვაფიქრებინებს, რომ აქ მხოლოდ და მხოლოდ რიგითი სოფლის ეკლესია არ იყო, არამედუფრო მნიშვნელოვანი ფუნქციის მქონე რელიგიური ტიპის ნაგებობა გახლდათ. დასავლეთიდან მას მინაშენი აკრავს (მეოცე საუკუნის 30 –ანი წლები ნიშნიანიძეებს მიუშენებიათ ძველი ნანგრევებად ქცეული მინასენის საფუძველზე, მისივე ქვის ფილებით). ასევე აქვს ორი კარი, დასავლეთისა და სამხრეთის მხრიდან. თავად ეკლესია ნაგებია ღია ფერის კიქვით, რომლის გათლილი კვადრებიისე მჭიდროდ არის მიბჯენილი ერთმანეთზე, რომ მიუხედავად ქვების წყობის არარეგულარობისა, კედელილამაზ, გლუვ და ერთიან ზედაპირად აღიქმება. კედლისზოგიერთ ადგილას შეიმჩნევა გადაწყობის კვალი.-განსაკუთრებით სამხრეთის ფასადზე. აშკარაა, რომ ნაგებობის პერანგი დროთა განმავლობაში რღვევას განიცდიდა და ანახლებდნენ. სამხრეთ კედელში გაჭრილი სარკმელი ტლანქი პროფილირებული საპირით უეჭველად გვიანია (მეცხრამეტე საუკუნემდე).ტაძარში შევყავართ ორ კარს: დასავლეთიდან და სამხრეთიდან. საკურთხევლის გვერდით ჩრდილოეთ ფასადს აკრავს გაჭრილი, კიდევ ერთი კარი, მაგრამ იგი ამოქოლილია. საკურთხეველში გაჭრილია ორისარკმელი, დარბაზის კამარის საბჯენით. პილასტრების კაპიტელები შემკულია ჩუქურთმებით. ფართო, გაშლილი აფსიდის კაპიტელები კი მარტივად არის პროფილირებული. პილასტრების „ჩამოკვეთა“ საკმაოდ ტლანქი და დაუდევარია, არ გააჩნია სიმკაფიოვე, სიზუსტე, რაც მაღალი რანგის ძეგლებს ახასიათებს. ამჟამად ტაძარი მორთულია ფრესკული მხატვრობით,რაც XII საუკუნის გარდამავალ პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს. საკურთხევლის კონქი მოხატულია დეისისით (უფლის გამოსახულება მაღალზურგიან ტახტზე მჯდომი), რომლის

მარჯვნივ ღვთისმშობელი არის გამოსახული. ეკლესია მთლიანად მოხატულია ფრესკებით, რაც დიდწილად შენარჩუნებულია. ფრესკები შესრულებულია მეწამური ფერის საღებავით. ეკლესიის ინტერიერს ამკობს ორნამენტებით მოჩუქურთმებული კაპიტელები, რაც, ძირითადად, X-XI საუკუნეების ძეგლებში გხვდება (ბაგრატი). ჩუქურთმაზე შესრულებულია ფოთლებიანი ყლორტების გამოსახულება, რომელიც შესრულებულია კაპიტელზე - ზემოდან ქვემოთ, რაც ასევე X-XI საუკუნეების ორნამენტებს მიეკუთვნება. ეკლესია მორთულია მრავალმხრივი რელიეფური და ბარელიეფური სემანტიკური ორნამენტებით. სამხრეთის ფასადზე გამოსახულიახარისა და ვერძის თავები;ჩრდილოეთ ფასადზე კი - ლომისა და არწივის. ორიოდე სიტყვით შევჩერდებით წარწერაზე, რომელიც სამხრეთის კარის ბალავრის ქვაზე არის ამოკვეთილი არათანაბარი, ცოტა დაუდევრად შესრულებული ასოებით. სამწუხაროდ, ეს სამსტრიქონიანი წარწერა დაზიანებულია, რომელზეც რაიმე ინფორმაციის მიღება ჯერჯერობით არ მოხერხდა. იმ ჩამოთვლილ უძველეს ეკლესიათაგან განსხვავებით.

**სოფელი ძმუისი**.

სოფელ ძმუისში, შემაღლებულ მთაზე, მოსახლეობისაგან მოშორებით მდებარეობს X საუკუნიეში აგებულიმონასტერი, რომელიც ,,მთასაყდრის" სახელს ატარებს. მიუხედავად იმისა, რომ ძეგლი ძლიერ დაზიანებულია, ინტერესსიწვევს ტაძრისკედლის ბარელიეფები. ასევე, სოფელ ძმუისს ამშვენებს ულამაზესი ჩანჩქერი.

**სოფელი ცუცხვათი**.

მდებარეობს არგვეთის ქედის სამხრეთ კალთაზე, შემაღლებულ ბორცვზე. იგი ზღვის დონიდან 600 მეტრზეა. კულტურულ–მატერიალური მემკვიდრეობის ძეგლების გარდა, ბუნებრივლანდშაპტურ გარემოში და ამ ბუნების წიაღში ჩასახულსოფელცუცხვათში ცნობილია 14 სართულიანი კარსტული მღვიმე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეორე სართული, 200 მეტრის სიგძისა და 14 მეტრის სიმაღლისბუნებრივი დარბაზით. ასევე, მე–4 და მე–5 სართულები, სადაც დათვისა და სხვადასხვა ცხოველის თავის ქალაა ნაპოვნი. გამოვლენილია ტოტემიზმის (ცხოველთა გაღმერთების) რელიგიური მიმდევრობის არსებობა.ცუცხვათში მდებარეობს წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, აქვეა VI საუკუნის სტელა ლაპიდარული ასომ-

თავრულით შესრულებული. ნაპოვნის ახლოს მდებარეობს წმინდა გიორგის სახელობის VI საუკუნის ეკლესია(იგი ჟამთა სიავემ ძლიერ დააზიანა), აქვეა თავისი მნიშვნელობით ფასდაუდებელიქვის სტელა- და მასზეა ამოკვეთილილაპიდარული ასომთავრული წარწერა, რომე- ლიც ასევე VI საუკუნით თარიღდება. სოფელში, ასევეა ,,დავითის კონცხი", იგი ისტორიული მნიშვნელობის ადგილს წარმოადგენს.ა- რის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია, წმინდა გიორგისა და მა- ცხოვრის სახელობის XIX საუკუნის ეკლესიები.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ნიშნიანიძე ილია, ნიშნიანიძე დავით. ოკრიბა თბ., რაეო. 2003
2. https://ka.wikipedia.org/wiki/ტყიბული
3. http://tkibuli.ge/?page_id=552
4. https://ka.wikipedia.org/wiki/ცუცხვათი
5. https://ka.wikipedia.org/wiki/ძმუისი
5. https://ka.wikipedia.org/wiki/კურსები

♦♦♦

## აწარმოე საქართველოში, იყიდე ქართული
## Produce in Georgia, buy in Georgia

*ავტორ(ებ)ი:* ***საბა კუპრაშვილი, ანა ჟორჟოლიანი,*** *ხელმძღვანელი - ასოც. პროფ.* ***ზვიად ბეშკენაძე,*** *აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*Author(s):* ***Saba Kuprashvili, Ana Zhorzholiani,*** *Supervizor: Assoc. Prof.* ***Zviad Beshkenadze,*** *Akaki Tsereteli State University*

***Abstract***

*This conference refers to Georgian production. At the beginning we understand what is the meaning of production and what criteria are needed to start production. Here are some examples of Georgian production, such as wine and mushrooms production. Here are the EU markets, which play a major role in the development of the production. The most important is the way, which develops the*

*production. One of the most important issue is the results of the production development, which has the positive influence on economy.Everyone know, The strong economy is a strong state .*

***Key Words:*** *Purchasing ability, State procurement, Export, Import, Imports to change.*

როგორც მოგეხსენებათ, მეწარმეობა არის ინდივიდის უნარი იდეები აქციოს საქმედ, ის მოიცავს როგორც შემოქმედებითი მიდგომის, ინოვაციისა და რისკის უნარებს. მეწარმეობა ნიშნავს პასუხისმგებლობის აღებას დადებითსა და უარყოფით მოქმედებებზე, სტრატეგიული ხედვის განვითარებას, ბიზნესის დასახვას, მათ განხორციელებს და ასევე წარმატებაზე ორიენტაციის უნარს.

საქართველოსთვის მეწარმეობა და მისი განვითარება ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისთვის. რა არის იმისათვის საჭირო რომ განვავითაროთ ქართული წარმოება? აქ უმთავრესია სამი ფაქტორი: ბიზნესი, ექსპორტი და ინვესტიციები.

ერთ-ერთი კრიტერიუმი ადგილობრივი წარმოებისათვის არის მისი განმარტება. ამისათვის მოვიშველიებ ევროკავშირის დირექტივას, სადაც 3 კრიტერიუმია განსაზღვრული:

1) პროდუქტი სრულად დამზადებული უნდა იყოს ადგილობრივი ნედლეულით;

2) უნდა ხდებოდეს 4 ნიშნა კოდის გარდაქმნა, ანუ რამდენიმე ტიპის ნედლეული უნდა შემოდიოდეს გადამუშავდეს საქართველოში და მიენიჭოს ახალი სასაქონლო კოდი;

3) ღირებულება უნდა იქმნებოდეს უმეტესად საქართველოში.

აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ პროდუქტს წარმოშობის ქვეყანად მიენიჭოს „საქართველო", ის უნდა აკმაყოფილებდეს ამ სამიდან ერთ-ერთს.

ალბათ, დამეთანხმებით, რომ თუ ჩვენ არ გვექნა ხარისხიანი პროდუქცია, მარტო ეს მოწოდება „აწარმოე საქართველოში და იყიდე ქართული" უხერხულიც იქნება. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია განსაზღვრა: რას ვაწარმოებთ, როგორ ვაწარმოებთ, ვისთვის ვაწარმოებთ და როგორ შევთავაზებთ.

23 მილიარდი დახარჯა საქართველოს მოსახლეობამ „საქსტატ"-ის მონაცემებით 2016 წელს. ეს არის ძირითადად სამომხმარებლო

სესხებზე დაფუძნებული მსყიდველობითი უნარიანობა ჩვენი მოქალაქეების. საბოლოო ჯამში ეს რესურსიც უკვე ამოიწურება. ჩვენ თუ არ გადავედით ხელფასზე დაფუძნებულ მოხმარებაზე და ვიქნებით ყოველთვის დამოკიდებული სამომხმარებლო სესხებზე დაფუძნებულ მოხმარებაზე საბოლოო ჯამში ეს მოხმარებაც შემცირდება. აქედან გამომდინარე, ამისათვის საჭიროა შეიქმნას ისეთი სამუშაო ადგილები, რომლებიც მაღალ დამატებით ღირებულებას შექმნიან და ადამიანებს გაუჩენენ მსყიდველობით უნარიანობას.

საქართველოს დიდი და მდიდარი ტრადიციების მქონე სოფლის მეურნეობა აქვს. სოფლის მეურნეობის სპეციფიკის თვალსაზრისით, იგი მსოფლიო მნიშვნელობის რეგიონია. საქართველო წარმოადგენს ხორბლისა და ვაზის ერთ-ერთ სამშობლოსა და აკვანს. ვაზის კულტურის ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული ქართველი ერის ისტორიასთან. საქართველო ითვლება მევენახეობა-მეღვინეობის ერთ-ერთ უძველეს კერად და ხარისხოვანი და მაღალხარისხოვანი ღვინოების წარმოების ზონად მსოფლიოში, რასაც ადასტურებს, გარეული და კულტურული აბორიგენული ვაზის ჟიშების მრავალფეროვნება, ქართული ღვინის წარმოების ნათელი მაგალითია: "შატო ნეკრესი", "თელიანი ველი", "მეღვინეობა ხარება „ და ა. შ.

ვაზის წვენს გამოიყენებენ ბადაგის, ჩურჩხელათა და სხვა ქართული ტკბილეულის დასამზადებლად. რაც შეეხება ჩურჩხელას იგი ძალიან პოპულარულია ჩვენს ქვეყანაში, თუმცა თანდათან ხდება მისი გატანა საექსპორტოდ და მისი ფართო მასებზე გაცნობა. ჩურჩხელის გარდა საქართველოში, აგრეთვე, იწარმოება უამრავი სახის ჩირი, რომელიც სხვადასხვა ხილისგან მზადდება. მსგავსი წარმოების წასახალისებლად და მისთვის ფართო მასშტაბის მისაღებად პროგრამა „startup"-ი აფინანსებს ქართველ მეწარმეებს, იგი არამარტო შანს აძლევს მცირე მეწარმეებს თავიანთ იდეები განხორციელონ, არამედ მათთვის აწყობს სხვადასხვა ტრენინგებს, რომელიც მეწარმეობის შემდგომი განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

გარდა ჩირისა და ღვინისა, საქართველოში იწარმოება ეკოლოგიურად სუფთა სოკო. რუსთავში დღესდღეობით ფუნქციონირებს სოკოს მწარმოებელი საწარმო, სადაც ძირითადად ორი ჯიშის სოკო მოჰყავთ, თუმცა აქ ხდება ექსპერიმენტული ჯიშების გამოყვანაც. აქ წარმოებული სოკო საქართველოზე არსებული სოკოს 80%-ს წარმოად-

გენს. როგორც ამ საწარმოს ხელმძღვანელობა იუწყება, ახლო მომავალში იგეგმება ექსპორტირებული სოკოს სრულად ჩანაცვლება ქართულით. ეს უკანასკნელი კი თავის კვალს დატოვებს ქართული ეკონომიკის განვითარებაში.

ყოველი ზემოთ აღნიშნული ნათელი მაგალითია იმის, რომ ქართული წარმოება ნელ-ნელა ფეხს იკიდებს, ამაში კი დიდი წვლილი „start up" პროგრამასაც შეაქვს. გარდა აღნიშნული წარმოებისა, საქართველოს აქვს პოტენციალი აწარმოოს სხვადასხვა სახის პროდუქტი, ამისათვის აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობა, სხვადასხვა საგანმანათლებლო და საინვესტიციო ღონისძიებების ჩატარება.

რაც შეეხება ევროკავშირს, ეს უსაზღვრო შესაძლებლობათა სივრცეა, იგი უზარმაზარი ბაზარია, რომელიც გამოირჩევა მაღალი მსყიდველუნარიანობით. მაგრამ, თუ ჩვენ არაფერს ვაწარმოებთ, შესაბამისად ბაზარის სიდიდისა და მის ხელმისაწვდომობას არანაირი აზრი ექნება. როგორც დასავლეთის ინდუსტრიული ქვეყნები, ისე ჩვენც ეტაპობრივად ნელ-ნელა უნდა განვითარდეთ. ჩვენ გვჭირდება ბიზნესს, მომხმარებელსა და სახელმწიფოს შორის ახალი კონტაქტის დამყარება და სახელმწიფოს აქ უნდა ქონდეს წამყვანი როლი. ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს სახელმწიფოს მეტი მონაწილეობისა ეკონომიკაში, სახელმწიფო არ არის მტერი. უნდა წარმოვიდგინოთ, რომ იგი არის მექანიზმი მოქალაქეების ხელში საკუთარი ცხოვრების განვითარების და ეს არ არის მხოლოდ რაღაც დამსჯელი ორგანო, რომელიც თავისი რეგულაციებით ან გადასახადების ამოღებით, შესაბამისად ვინმეს სჯის. სახელმწიფო უნდა უწყობდეს ხელს ბიზნესის შექმნას, ასევე მათი პროდუქციის რეალიზებას, როგორც ადგილობრივ, ისე საექსპორტო ბაზარზე. ვინაიდან ჩვენს ქვეყანას ამის ნაკლები რესურსი გააჩნია, ამიტომ უნდა შეიქმნას ინვესტორთა სასურველი გარემო და ხელი შეეწყოს ინვესტიციების მოზიდვას. საჭიროა განვითარდეს, როგორც წარმოების, ასევე გაყიდვების მიმართულება.

ლეგენდა, რომელსაც ახლა ვიტყვი, შესაძლებელია მოსახლეობის 50%-ისთვის იყოს მისაღები მხოლოდ მაგრამ ეს საკმარისია. წარღვნა რომ იყო ამაზე ყველა თანხმდება და ეს იცის, როგორც მეცნიერმა, ისე არა მეცნიერმა და რელიგიურად სხვადასხვა ფილოსოფიით დატვირთულმა ადამიანმა. წარღვნის შემდეგ გადარჩა ადამიანი, რომელმაც

იზრუნა იმაზე, რომ გარკვეული ჯიშები, გარკვეული სასურსათო პროდუქტები გადარჩენილიყო. ბიბლიის მიხედვით პირველი რაც გააკეთა ამ კაცმა, რომელსაც სახელად ნოე ერქვა, დაიწყო მიწათმოქმედება და გააშენა ვენახი. ვენახის სამშობლო რომ საქართველოა, ეს ნახევარმა მსოფლიომ უკვე აღიარა. ლოგიკურია, თუ ვენახი იმ ადამიანმა გააშენა იმ ტერიტორიაზე, რომელსაც დღეს საქართველო ქვია, მაშინ ყველა დანარჩენი კულტურები, რომლებიც იყო იმ დროისთვის საუკეთესო საუკეთესოთა შორის გავრცელდა ამ ტერიტორიაზე. თუ ამ ლეგენდას დავეყრდნობით, შესაძლებელია ვაწარმოოთ პროდუქტი, რომელიც იქნება, ყველაზე სასარგებლო, გემრიელი და ასევე დეფიციტური.

კიდევ ერთი ლეგენდა გვაქვს, რომლის მიხედვითაც ღმერთმა მიწები რომ გაანაწილა, დარჩა საქართველო და საქართველო ედემის ბაღად აჩუქა ქართველებს. ამის მეცნიერული ახსნა არის შემდეგი:

1) ქვეყანაში არის 26 000 მდინარე;

2) 32 - დან 28 კლიმატური სარტყელი.

ანუ, ჩვენი ქვეყანა უნიკალურია თავისი ბუნებით. საერთაშორისო ბაზარზე ცოტახანში დეფიციტი იქნება გემრიელი და ნატურალური სურსათის დეფიციტი,ამის მიზეზი კი მოსახლეობის სწრაფი მატებაა. მოკლედ რომ ვთქვათ, სოფლის მეურნეობა და ზოგადად მეწარმეობა მომავლის დარგია. საკვებისა და სასიცოცხლოდ აუცილებელი პროდუქტის გარეშე ადამიანი ვერ იარსებებს, შესაბამისად აუცილებელია ქვეყანამ განავითაროს ჯერ სოფლის მეურნეობა და მის კვალობაზე მეწარმეობაც, ეს ორი ერთმანეთზე მჭიდროდ დაკავშირებული ცნებებია.

„საქართველო აგრარული ქვეყანაა“ - ამ ფრაზას ხშირად ვაწყდებით. ჩვენ გვაქვს ბარაქიანი მიწა, აქ ცხოვრობს მშრომელი ხალხი, კლიმატიც შესაშურია. მაშინ რატომ ხდება, რომ ქვეყანაში გაყიდული პროდუქციის 80% იმპორტირებულია, ხოლო სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 10%-ს არ აღემატება? ამავდროულად მოსახლეობის 40% სოფლად ცხოვრობს. ბევრი მათგანი მთავრობის დახმარებას ელოდება, ბევრიც ფინანსების არარსებობას უსვამს ხაზს და მაინც სად არის პრობლემა?

სოფლის მეურნეობა არის ის საქმე, რომელიც მოგვდგამს ოდითგანვე, შესაბამისად ამას კარგად აკეთებდნენ ჩვენი წინაპრები. რატომ

არ უნდა გავაკეთოთ ჩვენც იგივე? სოფლის მეურნეობა დღეს, ჩვენდა სამწუხაროდ, როგორც ბიზნესი აღქმული არ არის, როგორც ეს ყველა განვითარებული და ევროპულ ქვეყანაშია. მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი ეფექტური გზაა ფერმერების გაერთიანება ანუ კორპორაციაა. რაც შეეხება სოფლად მცხოვრებ ხალხს. მათ მფლობელობაში საშუალოდ 1 ჰექტარი მიწა ირიცხება, თუმცა, სტატისტიკურად, მათი უმრავლესობა დაუმუშავებელია. ამის მიზეზი კი მოსახლეობის დამოკიდებულებაა, მათ მიაჩნიათ, რომ ეს მიწები გამოუსადეგარია არამარტო ბიზნესისთვის, არამედ მათ გამოსაკვებადაც კი. შესაბამისად, მოუვლელია მასზე არსებული კულტურებიც. ჩვენ უნდა დავინახოთ ის რაც გვაქვს, ქართული ჯიშის სურსათი. მე არ უარვყოფ რომ განვითარება არის ტექნოლოგიების სწრაფად და დიდი ნაბიჯებით ათვისებაში. მაგრამ, ჩვენ შეიძლება ვაწარმოოთ დათვლადი პროდუქტი, გავაკეთოთ ძალიან ცოტა იმიტომ, რომ მეტის თავი არ გვაქვს ამ ტერიტორიაზე. გერმანელებმა წაიღეს ქვევრებიც, ყურძენიც, ტექნოლოგიაც და ჩამოვიდნენ და თქვეს რომ ღვინო არ გამოგვივიდაო ისეთი. როგორ გამოუვიდოდათ? ამის მიზეზი კი ერთადერთი, ჩვენთან იზრდება ისეთი ენდემური სახეობის ვაზი, რომელიც იმ ჰავას ერგება, რაც საქართველოშია გაბატონებული (გამოსავალი ალბათ ერთადერთია, რომ ამ ქართულმა კომპანიებმა გააკეთონ ბრენდირება და ამ საერთო სავაჭრო ნიშნის ქვეშ მოახდინონ გატანა ექსპორტზე). მაგრამ ეს არაა ერთადერთი გზა ქვეყნის განვითარებისა. ესაა ერთ-ერთი სეგმენტი, როგორც ტურიზმის განვითარებაა ერთ-ერთი ნაწილი ქვეყნის განვითარებისა და არა ერთადერთი.

კიდევ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი არის სტარტაპთან დამოკიდებულება. შემოქმედებით აზროვნებას აბსოლუტურად კლავს ის დამოკიდებულება, რაც გვაქვს დღეს საქართველოში. ვინ არის სტარტაპერი? სტრტაპერი ზის, ფიქრობს. ვთქვათ ბაზარზე არის რამდენიმე სახეობის საღებავი, მას კი გაუჩნდა იდეა, რომ აწარმოოს ახალი თანამედროვე ტექნოლოგიით კიდევ ერთი სახეობის საღებავი. ამ დროს პოულობს იმ მომენტს, რომ მისი „საღებავი“ იყოს განსხვავებული და მიდის ბანკში. -რამდენი გაქვს შემოსავალი? უცებ სტარტაპერი გაოგნებული სახით ზის, რა შემოსავალი, ახლა მოვიგონე ეს. -რამდენი გჭირდება? -1000. -რამდენი გაქვს ხელფასი? -30 და სტარტაპი კვდება. ისევ იგივე წრე, ახალი იდეა, ახალი ჩავარდნა და ა.შ. ვფიქრობ,

სტარტაპთან დაკავშირებით უნდა გატარდეს გარკვეული ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს მის უკეთ განვითარებას.

ახალი საპენსიო რეფორმის შესახებ მოკლედ - პრაქტიკულად ყველა მწარმოებელს ფინანსური რესურსი თუ სჭირდება მან უნდა მიმართოს ბანკს. ბიზნესს უნდა ჰქონდეს ფინანსების მოზიდვის ალტერნატივა. ახალი საპენსიო რეფორმით ზუსტად აი იმ შენატანებით მოხდება თანხების აკუმულირება.

მე ამოვკრიბე ასეთი ინფორმაცია - მაგალითად: გერმანიის პირველი პირი დადის ავტომობილი აუდით, საფრანგეთის - სიტროენით, იტალიის - ლანჩიათი, დიდი ბრიტანეთის - იაგუარით, ჩინეთის - ხუანცით (არის ასეთი ჩინური წარმოების ავტომობილი, რომელიც წითელ დროშას ნიშნავს ქართულად), იაპონიის - ტოიოტათი, ამერიკის შეერთებული შტატების - კადილაკით, ჩეხეთის - შკოდათი. ეს ის ჩამონათვალია, რომელშიც ვერცერთი ვერ შემეკამათება, რომ მაგალითად ხუანცი ან შკოდა პირველი დონის მანქანაა და იქაურ სახელმწიფო შესყიდვებში ამან პირველი ადგილი მოიპოვა, გნებავთ ხარისხით, გნებავთ გაყიდვებით. აქ პირველმა პირებმა გამოხატეს ის ინტერესი და ის ხედვა, რომ მე სახელმწიფოს პირველი პირი პატივს ვცემ ადგილობრივ წარმოებას.

კიდევ ერთი მაგალითისათვის მე მოვიყვან საფრანგეთის FN სტანდარტს, რომელიც აბსოლუტურად ნებაყოფლობითია, მაგრამ მაინც ყველა სახელმწიფო შესყიდვებში რეგულირებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ვერცერთი მეწარმე - გინდა ფრანგი იყოს, გინდა არაფრანგი, ვერ მიიღებს სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობას თუ მისი პროდუქცია არ აკმაყოფილებს ამ სტანდარტს. რა არის ეს FN სტანდარტი? ესაა ადგილობრივი სტანდარტი და ამ ადგილობრივი სტანდარტის მისაღებად ძალიან ბევრი მცდელობა უწევთ, როგორც ფრანგულ, ასევე უცხოურ კომპანიებს და ძირითადად ამ FN სტანდარტით სარგებლობენ მაინც ადგილობრივი კომპანიები.

მინდა მოგახსენოთ ქართული ნაწარმის შეძენის მნიშვნელობაზე. ჩვენ როდესაც ვყიდულობთ ადგილობრივ ნაწარმს, ჩვენ ამით ვაძლევთ მეწარმეს შესაძლებლობას, რომ განვითარდეს, უფრო უკეთესი ნაწარმი გამოუშვას, ამასთანავე. ჩვენ ვაძლიერებთ სახელმწიფოს. მწარმოებელიც და დასაქმებულიც იხდიან გადასახადებს ბიუჯეტში, ბიუჯეტში რაც უფრო მეტია შემოსავალი, მით უფრო მაღალ რესურსს

გვაძლევს იმისათვის რომ დააფინანსოს უსაფრთხოება, თავდაცვა, ინფრასტრუქტურა, გზები, განათლება ,ჯანდაცვა და ა.შ. ამიტომ უნდა გვესმოდეს, რომ როდესაც ჩვენ ქართულ ნაწარმს ვყიდულობთ ჩვენ არა მხოლოდ დასაქმებულსა და დამსაქმებელს ვაძლიერებთ, არამედ ჩვენ ვაძლიერებთ სახელმწიფოს იმისათვის, რომ ჩვენი გარემო იყოს უფრო კომფორტული და უფრო უსაფრთხო, რაც შეეხება მესამე ფაქტორს, ადგილობრივი მეწარმეობის განვითარება საშუალებას იძლევა გავაგრძელოთ წინაპრების საქმიანობა, განვავითაროთ იგი და არ მივცეთ დავიწყებას.

პროდუქცია ადგილობრივ ნაწარმს სრულად ჯერ ვერ აბალანსებს. საბედნიეროდ, ბოლო პერიოდში ამ ტენდენციის მკვეთრი გაუმჯობესება შეინიშნება - მარკეტების დახლებზე ეროვნული ნაწარმის რაოდენობა სულ უფრო იზრდება. ალბათ, თქვენც არაერთხელ გიგრძნიათ სიამაყის განცდა, როცა დახლებზე განვითარებულ ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის გვერდით, არანაკლებ ხარისხიან ქართულ ნაწარმს ხედავთ. ასეთ დროს, პროდუქციის მრავალფეროვნების მიუხედავად, მე არჩევანის გაკეთება არასოდეს მიჭირს - ვირჩევ ქართულს, საკუთარ ქვეყანაში წარმოებულ და, რაც მთავარია, ხარისხიან პროდუქტს. იმასაც ვაცნობიერებ, რომ ამით ეროვნული ბიზნესის განვითარებაში საკუთარი, თუნდაც მცირე წვლილი შემაქვს.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

**1.**გულნაზ ერქომაიშვილი, ლია გიგაური, ნინო ტალახაძე. მეწარმეობის საფუძვლები, თბილისი, 2010;

**2.**ევგენი ბარათაშვილი, ნიკო ბაკაშვილი, ნინო ფარესაშვილი, ბადრი გეჩბაია, დარეჯან მესხიშვილი. თანამედროვე ბიზნეს სტრატეგიები. უნივერსალი, თბილისი, 2010;

**3.**http://qartuli.ge

**4.**http://enterprisegeorgia.gov.ge/ge/media-center/news/saxelmwifo-programis-awarmoe-saqarTveloSi-farglebSi-ganxorcielebuli-proeqtebi-vice-premierma-moinaxula?id=311

# აუდიტორული საქმის მენეჯმენტის პრბლემები და მათი გადაჭრის გზები

# Problems of management in auditing service and the ways to resolve them

*ავტორი - **ნინო კაპანაძე,** ხელმძღვანელი - ასოც. პროფ. **თამარი დევიძე,** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*
*Author – **Nino Kapanadze,** Supervizor – Assoc. Prof. **Tamari Devidze,** Georgian Technical University*

*Abstract*

*Auditing activity is an important element of market economy and is an independent function of management. Organizational and methodical provision of the economic subject is carried out through the control, as well as the management decision related to it. Audit work is undertaken by audit inspection (audit), auditing services, as well as the organizational and methodological provision of the audit. In this regard, argumentative suggestions (recommendations) made in this work make the theme relevant.*

*Key Words: management, audit, auditing service.*

ეკონომიკის ორგანიზაციის ყველაზე რაციონალურ ფორმად მიჩნეულია საბაზრო ეკომომიკა, რომელიც ემყარება ბიზნესის თავისუფლებას და კონკურენციას. ამიტომ, საბაზრო ეკონომიკის პირობებში განსხვავებული მნიშვნელობა ენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალისტების მომზადებას. განვითარებული ქვეყნების საბაზრო ეკონომიკის პირობებში საწარმოების (ორგანიზაციების) სამეურნეო საქმიანობა (ბიზნესი) წარმოუდგენელია მენეჯმენტის გარეშე, რომელიც აღიარებულია ბიზნესის მართვის ფილოსოფიად.

მენეჯმენტს განსაზღვრავენ როგორც ეკონომიკური სისტემის (კომერციული ორგანიზაციების, ფირმების) მართვას, რომლის მიზანია ადამიანთა საქმიანობის მიზანდასახული ორგანიზაცია და კოორდინაცია მაღალი საბოლოო შედეგების მისაღწევად; ხოლო მენეჯერი ბიზნესმენის მიერ დაქირავებული მმართველია (მრთვის სპეციალიტია).

უფრო ზუსტი დეფინიციისათვის - მენეჯერი ორგანიზაციის ის წევრია, რომელიც ეწევა მმართველობით საქმიანობას და წყვეტს სამ-

მართველო ამოცანებს. მენეჯერთა როლი ორგანიზაციაში განსხვავებულია მართვის იერარქიაში მათი ადგილის, შესრულებული ფუნქციების, გადასაწყვეტი ამოცანებისა და სამმართველო საქმინობის სახეების მიხედვით.

ნებისმიერი ორგანიზაცია წარმოუდგენელია მენეჯერის გარეშე, რადგან ისინი: უზრუნველყოფენ ორგანიზაციის ძირითადი დანიშნულების განხორციელებას; აპროექტებენ ორგანიზაციაში შესასრულებელ ცალკეულ ოპერციებს და ამყარებენ მათ შორის ურთიერთკავშირს; ამუშავენებ ორგნიზაციულ სტრატეგიებს ცვალებადი გარემოს პირობებში; უზრუნველყოფენ ორგანიზაციების მაკონტროლებელი პიროვნებებისა და დაწესებულებების ინტერესებისადმი ორგანიზაციის საქმიანობის დაქვემდებარებას; ოფიციალურად წარადგენენ ორგანიზაციებს სხვადასხვა ფორუმებსა და ღონისძიებებზე; ფორმალურად პასუხისმგებელნი არიან ორგანიზაციის საქმიანობაზე; წარმოადგენენ ორგნიზაციის ინფორმაციული კავშირურთიეთობების მთავარ რგოლს.

მატერიალური დოვლათის აღრიცხვას და შესაბამისი მონაცემების სისწორის შემოწმებას მსოფლიო პრაქტიკაში დიდი ხნის ისტორია აქვს. ცნობილია, რომ რომში ძვ.წ. 200 წელს კვესტორები (სახელმწიფო ხაზინის გამგე, ხაზინადარი) იყვნენ ის თანამდებობის პირები, რომლებიც განაგებდნენ ფინანსურ და სასამართლო საქმეებს, აკონტროლებდნენ სახელმწიფო ბუღალტრების საქმიანობას. კვესტორები რომში აგზავნიდნენ ფინანსურ ანგრიშგებებს, რომლის ახსნა--განმარტებას ისმენდნენ მიმღები პირები. აქედან წარმოიშვა ცნება „აუდიტი“ (ლათინურად “audio” რაც ქართულად ნიშნავს - „მას ესმის“, „მსმენელი“). ზოგადად კი აუდიტი საწარმოების, ორგანიზაციების, ასოციაციების, ფონდების, კავშირების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის საბუღალტრო კონტროლი, ფინანსური ანალიზი და შემოწმებაა, რომელსაც დამოუკიდებელი სამსახურების კვალიფიციური სპეციალისტები ატარებენ.

საბაზრო ეკონომიკაში აუდიტური საქმიანობის განხორციელების ძირითადი მიზანია ეკონომიკური სუბიექტის ბუღალტრული ანგარიშგების უტყუარობა და მისი შესაბამისობა, სამეურნეო და საფინანსო ოპერაციების სამართლიანობა ნორმატიულობასთან. ე.ი. აუდიტის ძირითად მიზანში იგულისხმება ეკონომიკური სუბიექტის

საქმიანობის შესახებ უტყუარობისა და სიზუსტის სრულყოფილი შეფასება იმ პრინციპით, რომ შესაძლებელი გახდეს რეზერვებსა და ურთიერთობებში შეცდომა-გარღვევათა გამოვლენა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეფასება. ამასთან ერთად, უდიტის შემოწმების ამოცანაში შედის: ბალანსის შედგენის სისწორის, მოგების და ჩანაწერების უტყუარობის დადგენა. ამისთვის კი უნდა შემოწმდეს ანგარიშგებაში ასახული ყველა აქტივი და პასივი, აღრიცხვაში გამოყენებული ყველა დოკუმენტი და გამოვლინდეს გადახრები გათვალისწინებულსა და ფაქტობრივს შორის.

აუდიტურმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს წმინდათაწმინდა მოვალეობა - აუდიტის კონფიდენციალურობა და მოიზიდოს სპეციალისტები დროებითი შეთანხმების საფუძველზე. ცნება „აუდიტისგან“ წარმოიშვა ტერმინი „აუდიტორი“, ანუ პროფესიონალი ბუღალტერი, კონტროლიორი, რევიზორი, ფინანსური კონტროლის და სხვა სპეციალობის უფლებამოსილი პირი, ფინანსური შემოწმების ჩამტარებელი. აუდიტორები ამოწმებენ საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებას, მის უტყუარობასა და შესრულებული სამეურნეო ოპერაციების კანონიერებას. ისინი მრჩევლებისა და კონსულტანტების ფუნქციებსაც ასრულებენ. მათ მოვალეობაში შედის აგრეთვე დოკუმენტების დამუშავება, ინფორმაციის მიღება-დამუშავება, კლიენტების ინფორმაციული მომსახურება და სხვ. აუდიტორის თანამდებობის შემოღება განაპირობა ანგარიშგების სისწორის გარანტიის აუცილებლობამ. აუდიტორული საქმიანობა ის უნიკალური ინსტრუმენტია, რომელსაც ძალუძს დაეხმაროს განსხვავებული პროფილისა და იურიდიული სტატუსის მქონე საწარმოებს.

ეკონომიკური საქმიანობის აუდიტური კონტროლი უნდა ჩატარდეს შემდეგი თანმიმდევრობით: წინასწარი (პერსპექტიული), მიმდინარე (ოპერატიული), შემდგომი (ფაქტობრივი) და დოკუმენტური (შემოწმება). ეკონომიკური საქმიანობის აუდიტური კონტროლი არ უნდა ატარებდეს ერთჯერად, კამპანიურ ხასიათს, არამედ ის უნდა მიმდინარეობდეს თანმიმდევრულად და განუწყვეტლივ. აუდიტური კონტროლის დამაგვირგვინებელია ეკონომიკური საქმიანობის ფაქტობრივი შედეგის ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტური შემოწმება და დასკვნის გაკეთება.

აუდიტური შემოწმებისას დამოუკიდებელი აუდიტორები ძირი-

თადად ორ ფუნქციას ასრულებენ: პირველი ეს არის - ფინანსური ანგარიშგებით წარმოდგენილი ინფორმაციის ჭეშმარიტებისა და არითმეტიკული სიზუსტის მოწმობათა მაღალკვალიფიციური შემკრებისა და შემფასებლის ფუნქცია. ხოლო მეორე - ფინანსური ანგარიშგების შეფასებისა და გაშიფრვების შემოწმება, თუ რამდენად შეესაბამება ისინი აღრიცხვის საერთოდ მიღებულ პრინციპებს.

აუდიტურმა კონტროლმა სამეწარმეო საქმიანობაში ნაკლოვანებების აღმოფხვრის გზები უნდა უჩვენოს, იგი უნდა დაეხმაროს ხელმძღვანელობას სწორი ორიენტაციის აღებაში და კონკურენტულ ბრძოლაში გაამარჯვებინოს. საწარმოებში აუდიტორი უნდა იყოს აგრეთვე, კარგი ეკონომისტი, მენეჯერი და იურისტი.

ეკონომიკური სისტემის მეწარმეები თვითონ უნდა იყვნენ დაინტერესებული აუდიტორების მოწვევით, რათა ნათელი გახდეს სამეწარმეო საქმიანობასა და ფინანსურ ურთიერთობებში არსებული ხარვეზები; მაგრამ სამწუხაროდ მეწარმეებს ხშირად არ სჯერათ აუდიტური კონტროლის სიკეთის და ამ საქმიანობას ისევ ძველ რევიზორ-კონტროლიორებად აღიქვამენ, ამიტომ აუდიტურ საქმიანობას ზედმეტად თვლიან, რაც არასწორი შეხედულებაა აუდიტური კონტროლის შესახებ. საწარმოებისთვის აუდიტორული კონტროლი ისეთ როლს ასრულებს, როგორც მოსახლეობისთვის - „ოჯახის ექიმი“. ამიტომ აუდიტორსა და მეწარმეს შორის უნდობლობის ფაქტორის მოქმედება უნდა აღმოიფხვრას.

უამრავი კვლევა ადასტურებს, რომ უდიტორული საქმიანობის წარმატების ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია ეთიკის ნორმების დაცვა; რაც ხშირ შემთხვევაში პრობლემატური საკითხი ხდება, რადგან რთულია მაღალკვალიფიციური, კეთილსინდისიერი, კანონდამცავი, საქმისადმი ერთგული ადამიანების შერჩევა, რომელთა მეშვეობითაც კლიენტებს კვალიფიციური დახმარება გაეწევათ.

მენეჯერის პროფესიაში ერთ-ერთ ასევე უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს რისკების შეფასება. რადგან არასწორად შერჩეულ (მაღალრისკიან) დამკვეთთან მუშაობას შესაძლოა მოჰყვეს აუდიტის საზღაურზე უფრო მეტი დანახარჯების გაწევა, რამაც შესაძლოა აუდიტორული ფირმა მნიშვნელოვნად აზარალოს.

ასევე აუცილებელია აუდიტორულ ფირმაში მენეჯერს მის დაქვემდებარებაში მყოფი მუშაკების შესახებ ჰქონდეს ამომწურავი ინ-

ფორმაცია (ან თუ არ აქვს მოიპოვოს ის), რადგან როგორც ვიცით, არსებობს შემთხვევები, როდესაც დაუშვებელია აუდიტორის მიერ რომელიმე ფირმის აუდიტის ჩატარება (მაგალითად, განმეორებითი აუდიტის შემთხვევაში...).

საკმაო სიფრთხილეა საჭირო აუდიტორის ექსპერტის შერჩევისას (თუ მისი კონსულტაცია აუცილებლობას წარმოადგენს), რადგან საჭიროა შეფასებულ-იქნას გააჩნია თუ არა აუდიტორის ექსპერტს კონკრეტულ შემთხვევაში მოცემული აუდიტის მიზნების შესფერისი კომპეტენცია, შესაძლებლობები და ობიექტურობა.

ნებისმიერი ფირმის მიზანი შემოსავლის მიღებაა, ასეა აუდიტური ფირმების შემთხვევაშიც. როგორც ცნობილია მათთვის ახალი გარიგებების 90%-ის მოპოვება არსებული კლიენტურის რეკომენდაციების ბაზაზე ხდება; ამიტომ მენეჯერმა უნდა უზრუნველყოს ნებისმიერი ორგანიზაციისთვის (საწარმოსთვის) მაღაკლვალიფიციური და ეფექტიანი მომსახურების გაწევა, რათა აღნიშნულმა ორგანიზაციებმა სხვასთან გაუწიოს რეკომენდაცია მოცემულ აუდიტურ ფირმას. ახალი გარიგების მოპოვების დროს ასევე გასათვალისწინებელია კომპანიისთვის წარმატებული სატენდერო განაცხადის წარდგენა.

დღეისათვის აუდიტი შეჭრილია ეკონომიკური (და არაეკონომიკური) საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში. აუდიტური საქმიანობის განხორციელების ძირითადი მიზანია ეკონომიკური სუბიექტის ბუღალტრული ანგარიშგების უტყუარობა და მისი შესაბამისობა, სამეურნეო და საფინანსო ოპერაციების სამართლიანობა - ნორმატიულობასთან.

აუდიტური სამსახური საბაზრო მექანიზმის აუცილებელი და უმნიშვნელოვანესი ელემენტი, ასევე სამეწარმეო საქმიანობის სწორი მიმართულებით წარმართვის ერთ-ერთი საშუალებაა.

აუდიტორისა და კლიენტის ურთიერთობა ემყარება ურთიერთგაგებასა და კეთილგანწყობას. აუდიტორი გამოდის თავისი კლიენტის თანაშემწის, მრჩევლისა და დამცველის როლში. კლიენტი შეიძლება მოქმედებდეს უმართებულოდ და კანონსაწინააღმდეგოდ, მაგრამ აუდიტორი ვალდებულია ყველაფერი ეს განუმარტოს მას და დროულად მისცეს რჩევები.

ფინანსური კონტროლის ორგანოებიდან, ყველააზე მისაღები ფორმაა აუდიტური კონტროლის სისტემა, რომელსაც პროფილაქტი-

კური დანიშნულება აკისრია. მაგრამ ამ სფეროშიც ბევრი პრობლემა არსებობს, რომელთაც მენეჯერები თითქმის ყოველდღიურად აწყდებიან და რაც ხელს უშლით მათ მენეჯერის ძირითადი ფუნქციების - დაგეგმვა, ორგანიზაცია (ორგანიზება), მოტივაცია, კონტროლის შესრულებაში. ამ მხრივ, მოცემულ ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები და რეკომენდაციები გარკვეულ წვლილს შეიტანს აღნიშნული პრობლემების უკეთ გაანალიზება-მოგვარებაში.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. ხომერიკი თ. მენეჯმენტის საფუძვლები. თბ., 2008
2. შუბლაძე გ., მღებრიშვილი გ., წოწკლოლაური ფ. მენეჯმენტის საფუძვლები. თბ., 2008
3. ბერიძე რ. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი. თბ., 2011
4. ბარათაშვილი ე. ქოქიაური ლ. მენეჯმენტის პრინციპები. თბ., 2010
5. მონტგომერი. აუდიტი. თბ., 1998
6. გრიგალაშვილი ლ. საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის სისტემური ანალიზი. თბ., 2015
7. ცირამუა ე. უდიტი: თეორია, მეთოდიკა, ტექნიკა. თბ., 2009
8. ქებაძე ნ. აუდიტის საფუძვლები. თბ., 2005
9. ACCA F8 წიგნი . აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება
10. ACCA P7 წიგნი . აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება

# არალეგალური გადასახადების ლეგალიზება
# Legalization of illegal taxes

*ავტორ(ებ)ი - **მარი გაგლოშვილი,** ხელმძღვანელი - ასოც. პროფ. **თამარ დევიძე,** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*
*Author(s) – **Mari Gagloshvili,** Supervizor – Assoc. Prof. **Tamar Devidze,** Georgian Technical University*

*Abstract*

*Taxes are a condition for the existence of a "civilized society". In order to fill the state budget it is perfectly necessary to pay all taxes in the country in good faith. Most people recognize that taxes benefit the public. "Nobody pleases income taxes, but little will say that he would live better without them", however, there are those who try to escape certain taxes. "Many firms are avoiding legitimate ways for a large part of taxes, and sometimes even a whole tax- to pay it. They are doing it because of the holes in the tax code and the cleverly manipulated manipulations. "This is the first step to eradicating such legislative holes, that there will no longer be manipulations and evictions and taxes are dignified by all of us in the state budget.*
*Key Words: Taxes, Illegal and legal taxes.*

გადასახადები „ცივილიზებული საზოგადოების“ არსებობისთვის აუცილებელი პირობაა. იმისათვის, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შევსება ხდებოდეს სრულყოფილად აუცილებელია ქვეყანაში არსებული ყველა გადასახადი კეთილსინდისიერად იქნას შეტანილი ბიუჯეტში. ადამიანთა უმრავლესობა აღიარებს, რომ გადასახადებს სარგებლობა მოაქვს საზოგადოებისთვის. „არავის სიამოვნებს საშემოსავლო გადასახადების გადახდა, მაგრამ ცოტა თუ იტყვის იმას, რომ მათ გარეშე უკეთესად იცხოვრებდა“. თუმცა, არიან ისეთებიც, რომლებიც ცდილობენ გარკვეული გადასახადებისგან თავის დაღწევას. „ბევრი ფირმა კანონიერი გზებით არიდებს თავს გადასახადების დიდი ნაწილის — ზოგჯერ კი მთლიანი გადასახადის — გადახდას. ამას ისინი ახერხებენ საგადასახადო კოდექსში არსებული ხვრელებისა და ჭკვიანურად გათვლილი მანიპულაციების წყალობით“.

სწორედ ასეთი საკანონმდებლო ხვრელების აღმოფხვრა არის პირველი ნაბიჯი იმისა, რომ  აღარ არსებობდეს მანიპულაციების და თავის არიდების გზები  და გადასახადები ღირსეულად იქნას გადახ-

დილი ყველა ჩვენგანის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიში.

არსებობს ხალხის ისეთი კატეგორიაც, რომლებიც საერთოდ არ იხდიან გადასახადებს. მაგალითად საქართველოში გადასახადებს თავს არიდებენ „ტაქსისტები", „რეპეტიტორები", „უძრავი ქონების გამქირავებლები ან შემსყიდველები", თუმცა არც არსებობს ისეთი სისტემა, რომელიც მათ მოსთხოვთ გადასახადების გადახდას, ასევე „პროსტიტუცია", რომლისგან მიღებული შემოსავალი ბევრმა ქვეყანამ ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთ ძირითად წყაროდ აქცია.

გადასახადების მეშვეობით ხდება იმ მრავალი მომსახურების დაფინანსება, რომლებსაც, შესაძლოა, ჩვეულებრივად მივიჩნევთ. გადასახადები იყოფა ორ კატეგორიად: პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებად.

მაგალითად, ინდივიდუალური საშემოსავლო გადასახადი, კორპორაციის საშემოსავლო გადასახადი და ქონებრივი გადასახადი *პირდაპირ* გადასახადთა კატეგორიად, *არაპირდაპირ* გადასახადთა რიცხვს მიეკუთვნება ბრუნვის გადასახადი, აქციზი სპირტიან სასმელებსა და სიგარეტზე და საბაჟო გადასახადები. პირდაპირ გადასახადებთან შედარებით ეს გადასახადები ნაკლებად თვალშისაცემია, მაგრამ შეიძლება მაინც მძიმე ტვირთად დააწვეს გადამხდელებს, განსაკუთრებით ღარიბებს.

საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებს: საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები. საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებია: საშემოსავლო გადასახადი; მოგების გადასახადი; დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ); აქციზი; იმპორტის გადასახადი. ადგილობრივი გადასახადებია: ქონების გადასახადი; დამატებითი ღირებულების გადასახადი.

პირი, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და რომლის მიერ ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა აღემატება 100 000 ლარს (გარდა ქვემოთ აღნიშნული შემთხვევისა), ვალდებულია დარეგისტრირდეს დღგ-ის გადამხდელად და იგი დღგ-ის გადამხდელად ითვლება იმ დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების მომენტიდან (ამ ოპერაციის ჩათვლით), რომლის მიხედვითაც დასაბეგრი ოპერაციის საერთო თანხა გადააჭარბებს 100 000 ლარს.

მოგების გადასახადის გადამხდელია:–რეზიდენტი საწარმო; – არარეზიდენტი საწარმო, რომელიც საქართველოში საქმიანობას ახორციელებს მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ან/და შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან. – არარეზიდენტი პირი, რომელიც არ არის ფიზიკური პირი, ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას საქართველოში და არ დაასაბუთებს თავის თანამფლობელობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის 143-ე მუხლის მიხედვით.

საშემოსავლო გადასახადი ვინ არის საშემოსავლო გადასახადის გადამხდელი? საშემოსავლო გადასახადის გადამხდელია: რეზიდენტი ფიზიკური პირი, ანუ პირი რომელიც ფაქტობრივად იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე 183 დღე ან მეტ ხანს ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის პერიოდში; არარეზიდენტი ფიზიკური პირი, რომელიც შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული გადახდის წყაროდან. რას წარმოადგენს დასაბეგრი შემოსავალი რეზიდენტი ფიზიკური პირისთვის? დასაბეგრი შემოსავალი წარმოადგენს სხვაობას კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლისა და ხარჯების თანხებს შორის.

აქციზის გადასახადი აქციზის გადამხდელი პირი, რომელიც: აწარმოებს აქციზურ საქონელს საქართველოში; ახორციელებს აქციზური საქონლის იმპორტს საქართველოში; ახორციელებს აქციზური საქონლის ექსპორტს; ახორციელებს ბუნებრივი აიროვანი კონდენსატის ან/და ბუნებრივი აირის ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის მიწოდებას; ახორციელებს მობილური საკომუნიკაციო მომსახურების გაწევას.

იმპორტის გადასახადი იმპორტის გადასახადის განაკვეთებია 5%, 12% ან ფიქსირებული საქონლის სახეობების მიხედვით. იმპორტის გადასახადის განაკვეთებია 5%, 12% ან ფიქსირებული საქონლის სახეობების მიხედვით.

ეს ბუნებრივი შედეგი იყო იმ გადაწყევტილებებიდან გამომდინარე, რაც ბოლო წლებში მთავრობამ მიიღო. საუბარია, ბოლო პერიოდის განმავლობაში აქციზის გადასახადის რამდენიჯერმე ზრდაში. სწოერდ აქედან გამომდინარეობს ის შედეგი, რაც დღეს თამბაქოს კონტრაბანდის მხრივ გვაქვს. „მცდელობა, რომ არალეგალურად შემოიტანონ, ყოველთვის იქნება. რაც უფრო მაღალი იქნება გადასახადი, მცდელობაც უფრო მეტი იქნება. შედეგად, უფრო მეტი ადამია-

ნი გარისკავს და ამას გააკეთებს.რადგან კონტრაბანდა არსებობს, ესე იგი სამთავრობო რომელიმე სტრუქტურიდან ამის მხარდაჭერა არის, პოლიცია იქნება, მესაზღვრე თუ სხვა. აქ არის გარიგების ამბავი. ვიღაცეები ამას ლობირებენ. თუ სადმე კონტრაბანდაა, ამის „კრიშა" უნდა ვეძებოთ, ისე ამის გაკეტებას ვერავინ გარისკავდა".

ბუნებრივი მოვლენაა კონტრაბანდა, რადგან ჩვენს მეზობელ ქვეყანაში არის ბევრად დაბალი აქციზის გადასახადი, ვიდრე საქართველოშია. სწორედ ფასთა შორის სხვაობა უბიძგებს ბევრ ადამიანს, სადაც იაფია იქ იყიდოს, აქ შემოიტანოს არალეგალურად და მაღალ ფასად გაყიდოს. რაც უფრო მეტია აქციზებს შორისს სხვაობა, მით უფრო მეტია ასეთი ბიძგი.

„ჩვენ თუ ვნახავთ, იგივე ჩვენს მეზობელ ქვეყნებს, მაგალითად, სომხეთში, იქ ერთ კოლოფზე არსებული კურსით დაახლოებით 70 თეთრი გამოდის სპეციფიკური აქციზი მაშინ, როდესაც ჩვენ შემთხვევაში 1.80 ლარი გამოდის. თითქმის, 1.10 ლარზე მეტია სხვაობა, თუ ადვალურ გადასახადსაც დავუმატებთ. ისეთი მნიშვნელოვანია ფასთა სხვაობა, რომ ადამიანებს, მეწარმეებს უბიძგებს, ჩაერთონ კონტრაბანდულ საქმიანობაში".

გადასახადი წარმოადგენს ბიუჯეტში სავალდებულო შენატანს, რომელსაც კრეფს სახელმწიფო კანონით დადგენილი ოდენობითა და წესით. სახელმწიფოს წარმოშობის მომენტიდან გადასახადი საზოგადოების ეკონომიკური ურთიერთობების სავალდებულო რგოლია. ვერც ერთი სახელმწიფო ვერ იარსებებს თავისი ფინანსური რესურსების გარეშე. თანამედროვე მსოფლიოში გადასახადი სახელმწიფოს ფინანსური რესურსების ძირითადი წყაროა. საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შეუფერხებელი დაფინანსება ფინანსური რესურსების სისტემატიურ შევსებას საჭიროებს, რაც შესაძლებელია გადასახადის გადამხდელების მიერ გადასახადების გადახდის ხარჯზე. გადასახადის გადამხდელები ვალდებულნი არიან გადაიხადონ საგადასახადო კანონმდებლობით დაწესებული გადასახადები დადგენილი ოდენობით და დადგენილ ვადებში. გადასახადის გადამხდელები გადასახადებს, მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, ხშირად არადროულად ან არასრულად იხდიან. საბაზრო ურთიერთობების პირო-

ზებში ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში შექმნილ ახალ საწარმოებს ცალკეულ შემთხვევაში ბუღალტრული აღრიცხვის დარგში არ ჰყავთ კვალიფიციური სპეციალისტები, რის შედეგადაც ადგილი აქვს საგადასახადო აღრიცხვაში დაშვებულ შეცდომები. გარდა ამისა, ხშირია სააღრიცხვო მონაცემების შეგნებულად დამახინჯების შემთხვევებიც. დღეისათვის შესაძლებელია გადასახადისაგან თავის არიდება როგორც ლეგალური, ასევე არალეგალური, ე.ი. კანონით აკრძალული საშუალებებით.

საგადასახადო კანონმდებლობის განზრახ ან გაუფრთხილებელი დარღვევა ბიუჯეტში გადასახდელი გადასახადების შემცირებას იწვევს. სახელმწიფოს ამოცანაა უზრუნველყოს ყველა გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა და შესაბამისი დონის ბიუჯეტში გადასახადების სრული და თავისდროული გადახდა. ამ ამოცანის გადაწყვეტა, უპირველეს ყოვლისა, საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოების მეშვეობით ხორციელდება.

თანამედროვე პირობებში სახელმწიფოს და მთლიანად საზოგადოების მყარი ფინანსური საფუძვლის შექმნა, ყველა დონის ბიუჯეტის დროული და სრული ფორმირება შეუძლებელია ისეთი ეფექტიანი საგადასახადო სისტემის შექმნის გარეშე, რომელიც მიწოდებული იქნება უზრუნველყოს სახელმწიფოს ფინანსური ინტერესები და ამავდროულად დაიცვას გადასახადის გადამხდელის უფლებები. კანონით დადგენილი გადასახადების გადახდის კონსტიტუციური ვალდებულების შესრულება უზრუნველყოფილ უნდა იქნას ეფექტიანი საგადასახადო კონტროლის პროცედურებით, აგრეთვე შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომებით.

საგადასახადო კონტროლისა და საგადასახადო პასუხისმგებლობის, აგრეთვე საგადასახადო დავის გადაწყვეტის სრულყოფის გზების განსაზღვრა დღეისათვის საკმაოდ აქტუალური საკითხია, ვინაიდან უმეტესწილად სწორედ აღნიშნული ურთიერთობების ფარგლებში წარმოებს სახელმწიფოს ფინანსური ინტერესების რეალიზაცია. საგადასახადო კონტროლისა და საგადასახადო პასუხისმგებლობის, აგრეთვე საგადასახადო დავის მარეგულირებელ ნორმებზე ბევრადაა დამოკიდებული ქვეყნის საგადასახადო სისტემის ეფექტიანობა.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ასათიანი რ. საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა. თბ., 2017.
2. ბარათაშვილი ე., აბრალავა ა., ბახტაძე ლ., კაკულია რ. გადასახადები და საგადასახადო დაბეგვრა. თბ., 2015.
3. გაბისონია ი. საგადასახადო სამართალი და გადამხდელთა უფლებათა დაცვა. თბ., 2013.
4. როგავა ზ. საგადასახადო სამართალი. თბ., 2017.
5. ღუდუშაური ზ., შოშიტაშვილი თ. როგორ ვარეგულიროთ ეკონომიკა გადასახადებით. ჟურნ. ბიზნესი და კანონმდებლობა. №2, იანვარი, 2006.
6. საქართველოს საგადასახადო კოდექსი. თბ., 2017

აიწყო და დაკაბადონდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის გამომცემლობაში

ფურცლის ზომა A5,
ნაბეჭდი ფორმა 14,875
ტირაჟი 100.